

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი**

**ნინო კიკნაძე**

**ანალიზური ქიმია**

**გამომცემლობა  
“შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”**

**ბათუმი – 2012**

ანალიზური ქიმიის მეთოდები ფართოდაა დანერგილი ქიმიასა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. წიგნზე მუშაობისას, ავტორი მიზნად ისახავდა ანალიზური ქიმიის თეორიული საფუძვლების, ქიმიური ანალიზის მეთოდების თავმოყრას, რომლებიც ხელს შეუწყობს ქიმიკოს-ანალიტიკოსს პროფესიონალ სპეციალისტად ჩამოყალიბებაში. წიგნი “ანალიზური ქიმია” განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ქიმიის სპეციალობის, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, აგრარული, საინჟინრო-ტექნოლოგიური დარგის სტუდენტებისთვის. ის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება აგრეთვე ამ სფეროებში მოღვაწე სპეციალისტთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორი:** ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-მუშაკი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე, ჯორჯ სოროსის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო ფონდის საპატიო პროფესიული – **თ.ანდრონიკაშვილი**

**რევენურნები:** ქიმიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი – **ა.მანაგაძე**  
ქიმიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულების ლაბორატორიის გამგე **ნ.ლაბარტყავა**

ტექნიკის დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიურ და საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, შპს. “ანალიზელსაწყოს” სამეცნიერო-ტექნიკური მრჩეველი – **გ.ფადიურაშვილი**

## წინასიტყვაობა

ანალიზურ ქიმიას უწოდებენ მეცნიერებას ნივთიერებათა ქიმიური შედგენილობის, მათი სტრუქტურის განსაზღვრისა და იდენტიფიკაციის შესახებ. ნივთიერების შედგენილობას კი საზღვრავენ თვისებითი და რაოდენობითი ანალიზის მეშვეობით, რომლის ამოცანებს წარმოადგენს: სინჯის შერჩევა და მისი საანალიზოდ მომზადება; ანალიზის ჩატარება; ანალიზის შედეგების გაანგარიშება და მათი დამუშავება ნორმატივების შესაბამისად. თვისებით და რაოდენობით ანალიზს ფართო გამოყენება აქვს საწარმოო და კვლევით ლაბორატორიებში, ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებასა და კონტროლში; მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში, მეტალურგიაში, ეკოლოგიაში, კოსმოსურ კვლევებში და სხვ. ამრიგად, ქიმიური ანალიზი წარმოადგენს გამოყენებით ანალიზურ ქიმიას, რომლის მთავარი ამოცანაა ქიმიური ანალიზის თეორიის, ზოგადი მეთოდების და კერძო მეთოდიკების შემუშავება.

ამრიგად, ანალიზური ქიმია წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ დისციპლინას, რომლის შესწავლითაც იქმნის ცოდნის მყარ საფუძველს მომავალი ქიმიკოსი, ბიოლოგი, ეკოლოგი, ექიმი, ფარმაცევტი, ტექნოლოგი, ინჟინერი, ექსპერტი. აქედან გამომდინარე, წინამდებარე წიგნი, პირველ რიგში, განკუთვნილია უმაღლებლების ქიმიის სპეციალობის სტუდენტებისთვის. იგი ასევე გამოადგება საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, საინჟინრო-ტექნოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტების სტუდენტებს, პედაგოგებს, ანალიტიკოსებს, შესაბამის სფეროში დასაქმებულ სპეციალისტებს და ამ მეცნიერებით დაინტერესებულ პირებს.

### წიგნი შედგება 3 ნაწილისგან.

I ნაწილში გაშუქებულია შემდეგი საკითხები: ექსპერიმენტის დაგეგმვა და ჩატარება; ქიმიური რეაქციების მგრძნობიარობა და ხსნარში იონთა აღმოჩენის პირობები; ნიმუშის დაშლისა და ნივთიერების აღმოჩენის მეთოდები; მოქმედ მასათა კანონი (მმ), როგორც თვისებითი ანალიზის საფუძველი;

II ნაწილში განხილულია კათიონთა მჟავურ-ტუტოვანი კლასიფიკაცია; წყლის იონური ნამრავლი; ბუფერული სისტემები; მოქმედ მასათა კანონი და ჰეტეროგენული სისტემები; თანამედროვე წარმოდგენები მჟავებსა და ფუძეებზე ბრენსტედ-ლოურის პროტოლიტური თეორიის საფუძველზე;

III ნაწილი შეიცავს რაოდენობითი ანალიზის თეორიულ საფუძვლებს, მისი ჩატარების პირობებს და ოპერაციებს; რაოდენობითი ანალიზის ძირითად ქიმიურ, ფიზიკურ და ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებს, რომელშიც კლასიკური ქიმიური მეთოდების პარალელურად, აღწერილია თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდები: ელექტროქიმიური, ფოტომეტრული, ატომურ-აბსორბციული, ქრომატოგრაფიული.

წიგნზე მუშაობისას, მთავარ მიზანს წარმოადგენდა არა მარტო ანალიზური ქიმიის თეორიული საფუძვლებისა და ნივთიერებათა ქიმიური შედგენილობის ანალიზის მეთოდების გაცნობა, არამედ ხელშეწყობა ქიმიკოს-ანალიტიკოსისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პროფესიონალ სპეციალისტებად ჩამოყალიბების საპასუხისმგებლო საქმეში.

მიმაჩნია, რომ წიგნის გამოქვეყნება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც ქიმიკოს-ანალიტიკოსების, ასევე საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, საინჟინრო-ტექნოლოგიური, აგრარული დარგების სტუდენტების მცოდნე სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში; იგი ასევე გამოადგება ქიმიის სფეროში დასაქმებულ პირებს.

რედაქტორისგან

## შესაბალი

1. ანალიზური ქიმიის საგანი, ამოცანები, პრაქტიკული როლი მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში

ანალიზური ქიმია არის მუცნიერება, რომელიც შეისწავლის ნივთიერებების, ან მათი ნარევების ქიმიური შედგენილობისა და სტრუქტურის განსაზღვრის პრინციპებს და მეთოდებს.

ანალიზური ქიმიის საგანია-ქიმიური ანალიზის თეორიის პრობლემების გადაწყვეტა, არსებული მეთოდების დახვეწა და ახალი, ექსპრესიული და ზუსტი მეთოდების შემუშავება. კერძოდ, თანამედროვე ანალიზური ქიმიის, როგორც მეცნიერების, სახეს განსაზღვრავს ატომურ-აბსორბციული, რენტგენული, ქრომატოგრაფიული, ბირთვულ-ფიზიკური, იონომეტრიული და სხვა მეთოდების ფართოდ დანერგვა; ლითონების დაყოფისა და განსაზღვრის მიზნით, ორგანული რეაგენტების გამოყენება, ინფორმაციის კომპიუტერიზაცია.

ანალიზური ქიმიის ამოცანა-ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების თეორიების, პროცესებისა და ოპერაციების განვითარება და დახვეწა.

**ნებისმიერ წარმოებაში ქიმიური ანალიზი უნდა უნდა წყვეტდეს შემდეგ ამოცანებს:**

- ნედლეულის ხარისხის განსაზღვრა;
- წარმოების პროცესების კონტროლი;
- გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შეფასება;
- წარმოების ნარჩენების ანალიზი, მათი უტილიზაციისა და გარემოს დაცვის მიზნით.

ანალიზური ქიმია იყოფა ორ ძირითად ნაწილად: თვისებითი და რაოდენობითი ანალიზი. ანალიზური ქიმიის მეთოდოლოგიური და ტერმინოლოგიური საკითხების მიმართ თანამედროვე მიღეომით, საჭიროა დავაზუსტოთ ცნებები “ანალიზური ქიმია” და “ქიმიური ანალიზი”, რომლებსაც ხშირად აიგივებენ ერთმანეთში. **ანალიზური ქიმია-არის მეცნიერება ანალიზის მეთოდების შესახებ, ხოლო ქიმიური ანალიზის მეშვეობით დგინდება საკვლევი ნივთიერებების ქიმიური შედგენილობა პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდების მეშვეობით. ანალიზური ქიმიის პროგრესი ეყრდნობა იმ თეორიულ საფუძვლებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია სხვა ქიმიურ დისციპლინებთან (ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ფიზიკური ქიმიის შესაბამის ნაწილებთან).**

**ანალიზისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნებია:** ანალიზის შედეგების სიზუსტე; მათი სიახლოვე საკვლევი ნივთიერების ჭეშმარიტ მნიშვნელობასთან; ანალიზის განმეორებადობა (პარალელური ცდები); ანალიზის მგრძნობიარობა (დაბალი ცდომილება); ანალიზის ექსპრესიულობა; ეკონომიურად მოგებიანობა; მეთოდის შერჩევითობა.

აქედან გამომდინარე, **ანალიზური ქიმიის წინაშე ძღვარი ამოცანებია:** ა) ანალიზის სიზუსტის მაქსიმალურად გაზრდა; ბ) ნივთიერების ადმოჩენის ზღვრის (მინიმალური კონცენტრაციების) შემცირება; გ) მეთოდის ექსპრესიულობის გაზრდა; დ) დისტანციური ანალიზის მეთოდების შემუშავება და ლოკალური (არადესტრუქტიული) ანალიზის განვითარება, რომელიც არ მოითხოვს ნიმუშის დაშლას.

დიდია ანალიზური ქიმიის პრაქტიკული გამოყენება სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების და სხვა მეცნიერებების განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ანალიზური ქიმიის როლის აღნიშვნა ზოგადი და არაორგანული ქიმიის განვითარებაში. სწორედ ქიმიური ანალიზის მეთოდების მეშვეობით იქნა ადმოჩენილი ნივთიერების შედგენილობის მუდმივობის კანონი, ჯერად ფარდობათა კანონი, განისაზღვრა ელემენტთა ატომური მასები, ქიმიური ექვივალენტები, დადგენილ იქნა სხვადასხვა ნაერთთა ქიმიური ფორმულები. თვისებით ანალიზს იყენებს გეოლოგია მთის ქანების და მინერალების ქიმიური შედგენილობის დასადგენად. მედიცინაში, განსაკუთრებით, პათოლოგიაში ხშირად საჭიროა ცალკეული ორგანოების ან ქსოვილების ანალიზი. სასამართლო მედიცინა და ტოქსიკოლოგია სარგებლობენ ტოქსიკოლოგიური ქიმიის მიღწევებით, რომელ შიც ანალიზს გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა. ანალიზურ ქიმიას იყენებს მედიცინა სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად და მათი შედგენილობის დასადგენად. ყოველ საწარმოს გააჩნია ქიმიური ლაბორატორია, რომელშიც ანალიზი უტარდება

როგორც შემოსულ ნედლეულს, ასევე დამზადებულ პროდუქციას. ქიმიურ ანალიზს იყენებს სოფლის მეურნეობა ნიადაგის, მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების, მცენარეთა ზრდის სტიმულატორების ქიმიური შედგენილობის გასარკვევად. ფართოდ იყენებს ქიმიურ ანალიზს მეტალურგია, ქიმიური ტექნოლოგია, ქიმიური მრეწველობა და სხვა დარგები, ისინი მისი საშუალებით ამზადებენ მაღალი სისუფთავის პროდუქციას, რომლებიც შეესაბამებიან ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

დიდია ანალიზური ქიმიისა და ქიმიური ანალიზის როლი როგორც საბუნების-მეტყველო, ასევე სხვა მეცნიერებების განვითარებაში: ბიოლოგიაში, ფიზიკაში, მათემატიკაში, მინერალოგიაში, გეოლოგიაში, გეოქიმიაში, აგროქიმიაში, გეოგრაფიაში, მედიცინაში. სწორედ თანამედროვე ანალიზური ქიმიის ინსტრუმენტალური და ექსპრესიული მეთოდების გამოყენებით დგინდება ზემოთაღნიშნულ დარგებში საანალიზო მასალის შედგენილობა და სტრუქტურა.

## 2. ანალიზური ქიმიის განვითარების ისტორიული ეტაპები

თვისებითი ანალიზის ზოგიერთი რეაქცია ცნობილი იყო ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. ეგვიპტის პირამიდებში ნაპოვნი პაპირუსები შეიცავენ ოქროს, ვერცხლის და სხვა კეთილშობილი მეტალის დამზადებისა და შემოწმების აღწერილობებს. თუმცა, ანალიზური ქიმია მეცნიერებად იქცა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მანამდე იგი უფრო ემსგავსებოდა ხელოვნებას. **1801 წელს დაწერილი სევერგინის** სახელმძღვანელო ანალიზურ ქიმიაში ასე იწოდებოდა: “სინჯარული ხელოვნება, ანუ მეტალური მადნებისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის შემოწმების სახელმძღვანელო”. ზოგადი ქიმიის განვითარებამ თეორიული და მეცნიერული დასაბუთება მისცა ანალიზური ქიმიის პრაქტიკულად გამომუშავებულ “რეცეპტებსა” და ხერხებს, რის შემდეგაც იგი ხელოვნებიდან მეცნიერულ დისციპლინად გადაიქცა. ეს მოხდა **1860 წელს, როცა ქიმიკოსთა საერთაშორისო კრილობაზე კარლსრუჟში** შემუშავდა ატომურ-მოლეკულური მოძღვრება და 1869 წლის 1 მარტს დი.მენდელევსმა აღმოაჩინა პერიოდულობის კანონი.

ანალიზური ქიმიის მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბებას წინ უძღვდა მთელი რიგი ფუნდამენტალური აღმოჩენები ქიმიის დარგში:

**1748 წელს მედომონოსოგმა აღმოაჩინა მასის მუდმივობის კანონი.** მან შექმნა რუსეთში მეცნიერებათა აკადემიასთან პირველი ქიმიური ლაბორატორია, სადაც ამუშავებდა კეთილშობილური მეტალების განსაზღვრის მეთოდებს. მანვე შეიმუშავა ე.წ. სინჯითი ანალიზი. არსებობს პეტრე I-ის პირადი ჩანაწერები, ლომონოსოვის მიერ სინჯითი ანალიზით შესრულებული სამუშაოების შესახებ. პირველი რუსული წიგნი, სადაც ეს საკითხები არის განხილული, დაწერილია ივანე შლატერის მიერ და ასე იწოდება: “ამოცანები, რომლებიც მონეტების ხელოვნებას ეხება”;

**ტელოვაცმა პირველად (1757-1804 წწ.)** შეისწავლა კავშირი კრისტალთა ფორმასა და მათ ქიმიურ შედგენილობას შორის, რითაც საფუძველი ჩაუყარა **მიკროკრისტალოგია** ანალიზს. მანვე აღმოაჩინა ხის ნახშირის აღსორბების უნარი;

ქიმიური ანალიზის მეთოდიკის დარგში მრავალი ნაშრომი აქვს დაწერილი **გ. გ. გევერგინის**. მის მიერ არის დაწერილი სახელმძღვანელო “მინერალური წყლების შემოწმების ხერხები”, რომელიც გამოიცა 1800 წელს;

**მე-18 საუკუნეში ბერგმანმა შეიმუშავა მეტალთა კათიონების დაყოფის პრიციპები** ანალიზურ ჯგუფებად და ამით საფუძველი ჩაუყარა **სისტემატიურ თვისებით ანალიზს;**

დიდი როლი ითამაშა ანალიზური ქიმიის განვითარებაში 1865 წელს-ბერგმანის, ხოლო 1867 წელს-გულდერგისა და ვააგეს მიერ მოქმედ მასათა კანონის (მმ) აღმოჩენამ.

**მე-19 საუკუნის დასაწყისში ბერგმანის გულდერგისა და ვააგეს მიერ მოქმედ მასა და შეიმუშავა რაოდენობითი განსაზღვრის მრავალი მეთოდი. ამავე პერიოდში გეოლუსაკმა შეიმუშავა მოცულობითი მეთოდის ხერხები;**

**მე-19 საუკუნის 60-იან წლებში მენტუტკინმა შექმნა გოგირდწყალბადით აღდგენის მეთოდი თვისებით ანალიზი და დაწერა სახელმძღვანელო “ანალიზური ქიმია” (1871წ.), რომელმაც გაუძლო 16 გამოცემას და მრავალჯერ ითარგმნა გერმანულ და ინგლისურ ენებზე;**

**ტანანაუგმა შექმნა წილადური ანალიზის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა იონების დაყოფისას არ ვისარგებლოთ გოგირდწყალბადით. მანვე შეიმუშავა ანალიზის წვეთური მეთოდი;**

**ჩუგავემა და ილინსკიმ პირველად გამოიყენეს ორგანული რეაგენტები მეტალთა დასალექად;**

**ბუნებრივი და კირსკოფმა 1860 წელს შექმნეს ანალიზის საექტრალური მეთოდი;**

**კურნაკოვმა საფუძველი ჩაუყარა კელუგის ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდს;**

**ცვეტმა 1903 წელს შეიმუშავა აკლევის ორიგინალური მეთოდი, რომელიც დაფუძნებული იყო ნივთიერებაში შემავალი კომპონენტების სხვადასხვა სორბციის უნარზე. ამ მეთოდმა მიიღო ქრომატოგრაფიული ანალიზის სახელი და დღისათვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ, მაღალმგრძნობიარე და ფართოდ აპრობირებულ მეთოდს მიეკუთვნება.**

### **3. თვისებითი ანალიზის საგანი, ამოცანები და მეთოდები**

**თვისებითი ანალიზის საგანიანი-ნივთიერებათა ელემენტური შედგენილობის განსაზღვრის მეთოდების თეორიული საფუძვლების დამუშავება და ამ მეთოდების დახვეწა.**

**თვისებითი ანალიზის ამოცანაა—ნივთიერებების, ან მათი ნარევების “ხარისხის” განსაზღვრა, ანუ საკვლევი ნაერთის შედგენილობაში შემავალი ცალკეული ელემენტების ან იონების აღმოჩენა; ასევე ნარევში შემავალი ქიმიური ნივთიერებების აღმოჩენა.**

იმისდა მიხედვით, თუ რომელი თვისება გამოიყენება ელემენტის, იონის, ნივთიერების აღმოსაჩენად, **თვისებითი ანალიზის მეთოდები იყოფა 3 ჯგუფად:**

**1) ფიზიკური მეთოდები; 2) ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები; 3) ქიმიური მეთოდები.**

**ანალიზის მეთოდებს, რომელთა მეშვეობით შეიძლება საანალიზო ნივთიერების შედგენილობის განსაზღვრა, მასზე ქიმიური რეაქციის ჩატარების გარეშე, ანალიზის ფიზიკური მეთოდები ეწოდება. ეს მეთოდები დაფუძნებულია საანალიზო ნივთიერების ოპტიკური, ელექტრული, მაგნიტური, თბური და სხვა ფიზიკური თვისებების განსაზღვრაზე.**

**ანალიზის ფიზიკური მეთოდების სახეობებია:**

**ა) საექტრალური თვისებითი ანალიზი-იგი დაფუძნებულია საკვლევი ნივთიერების მიერ გამოსხივებული, ან შთანთქმული საექტრების შესწავლაზე. ამა თუ იმ ელემენტის არსებობაზე მსჯელობენ საექტრში იმ მონოქრომატული გამოსხივებით, რომელიც მოცემული ელემენტისთვისაა დამახასიათებელი. ანალიზი ექსპრესიულია და მისი საშუალებით შეიძლება  $10^{-6} - 10^{-8}$  გრამი ნივთიერების აღმოჩენა. საექტრალური ანალიზით დადგენილი იქნა მზისა და ვარსკვლავების ქიმიური შედგენილობა.**

**ბ) ლუმინესცენციული (ფლუორესცენციული) თვისებითი ანალიზი-იგი დაფუძნებულია ულტრაიისფერი სხივებით წინასწარ დასხივებული საანალიზო ნივთიერების ლუმინესცენციაზე (ცივ ნათებაზე). ამ მეთოდით შეიძლება  $10^{-10} - 10^{-13}$  გრამი ნივთიერების აღმოჩენა.**

**სშირად ვერ ხერხდება ზუსტი ზღვარის დადგენა კვლევის ფიზიკურსა და ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებს შორის, ამიტომ მათ აერთიანებენ საერთო სახელწოდებით ინსტრუმენტალური მეთოდები.**

**ანალიზის მეთოდებს, რომლებიც დაფუძნებულია ქიმიური რეაქციების მსვლელობისას საანალიზო ნივთიერების მიერ გამოვლენილი ფიზიკური თვისების შესწავლაზე, ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები ეწოდება. ამ დროს ატარებენ ნივთიერებაზე ქიმიურ რეაქციას და რეაქციის შედეგს საზღვრავენ ინსტრუმენტალურად.**


**ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების სახეობებია:**

- ა) კოლორიმეტრიული თვისებითი ანალიზი-იგი დაფუძნებულია საანალიზო და სტანდარტული ხსნარების შეფერილობის შედარებაზე;  
 ბ) ქრომატოგრაფიული თვისებითი ანალიზი-იგი დაფუძნებულია საანალიზო ნარევის ცალკეული კომპონენტების დაყოფაზე, მათი არაერთნაირი ადსორბციის უნარის გამო შესაბამის ადსორბენტზე.


**ანალიზის მეთოდებს, რომლებიც დაფუძნებულია ნივთიერებათა მონაწილეობის უნარზე თვისებით ანალიზურ ქიმიურ რეაქციებში, ანალიზის ქიმიური მეთოდები ეწოდება.** ამ დროს საანალიზო ნივთიერებას უმატებენ ე.წ. აღმომჩენ რეაგენტს, რომელიც იწვევს ახალი ნივთიერების წარმოქმნას და ამ უკანასკნელს ახასიათებს განსაზღვრული სპეციფიკური თვისება (სპეცეფექტი), მაგალითად: განსაზღვრული ფიზიკური მდგომარეობა (ნალექი, სითხე, გაზი); ხსნადობა გამხსნელებში; დამახასიათებელი ფერი; კრისტალური თუ ამორფული სტრუქტურა; სუნი და ა.შ. ამდენად, ასეთი სახის რეაქციებს თვისებით, ანუ აღმოჩენის რეაქციებსაც უწოდებენ. უმეტესად შეარჩევენ ისეთ რეაქტივებს, რომლებიც წარმოქმნიან რეაქციის ძნელადნებსანად პროდუქტებს, ანუ ნალექებს. ამ ხერხს გააჩნია უპირატესობა ანალიზის სხვა მეთოდებთან შედარებით, კერძოდ: ნალექის წარმოქმნით შეიძლება მსჯელობა ხსნარში განსაზღვრულ იონთა არსებობაზე; ნალექის გარეგნული სახით შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება იონის არსებობაზე ( $Ag_2S \downarrow -$  შავი ფერისაა,  $Ag_2CrO_4 \downarrow -$  მოწითალო-მურა,  $Ag_3AsO_4 \downarrow -$  შოკოლადისფერი,  $AgCl \downarrow -$  თეთრი). სხვა შემთხვევაში იყენებენ ისეთ რეაქტივებს, რომლებიც იძლევიან საანალიზო ხსნარის დამახასითებელ შეფერვას, ან საანალიზო ნივთიერებებთან რეაგირებისას გამოყოფენ გაზებებს.

### განვიხილოთ აღმოჩენის რეაქციის რამდენიმე მაგალითი:


#### 1) ამონიუმის იონის აღმოჩენა მწვავე ტუბულებით:




#### 2) რეინის (III) იონის აღმოჩენა როდანიდ-იონით:



#### 3) ბარიუმის იონის აღმოჩენა სულფატ-იონით:



#### 4) ქლორიდი იონის აღმოჩენა გერცხლის იონით:



აღმომჩენი რეაქტივების გამოყენების მთავარი პირობაა – მათი სისუფთავე, ანუ გარეშე მინარევების მინიმალური არსებობა მათში. ქიმიური სისუფთავის მიხედვით, რეაქტივები იყოფა: ა) ქიმიურად სუფთა; ბ)ანალიზისათვის სუფთა; გ) სუფთა; დ) ტექნიკურად სუფთა. თვისებითი ანალიზური რეაქციების უმრავლესობისათვის იყენებენ ანალიზისათვის სუფთა რეაქტივებს. აბსოლუტურად სუფთა რეაქტივი არ არსებობს, მაგრამ მინარევების შემცველობა იმდენად უმნიშვნელო უნდა იყოს მასში, რომ ამან არ გამოიწვიოს ანალიზის დასაშვებზე მეტი ცდომილება.

#### **4. რაოდენობითი ანალიზის საგანი, ამოცანები და მეთოდები**

**რაოდენობითი ანალიზის საგანია—იმ მეთოდების შესწავლა, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ნივთიერების, ან ნივთიერებათა ნარევის ქიმიური და რაოდენობითი შედგენილობა.**

**რაოდენობითი ანალიზის ამოცანაა—ქიმიური ელემენტის, ან იონის რაოდენობითი განსაზღვრა მათივე ნაერთებში.**

**რაოდენობითი ანალიზის მეთოდები მრავალრიცხოვანია და ისინი გაერთიანებული არიან 3 ძირითად ჯგუფში:**

- 1) ქიმიური მეთოდები;
- 2) ფიზიკური მეთოდები;
- 3) ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები.

##### **ქიმიური რაოდენობითი მეთოდი მოიცავს ანალიზის 3 ხახეობას:**

**ა)** **წონითი, ანუ გრავიმეტრიული ანალიზი** – მას საფუძვლად უდევს შედგენილობის მუდმივობის კანონი, რომლის თანახმად, ნივთიერების შემადგენლობაში შემავალი ელემენტების წონითი თანაფარდობები ყოველთვის ერთნაირია. წონითი ანალიზის არსი მდგომარეობს შემდეგში: იდებენ ზუსტად განსაზღვრული რაოდენობის საანალიზო ნიმუშს, გადაპყვავთ ხსნარში და საკვლევ ელემენტს დალექავენ. ნალექს გამოაშრობენ, აწონიან და გაიანგარიშებენ ჯერ-ნალექში, შემდეგ კი—საანალიზო ნივთიერების ნიმუშში საკვლევი ელემენტის პროცენტულ შემცველობას. გრავიმეტრიული მეთოდი სათავეს იღებს ჯერ კიდევ მ.გლომონოსოვიდან. მეთოდი კლასიკურია და დღემდე ფართოდ აპრობირებული, თუმცა შეზღუდულია იმით, რომ პრაქტიკულად უხსნადი არაორგანული ნაერთების რიცხვი ძალზე მცირეა, ამიტომ დამლექავების სახით ორგანული ნაერთების გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ მეთოდის გამოყენების სფეროები. ამ დარგში უდიდესი როლი ითამაშა ჩუგაევის შრომებმა.

**ბ)** **მოცულობითი, ანუ ტიტრიმეტრიული ანალიზი—მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: იდებენ განსაზღვრული მოცულობის ( $V_1$ ) საანალიზო ხსნარს და გაზომავენ ბიურეტით დამატებული რეაქტივის მოცულობას ( $V_2$ ). რეაქტივის კონცენტრაცია წინასწარ ცნობილია ( $C_2$ ). საანალიზო ხსნარის კონცენტრაციის ( $C_1$ ) განსაზღვრისათვის იყენებენ ფორმულას:**

$$V_1 \cdot C_2 = V_2 \cdot C_1, \quad \text{აქედან:} \quad C_1 = \frac{V_1 \cdot C_2}{V_2}$$

ხსნარი, რომლის კონცენტრაცია ზუსტადაა ცნობილი, იწოდება **სტანდარტულ ხსნარად**. გატიტვრის დასასრული გამოიცნობა ინდიკატორების მეშვეობით.

**გ)** **გაზური ანალიზი** — იგი დაფუძნებულია საკვლევი გაზისებრი ნივთიერების მოცულობის გაზომვაზე. საანალიზო ნიმუშის მოცულობის გაზომვას აწარმოებენ მისი მყარი ან თხევადი შთანთქმელების მიერ შთანთქმის შემდეგ, ან გაზთა ნარევის დაწვის შემდეგ. იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობითაა ადგებული გაზთა ნარევი ანალიზის დროს, ასხვა-გებენ: მაკრო— (100 მლ გაზი); ნახევრადმიკრო— (2-10 მლ); მიკრომეტოდებს (<1 მლ).

**ფიზიკური რაოდენობითი მეთოდი დაფუძნებულია საანალიზო ნივთიერების ისეთი ფიზიკური თვისების რაოდენობით განსაზღვრაზე, როგორიცაა: სიბერიული; სიბლანტული; ელექტრო-და თბოგამტარობა; სხივის გარდატეხის კოეფიციენტი; ლდობისა და დუღილის ტემპერატურა; რადიოაქტიურობა და ა.შ.**

##### **ფიზიკური მეთოდის ხახებია:**

**ა)** **სპექტრალური რაოდენობითი ანალიზი** – იგი დაფუძნებულია საკვლევი ნივთიერების მიერ გამოსხივებული, ან შთანთქმული სპექტრების რაოდენობით განსაზღვრაზე;

**ბ)** **ნიშანდებულ ატომთა მეთოდი** – იგი დაფუძნებულია ელემენტის მიერ რადიაქტიური გამოსხივების გაზომვაზე. ნებისმიერი ელემენტის რადიაქტიური იზოტოპები ამჟღავნებენ ისეთ ქიმიურ თვისებებს, როგორსაც ამ ელემენტის სტაბილური იზოტოპების ნარევი. ობიექტში რადიაქტიული იზოტოპების შემცველობა შეიძლება ზუსტად განისაზღვროს გამომ-თვლები აპარატების მიერ, რომლებიც ზომავენ გამოსხივების ამა თუ იმ სახეს. ეს მეთო-

დი გამოირჩევა მაღალი მგრძნობიარობით, მისი მეშვეობით ადვილად და ჩქარა ისაზღვრება რადიაქტიური იზოტოპის შემცველობა საანალიზო ნიმუშში;

**გ) ლუმინეცენციული რაოდენობითი ანალიზი** – იგი დაფუძნებულია ულტრაიისფერი სხივებით წინასწარ დასხივებული საანალიზო ნივთიერების ლუმინეცენციის რაოდენობით განსაზღვრაზე;

**დ) რენტგენოსკექტრალური რაოდენობითი ანალიზი** – იგი დაფუძნებულია ნივთიერების აგებულების დადგენაზე რენტგენის სხივების გამოყენებით. მაღალი ენერგიის მატარებელი რენტგენის სხივების ზემოქმედებით ვაკანტურ ორბიტალებზე გადასული ელექტრონები იძლევიან დამახასიათებელ რენტგენულ გამოსხივებას, რომელიც იზომება. ანალიზის მგრძნობიარობა შეადგენს  $10^{-6}$  გრამს.

**ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდი** დაფუძნებულია ქიმიური რეაქციების დროს საანალიზო ხსნარის ფიზიკური ცვლილებების დათვალიერებაზე და მათ რაოდენობით განსაზღვრაზე.

#### **ფიზიკურ-ქიმიური მეთოდის სახეობებია:**

**ა) ელექტროქიმიური რაოდენობითი ანალიზი** – იგი გამოიყენება ფერადი მეტალების, მათი შენადნობების რაოდენობითი განსაზღვრისათვის. თავის მხრივ, მეთოდი იყოფა შემდეგ სახეობებად:

ელექტროწონითი (ელექტროგრავიმეტრიული) ანალიზი;

ელექტრომოცულობითი ანალიზი (პოტენციომეტრია, კონდუქტომეტრია, პოლაროგრაფია, ამპერომეტრიული გატივრა, კულონომეტრია).

**ბ) ოპტიკური მეთოდი** – იგი მოიცავს საექტრალურ მეთოდებს, რომლებიც დაფუძნებულია ნივთიერებათა მიერ შთანთქმადი, გამოსხივებადი და გაფანტვადი სპექტრების გამოკვლევაზე. ოპტიკური მეთოდის სახეობებია:

კოლორიმეტრია; ფოტოკოლორიმეტრია; ნეფელომეტრია; ტურბიდიმეტრია; სპექტროფოტომეტრიული ანალიზი; ემისიური სპექტრალური ანალიზი; რეფრაქტომეტრია.

**გ) ქრომატოგრაფიული რაოდენობითი მეთოდი** – იგი იყოფა შემდეგ სახეობებად:

ადსორბციული, იონმიმოცვლითი, დალგექვითი; გამანაწილებელი ქრომატოგრაფია.

## **5. თვისებითი და რაოდენობითი ანალიზის ძირითადი ოპერაციები**

#### **თვისებითი ანალიზის ძირითადი ოპერაციებია:**

**ა) გახურება და აორთქლება** – სინჯარებს აცხელებენ წყლის აბაზანაზე. ხსნარს ადუდუბენ ქიმიურ ჭიქაში ან ფაიფურის ტიგელში. ხსნარის აორთქლება უმჯობესია ქვიშის აბაზანაზე. ნალექის გამოწვა ხდება გაზქურაზე ან მუფელის დუმელში. ცხელი ფაიფურის ტიგელის გადმოდება ხდება მაშების მეშვეობით;

**ბ) დალგეჭა** – მას აწარმოებენ ცენტრიფუგის (კონუსურ) სინჯარებში. მასში ათავსებენ საანალიზო ხსნარის 1-2 მლ, უმატებენ აღმომჩენი რეაგენტის საჭირო მოცულობას და შეურევენ წკირით. იონების დასაყოფად, მიღებულ ნალექს აცენტრიფუგირებენ (შესაძლოა რამდენიმეჯერ);

**გ) ცენტრიფუგირება** – ხდება ხელის ან ელექტროცენტრიფუგებში. ნალექის თავზე მომდგარ გამჭვირვალე ხსნარს ეწოდება ცენტრიფუგატი;

**დ) გაფილტვრა** – წარმოებს ფილტრის ქაღალდზე ან ბამბაში;

**ე) ნალექის გარეცხვა და გახსნა** – ნალექს რეცხვენ დისტილირებული წყლით ფილტრის ქაღალდზე. ნალექის გახსნა წარმოებს სინჯარაში, სადაც მას უმატებენ გამხსნელს (ელექტროლიტთა ხსნარები) და ურევენ მინის წკირით.

## **რაოდენობითი ანალიზის ძირითადი ოპერაციებია:**

- ა) აწონგა** – მას აწარმოებენ ანალიზური სასწორის მეშვეობით 0,0001 გრამის სიზუსტით. ასაწონ წონაკს ათავსებენ ბიუქსში ან საათის მინაზე. ასაწონ ნივთიერებას ათავსებენ მარცხენა თეფზზე, წონაკებს კი-მარჯვენა თეფზზე. სასწორის ნულოვან წერტილს ამოწმებენ ყოველი აწონის წინ და შემდეგ. სითხეების აღება ხდება ბიურეტის, პიპეტის, საზომი კოლბების ან საზომი ცილინდრების მეშვეობით (0,01–0,02 სმ<sup>3</sup> სიზუსტით);
- ბ) გატიტვრა** – მიმდინარეობს ბიურეტის საშუალებით, რომელიც შევსებულია სტანდარტული ხსნარით (ტიტრანტი) ნულოვან დანაყოფამდე. საანალიზო ხსნარს პიპეტით გადაიტანენ კონუსურ კოლბაში, უმატებენ ინდიკატორის 3–4 წვეთს და ტიტრავენ, თან კოლბას განუწყვეტლივ ანჯლრევენ. ეკვივალენტობის წერტილთან მიღწევისას, ტიტრანტს ამატებენ ხსნარზე წვეთობით. გატიტვრას წყვეტენ საანალიზო ხსნარის ფერის აშკარა შეცვლის შემდეგ. პარალელურად აყენებენ საკონტროლო ცდას, რომელშიც იტიტრება იმავე მოცულობის ინდიკატორ დამატებული დისტილირებული წყალი;
- გ) გაფილტვრა** – მას აწარმოებენ ნალექის გამოსაყოფად დედა-ხსნარისგან, ქაღალდის ან მინის ფილტრების მეშვეობით, ვაკუუმში ან მის გარეშე. ქაღალდის ფილტრებით გამოყოფენ ამორფულ ნალექებს, ხოლო მინის ფილტრებით – კრისტალურს. როგორც ნალექი, ასევე ხსნარი გადააქვთ ფილტრის ქაღალდზე მინის წკირით. ნარჩენ ნალექს უმატებენ გამხსნელს ან წყალს და კვლავ გადააქვთ ფილტრზე;
- დ) ნალექის გარეცხვა** – წარმოებს ელექტროლიტთა ხსნარებით, რომლებიც გაშრობისას მთლიანად ორთქლდებიან ( $HCl$ ,  $HNO_3$ , ამონიუმის მარილები, ორგანული ნაერთები). ნალექის გარეცხვა აუცილებელია: პეპტიზაციის, პიდროლიზისა და ნალექის გახსნის თავიდან ასაცილებლად. ნალექის სრული გარეცხვა ხერხდება 6–8 ჩარეცხვის შემდეგ.

# I ნაწილი

## თავი I. ექსპერიმენტის დაგეგმვა და ჩატარება

### I.1. ანალიზური რეაქციები

ნივთიერებების და მათი შემადგენელი ნაწილების თვისებებს, რომელთა მეშვეობით ატარებენ ქიმიურ ანალიზს, უწოდებენ **ანალიზურ თვისებებს**. ანალიზური თვისებები შეიძლება იყოს დამახასიათებელი ნივთიერებათა მხოლოდ ერთი ან მცირე ჯგუფისათვის (მაგალითად, სპილენძის (II) სულფატის მოცისფრო-ლურჯი ფერი). ან ეს თვისებები შეიძლება იყოს არადამახასიათებელი, ანუ დამახასიათებელი მრავალი ნივთიერებისთვის (მაგალითად, თეთრი ფერი გააჩნია მრავალ ნივთიერებას).

თუ ნივთიერებას არ გააჩნია დამახასიათებელი ანალიზური თვისება, მასზე ატარებენ ქიმიურ რეაქციას ისეთი პროდუქტის მისაღებად, რომელსაც გააჩნია ანალიზური თვისება. ასეთ რეაქციებს **ანალიზური რეაქციები** ეწოდება, ხოლო რეაქციის შედეგს—ანალიზური (სპეციფიური) უფექტი. რეაქციების ანალიზურ უფექტებს მიეკუთვნება: ფერადი ნაერთების მიღება; გაზების გამოყოფა; ნალექების წარმოქმნა. მაგალითად, სპილენძის (II) იონები ამიაკის დამატებისას წარმოქმნიან სპილენძის ამიაკატის ლურჯ კომპლექსს; მეტალთა სულფიდების აღმოჩენა ხდება მათ ხსნარზე მინერალური მჟავას დამატებით, რომლის შედეგადაც გამოიყოფა სპეციფიური სუნის მქონე გაზი – გოგირდწყალბადი.

ანალიზური რეაქციები უნდა მიმდინარეობდეს სრულად, უნდა იყოს მგრძნობიარე და სპეციფიური – ანუ დამახასიათებელი განსაზღვრული ნივთიერებებისათვის.

#### ანალიზური რეაქციები კლასიფიცირდება ქიმიზმის მიხედვით:

- ა) მჟავა-ფუძური რეაქციები – მჟავებისა და ფუძეების ურთიერთქმედება;
- ბ) კომპლექსწარმოქმნითი რეაქციები – კომპლექსების წარმოქმნა;
- გ) მიმოცვლითი (დალექვითი) რეაქციები – უფრო ხშირად ნალექების წარმოქმნა;
- დ) ჟანგვა-ალდგენითი რეაქციები – მჟანგველებისა და ალდგენელების ურთიერთქმედება.

#### ანალიზური რეაქციები კლასიფიცირდება ანალიზური უფექტის მიხედვით:

- ა) ფერადი რეაქციები – შეფერილი ნაერთების წარმოქმნა;
- ბ) დალექვის რეაქციები – ნალექების წარმოქმნა;
- გ) გაზწარმოქმნის რეაქციები – გაზების წარმოქმნა;
- დ) მიკროკრისტალოსკოპიური რეაქციები – განსაზღვრული ფორმისა და ფერის კრისტალთა წარმოქმნა.

#### ანალიზური რეაქციები კლასიფიცირდება შესრულების ტექნიკის მიხედვით:

- ა) სინჯარული რეაქციები;
- ბ) წვეთური რეაქციები;
- გ) ალური (ალის შეფერვის) რეაქციები;
- დ) გასრენის რეაქციები.

## I.2. ქიმიური ანალიზის ძირითადი ეტაპები

**ნებისმიერი ქიმიური ანალიზის მსვლელობაში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ეტაპები:**

1. წარმომადგენლობითი სინჯის შერჩევა და მისგან საშუალო ნიმუშის აღება;
2. ლაბორატორიული (ანალიზური) წონაკის აღება;
3. ნიმუშის დაშლა (გახსნა);
4. ნიმუშის დაყოფა შემადგენელ კომპონენტებით;
5. საკვლევი კომპონენტის რაოდენობითი განსაზღვრა;
6. ანალიზის შედეგების გაანგარიშება და მათემატიკური დამუშავება.

ანალიზის ჩატარების მეთოდიკებში ძირითადად ხდება ამ ეტაპების რეალიზება. თუმცა, თანამედროვე, ზუსტი და ექსპრესიული მეთოდების შემუშავებამ განაპირობა ის, რომ ხშირად არ არის აუცილებელი ნიმუშის წინასწარი გახსნა, ან მისი კომპონენტებიდან დაყოფა. ეს ეტაპები გამოირიცხება მაგალითად, მეტალებისა და მათი შენადნობების ემისიური სპექტრალური ანალიზის მსვლელობისას, ასევე რადიომეტრიულ მეთოდებში.

**ქიმიური ანალიზის ჩატარებისას, მნიშვნელოვანი მომენტია – მეთოდიკის შერჩევა.** ეს დამოკიდებულია საკვლევი კომპონენტის კონცენტრაციაზე, ხელისშემშლელ მინარევებზე, ცდომილების შესაძლო სიდიდეზე, ანალიზის შესრულების სიჩქარეზე, აუცილებელი ხელსაწყოების არსებობაზე და სხვა ფაქტორებზე. ყოველთვის ცდილობენ შეარჩიონ ისეთი მეთოდი, რომელიც აკმაყოფილებს სიზუსტის, ექსპრესიულობის (სიჩქარის) და ეკონომიკური მომგებიანობის მოთხოვნილებებს.

### წარმომადგენლობითი სინჯის შერჩევა და საშუალო ნიმუშის აღება

ნებისმიერ წარმოებაში ქიმიური ანალიზის ძირითად ამოცანას წარმოადგენს შემოსული ნედლეულის საშუალებო მდგომარეობის დაღებენა. ლაბორატორიაში საანალიზო უნდა შევიდეს წარმომადგენლობითი სინჯი, რომელიც საშუალებას იძლევა ანალიზის შედეგები გავრცელდეს შემოსული ნედლეულის მთელ პარტიაზე (ათასობით ტონა, მ³, ლიტრი და ა.შ.) შედარებით აღვილია წარმომადგენლობითი სინჯის აღება გაზისებრი ან თხევადი ნივთიერებების შემთხვევაში (ჰომოგენური სისტემები). გაცილებით როგორია ამ ოპერაციის შესრულება მყარი ნივთიერებების შემთხვევაში (ჰეტეროგენული სისტემები). შემოსული ნედლეულის დიდი პარტიიდან წარმომადგენლობითი სინჯის სწორად ასაღებად შემუშავებულია სპეციალური მეთოდიკები. მაგალითად, ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია – საანალიზო ნივთიერების მთელი მოცულობის სხვადასხვა უბნებიდან სისტემატური, თანაზომიერი შერჩევა.

ლაბორატორიაში შემოსული წარმომადგენლობითი სინჯი არის შედარებით დიდი მასის. მას აქცემდება და იღებენ საშუალო ნიმუშს “კვარტირების” მეთოდით. **საშუალო ნიმუში** – ეწოდება საკვლევი ნივთიერების მცირე პორციას, რომელშიც ყველა კომპონენტის რაოდენობითი შემცველობა შეესაბამება მათ შემცველობას მოცემული ნივთიერების მთელ მასაში. **“კვარტირების” მეთოდი** მდგომარეობს შემდეგში: ნიმუშს განალაგებენ კვადრატის სახით და ყოფენ 4 ტოლგვერდა სამკუთხედად. ორ საპირისპირო სამკუთხედს მოაცილებენ, დანარჩენ ორს კი-აერთებენ. შემდეგ ისევ იმეორებენ ამ ოპერაციას და ეხლა იცილებენ იმ ორ საპირისპირო სამკუთხედს, რომელიც წინა შემთხვევაში არ იქნა მოცილებული. ასე ხდება ნიმუშის თანაზომიერი გამოხშირვა მანამ, სანამ მისი მასა არ დაიყვანება რამდენიმე ათეული გრამიდან 1 გრამამდე. შემდეგ ნიმუში ქუცმაცდება, იცრება შესაბამისი დიამეტრის საცერში და თავსდება მიხეილსაცობიან ქილაში.

## ლაბორატორიული (ანალიზერი) წონაკის აღება

მომზადებული საშუალო ნიმუშიდან იღებენ ზუსტ წონაკს ანალიზურ სასწორზე, რომელზეც არ შეიძლება აიწონოს 200 გ-ზე მეტი ტვირთი. მყარი ნივთიერების წონაკი იღება საათის მინაზე, თხევადი და აქროლადი ნივთიერებების წონაკები – ბიუქსებში. მყარი ნივთიერების წონაკს იღებენ შპატელით. მინის, პლასტმასის ან ფაიფურის კოვზებით. თხევადი ნივთიერებების წონაკებს იღებენ პიპეტებით. წონაკის მასა ყოველთვის მითითებულია მეთოდიკაში. მაგალითად, გრავიმეტრიულ ანალიზი წონაკს იღებენ იმ ანგარიშით, რომ გამომწვარი ნალექის მასამ შეადგინოს 0,05–0,3 გრამი. ნივთიერებათა ტენიანობისა და ნაცრიანობის განსაზღვრისას, მათი გამოწვის შემდეგ მიღებული მასა უნდა შეადგენდეს 1–2 გრამს. წინასწარ გარეცხილი და მშრალი ჭურჭელი აიწონება ანალიზურ სასწორზე. შემდეგ იღებენ მიახლოებით ნაანგარიშევ ნივთიერების წონაკს ტექნიკურ სასწორზე, გადააქვთ აწონილ ჭურჭელში და უკვე ზუსტად წონიან ანალიზურ სასწორზე. იციან რა ცარიელი ჭურჭლისა და ნივთიერებიანი ჭურჭლის მასები, სხვაობით პოულობენ ნივთიერების ზუსტ წონაკს.

### ნიმუშის დაშლა (გახსნა)

ამ ოპერაციის ჩასატარებლად, ნიმუშის ყველა შემადგენელი კომპონენტი უნდა გადავიდეს ხსნარში და მინიმალურად უნდა იქნეს შემცირებული მათი დანაკარგი გახურების, გახსნის და სხვა შემთხვევებში.

მყარი ნივთიერების გასახსნელად ხშირად იყენებენ მინერალურ მჟავაბს ან მჟავათა ნარევს და პარალელურად ნიმუშს ახურებენ სილის ან წყლის აბაზანებზე. სულფიდურ მადნებს ამუშავებენ ჯერ  $HCl$ -ით (გახურების პირობებში), შემდეგ კი- $HNO_3$ -ით და  $HCl$ -ის ახალი პარტიით. დაშლას ასრულებენ  $H_2SO_4$ -ის მეშვეობით (გახურებით). ასევე იქცევიან მადნებში ტყვიის, სპილენის ან სხვა მეტალების განსაზღვრისას. კალას, დარიშხანის და გერმანიუმის განსაზღვრისას ერიდებიან ნიმუშის დამუშავებას  $HCl$ -ით და საერთოდ ერიდებიან გახურებას. და თუ გახურება აუცილებელია, მას აწარმოებენ უკუმაცივრის მეშვეობით, რომ არ მოხდეს აქროლადი ნაერთების დანაკარგი.

არაორგანული ანალიზი ხშირად რთულდება ნიმუშში ბუნებრივი წარმოშობის ორგანული ნაერთების არსებობისას, რადგანაც მათ შეუძლიათ წარმოქმნან კომპლექსები საკვლევ კომპონენტთან. ამ შემთხვევაში ანალიზი ითხოვს ორგანული ნაწილის სრულად დაშლას (დაწვას) – “მშრალი” (ალზე, მუფელის ღუმელში, უანგბადის ნაკადში), ან “სველი” (გამსხველებით დამუშავება) მეთოდებით.

სილიკატების დაშლისას, ნიმუშის გასახსნელად, აწარმოებენ შელდობას სხვადასხვა მლილებელებთან (ტუტე მეტალთა ნაერთები: კარბონატები; ბორატები; პეროქსიდები; პიდოროსულფატები; პიროსულფატები). შელდობისას საანალიზო ნივთიერება იშლება და მისი კომპონენტები იუანგება ჰაერის უანგბადით. გალდობის შემდეგ ნიმუში საბოლოოდ იშლება წყალში ან განზავებულ მინერალურ მჟავებში.

### ნიმუშის დაყოფა შემადგენელ კომპონენტებად

ნიმუშის დაყოფის მეთოდს ირჩევენ საკვლევი ნაერთის ბუნების და ხელისშემსლელი ფაქტორების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, იმისდა მიხედვით, თუ ანალიზის რომელი მეთოდია წარმოდგენილი (გრავიმეტრიული, ტიტრიმეტრიული თუ სხვა), იუენებენ ნიმუშის დაყოფის ფიზიკურ, ქიმიურ და ფიზიკო-ქიმიურ მეთოდებს.

დაყოფის ფიზიკურ მეთოდებს მიეკუთვნება: გადადენა; გალდობა და სხვა.

დაყოფის ქიმიურ მეთოდს მიეკუთვნება: დალექვა.

დაყოფის ფიზიკო-ქიმიურ მეთოდებს მიეკუთვნება: ექსტრაქცია; იონმიმოცვლა; ქრომატოგრაფია და სხვა.

## საკვლევი კომპონენტის რაოდენობითი განსაზღვრა

რაოდენობრივი განსაზღვრისას ხდება **ანალიზური “სიგნალის”** ინტენსივობის განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია საკვლევი კომპონენტის შემცველობასთან. მაგალითად, გრავიმეტრიულ ანალიზში ანალიზური “სიგნალის” ინტენსივობაში იგულისხმება გამომწვარი ნალექის მასა, ტიტრიმეტრულ ანალიზში – გატიტვრაზე დახარჯული სტანდარტული ხსნარის მოცულობა, ფოტომეტრიაში – ხსნარის შეფერილობის ინტენსივობა და ა.შ. დამოკიდებულება ანალიზური სიგნალის ინტენსივობასა და საანალიზო კომპონენტის კონცენტრაციას შორის გამოისახება ზოგადი განტოლებით:

**P = f (C),** სადაც:

**P –**არის ანალიზური სიგნალის ინტენსივობა;

**C –**არის საანალიზო კომპონენტის კონცენტრაცია;

**f –**არის კავშირი (ფუნქცია) მათ შორის.

### ანალიზის შედეგების გაანგარიშება და მათგატიკური დამუშავება

ეს არის ანალიზის ჩატარების დასკვნითი ეტაპი, რომელიც დაფუძნებულია ფორმულების გამოყენებაზე და პრინციპული გართულებები აქ მოსალოდნელი თითქოს არ უნდა იყოს. თუმცა, ანალიზის ეს ეტაპი მოითხოვს დიდ ყურადღებას, რადგანაც უმნიშვნელო ცდომილებამაც კი შეიძლება მიგვიყვანოს არასწორ შედეგებამდე, ისევე როგორც ანალიზის რომელიმე სხვა ოპერაციის არასწორმა შესრულებამ.

### I.3. ანალიზის მწარმოებლურობა (შემთხვევითი შეცდომები) და ანალიზის სიზუსტე (სისტემატური შეცდომები)

როგორი გულმოდგინებითაც არ უნდა ჩატარდეს ანალიზი, მის შედეგებში მაინც იქნება შეცდომები. ამ შეცდომების შესამცირებლად, ანალიზურ განსაზღვრებს იმეორებენ და ამას ცდის პარალელურობა (პარალელური ცდები) ეწოდება. პარალელური განსაზღვრების შედეგები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ მიახლოებულია ერთმანეთთან.

#### ანალიზის შედეგები ხასიათდება ორი სიდიდით:

**1. მწარმოებლურობა;**

**2. სიზუსტე.**

**მწარმოებლურობა** – არის ცალკეული განსაზღვრების გადახრა მოცემულ სერიაში მათი საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობისგან. მწარმოებლურობას ხშირად **შემთხვევით შეცდომებსაც** უწოდებენ, რადგანაც ისინი შემთხვევითი მიზეზებითაა გამოწვეული (თერმოსტატში ან მუცელის ღუმელში ტემპერატურის შემთხვევითი ცვლილება, ხსნარში უცხო სხეულების მოხვედრა და სხვა). ასეთი შეცდომების წინასწარ გათვალისწინება და თავიდან აცილება შეუძლებელია, ამიტომ მათ შესამცირებლად ზრდიან პარალელური ცდების რიცხვს.

**სიზუსტე** – ეწოდება ცდის შედეგის სიახლოვეს ნივთიერების ნამდვილ შემცველობასთან ნიმუშში, ანუ ეს არის საშუალო არითმეტიკულის გადახრა ნივთიერების ნამდვილი შემცველობისგან. სიზუსტეს ხშირად **სისტემატიურ შეცდომებსაც** უწოდებენ, რადგანაც ისინი განპირობებულია მუდმივი მიზეზებით და შეიძლება განმეორდნენ პარალელურ ცდებშიც. ასეთი შეცდომების წინასწარ გათვალისწინება ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია.

თავის მხრივ, **სისტემატური შეცდომები იყოფა:**

- ა) **მეთოდურ შეცდომებად**—ისინი განპირობებულია არჩეული მეთოდიების ნაკლოვანებებით;
- ბ) **ოპერატორულ შეცდომებად**—ისინი დამოკიდებულია ქიმიკოსის კვალიფიკაციაზე და ცალკეული ოპერაციის ჩატარების პროცესითა და მასთან დაკავშირებული მეთოდის სისტემის განვითარებით;
- გ) **ინდიკირულური (ფსიქოლოგიური) შეცდომები**—ისინი განპირობებულია ქიმიკოსის სუბიექტური თავისებურებებით, რომელიც მდგომარეობს სასურველი შედეგის მიღების სურვილში. მაგალითად, თუ ანალიტიკოსი განმეორებითი აწონისას ან გატიტვრისას სასწორის ან ბიურეტის სკალაზე იდებს არა იმ დანაყოფს, რომელიც ახლოსაა მასისა თუ მოცულობის გაზომვის სიზუსტესთან, არამედ იმას, რომელიც ახლოსაა წინა პარალელური ცდების შედეგებთან, მაშინ ანალიზის სიზუსტე მცირდება;
- დ) **აბსოლუტური შეცდომები D<sub>a</sub>** — ეს არის სხვაობა ანალიზით ნაპოვნ შედეგსა და ნივთიერების ნამდვილ შემცველობას შორის ნიმუში;
- ე) **ფარდობითი შეცდომა D<sub>f</sub>** — ეს არის აბსოლუტური შეცდომის შეფარდება საკვლევი კომპონენტის ნამდვილ შემცველობასთან, გამოსახული პროცენტებში.

#### I.4. ანალიზის შედეგების მათემატიკური დამუშავება

პარალელური ცდების ჩატარებისას, ანალიტიკოსი იდებს რამდენიმე შედეგს, ხოლო საკვლევი ნივთიერების ნამდვილი შემცველობა ნიმუში უცნობია. ამიტომ ანალიზის შედეგების სარწმუნოობის დასადგენად, მათ მათემატიკურად ამუშავებენ. ეს საშუალებას იძლევა, მოინახოს ის საზღვრები, რომლებშიც სარწმუნო ფარგლებში იმყოფება სიდიდის ჭეშმარიტი მნიშვნელობა. ეს საზღვრები იწოდება **სარწმუნოობის ინტერვალად – a.**

**ანალიზის შედეგების მათემატიკური დამუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:**

1. **საშუალო არითმეტიკულის გამოთვლა** — იგი წარმოებს პარალელური ცდების რიცხვიდან გამომდინარე:

$$\bar{X} = \frac{X_1 + X_2 + X_3 + \dots + X_n}{n}, \text{ სადაც:}$$

X<sub>1</sub>, X<sub>2</sub>, X<sub>3</sub> ... X<sub>n</sub> — არის პარალელური ცდების შედეგები;

n — არის პარალელური ცდების რიცხვი.

2. **ცალკეული შედეგის გადახრის გამოთვლა** — იგი მიიღება სხვაობით ცალკეული ცდის შედეგსა და საშუალო არითმეტიკულს შორის:

$$d_1 = X_1 - \bar{X}; \quad d_2 = X_2 - \bar{X}; \quad d_3 = X_3 - \bar{X}; \quad \dots \quad d_n = X_n - \bar{X};$$

3. **ცალკეული გადახრების კვადრატების გამოთვლა:**

$$d_1^2; d_2^2; d_3^2 \dots d_n^2;$$

4. **სტანდარტული გადახრის, ანუ საშუალო კვადრატული შეცდომის გამოთვლა:**

$$S = \sqrt{\frac{d_1^2 + d_2^2 + d_3^2 + \dots + d_n^2}{n-1}};$$

5. საშუალო არითმეტიკულის სტანდარტული გადახრის გამოთვლა:

$$S_x = \frac{S}{\sqrt{n}};$$

6. საშუალო არითმეტიკულის სტანდარტული გადახრის შეცდომის (საშუალო შედეგის შეცდომის) გამოთვლა:

$$\varepsilon_\alpha = S_x \cdot t_\alpha K, \text{ სადაც: } t_\alpha K - \text{არის ნორმირებული გადახრების კოეფიციენტი.}$$

იგი იძებნება საცნობარო ცხრილში  $\alpha$ -ალბათობისა და  $n$ -პარალელური ცდების რიცხვის გადაკვეთაზე (ცხრილი 1). ეს კოეფიციენტი მიუთითებს მიღებული შედეგების გარკვეული ალბათობის სარწმუნო ხარისხზე. როგორც წესი, ანალიზური განსაზღვრების დროს, ალბათობის მნიშვნელობას თვლიან მუდმივად ( $\alpha = 0,95$ , ანუ 95%-ს). ფარდობით შეცდომას შეიძლება გააჩნდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მნიშვნელობა, ამიტომ გადახრების საზღვრების აღნიშვნისას, სარგებლობენ  $\pm$  ნიშით.

### ცხრილი 1

ნორმირებული გადახრების კოეფიციენტები  
(დაკვირვებების მცირე რიცხვისათვის)

n	სარწმუნო ალბათობა, $\alpha$		
	0,90	0,95	0,99
3	2,9	4,30	9,93
4	2,4	3,18	5,84
5	2,1	2,78	4,60
6	2,0	2,57	4,03
7	1,9	2,45	3,71
8	1,9	2,37	3,50
9	1,9	2,31	3,36
10	1,8	2,26	3,25

7. განსასაზღვრავი ხილიდის სარწმუნობის ინტერვალის გამოთვლა:

$$a = \bar{X} \pm \varepsilon_\alpha$$

მაშასადამე,  $\alpha = 95\%$  ალბათობისას, საძიებელი შედეგი იმყოფება შემდეგ საზღვრებში:

$$\bar{X} - \varepsilon_\alpha - \text{დან} \quad \bar{X} + \varepsilon_\alpha - \text{მდე.}$$

## თავი II. ქიმიური რეაქციების მგრძნობიარობა. ხსნარში იღნოა აღმოჩენის პირობები

### II.1. ანალიზური რეაქციების მგრძნობიარობა და მასზე მოქმედი ფაქტორები

**რეაქციის მგრძნობიარობა** – ეწოდება ნივთიერების (იონის) იმ უმცირეს რაოდენობას, რომელიც შეიძლება აღმოჩენილი იქნას საანალიზო ხსნარში მოცემული რეაგენტით.

**რაოდენობრივად რეაქციის მგრძნობიარობა ხასიათდება 3 ურთიერთდაკავშირებული სიდიდით:**

1. იონის აღმოსაჩენი მინიმუმი;
2. ზღვრული კონცენტრაცია;
3. ზღვრული განზავება.

**აღმოსაჩენი მინიმუმი (m)**—ეწოდება ნივთიერების ან იონის იმ უმცირეს რაოდენობას, რომელიც განსაზღვრულ პირობებში შეიძლება აღმოვაჩინოთ მოცემული რეაგენტით. აღმოსაჩენი მინიმუმის სიდიდე გამოისახება მიკროგრამებში (მკგ).

**მაგალითად,**  $Ca^{2+}$ -იონზე ჩაატარეს მიკროკრისტალოსკოპიური რეაქცია აღმომჩენი რეაგენტის— $H_2SO_4$ -ის მოქმედებით. ამ რეაქციის დროს  $Ca^{2+}$ -ის აღმოსაჩენი მინიმუმი შეადგენდა 0,04მკგ-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ  $H_2SO_4$ -ის მოქმედებით საანალიზო ხსნარში შეიძლება 0,04მკგ  $Ca^{2+}$ -ის აღმოჩენა. ხოლო, თუ საანალიზო ხსნარში  $Ca^{2+}$ -ის ნაკლები შემცველობაა, რეაქცია აღარ მიღის, ანუ აღარ წარმოიქმნება  $CaSO_4 \downarrow$ -ის თეთრი კრისტალური ნალექი. მაშასადამე, რაც უფრო ნაკლებია იონის აღმოსაჩენი მინიმუმი, მით უფრო მგრძნობიარეა ანალიზური რეაქცია და მით უფრო სწრაფად მიღის იგი.


**ზღვრული ან მინიმალური კონცენტრაცია ( $C_{\text{ზღვ}}$ )** – ეწოდება საანალიზო იონის ერთეული მასის შეფარდებას გამსხვეულის მაქსიმალურ რაოდენობასთან იმავე ერთეულებში. რადგანაც უმეტეს შემთხვევაში, ჩვეულებრივ გამსხვეულს წარმოადგენს დისტილირებული წყალი, ამიტომ წყლის მასა, გამოსახული გრამებში, შეიძლება შევცვალოთ მილილიტრებით. ასეთ შემთხვევაში  $C_{\text{ზღვ}}$  გვიჩვენებს, თუ როგორი ზღვრული განზავებისას გვაძლევს კიდევ მოცემული რეაგენტი დადებით შედეგს საანალიზო ხსნარში. მაშასადამე,  $C_{\text{ზღვ}}$  გვიჩვენებს საკვლევი იონის 1 გრამის შეფარდებას გამსხვეულის (წყლის) მაქსიმალურ მოცულობასთან მილილიტრებში. ზღვრული კონცენტრაცია ( $C_{\text{ზღვ}}$ ) გამოისახება **გ/მლ**.

ზღვრული კონცენტრაციის საპირისპირ სიდიდეს ეწოდება ზღვრული განზავება.

**ზღვრული განზავება ( $V_{\text{ზღვ}}$ )** – არის სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს იმას, თუ საანალიზო ხსნარის რა რაოდენობა (მლ) შეიცავს საკვლევი იონების 1 გრამს. ზღვრული განზავება ( $V_{\text{ზღვ}}$ ) გამოისახება **მლ/გ.**

**მაგალითი:**

$K^+$ -იონების ზღვრული კონცენტრაციის განსაზღვრისათვის, დამზადებული იქნა  $KCl$ -ის ხსნარი, რომლის 1 ლიტრი შეიცავდა 1 გრამ-იონ  $K^+$ -ს, ანუ 1,9069 გრამ  $KCl$ -ს 1 ლიტრში. შემდეგში ექსპერიმენტით ნაპოვნი იქნა, რომ  $KCl$ -ის ხსნარის 50-ჯერ განზავებისას,  $K^+$ -ის იონზე ნატრიუმის ჰექსანიტრიტოკობალტის მოქმედებისას, ნალექი წარმოიქმნებოდა 100 შემთხვევიდან 50 შემთხვევაში, ანუ 50%-ით, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ნალექი არ წარმოიქმნებოდა:



**უვითესობის კრისტალური ნალექი**

გამოითვალიერეთ  $KCl$ -ის ხსნარის  $C_{\text{ზღვ.}}$  და  $V_{\text{ზღვ.}}$ .

$C_{\text{ზღვ.}} = K^+$  წონა(გ) : წყლის წონა(გ) =  $1 : (1000 \times 50) = 1 : 50000$  გ/მლ.

რადგანაც 1 გრამი წყალი იკავებს 1 მლ მოცულობას, ამიტომ:

$C_{\text{ზღვ.}} = 1 : 50000$  გ/მლ.

რადგანაც  $V_{\text{ზღვ.}}$  არის  $C_{\text{ზღვ.}}$ -ის საპირისპირო სიდიდე, ამიტომ:

$V_{\text{ზღვ.}} = 1 : C_{\text{ზღვ.}} = 1 : (1 : 50000) = 50000$  მლ/გ.

საკვლევ ხსნარს, რომელ შიც აღმოჩენის რეაქცია მიღის 50%-მდე, ზღვრულად განზავებული ხსნარი ეწოდება, ხოლო მის კონცენტრაციას – ზღვრული, ანუ მინიმალური კონცენტრაცია. ხსნარის შემდგომი განზავებით უარყოფითი შედეგების რიცხვი იზრდება და საბოლოოდ რეაქცია აღარ მიღის.

ანალიზური რეაქცია მით უფრო მგრძნობიარეა, რაც უფრო მცირე  $C_{\text{ზღვ.}}$  და რაც უფრო მეტია  $V_{\text{ზღვ.}}$ .

**ზღვრულად განზავებული ხსნარის მინიმალური მოცულობა ( $V_{\text{მინ.}}$ )** – ეწოდება ხსნარის მოცულობას, რომელიც შეიცავს საკვლევი იონების აღმოსაჩენ მინიმუმს.

რეაქციის მგრძნობიარობა დამოკიდებულია **მრავალ ფაქტორზე** და **პირველ რიგ ში**, საანალიზო ნივთიერების კონცენტრაციაზე ხსნარში. რეაქციის მგრძნობიარობა იზრდება აღმოსაჩენი იონის კონცენტრაციის გაზრდით, ამიტომ მგრძნობიარობის გასაზრდელად, აუცილებელია ხსნარის “გამდიდრება” აღმოსაჩენი იონით, რაც მიიღწევა სხვადასხვა ხერხით:

- ქიმიურად სუფთა რეაქტივების გამოყენებით;
- ხელისშემშლელი იონების შენიდბვით;
- იონმიმოცვლითი მეთოდით;
- ნივთიერების ექსტრაგირებით ორგანული გამხსნელების მეშვეობით;
- თანდალექვის მეთოდით.

**იონმიმოცვლითი მეთოდით** საკვლევი კომპონენტის კონცენტრაციის გასაზრდელად, იყენებენ იონმიმოცვლით ფისებს (იონიტებს). თუ იონიტი ადსორბირებს ხსნარიდან მხოლოდ კათიონებს, მას კათიონიტი ეწოდება, ხოლო თუ ადსორბირებს მხოლოდ ანიონებს – ანიონიტი.

ფაიფურის ტიგელში ათავსებენ საკვლევი ხსნარის 2–3 მლ-ს და უმატებენ კათიონიტის ან ანიონიტის 35–40 მარცვალს. ტიგელიდან ხსნარს გადაასხამენ, ხოლო იონიტის მარცვალს, რომელზეც ადსორბირებულია საკვლევი იონი, ათავსებენ აღმოსაჩენი რეაქტივის წვეთზე, დააკვირდებიან წარმოქმნილი კრისტალების ფორმასა და ფერს.

**ექსტრაგირების მეთოდი** – არის ნივთიერების ფაზური დაყოფის ერთ-ერთი სახეობა. ექსტრაგენტებად იყენებენ ისეთ ორგანულ გამხსნელებს, რომლებსაც გაჩნიათ უნარი წყალთან შეურევლად გამოაძვონ წყალს ხსნარიდან ნაერთში შემავალი საკვლევი კომპონენტი. ექსტრაგირებისათვის არჩევენ ისეთ ორგანულ გამხსნელებს, რომლებშიც კარგად იხსნება საკვლევი კომპონენტი, ხოლო დანარჩენი კომპონენტები პრაქტიკულად უხსნადია. მაგალითად,  $Fe^{3+}$ -ის იონების ექსტრაქციას ახდენენ დიითოლის ეთერით ( $C_2H_5O-C_2H_5$ ), რომლის დროსაც მიიღება ყვითელი ფერის რკინაქლორწყალბადმჟავა –  $H[FeCl_4]$ . ეს საშუალებას იძლევა გამოვყოთ რკინა სხვა ელემენტებისგან, რომლებიც მის მსგავსად არ წარმოქმნიან ქლორიდულ კომპლექსებს.

**თანდალექვის მეთოდი** – ყველაზე მარტივი და ეფექტური საშუალებაა იონთა დასაკონცენტრირებლად, როცა საკვლევი იონის შემცველ ხსნარში შეჰყავთ გარეშე კათიონი ან ანიონი, რომელსაც ლექსები შესაბამისი რეაქტივით. ამ დროს ხდება საკვლევი ნივთიერების კვალის თანდალექვაც. ამრიგად, ნალექი თამაშობს კოლექტორის როლს, რომელიც აგროვებს საკვლევ იონებს. დადგენილია, რომ თანდალექვა ეფექტურად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა აღმოსაჩენი იონი იმყოფება ხსნარში “კვალის” სახით. ანალიზურ ქიმიაში იყენებენ როგორც არაორგანულ თანდამლექველებს

$[Al(OH)_3, Fe(OH)_3, FePO_4]$ , ასევე ორგანულ თანდამლექველებს (მეთილნარინჯს  $(CH_3)_2NC_6H_4N=NC_6H_4SO_3Na$ , დიმეთილამინობენზოლს, ანუ დიმეთილის ყვითელს  $C_6H_5N=NC_6H_4N(CH_3)_2$ ). უპირატესობა ენიჭება ორგანულ თანდამლექველებს, რადგანაც ისინი გამოირჩევიან მაღალი სელექტიურობით და მგრძნობიარობით ( $10^3$  გრამი).

## II.2. მათემატიკური ურთიერთკავშირი ანალიზური რეაქციების მგრძნობიარობის პარამეტრებს შორის

აღმოსაჩენ მინიმუმს, ზღვრულ კონცენტრაციას, ზღვრულ მოცულობას და ზღვრულად განზავებული ხსნარის მინიმალურ მოცულობას შორის არსებობს განსაზღვრული თანაფარდობები და მათემატიკური ურთიერთკავშირი, რადგანაც სამივე პარამეტრი განსაზღვრავს ანალიზური რეაქციის ერთ თვისებს – მგრძნობიარობას.

**ეს კავშირი გამოსახება ფორმულებით:**

$$1. \mathbf{m = C_{ზღვ.} \times V_{მინ.} \times 1 \times 10^6},$$

სადაც:  $10^6$  – არის გრამის გადასაყვანი კოეფიციენტი მიკროგრამებში.

თუ  $C_{ზღვ.}$ -ის ნაცვლად, მოცემულია  $V_{ზღვ.}$ , მაშინ:

$$2. \mathbf{m = (V_{მინ.} \times 1 \times 10^6) : V_{ზღვ.}}$$

1-ლი ფორმულიდან შეიძლება გამოვთვალოთ  $C_{ზღვ.}$ :

$$3. \mathbf{C_{ზღვ.} = m : (V_{მინ.} \times 1 \times 10^6)}$$

თუ მოცემულია  $V_{ზღვ.}$ , მაშინ:

$$4. \mathbf{C_{ზღვ.} = 1 : V_{ზღვ.}}$$

მე-2 ფორმულიდან შეიძლება გამოვთვალოთ  $V_{ზღვ.}$ :

$$5. \mathbf{V_{ზღვ.} = (V_{მინ.} \times 1 \times 10^6) : m}$$

თუ მოცემულია  $C_{ზღვ.}$ , მაშინ:

$$6. \mathbf{V_{ზღვ.} = .1 : C_{ზღვ.}}$$

მე-2 ფორმულიდან შეიძლება ასევე გამოვთვალოთ  $V_{მინ.}$ :

$$7. \mathbf{V_{მინ.} = (m \times V_{ზღვ.}) : 10^6}$$

მე-3 ფორმულიდან შეიძლება გამოვთვალოთ  $V_{მინ.}$ :

$$8. \mathbf{V_{მინ.} = m : (C_{ზღვ.} \times 1 \times 10^6)}$$


## II.3. ხსნარში იონთა აღმოჩენის პირობები

საანალიზო ხსნარში იონთა აღმოჩენისას, საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა:

### 1. კონცენტრაცია

ამ ფაქტორის მნიშვნელობას ჩვენ უკვე გავეცანით ანალიზური რეაქციების მგრძნობიარობის განხილვისას (კერძოდ, აღმოსაჩენი მინიმუმის განხილვის დროს).

**2. pH** – ანუ საანალიზო ხსნარის რეაქციის იმ ინტერვალის დაცვა, რომელიც მითითებულია მეთოდიკაში. მაგალითად,  $KCl$ -სა და  $NaHC_4H_4O_6$ -ს შორის რეაქცია მიდის ნეიტრალურ ან სუსტ მჟავა გარემოში, როცა  $pH = 4-7$ . სხვა შემთხვევაში არ წარმოიქმნება კალიუმის ჰიდროტარტრატის თეთრი კრისტალური ნალექი:




**კალიუმის  
ჰიდროტარტრატი**

### 3. ტემპერატურა


ზოგიერთი იონი აღმოჩინება ოთახის ტემპერატურაზე, ზოგიერთის აღმოსაჩენად, საჭიროა მაღალი ან დაბალი ტემპერატურა. მაგალითად :

$Fe^{3+}$ -იონის აღმოჩენა კალიუმის როდანიდით ხდება ოთახის ტემპერატურაზე, წარმოიქმნება წითელი ფერის რკინის როდანიდი:




**რკინის  
როდანიდი**

$Na^+$ -იონის აღმოჩენა კალიუმის დიპიდროანთიმონატით ტარდება სიცივეში, წარმოიქმნება თეთრი კრისტალური ნალექი – ნატრიუმის დიპიდროანთიმონატი.




**ნატრიუმის  
დიპიდრო-  
ანთიმონატი**

$NH_4^+$  – იონის აღმოჩენა მწვავე ტუტებით ხდება მაღალ ტემპერატურაზე, წარმოიქმნება სპეციფიური სუნის მქონე გაზი – ამიაკი.



### 4. ანალიზის ჩატარების თანმიმდევრობა

თუ ანალიზის ჩატარებისას არ იქნა დაცული მეთოდიკაში მითითებული თანმიმდევრობა, მაშინ მიიღება სხვა ეფექტი, ანუ წარმოიქმნება სხვა ნაერთი. მაგალითად,  $Mg^{2+}$ -იონის აღმოჩენა ხდება ნატრიუმის ჰიდროფოსფატით, რომლის დროსაც გამოიყოფა  $MgNH_4PO_4$ -ის თეთრი კრისტალური ნალექი:



თეორი  
კრისტალური  
ნალექი

თუმცა, ეს ნალექი გამოიყოფა იმ შემთხვევაში, თუ მაგნიუმის მარილის ხსნარს დავამატებთ  $\text{NH}_4\text{Cl}$ -ს იმდენს, რომ შემდგომში  $\text{NH}_4\text{OH}$ -ის მიმატებამ არ გამოიწვიოს  $\text{Mg}(\text{OH})_2$ -ის თეორი ამორფული ნალექის წარმოქმნა. ამის შემდეგ წვეთობით უმატებენ  $\text{NaH}_2\text{PO}_4$ -ის განზავებულ ხსნარს. თეორი კრისტალური ნალექის წარმოქმნა მიუთითებს იმაზე, რომ მივიღეთ  $\text{MgNH}_4\text{PO}_4 \downarrow$ . სხვა შემთხვევაში წარმოიქმნება  $\text{Mg}(\text{OH})_2 \downarrow$  ან  $\text{Mg}_3(\text{PO}_4)_2 \downarrow$ , თუ  $\text{pH}=10$ .


## 5. ხელისშემსრულები იონების გავლენა

$\text{Ni}^{2+}$ -იონების აღმოჩენა დიმეთილგლიოქსიმით  $[\text{CH}_3\text{C}(=\text{NO})\text{C}(=\text{NOH})\text{CH}_3]$  ტარდება ამიაკის გარემოში. რეაქციის ჩატარებას ხელს უშლის  $\text{Fe}^{3+}$ -იონები, რომლებიც წარმოქმნიან  $\text{NH}_4\text{OH}$ -თან მუქ წითელ ნალექს- $\text{Fe}(\text{OH})_3 \downarrow$ . ამიტომ,  $\text{Ni}^{2+}$ -ის აღმოსაჩენად, თავდაპირველად, ხსნარს უმატებენ  $\text{NaF}$ -ს, რომელიც  $\text{Fe}^{3+}$ -თან წარმოქმნის უფერულ კომპლექსს-  $\text{Na}_3[\text{FeF}_6]$ . ასეთ კომპლექსში არსებული რკინა ხელს ვეღარ შეუშლის ნიკელის აღმოჩენას. ამის შემდეგ ხსნარს უმატებენ დიმეთილგლიოქსიმს და დებულობენ უოლოსფერ შიგაკომპლექსურ ნაერთს – ნიკელის დიმეთილგლიოქსიმატს.

## II.4. ჯგუფობრივი, სელექტიური, სპეციფიკური რეაგენტები


ანალიზის ქიმიური მეთოდები დაფუძნებულია ქიმიურ გარდაქმნებზე, რომლებიც მიმდინარეობენ ხსნარებში და იწვევენ ნალექების, შეფერილი ნაერთების ან გაზების წარმოქმნას. ანალიზური რეაქციები ტარდება საანალიზო ობიექტებზე განსაზღვრული რეაგენტების (რეაქტივების) მოქმედებით. ანალიზური რეაქციები ყოველთვის მიმდინარეობს გარეგნული ეფუქტებით.

ზოგჯერ ერთი რეაქტივი ლექავს რამდენიმე იონს – ასეთ რეაქტივს **ჯგუფობრივი რეაქტივი** ეწოდება. მაგალითად,  $\text{HCl}$ -ით ილექება მჟავა-ტუტოვანი კლასიფიკაციის მე-2 ჯგუფში შემავალი კათოონები:  $\text{Ag}^+, [\text{Hg}_2]^{2+}, \text{Pb}^{2+}$ ;  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ით ილექება III ჯგუფის კათოონები:  $\text{Ba}^{2+}, \text{Ca}^{2+}, \text{Sr}^{2+}$  და ა.შ.




ჯგუფობრივი რეაქტივების გამოყენებით, კათიონებისა და ანიონების განსაზღვრის როტული ამოცანა დაიყვანება რამდენიმე მარტივ ამოცანამდე, რითაც კეთდება ეკონომია დროზე, შრომაზე, რეაქტივზე.

რეაქტივს, რომელიც აღმოაჩენს იონთა შეზღუდულ რაოდენობას (არანაკლებ 2-ს და არაუმეტეს 3-ს), ეწოდება **სელეგქტიური (დამახასიათებელი) რეაქტივი**. მაგალითად, ასეთი რეაქტივია ნატრიუმის ჰიდროტარტრატი (ლინისმჟავა ნატრიუმი), რომელიც აღმოაჩენს ერთდროულად კალიუმის და ამონიუმის იონებს, თეთრი კრისტალური ნალექების წარმოქმნით:



რეაქტივს, რომელიც საშუალებას იძლევა მოცემული იონის აღმოსაჩენად მაშინაც კი, როცა სხვა მონაწილეობები სხვა იონები, **სპეციფიური რეაქტივი** ეწოდება. მაგალითად, ამონიუმის იონის აღმომჩენი სპეციფიკური რეაქტივებია – მწვავე ტუტები:



ამიაკი შეიძლება მიღებული იქნას მხოლოდ ამონიუმის მარილებიდან, ამიტომ ამონიუმის აღმოჩენა ტუტებით სპეციფიკურია და იგი მიმდინარეობს სხვა იონების მონაწილეობის პირობებშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ მკაცრად სპეციფიკური რეაქტივების რიცხვი ძლიერ შეზღუდულია. უმრავლეს შემთხვევაში, ნარევში არსებული სხვა იონები ასევე შედიან რეაქციაში მოცემულ რეაქტივთან, ან ბოჭავენ აღმოსაჩენ იონს კომპლექს-ნაერთებში.

## II.5. ანალიზური შენიდბვა. შემნიდბავი რეაგენტები

**ხელისშემლელი იონების თავიდან მოცილება ხდება სპეციფიური ხერხით,** რომელსაც “შენიდბა” ეწოდება, რომლის დროსაც მიმდინარეობს მათი შებოჭვა კომპლექსწარმომქმნელების, დამუანგველების ან აღმდგენელების მეშვეობით.

**არაორგანულ შემნიდბავ რეაგენტებს მიეკუთვნება:** ამონიუმისა და ტუტების ციანიდები, როდანიდები, ფტორიდები, ფოსფატები, ოქსალატები.

**ორგანულ შემნიდბავ რეაგენტებს მიეკუთვნება:** თიოშარდოვანა –  $NH_2CSNH_2$ ; ლიმონმჟავა –  $H_2C_4H_4O_6$ ; ლიმონმჟავა –  $HOOCC(OH)(CH_2COOH)_2$ ; მჟაუნმჟავა –  $HCOOH$ ; სალიცილის მჟავა –  $-HOC_6H_4COOH$  და სხვადასხვა კომპლექსონები.


სხვა იონების გავლენა აღმოსაჩენი იონისთვის დამახასიათებელ რეაქციაზე დამოკიდებულია ამ იონთა კონცენტრაციაზე და რეაქციის ჩატარების პირობებზე. სხვა იონის კონცენტრაციის გავლენა მოცემულ რეაქციაზე ხასიათდება ზღვრული თანაფარდობით:

**ზღვრული თანაფარდობა =  $C_{\text{აღმოსაჩენი}} \text{ იონი} : C_{\text{სხვა}} \text{ იონი}$**   
მაგალითად, მიკროკრისტალოსკოპიური რეაქცია  $Pb^{2+}$ -ზე  $KI$ -ის მოქმედებით,  $Cu^{2+}$ -იონების მონაწილეობისას სხვა, მიმდინარეობს იმ პირობით, რომ  $C_{Cu} > C_{Pb}$  25-ჯერ.

მაშასადამე, ზღვრული თანაფარდობა **C<sub>Pb</sub> : C<sub>Cu</sub>=1: 25.** ხსნარში  $Cu^{2+}$ -ის იონების უფრო მაღალი კონცენტრაციისას, რეაქცია ხდება არასაიმედო, რადგანაც  $PbI_2 \downarrow$ -თან ერთად, გამოილექება  $CuI \downarrow$  და გამოიყოფა ასევე  $I_2 \uparrow$ . თუ სხვა იონების მონაწილეობისას რეაქცია არ მიმდინარეობს იმის გამო, რომ ამ იონების კონცენტრაცია ზღვრულ თანაფარდობაზე მეტია, მაშინ ეს უკანასკნელი “ინიდბებიან” (შებოჭვის გზით) მტკიცე კომპლექს-ნაერთებად.

**კომპლექსწარმოქმნით სხვა იონების ხელისშემსლელი გავლენის თავიდან აცილებას, იონის ანალიზური შენიღბვა ეწოდება.**

მაგალითად, ამონიუმის როდანიდი წარმოქმნის კობალტთან მუქი ლურჯი ფერის კომპლექსს – ამონიუმის ტეტრაროდანოკობალტატს:



იგივე რეაგენტი რკინის იონებთან იძლევა სისხლისფრად წითელ ნაერთს – რკინის როდანიდს. მაშასადამე, რკინა ხელს უშლის კობალტის ალმოჩენას. ამიტომ, საანალიზო ხსნარს თავდაპირველად უმატებენ ნატრიუმის ფტორიდს, რომელიც ბოჭავს რკინას მტკიცე კომპლექს-ნაერთის სახით:



ამ კომპლექსში შენიღბული რკინა ადარ რეაგირებს ამონიუმის როდანიდთან. მაშასადამე, ნატრიუმის ფტორიდი “ნიღბავს” რკინის იონებს. შემნიღბავ ლიგანდს არჩევენ კომპლექსების მდგრადობის კონსტანტას მიხედვით. თუ კომპლექსი წარმოქმნება როგორც შესანილ, ასევე, საკვლევ იონთან, მაშინ კომპლექსის მდგრადობის კონსტანტა ხელისშემსლელ იონთან უნდა იყოს რამდენიმეჯერ მეტი, ვიდრე კომპლექსის მდგრადობის კონსტანტა საკვლევ იონთან. რადგანაც  $[FeF_6]^{3-}$ -ის მდგრადობის კონსტანტა  $\beta=1,1 \cdot 10^{14}$ , ხოლო  $Fe[SCN]_3$ -ის მდგრადობის კონსტანტა  $\beta=4 \cdot 10^5$  (ე.ი. გაცილებით ნაკლებია), ამიტომ რკინის იონები იბოჭება ფტორიდულ კომპლექსში. ანალიზური შენიღბვა ფართოდ გამოიყენება ანალიზის წილადურ მეთოდში და წვეთური რეაქციების ჩატარებისას. ეს ხერხი აჩქარებს და ამარტივებს ანალიზის პროცესს და საშუალებას იძლევა იონის აღმოსაჩენად, მაშინაც კი, როცა ხსნარში მონაწილეობენ სხვა (ხელისშემსლელი) იონები.

### თავი III. ნიგორების დაშლისა და ნიგორების აღმოჩენის მეთოდები

#### III.1. მაკრო-, ნახევრადმიკრო- და მიკროანალიზი

საანალიზო ნიგორების რაოდენობის, სსნარის მოცულობისა და ცალკეული ოპერაციების შესრულების ტექნიკის მიხედვით, თვისებითი ანალიზის მეთოდები იყოფა: მაკრო-, ნახევრადმიკრო- და მიკროანალიზებად. გამოყოფენ ასევე ულტრამიკრო- და სუბმიკროანალიზებს. 1955 წელს საერთაშორისო გაერთიანების ანალიზური ქიმიის სექციამ მიიღო ანალიზის მეთოდების კლასიფიკაციის ახალი აღნიშვნები (ცხრილი 2).

ცხრილი 2

#### ანალიზის მეთოდების კლასიფიკაცია

ძელი დასახელება	ახალი დასახელება	საკვლევი ნიგორების რაოდენობა	
		გრამი	მილილიტრი (მილიგრამი)
მაკროანალიზი	გრამ-მეთოდი	1 – 10	10 – 100
ნახევრადმიკრო- ანალიზი	სანტიგრამ-მეთოდი	$10^{-2} – 10^{-1}$	1 – 10
მიკროანალიზი	მილიგრამ-მეთოდი	$10^{-3} – 10^{-6}$	$10^{-1} – 10^{-3}$
ულტრამიკრო- ანალიზი	მიკროგრამ-მეთოდი	$10^{-6} – 10^{-9}$	$10^{-3} – 10^{-6}$
სუბმიკრო- ანალიზი	ნანოგრამ-მეთოდი	$10^{-9} – 10^{-12}$	$10^{-6} – 10^{-12}$

მაკროანალიზის დროს რეაქციებს ატარებენ სინჯარაში და ნალექს ფილტრავენ ქაღალდის ფილტრზე. ნახევრადმიკროანალიზს გარდამავალი ადგილი უჭირავს მაკრო- და მიკროანალიზებს შორის. ამ დროს 10–20-ჯერ ნაკლები რაოდენობის (მოცულობის) ნიგორება აიღება საანალიზოდ, ვიდრე მაკროანალიზის დროს, იყენებენ მიკრო- სინჯარებს და პატარა ზომის ხელსაწყოებს. ნალექს აცილებენ დედა-ხსნარს ცენტრიფუ- გირებით ან მიკროფილტრების საშუალებით. სსნარის გასაცხელებლად სინჯარას ათავსებენ წყლის აბაზანაზე, ამოშეცვების თავიდან აცილების მიზნით. სსნარის აორ- თქლება ხდება მცირე ზომის ტიგელებში. ცალკეული იონების აღმოჩენა ხდება 2–5 მლ მოცულობის სინჯარებში, საათის მინაზე, სასაგნე მინაზე ან ფაიფურის პატარა ფირ- ფიტაზე. მიკრომეთოდით შესრულებული ანალიზი მოითხოვს საკვლევი სსნარის 100-ჯერ ნაკლებ მოცულობას და საანალიზო ნიგორების 100-ჯერ ნაკლებ მშრალ წონაკს. ანალიზის დროს გამოიყენება სპეციალური აპარატურა, ანალიზი მიმდინარეობს ძირითადად ფიზიკურ-ქიმიური (ინსტრუმენტალური) მეთოდებით. კრისტალთა ფორმას, ზომებს, აღნაგობას, ფერს აკვირდებიან მიკროსკოპში.

#### III.2. ნიმუშის დაშლის “მშრალი” მეთოდები

ქიმიური მეთოდები დაფუძნებულია ქიმიურ რეაქციებზე, რომელიც საშუალებას იძლევიან ქიმიური ელემენტის ან იონის აღმოსაჩენად. ამ დროს ანალიზი მიმდინარეობს “მშრალი” ან “სველი” გზით.

“მშრალი” ეწოდება ქიმიური ანალიზის მეთოდს, რომელიც ტარდება საანალიზო ნიგორების გაუხსნელად. ანალიზის “მშრალი” მეთოდი ტარდება ორი ხერხით:

- 1) გახურებით (პიროქიმიური ანალიზი); 2) გახურების გარეშე (გასრენის მეთოდი).  
თავის მხრივ, პიროქიმიური ანალიზი იყოფა რამდენიმე სახეობად:

### ა) ნატრიუმის ტეტრაბორატის შეფერვა

ანალიზი დაფუძნებულია იმაზე, რომ საკვლევი ნივთიერება და ნატრიუმის ტეტრაბორატის ჰიდრატი ( $Na_2B_4O_7 \cdot 10H_2O$ ) შეაქვთ გაზეურის ალჟი პლატინის ან ნიქრომის მავთულის მეშვეობით და შეადნობენ. ამის შედეგად წარმოიქმნება შეფერილი ალები, რომლებსაც გააჩნიათ მოცემული იონისათვის დამახასიათებელი ფერი. მაგალითად,  $Cu^{2+}$ -ის მარილები ალის ცხელ, დამუანგველ უბანში იძლევიან ლურჯ ფერს, ხოლო ალის ცივ, აღმდგენელ უბანში – წითელ ფერს (ცხრილი 3).

### ცხრილი 3

#### ნატრიუმის ტეტრაბორატის შეფერვა ზოგიერთი ელემენტით

საკვლევი ელემენტი	ალის შეფერვა	
	დამუანგველ უბანში	აღმდგენელ უბანში
$Ni$	მოწითალო-მურა	მოიისფრო-ნაცრისფერი
$Co$	ლურჯი	მუქი ლურჯი
$Fe$	მოწითალო-ყვითელი	მწვანე
$Mn$	იისფერი	უფერო
$Cr$	ზურმუხტისებრ მწვანე	მომწვანო-ყვითელი
$Cu$	ლურჯი	მურა წითელი

### ბ) ალის შეფერვის რეაქციები

ზოგიერთი მეტალის აქროლადი მარილები [ $NaCl$ ,  $KCl$ ,  $BaCl_2$ ,  $CuCl_2$ ,  $Li_2CO_3$ ,  $Pb(NO_3)_2$ ] ცეცხლის ალში შეტანისას, ალს ანიჭებენ მათოვის დამახასიათებელ შეფერილობას. ეს გამოწვეულია ამ მეტალთა გარე ორბიტალებზე მყოფი ელექტრონების “აღგზებით” და მათი გადასროლით უფრო მაღალ (ვაკანტურ) ენერგეტიკულ დონეებზე, რომლის დროსაც ისინი იძლევიან გარკვეული ფერის გამოსხივებას (ნათებას). ალის შეფერვის რეაქციები ტარდება შემდეგნაირად: პლატინის ან ნიქრომის მავთულს წინასწარ გამოწვავენ ცეცხლის ალში, შემდეგ ასუფთავებენ კონცენტრირებულ მარილმჟავაში და კვლავ გამოწვავენ სრულ გავარვარებამდე. გახურებულ მავთულს სწრაფად შეიტანებ მეტალის მარილის კრისტალებში, რომლებიც მიეკვრებიან მას. კრისტალებიანი მავთული სწრაფადვე შეაქვთ ცეცხლის ალში, რომელიც შეიიფერება გარკვეულ ფერად. ამ ფერის მიხედვით ხდება მეტალის იდენტიფიკაცია. მე-4 ცხრილში წარმოდგენილია ზოგიერთი მეტალის აქროლადი მარილებისათვის დამახასიათებელი ფერი.

### ცხრილი 4


#### ალის შეფერვა ზოგიერთი ელემენტით

მეტალთა აქროლადი მარილები	ცეცხლის ალის ფერი
$NaCl$	ინტენსიურად ყვითელი
$KCl$	იისფერი
$BaCl_2$	მოყვითალო-მომწვანო
$CaCl_2$	აგურისფერ-წითელი
$CuCl_2$	მოცისფრო-მომწვანო
$Li_2CO_3$	წითელი
$Pb(NO_3)_2$	ღია ცისფერი


პიროქიმიურ ანალიზს ყოველთვის არ მოაქვს სასურველი შედეგი, რადგანაც ხელისშემდეგ ფაქტორად აქ გვევლინება გახურების ხარისხი და სხვა ნივთიერებების მინარევების არსებობა. ამიტომ თვისებითი ანალიზის დასაჩქარებლად, მიმართავენ “მშრალ” მეთოდს გახურების გარეშე. ასეთ მეთოდს მიეკუთვნება გასრესის მეთოდი.

### გ) აქროლადობაზე დაფუძნებული “მშრალი” მეთოდი

ზოგიერთი ნივთიერების თვისებითი შედგენილობის დასადგენად, გამოიყენება მისი აქროლადობის უნარი გახურებისას. მაგალითად, სინჯარაში ვერცხლისწყლის მარილის შელდობისას სოდასთან, მიმდინარეობს მარილის დაშლა, ხოლო სინჯარის ცივ კედლებზე წარმოიქმნება ნაცრისფერი სარკე, რომელიც შედგება მეტალური ვერცხლისწყლის უწვრილესი წვეთებისგან:



**დ) გასრების მეთოდი** – იგი შემუშავებულია 1898 წელს რუსი მეცნიერის ფლავიცკის მიერ. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: ფაიფურის როდინში ან სასაგნე მინაზე ათავსებენ საანალიზო ნივთიერებას და მის აღმომჩენ რეაქტივს და იწყებენ მათ გასრებას ფილთაქვით ან მინის წკირით. გასრების შედეგად წარმოიქმნება გარკვეული ფერის ან სპეციფიური სუნის მქონე ნაერთი, რომლის მეშვეობითაც ხდება ელემენტის ან იონის აღმოჩენა:



გასრების მეთოდის მგრძნობიარობა შეადგენს  $10^{-6}$  გრამს.


### III.3. ნიმუშის დაშლის “სველი” მეთოდები

თვისებით ანალიზში დიდი მნიშვნელობა ენიჭება “სველი” მეთოდით ჩატარებულ რეაქციებს. ამ დროს საკვლევი ნივთიერება წინასწარ უნდა გაისხნას, რათა მისი შემადგენელი კომპონენტები გადაყვანილი იქნება ხსნარში. წყალსხნარში ელექტროლიტები დისოცირდებიან იონებად, ამიტომ ანალიზური რეაქციები მიმდინარეობს გაცილებით სწრაფად, ისინი პრაქტიკულად შეუძლევადია და მათ თან ახლავს გარეგნული (სპეციფიური) ეფექტები: ნალექის წარმოქმნა; ფერის შეცვლა; გაზის გამოყოფა და ა.შ.


**საკვლევი ნივთიერების ქიმიურ ანალიზს, რომელიც მიმდინარეობს ხსნარში, ანალიზის “სველი” მეთოდი ეწოდება.** ხშირად ამ რეაქციებს “აღმოჩენის” რეაქციებსაც უწოდებენ, რადგანაც მათი მეშვეობით აღმოაჩენენ ხსნარში არსებულ იონებს.

**“სველი” მეთოდის მაგალითებია:**

ამონიუმის იონის აღმოჩენა მწვავე ტუტებით;




რკინის იონების აღმოჩენა როდანიდ-იონებით;



წითელი


ფერი

ბარიუმის იონების აღმოჩენა სულფატ-იონებით;



ნალექი

ვერცხლის იონების აღმოჩენა ქლორის იონებით და ა.შ.



ნალექი

**გაშასაღამე, “სულფი” მეთოდის უპირატესობებია:**


- ა) რეაქციები მიმდინარეობს სწრაფად;
- ბ) რეაქციები პრაქტიკულად შეუქცევადია;
- გ) რეაქციები მიმდინარეობს სპეციფებით.

### III.4. ანალიზის წვეთური მეთოდი


**მიკროანალიზის დროს რეაქციებს ატარებენ ორი ძირითადი წესით:** 1) წვეთური ანალიზი; 2) მიკროკრისტალოსკოპიური ანალიზი.

**წვეთური ანალიზი შემუშავებულია რუხი ქიმიკოსის – განანაურის მიერ და მისი ჩატარების ტექნიკა მდგომარეობს შემდეგ ში:** საშუალო სიმკვრივის ქაღალდის ცენტრში მიკროპიპეტით ათავსებენ საანალიზო ნენარის 1 წვეთს. მისი გაწოვის შემდეგ ისევ ცენტრში აწვეთებენ აღმოჩენის რეაგენტის 1 წვეთს. წარმოიქმნება ფერადი ლაქა, რომლის შეფერილობის მიხედვით, ხდება ელემენტის ან იონის იდენტიფიკაცია. ეს მეთოდი ძალზე მგრძნობიარეა და მისი მეშვეობით შესაძლებელია 2-3 ნივთიერების ერთდროულად აღმოჩენა.

**მაგალითი:** თუ ფილტრის ქაღალდზე დავიტანო  $AgNO_3$ -ის და  $Pb(NO_3)_2$ -ის ნენარების ნარევის 1 წვეთს და აქვე დავამატებთ  $K_2CrO_4$ -ის 1 წვეთს, წარმოიქმნება მოყავისფრო-ყვითელი ლაქა, რომელიც ერთდროულად შეიცავს  $Ag_2CrO_4 \downarrow$ -ის და  $PbCrO_4 \downarrow$ -ის ნალექებს.




ყავისფერი



ყვითელი

მაგრამ, ვერცხლის ქრომატის მუქი ფერი შენიდბავს ტყვიის ქრომატის ყვითელ ფერს. ამიტომ მომდევნო ეტაპზე ხდება ტყვიის იონების გამუდავნება, ანუ იდენტიფიკაცია, რისთვისაც ფერად ლაქაზე აწვეთებენ  $NH_4OH$ -ის ნენარის 1 წვეთს, რომელშიც გაიხსნება ვერცხლის ქრომატის ყავისფერი ნალექი და წარმოიქმნება უფერული ვერცხლის

ამიაკატის კომპლექსი. ამის შედეგად, ფილტრის ქადალდზე მუქი ფერი გაქრება და ნათლად გამუდავნდება ტყვიის ქრომატის ყვითელი ლაქა:



**უფერული  
ვერცხლის  
ამიაკატი**

### III.5. მიკროკრისტალოსკოპიური რეაქციები


**მიკროკრისტალოსკოპიური მეთოდის ფუძემდებელია რუსმი ქიმიკოსი – ლოვიცი (1798წ.)** მეთოდი ემყარება იონთა აღმოჩენას გამოყოფილი კრისტალების ფორმითა და ფერით. ყოველ კრისტალურ ნივთიერებას მყარ მდგომარეობაში გააჩნია კრისტალთა განსაზღვრული ფორმა.

ანალიზი ტარდება შემდეგნაირად: სასაგნე მინაზე მიკროპიპეტით ათავსებენ საანალიზო ხსნარის 1 წვეთს, მის გვერდით კი – აღმომჩენი რეაგენტის 1 წვეთს. ორი წვეთის შეხების საზღვარზე წარმოიქმნება ნალექის კრისტალები. წარმოქმნილ კრისტალებს აკვირდებიან მიკროსკოპში. სწორედ აქედან მიიღო მეთოდმა მიკროკრისტალოსკოპიურის სახელწოდება.

კრისტალებს შეიძლება გააჩნდეთ შემდეგი ფორმა: კუბური; ტრიგონალური; ტეტრაგონალური; მონოკლინური; ტრიკლინური; რომბული; ოქტაედრული და ა.შ. მიკროკრისტალოსკოპიური ანალიზი სპეციფიური და მგრძნობიარეა, მისი საშუალებით შესაძლებელია 0,1 მკგ ნივთიერების აღმოჩენა.

მიკროკრისტალოსკოპიაში იყენებენ რთული სტრუქტურის რეაქტივებს, რაც ზრდის კრისტალთა დამახასიათებლობას. მაგალითად, ღვინისმჟავას ( $H_2C_2H_4O_6$ ) მარილებს, ფოსფორმჟავას მარილებს, კომპლექს-ნაერთებს და სხვ.

**ბაგალითი:** საანალიზო ხსნარში  $K^+$ -ის იონების აღმოსაჩენად, სასაგნე მინაზე აწვეთებენ  $KCl$ -ის ხსნარის 1 წვეთს და მის გვერდით ტეტრაქლორპლატინის –  $PtCl_4$  ხსნარის 1 წვეთს. წარმოიქმნება კალიუმის ჰქექსაქლორპლატინის კრისტალები, რომლებიც ლიმონისფერია და ოქტაედრული ფორმა გააჩნიათ. კრისტალებს აკვირდებიან მიკროსკოპში:




## თავი IV. მოქმედ მასათა პანონი (მმ) ორგორც თვისებითი ანალიზის საშუალები

### IV.1. ქიმიური წონასწორობა. მმ-ს მისადაგება შექცევადი რეაქციებისადმი პომოგენურ სისტემებში

ანალიზური ქიმიის მნიშვნელოვანი კანონია მოქმედ მასათა კანონი (მმ), რომელიც ამყარებს კავშირს ქიმიური რეაქციის სიჩქარესა და მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციებს შორის. ანალიზური რეაქციები მიმდინარეობენ სხვადასხვა სიჩქარით, რომელიც გვიჩვენებს დროის გარკვეულ ერთეულში რეაქციაში შესული ნივთიერებების რაოდენობას (რაც მეტი რაოდენობით შევა რეაქციაში ნივთიერებები დროის გარკვეულ ერთეულში, მით მეტია რეაქციის სიჩქარე). როგორც ცნობილია, ქიმიური რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: მორეაგირე ნივთიერებათა ბუნებაზე; მათ კონცენტრაციაზე; ტემპერატურაზე; კატალიზატორზე; წნევაზე.

პირველად ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციების გავლენა შეისწავლა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა – **ბეკეტოვმა.** 1865 წელს მან დაიცვა დისერტაცია თემაზე: “ერთი მეტალის მეორე მეტალით გამოძევების მოვლენათა გამოკვლევა”. დისერტაციის დაცვისას, მან დაამტკიცა, რომ წყალბადი მაღალი წნევის ქვეშ აძევებს ვერცხლისწყალსა და ვერცხლს მათივე მარილების წყალსნარებიდან. ამავე დროს, რაც მეტია წყალბადის წნევა, მით უფრო სწრაფად და სრულად წარმოებს მეტალთა გამოძევება:



ბეკეტოვის შრომების გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ, 1867 წელს ორმა ნორვეგიულმა ქიმიკოსმა – კ. გულდბერგმა და პ. გააგემ ექსპერიმენტულად დაამტკიცეს, რომ ქიმიური რეაქციის სიჩქარე პირდაპირ პროპორციულია მორეაგირე ნივთიერებების მოლური კონცენტრაციების ნამრავლისა. ამ დებულებამ მიიღო მოქმედ მასათა (მმ) კანონის სახელწოდება.

მაგალითად, მოცემულია ზოგადი სახის რეაქცია  $A + B \rightleftharpoons C$ .

ამ რეაქციის სიჩქარე, მოქმედ მასათა კანონის საფუძველზე, გამოითვლება ფორმულით:

$$V = K \times [A] \times [B], \text{ სადაც:}$$

**V** – არის ქიმიური რეაქციის სიჩქარე;


**K** – არის რეაქციის სიჩქარის კონსტანტა, ანუ მუდმივა;

**[A]** და **[B]** – არის მორეაგირე ნივთიერებების მოლური კონცენტრაციები.

თვისებითი ანალიზის მთელი თეორია არის მმ-ს მისადაგება ქიმიური პროცესების სხვადასხვა სახეობებისადმი. თითქმის ყველა ანალიზური რეაქცია წარმოადგენს შექცევადს, ე.ი. ისეთს, რომელიც მიმდინარეობს ერთდროულად ორი ურთიერთსაპირისპირ მიმართულებით. თუმცა, ზოგიერთი რეაქციის შექცევადობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ პრაქტიკულად ის შეიძლება ჩაითვალოს შეუქცევადად, ანუ ბოლომდე მიმდინარე რეაქციად.

**შექცევადი რეაქციების ტიპები მაგალითებია:**


$K^+ - o - \text{ორნის აღმოჩენა ღვინის მუგათი}$



თეორი  
კრისტალური  
ნალექი

*HCl*-ის ჭარბად დაგროვების შემთხვევაში, იგი კვლავ შედის რეაქციაში *KHC<sub>4</sub>H<sub>4</sub>O<sub>6</sub>*-თან და წარმოიქმნება საწყისი ნივთიერებები.

### შექცევად რეაქციებს მიეკუთვნება:



შექცევადი რეაქციები ბოლომდე არ მიღიან, არამედ მყარდება ქიმიური წონასწორობა, რომლის დროსაც ხსნარში იმყოფებიან როგორც საწყისი, ასევე საბოლოო პროდუქტები. ქიმიური წონასწორობის დამყარების პროცესში, თითქოს რეაქცია ჩერდება, რადგან ყველა თვალსაჩინო ცვლილება წყდება. სინამდვილეში, მიმდინარეობს ერთდრო-ულად ორივე რეაქცია, რომლებიც ერთმანეთს აბათილებენ.

მორეაბირე ნივთიერებათა სისტემის ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც პირდაპირი და შექცევადი რეაქციების სიჩქარეები ერთმანეთის ტოლია, ქიმიური წონასწორობა ეწოდება. რადგანაც ქიმიური წონასწორობა არ არის მოსვენებითი, ამიტომ მას მოძრავ, ანუ დინამიკურ წონასწორობასაც უწოდებენ.

მივუსადაგოთ მმკ შექცევად რეაქციებს ჰომოგენურ სისტემებში. ჰომოგენური ეწოდება სისტემას, რომლის ყველა უბანში ნივთიერების ქიმიური და ფიზიკური თვისებები ერთნაირია, ანუ საქმე გვაქვს ერთფაზიან სისტემასთან. ჰომოგენურ სისტემებში არ არის გამყოფი ზედაპირი და ამის მაგალითია ხსნარები. მრავალი კათიონისა და ანიონის აღმოჩენა ხდება ჰომოგენურ სისტემებში. ჰომოგენურ სისტემებში ცვლილებები ხდება ლე-შატელიეს პრინციპის თანახმად, რომლის მიხედვით: თუ სისტემა განიცდის რაიმე გარეგან ქმედებას, მასში მიდინარეობს ცვლილებები, რომლებიც ასუსტებენ ამ ქმედებას. მაგალითად, თუ სისტემაზე დავამატებთ საწყის პროდუქტებს, ამ დროს ექვივალენტურად იზრდება საბოლოო პროდუქტების რაოდენობაც, რის შედეგად სისტემაში ქიმიური წონასწორობა აღდგება.

### გაგალითისათვის განვიხილოთ ზოგადი სახის შექცევადი რეაქცია:



რადგანაც სახეზეა ორი რეაქცია (პირდაპირი და უკურეაქცია), ამიტომ უნდა გამოვთვალოთ ორივე რეაქციის სიჩქარე.

### პირდაპირი რეაქციის სიჩქარე ტოლია:

$$V_1 = K_1 \cdot [A] \cdot [B] \quad (2), \text{ სადაც:}$$

$V_1$  – არის პირდაპირი რეაქციის სიჩქარე;

$K_1$  – არის პირდაპირი რეაქციის სიჩქარის კონსტანტა;

[A] და [B] – არის საწყისი ნივთიერებების მოლური კონცენტრაციები.

### უკურეაქციის სიჩქარე ტოლია:

$$V_2 = K_2 \cdot [C] \cdot [D] \quad (3), \text{ სადაც:}$$

$V_2$  – არის უკურეაქციის სიჩქარე;

$K_2$  – არის უკურეაქციის სიჩქარის კონსტანტა;

[C] და [D] – არის საბოლოო პროდუქტების მოლური კონცენტრაციები.

რეაქციის დაწყებისას, **A** და **B** ნივთიერებების კონცენტრაციები დიდია, ამიტომ  $V_1$  იქნება მაღალი, ხოლო  $V_2 = 0$ . რეაქციის მიმდინარეობის პროცესში, [A] და [B] თანდათან შემცირდება, ხოლო [C] და [D] გაიზრდება, ამიტომ გაიზრდება  $V_2$ . დადგება მომენტი, როცა პირდაპირი და უკურეაქციების სიჩქარეები გაუტოლდება ერთმანეთს და ამ დროიდან დამყარდება ქიმიური წონასწორობა, როცა  $V_1 = V_2$ .

თუ წონასწორულ მდგომარეობაში პირდაპირი და უკურეაქციების სიჩქარეები ერთმანეთის ტოლია, მაშინ მათი მნიშვნელობებიც ტოლი იქნება:

$$K_1 \cdot [A] \cdot [B] = K_2 \cdot [C] \cdot [D] \quad (4)$$

თუ მე-4 ტოლობის მარჯვენა მხარეს გავყოფთ მარცხენაზე და მუდმივებს დაგაჯგუფებთ ცალ მხარეს, მივიღებთ:

$$\frac{[C] \cdot [D]}{[A] \cdot [B]} = \frac{K_1}{K_2} \quad (5)$$

მე-5 ტოლობის მარჯვენა ნაწილში გვაქვს ორი მუდმივას ფარდობა, ამიტომ იგი შეიძლება გამოვსახოთ ერთი სიმბოლოთი – **K**, მაშინ მივიღებთ:

$$\frac{K_1}{K_2} = K \quad (6), \quad \text{მაშინ: } \frac{[C] \cdot [D]}{[A] \cdot [B]} = K \quad (7), \quad \text{სადაც } \mathbf{K} - \text{არის ქიმიური წონასწორობის მუდმივა.}$$

**K-ს** რიცხვითი მნიშვნელობა იცვლება ტემპერატურის ცვლილებით, მაგრამ არ არის დამოკიდებული მორეაგირე ნივთიერებების კონცენტრაციებზე. **K-ს** ფიზიკური არსის გაგება არ არის ძნელი, თუ გავიხსენებთ, რომ იგი ტოლია  $\frac{K_1}{K_2}$  და გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ მეტია პირდაპირი რეაქციის სიჩქარე უკურეაქციის სიჩქარეზე, როცა მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციები და ტემპერატურა ერთნაირია. თუ **K>1**, მაშინ უფრო სწრაფად მიმდინარეობს პირდაპირი რეაქცია, ხოლო თუ **K<1**, მაშინ უფრო სწრაფად მიმდინარეობს უკურეაქცია. თუ **K=10³**, ეს იმას ნიშნავს, რომ პირდაპირი რეაქციის სიჩქარე 1000-ჯერ მეტია უკურეაქციის სიჩქარეზე.

თუ რეაქციაში შედის ორი ან მეტი ნივთიერება, მაშინ მმკ-ს ტოლობაში უკელა ნივთიერების მოლური კონცენტრაციები უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, თუ გვაქვს ზოგადი სახის რეაქცია:  $\mathbf{A + B + C \leftrightarrow D + E}$ , მაშინ

$$K = \frac{[D] \cdot [E]}{[A] \cdot [B] \cdot [C]} \quad (8)$$

თუ რეაქციაში მონაწილეობს ნივთიერების ორი ან მეტი მოლი, მაშინ მმკ-ს ტოლობაში მოლების რიცხვი აიყვანება შესაბამის ხარისხში.

მაგალითად, თუ გვაქვს ზოგადი სახის ტოლობა:  $\mathbf{2A + B \leftrightarrow C + D}$ ,

$$\text{ამ შემთხვევაში } K = \frac{[C] \cdot [D]}{[A]^2 \cdot [B]} \quad (9)$$

მაშასადამე, ზოგადად რეაქციისათვის:  $\mathbf{a A + b B \leftrightarrow c C + d D}$ , ქიმიური წონასწორობის ტოლობა გამოისახება ასე:

$$K = \frac{[C]^c \cdot [D]^d}{[A]^a \cdot [B]^b} \quad (10)$$

მე-10 ტოლობა არის **მმკ-მათემატიკური** გამოხატულება წონასწორული მდგომარეობისათვის და იგი ასე გამოითქმის: მიღებული პროდუქტების კონცენტრაციების ნამრავლის შეფარდება საწყისი პროდუქტების კონცენტრაციების ნამრავლთან მუდმივი სიდიდე.

## IV.2. იონიზაცია და დისოციაცია

წყლის პოლარული მოლექულების გავლენით, მრავალი ნივთიერება ხსნარებში იშლება იონებად:  $\text{AB} \leftrightarrow \text{A}^+ + \text{B}^-$ . ამ პროცესს ელექტროლიტური დისოციაცია ეწოდება, ხოლო ნივთიერებებს, რომლებიც დისოცირდებიან – ელექტროლიტები. წარმოდგენა ელექტროლიტისა და არაელექტროლიტის შესახებ ჩამოაყალიბა ფარადეიმ XIX საუკუნის 30-იან წლებში. ელექტროლიტის ხსნარი ან ნალღობი ატარებს ელექტროდენს, რადგანაც მასში ნივთიერებები დაშლილია იონებად. **ელექტროლიტებს მიეკუთვნება:** მჟავების, ტუტების, მარილების წყალს ხსნარები ან მათი ნალღობები. არაელექტროლიტები ელექტროდენს არ ატარებენ, რადგანაც არ შეიცავენ იონებს. **არაელექტროლიტებს მიეკუთვნება:** ორგანული ნაერთები (ცილები, სპირტები, ალფა-ინდენი, ეთერები, ნახშირწყლები და ა.შ.).

**ელექტროლიტური დისოციაციის თეორიის ფუძემდებელია შემდი მუცნიერი სკანტე არენიუსი, რომლის მიხედვით: თეორიას, რომელიც გახსნილ ან გალღობილ მდგომარეობაში ელექტროლიტის განსაკუთრებულ თვისებებს მათი იონებად დაშლით ხსნის, ელექტროლიტური დისოციაციის თეორია ეწოდება. ამ თეორიის ძირითადი შინაარსი შეიძლება 3 დებულების სახით ჩამოვაყალიბოთ:**

1. ელექტროლიტები წყალში გახსნისას იშლებიან დადებითად (კათიონები) და უარყოფითად (ანიონები) დამუხტულ იონებად, რომლებიც წარმოიქმნება ექვივალენტური რაოდენობით, ამის გამო ხსნარში მათი მუხტების ჯამი ერთმანეთის ტოლია და ხსნარი ელექტრონებიტრალურია.
2. ხსნარში ან ნალღობში ელექტროდენის გატარებისას, კათიონები იწყებენ მიზან-მიმართულ მოძრაობას უარყოფითი ელექტროდისაკენ – კათოდისაკენ და განიმუხტებიან მასზე. უარყოფითი იონები კი წარიმართებიან დადებითი ელექტროდისაკენ – ანოდისაკენ და განიმუხტებიან მასზე. კათიონები იძენენ კათოდზე ელექტრონებს – ეს არის კათოდური აღდგნა, ხოლო ანიონები გადასცემენ ელექტრონებს ანოდს – ეს არის ანოდური დაუანგგა.
3. ელექტროლიტური დისოციაცია შექცევადი პროცესია, რომლის პარალელურად მიმდინარეობს საპირისპირო პროცესი – ასოციაცია (იონთა ურთიერთმოქმედება), ამიტომ ელექტროლიტური დისოციაციის განტოლებაში ტოლობის ნიშნის ნაცვლად იწერება შექცევადობის ნიშანი  $\leftrightarrow$ .

**ელექტროლიტებს, არაელექტროლიტებისგან განხვავებით, გააჩნიათ შემდეგი თვისებები:**

- ა) ელექტროლიტები ატარებენ ელექტროდენს;
- ბ) ელექტროლიტთა წყალს ხსნარები დუღს უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე არაელექტროლიტების წყალს ხსნარები;
- გ) ელექტროლიტთა წყალს ხსნარები იყინებიან უფრო დაბალ ტემპერატურაზე, ვიდრე არაელექტროლიტების წყალს ხსნარები;
- დ) ელექტროლიტთა წყალს ხსნარებს გააჩნიათ მაღალი ოსმოსური წნევა;
- ე) ყველა ელექტროლიტის ხსნარი იქცევა ისე, თითქოს იგი შედგებოდეს ორი დამოუკიდებელი კომპონენტისაგან (კათიონებისა და ანიონებისაგან).

ამრიგად, ყველა ამ თვისების გათვალისწინებით, ელექტროლიტური დისოციაციის თეორია გამოითქმება ასე: მჟავათა, ტუტეთა და მარილთა მოლექულები, წყალში გახსნისას, დისოცირდებიან იონებად, რომლებიც ხსნარებში იქცევიან, როგორც დამოუკიდებელი

ერთეულები და მონაწილეობები ქიმიურ რეაქციებში იმისდა მიუხედავად, არსებობები თუ არა ხსნარში სხვა იონები და მოლეკულები.

**ელექტროლიტთა წყალში გახსნისას, მიმდინარეობს ორი პროცესი:**

**1) დისოციაცია** – ეს არის იმ ელექტროლიტთა წყალში გახსნა, რომელთაც გააჩნიათ იონური ან ჰეტეროპოლარული კრისტალური სტრუქტურა და ამ დროს ხსნარში გადადის ელექტროლიტის კრისტალური მესრის შემადგენლობაში მყოფი იონები ( $KCl$ ,  $NaCl$ ,  $BaCl_2$ ).

**2) იონიზაცია** – ეს არის იმ ელექტროლიტების გახსნა, რომლებსაც არ გააჩნიათ თავისუფალი იონები, რადგანაც გახსნის პროცესში მთლიანად იშლებიან იონებად ( $HCl$ ,  $H_2S$ ). იონიზაციის პროცესი შექცევადია, თუმცა მკაცრი ზღვარი დისოციაციასა და იონიზაციას შორის არ არსებობს.

### IV.3. იონიზაციის კონსტანტა და იონიზაციის ხარისხი

იონიზაციის პროცესი შექცევადია, ამიტომ ხსნარში დაშლილ მოლეკულებთან ერთად, მონაწილეობებ არაიონიზირებული მოლეკულებიც. აქედან გამომდინარე, იონიზაციის პროცესს შეიძლება მივუყენოთ მოქმედ მასათა კანონი და გამოვთვალოთ იონიზაციის კონსტანტა და ხარისხი. თუ ელექტროლიტის ფორმულას გამოვსახავთ **KtAn**, სადაც: **Kt** – კატიონია, ხოლო **An** – ანიონი, მაშინ იონიზაციის ტოლობა ჩაიწერება ასე:  $KtAn \leftrightarrow Kt^+ + An^-$ .

მმჯ-ს მიხედვით, იონიზაციის კონსტანტა გამოითვლება ფორმულით:

$$K_{\text{იონიზაციის}} = \frac{[Kt^+] \times [An^-]}{[KtAn]}, \text{ სადაც:}$$

**[Kt<sup>+</sup>]** და **[An<sup>-</sup>]** – არის იონების (კატიონების და ანიონების) მოლური კონცენტრაციები;

**[KtAn]** – არის ელექტროლიტის არაიონიზირებული მოლეკულების კონცენტრაცია.

გაშასადამე, იონიზაციის კონსტანტა –არის ელექტროლიტის დაშლილი იონების კონცენტრაციების ნამრავლის შეფარდება ელექტროლიტის არაიონიზირებული მოლეკულების კონცენტრაციასთან.

რაც მეტია **K<sub>იონიზაციის</sub>**, მით მეტად იშლება ელექტროლიტი იონებად.

იონიზაციის კონსტანტა არის ელექტროლიტის ხსნარის იონიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი. მეორე მახასიათებელს წარმოადგენს იონიზაციის ხარისხი  $-\alpha$ , რომელიც რაოდენობრივად ახასიათებს ელექტროლიტის წონასწორულ მდგომარეობას.

იონიზაციის ხარისხი  $\alpha$  – არის რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, თუ გახსნილი ელექტროლიტის საერთო რაოდენობის მოლეკულებიდან, რამდენი ნაწილია დაშლილი იონებად:

ა ტოლია იონიზირებული მოლეკულების რიცხვის შეფარდებისა გახსნილი მოლეკულების საერთო რიცხვთან.

$\alpha$ -არის უსაზღვრო სიდიდე და იგი გამოისახება  $\%$ -ში. მაგალითად, როცა ამბობენ, რომ  $CH_3COOH$ -ის 0,1 M ხსნარის იონიზაციის ხარისხი  $\alpha = 0,0135$ , ეს იმას ნიშნავს, რომ ძმარმჟავას გახსნილი მოლეკულების საერთო რიცხვიდან მხოლოდ 1,35% იმყოფება იონიზირებულ მდგომარეობაში, ხოლო დანარჩენი 98,65% – არაიონიზირებული მოლეკულებია.

### $\alpha - s$ მიხედვით, ყველა ელექტროლიტი იყოფა:

ა) **ძლიერ ელექტროლიტებად** – ისინი ხსნარებში პრაქტიკულად მთლიანად იონიზებიან (ძლიერი მჟავები, ტუტები და მარილები, რომელთაც გააჩნიათ იონური კრისტალური მესერი);

ბ) **სუსტი ელექტროლიტები** – ისინი წყალს ხსნარებში უმნიშვნელოდ არიან იონიზირებული, ესენია: სუსტი მჟავები, სუსტი ფუძეები, მარილები, რომელთა მოლეკულებში კოვალენტურ პოლარული ბმაა  $[HgCl_2, Hg(CN)_2, Fe(SCN)_3]$ .

ორი და მრავალფურიანი მჟავების, ასევე ორი და მრავალმჟავური ფუძეების იონიზაცია მიმდინარეობს საფეხურებრივად. ყოველი საფეხურისათვის დამახასიათებელია თავისი იონიზაციის კონსტანტა და ხარისხი.

მაგალითად:



იონიზაციის ხარისხი შეიძლება გამოისახოს რამდენიმე ხერხით, უფრო ხშირად მას გამოსახავენ არენიუსის ფორმულით:

$$\alpha = \Lambda_V : \Lambda_\infty, \text{ სადაც:}$$

$\alpha$  – არის იონიზაციის ხარისხი;

$\Lambda_V$  – არის ხსნარის ექვივალენტური ელექტროგამტარობა მისი მოცემული განზავებისას;

$\Lambda_\infty$  – არის ხსნარის ექვივალენტური ელექტროგამტარობა მისი “უსასრულო” განზავებისას.

როგორც ფორმულიდან ჩანს,  $\Lambda_V$  პირდაპირპორციულია  $\alpha$ -სი. რადგანაც “უსასრულო” განზავებისას ელექტროლიტი ხსნარში მთლიანად იშლება იონებად, ამიტომ  $\Lambda = 1$ . თუ ამას გავითვალისწინებთ, მივიღებთ:

$$\text{როცა } \Lambda_\infty \rightarrow 1, \text{ მაშინ } \Lambda_V \rightarrow \alpha.$$

**არენიუსის ფორმულა გამოითქმის ასე:** ელექტროლიტის ელექტროლიტური დისოციაციის ხარისხი ხსნარის მოცემული განზავებისას ტოლია ექვივალენტური ელექტროგამტარობის ფარდობისა ექვივალენტურ ელექტროგამტარობასთან ხსნარის “უსასრულო” განზავებისას.

#### IV.4. ოსტვალდის განზავების კანონი, როგორც კავშირი სუსტი ელექტროლიტის იონიზაციის ხარისხსა და კონსტანტას შორის

იონიზაციის ხარისხი და მუდმივა ახასიათებენ ერთსა და იმავე პროცესს – იონიზაციას, ამიტომ ერთი მათგანის სიდიდე შეიძლება გამოისახოს მეორით. თუ ელექტროლიტის მოლურ კონცენტრაციას აღვნიშნავთ სიმბოლოთი – **C**, ხოლო იონიზაციის ხარისხს  $\alpha$  სიმბოლოთი, მაშინ თითოეული იონის კონცენტრაცია ტოლი იქნება  $C \times \alpha$ , ხოლო არაიონიზირებული მოლეკულების კონცენტრაცია ტოლი იქნება  $[KtAn] = C - C\alpha$ .

როგორც ცნობილია, იონიზაციის ტოლობა შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად:



$$\text{ამ შემთხვევაში, } K_{\text{იონიზაციის}} = \frac{[Kt^+] \times [An^-]}{[KtAn]}$$

ჩავსვათ ზემოთ მოცემული მნიშვნელობები იონიზაციის კონსტანტას ტოლობაში, მივიღებთ:  $K = \frac{C\alpha \times C\alpha}{C - C\alpha}$

$$\begin{aligned} \text{რადგანაც} \quad C - C\alpha &= C\alpha \times C\alpha, \quad \text{ამიტომ} \quad K = \frac{C^2\alpha^2}{C(1-\alpha)} = \frac{C\alpha^2}{1-\alpha} \\ \text{მაშასადამე, } K &= \frac{C\alpha^2}{1-\alpha} \end{aligned}$$

ეს ტოლობა გამოხატავს **განზავების კანონს**, რომელიც გამოიყვანა გერმანელმა ქიმიკოსმა **ვილჰელმ ტოტვალდმა**. ეს კანონი ამყარებს კავშირს სუსტი ელექტროლიტის (მაგ.,  $CH_3COOH$ ) იონიზაციის ხარისხსა და მის კონცენტრაციას შორის.

თუ ელექტროლიტი სუსტია და მისი ხსნარი ძლიერ არაა განზავებული, მაშინ მისი  $\alpha$  დაბალია და  $1 - \alpha$  მიახლოებულია  $1 - \text{თან.}$

$$\begin{aligned} \text{მაშასადამე, თუ} \quad 1 - \alpha &= 1, \quad \text{მაშინ} \quad K = \frac{C\alpha^2}{1} = C\alpha^2, \\ \text{აქედან} \quad \alpha &= \sqrt{\frac{K}{C}} \end{aligned}$$

ეს განტოლება წარმოადგენს განზავების კანონის მათემატიკურ გამოხატულებას, რომელიც ასე გამოითქმის: თუ რომელიმე სუსტ ელექტროლიტს განვაზვებთ 4-ჯერ, მისი იონიზაციის ხარისხი გაიზრდება 2-ჯერ.

განზავების კანონი საშუალებას იძლევა გამოვითვალოთ სუსტი ელექტროლიტის იონიზაციის ხარისხი, თუ ცნობილია იონიზაციის მუდმივა და ელექტროლიტის კონცენტრაცია და, პირიქით, გამოვითვალოთ  $K$ , თუ ცნობილია  $\alpha$ .

## IV.5. იონის აქტივობა. ხსნარის იონური ძალა

ელექტროლიტური დისოციაციის თეორია სამართლიანია მხოლოდ სუსტი ელექტროლიტების განზავებული ხსნარებისადმი (იდეალური ხსნარები), რადგანაც ამ დროს მყარდება ქიმიური წონასწორობა, რომელსაც გააჩნია წონასწორობის მუდმივა – **K.** ძლიერი ელექტროლიტების შემთხვევაში შეიმჩნევა სულ სხვა სურათი, რადგანაც მათი სხვადასხვა კონცენტრაციების შემთხვევაში, იონიზაციის კონსტანტების მნიშვნელობებიც განსხვავდებულია. თუ ძლიერი ელექტროლიტის ხსნარს განვაზავებთ, მისი იონიზაციის ხარისხი – **a** გაიზრდება, ხოლო იონიზაციის კონსტანტა – **K** შემცირდება, რაც არ ეთანხმება ოსტვალდის განზავების კანონის ფორმულირებას. ძლიერი ელექტროლიტების ხსნარებისადმი მმკ-ს მიუენება არ შეიძლება, რადგანაც მმკ მიუენება მხოლოდ იდეალურ ხსნარებს.

**1907 წელს ლუისმა შემოიღო მეცნიერებაში იონის აქტივობის ცნება.**

**იონის აქტივობა –**a**** არის იონის ეფექტური (მოქმედი) კონცენტრაცია, რომლის ნიადაგზეც იონები ქიმიურ პროცესებში მონაწილეობენ როგორც რეალურად მოქმედი მასები.

**უსაზღვროდ განზავებული ხსნარებისთვის **a = C.****

**იონის აქტივობა გამოისახება სიდიდით გ-იონი/ლ.** იონის აქტივობა სხვანაირად შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძლიერი ელექტროლიტის ნაწილაკების ბმულობის ხარისხი.

იონის აქტივობა გამოითვლება ფორმულით **a=C · f**, სადაც:

**a** – არის იონის აქტივობა;

**C** – არის იონის მოლური კონცენტრაცია;

**f** – არის აქტივობის კოეფიციენტი.

როგორც ვხედავთ, აქტივობასთან მჭიდრო კავშირშია ცნება **აქტივობის კოეფიციენტის** შესახებ – ეს არის მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს რეალური ხსნარების გადახრის ხარისხს იდეალური ხსნარების თვისებებისგან და რიცხობრივად ტოლია აქტივობის შეფარდებისა იონის საერთო მოლურ კონცენტრაციასთან:  $f = \frac{a}{C}$ .

აქტივობის კოეფიციენტი დამოკიდებულია არა მხოლოდ იონის მოლურ კონცენტრაციაზე, არამედ ელექტროლიტის ხსნარში არსებული სხვა გარეშე იონების კონცენტრაციულზეც. ამისათვის **1921 წელს ლუისისა და რენდელის მიერ შემოღებული იქნა ხსნარის იონური ძალის ცნება.**

**ხსნარის იონური ძალა** – არის ამ ხსნარის ელექტრული ველის სიდიდე, რომელიც წარმოადგენს ხსნარში მონაწილე ჟენერაციულ მოლეკულებს მუხტი არ გააჩნიათ, ამიტომ ხსნარის იონური ძალა გამოისახება სიმბოლოთ  $\mu$  და გამოითვლება ფორმულით:

$$\mu = \frac{1}{2} (C_1 \cdot Z_1^2 + C_2 \cdot Z_2^2 + \dots + C_n \cdot Z_n^2), \quad \text{სადაც:}$$

**$C_1, C_2, C_3 \dots C_n$**  – არის ხსნარში მონაწილე ჟენერაციულ იონის მოლურ კონცენტრაციები;

**$Z_1^2, Z_2^2, Z_3^2 \dots Z_n^2$**  – არის ამ იონთა მუხტების კვადრატები.

არაიონიზორებულ მოლეკულებს მუხტი არ გააჩნიათ, ამიტომ ხსნარის იონური ძალის გაანგარიშების ფორმულაში ისინი არ შედიან.

**ხოგადად ხსნარის იონური ძალის ფორმულა** შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:

$$\mu = \frac{1}{2} \sum C_i Z_i^2$$

მაშასადამე, ძლიერი ელექტროლიტის ხსნარის იონური ძალა არის ნახევარჯამი ხსნარში არსებული ჟენერაციებისა, გამრავლებული მათვე მუხტების კვადრატებზე.

## II ნაწილი

### თავი V. კათონთა მუსტარ-ტუტოვანი კლასიფიკაცია V.1. ანალიზის სისტემატური და წილადური მსვლელობა

კათონთა აღმოჩენის თვისებითი რეაქციების ჩატარებისას, საანალიზო ხსნარში შეიძლება იმყოფებოდეს რამდენიმე კათონი ერთად. ამას გარდა, ზოგიერთი კათონი შედის რეაქციაში საკვლევი კათონის აღმოჩენ რეაქტივთან, რითაც ხელს უშლის მის აღმოჩენას. მაგალითად, ნატრიუმის ჰიდროტარტრატი ( $\text{NaHC}_4\text{H}_4\text{O}_6$ ) ურთიერთქმედებს არა მარტო  $\text{K}^+$ -იონთან არამედ  $\text{NH}_4^+$ -იონთანაც. ასე რომ,  $\text{NH}_4^+$ -იონის არსებობა ხსნარში ხელს შეუშლის  $\text{K}^+$ -იონის აღმოჩენას. მაშასადამე, თავდაპირველად საჭიროა იმის გაგება, არის თუ არა ხსნარში  $\text{NH}_4^+$ -იონები და თუ არის, საჭიროა ხსნარიდან მათი მოცილება. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ნებისმიერი თანმიმდევრობით აღმოვაჩინოთ ცალკეული ონები.

**იმ ქიმიურ რეაქციათა თანმიმდევრულ ერთობლიობას, რომელიც საშუალებას იძლევიან ხსნარიდან მოცილებული იქნას ხელისშემშლელი იონები, რათა აღმოჩენილი იქნას საკვლევი იონები, ეწოდება ანალიზის სისტემატური მსვლელობა.**

შეიძლება არა მარტო ერთი, არამედ ხელისშემშლელი იონების მთელი ჯგუფის აღმოჩენა და მოცილება, რაც ხორციელდება ჯგუფობრივი რეაქტივით. მაგრამ, ჯგუფობრივი რეაქტივების მეშვეობით კათონთა მოცილება დაკავშირებულია შრომატევად ქიმიურ ოპერაციებთან: დალექვასთან; გაფილტვრასთან; ჩარეცხვასთან; განმეორებით გახსნასთან და ა.შ. ამიტომ უფრო მოსახერხებელია ანალიზის წილადური რეაქციების ჩატარება.

**იმ რეაქციების ერთობლიობას, რომელთა საშუალებით შეიძლება ჩვენთვის სასურველი იონის აღმოჩენა სხვა იონების მონაწილეობის დროსაც კი, ანალიზის წილადური მსვლელობა ეწოდება.**

ასეთი რეაქციების ჩასატარებლად საჭიროა სპეციფიური ან სელექტიური რეაქტივების გამოყენება, რომელიც გაცილებით მცირერიცხოვანია. აქედან გამომდინარე, იონების აღმოჩენას აწარმოებენ ორ ეტაპად:

- 1) თავდაპირველად, სათანადო რეაქციებით გამოყოფენ საკვლევ იონს, ან შენიდბავენ ხელისშემშლელ იონებს:
- 2) შემდეგ ეტაპზე, დამახასიათებელი რეაქციით რწმუნდებიან საკვლევი იონის ხსნარში არსებობაში და მიახლოებით საზღვრავენ მის რაოდენობას (ძალიან ბევრი, ბევრი, მცირე, კვალი).


**წილადური ანალიზის ფუძემდებელია რუსი ქიმიკოსი ტანანაუზი, რომელმაც 1950 წელს გამოსცა სახელმძღვანელო “წილადური ანალიზი”. წილადური ანალიზი გაცილებით სწრაფია და შედარებით არაშრომატევადი. მისი საშუალებით აღმოჩინება ნარევში არსებული იონების შეზღუდული (მცირე) რაოდენობაც და ის შეიძლება გავიმეოროთ რამდენჯერმე.**

#### მაგალითი:


საანალიზო ხსნარში  $\text{Pb}^{2+}$ -იონების  $\text{K}_2\text{CrO}_4$ -ით აღმოჩენა წილადური მეთოდით ხორციელდება შემდეგნაირად:

კოქვათ, ხსნარში არის კიდევ შემდევი იონები:  $\text{Ag}^+$ ;  $\text{Hg}_2^{2+}$ ;  $\text{Hg}^{2+}$ ;  $\text{Ba}^{2+}$ ;  $\text{Ca}^{2+}$ ;  $\text{Sr}^{2+}$ , რომელიც ასევე წარმოქმნიან ნალექებს  $\text{K}_2\text{CrO}_4$ -თან (ქრომატებს). ამ შემთხვევაში იქცევიან შემდეგნაირად:

- 1) საანალიზო ხსნარზე ამატებენ განზავებულ გოგირდმჟავას, რომელიც ლექაგს ხელისშემშლელ იონებს და მათ შორის ტყვიასაც. საერთო ნალექს გამოყოფენ გაფილტვრით, და ჩარეცხავენ. შემდეგ ნალექს ამუშავებენ ამონიუმის აცეტატით, რომელშიც გაიხსნება მხოლოდ  $\text{PbSO}_4$ , სხვა ნალექები კი არ გაიხსნება:



2) მომდევნო ეტაპზე ხსნარს გაფილტრავენ და ფილტრატში  $K_2CrO_4$ -ით აღმოაჩენენ ტყვიის ონებებს:



წილადური ანალიზის უპირატესობებია: მისი სიჩქარე და მაღალი მგრძნობიარობა.

## V.2. კათიონთა სულფიდური კლასიფიკაცია

**მუ-19 საუჯუნის მეორე ნახევარში რუბმა ქიმიკონამა ნამებულებები კათიონები დაპყო 5 ჯგუფად და ამ სისტემას საფუძვლად დაუდო მათი დამოკიდებულება გოგირდწყალბადთან –  $H_2S$ , რომელთანაც ისინი წარმოქმნიან სხვადასხვა ხსნადობის ნალექებს – სულფიდებს. აქედან გამომდინარე, ამ კლასიფიკაციას სულფიდური კლასიფიკაცია ეწოდა (ცხრილი 5).**

### ცხრილი 5 კათიონთა სულფიდური კლასიფიკაცია

ჯგუფი	კათიონები	ჯგუფობრივი რეაქტივი	ნალექთა ხსნადობა
I	$K^+$ , $Na^+$ , $NH_4^+$ , $Mg^{2+}$	–	–
II	$Ba^{2+}$ , $Ca^{2+}$ , $Sr^{2+}$	$(NH_4)_2CO_3$ , [ $NH_3$ და $NH_4Cl$ -ის თანაობისას]	არ ილექტირი $(NH_4)_2S$ -ით. ნალექები: კარბონატები, რომლებიც უხსნადია წყალში და ხსნადია $HCl$ -ში
III	$Ni^{2+}$ , $Co^{2+}$ , $Fe^{2+,3+}$ , $Al^{3+}$ , $Cr^{3+}$ , $Mn^{2+}$ , $Zn^{2+}$	$(NH_4)_2S$ , [ $NH_3$ და $NH_4Cl$ -ის თანაობისას]	სულფიდები ხსნადია $HCl$ -ში. ნალექები - სულფიდები და ჰიდროქსიდები: $Al(OH)_3$ , $Fe_2O_3$ , $Cr(OH)_3$ , $MnS$ , $CoS$ , $NiS$
IV	$Hg^{2+}$ , $Cu^{2+}$ , $Cd^{2+}$ , $Bi^{3+}$ , $As^{3+,5+}$ , $Sb^{3+,5+}$ , $Sn^{2+,4+}$	$H_2S$ , [ $HCl$ -ის თანაობისას]	ნალექები – სულფიდები: $Hg^{2+}$ , $Cu^{2+}$ , $Cd^{2+}$ , $Bi^{3+}$ -ის სულფიდები უხსნადია $Na_2S$ -ში; $As^{3+,5+}$ , $Sb^{3+,5+}$ , $Sn^{2+,4+}$ -ის სულფიდები იხსნებიან $Na_2S$ -ში, თოომარილების წარმოქმნით
V	$Ag^+$ , $[Hg_2]^{2+}$ , $Pb^{2+}$	2N $HCl$	ნალექები – ქლორიდები, რომლებიც უხსნადია წყალში და განზავებულ მჟავებში.

- სულფიდურ კლასიფიკაციას გააჩნია თავისი ნაკლოვანებები, კერძოდ:**
- 1) მის ჩატარებას სჭირდება 25-30 საათი, რაც არ პასუხობს თანამედროვე ქიმიური წარმოების მოთხოვნებს;
  - 2) ანალიზის მსვლელობისას გამოიყენება მომწამვლელი გაზი – გოგირდწყალბადი, ამიტომ 23ანალიზის ჩატარება მოითხოვს სპეციალურად მოწყობილი ოთახის არსებობას.

### V.3. კათიონთა I-II-III ანალიზური ჯგუფების დახასიათება

სულფიდური კლასიფიკაციის ნაკლოვანებებმა დღის წესრიგში დააყენა ისეთი კლასიფიკაციის შემუშავება, სადაც გამოყენებული არ იქნებოდა გოგირდწყალბადი. ასეთი კლასიფიკაცია შექმნა მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა ს.დ.ბესკოვმა და კათონთა ამ სისტემას მუავურ-ტუტოვანი კლასიფიკაცია ეწოდა, რადგანაც მას საფუძვლად უდევს კათიონების დამოკიდებულება მუავებთან ან ტუტებთან.

სისტემა კათიონთა **6 ჯგუფს** მოიცავს და იგი მჟიდრო კავშირშია ელემენტთა მდებარეობასთან დ.ო.მენდელევის პერიოდულ სისტემაში და ელემენტთა ელექტრონული გარსების აღნაგობასთან (ცხრილი 6).


### ცხრილი 6 კათიონთა ჯგუფები მუავურ-ტუტოვანი კლასიფიკაციის მიხედვით

ჯგუფი	კათიონები	ჯგუფის დახასიათება	ჯგუფობრივი რეაქტივი	ნალექის შემადგენლობა	ნალექის სინადობა
I	$\text{Li}^+$ , $\text{Na}^+$ , $\text{K}^+$ , $\text{NH}_4^+$	ქლორიდები, სულფატები, ჰიდროქსიდები სინადია წყალში	–	–	–
II	$\text{Ag}^+$ , $[\text{Hg}_2]^{2+}$ , $\text{Pb}^{2+}$	ქლორიდები უხსნადია წყალში და განზავებულ მუავებში	2N HCl	MCl <sub>n</sub>	უხსნადია $\text{NaOH}$ -ში, HCl-ში
III	$\text{Ca}^{2+}$ , $\text{Ba}^{2+}$ , $\text{Sr}^{2+}$	სულფატები არ იხსნებიან წყალში და მუავებში	$\text{H}_2\text{SO}_4$	M $\text{SO}_4$	უხსნადია HCl-ში, $\text{NaOH}$ -ში
IV	$\text{Al}^{3+}$ , $\text{Cr}^{3+}$ , $\text{Zn}^{2+}$ , $\text{Sn}^{2+,4+}$ , $\text{As}^{3+,5+}$	ჰიდროქსიდები ამფორულულია, იხსნებიან ჭარბ ტუტებში	KOH NaOH	M(OH) <sub>n</sub>	ხსნადია ჭარბ $\text{NaOH}$ -ში
V	$\text{Mg}^{2+}$ , $\text{Mn}^{2+}$ , $\text{Fe}^{2+,3+}$ , $\text{Bi}^{3+}$ , $\text{Sb}^{3+,5+}$	ჰიდროქსიდები არამფორულულია, არ იხსნებიან ჭარბ ტუტებში	NH <sub>4</sub> OH NaOH	M(OH) <sub>n</sub>	უხსნადია $\text{NaOH}$ -ში
VI	$\text{Co}^{2+}$ , $\text{Ni}^{2+}$ , $\text{Hg}^{2+}$ , $\text{Cu}^{2+}$ , $\text{Cd}^{2+}$	ჰიდროქსიდები წარმოქმნიან ხსნად ამიაკატებს	ჭარბი NH <sub>4</sub> OH	M(OH) <sub>n</sub>	ხსნადია ჭარბ $\text{NH}_4\text{OH}$ -ში

I ანალიზური ჯგუფის კათიონებია:  $\text{Li}^+$ ,  $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ ,  $\text{NH}_4^+$ . მათ გააჩნიათ შემდეგი საერთო თვისებები:

**1)** მათი მარილები უფერო, კრისტალური ნაერთებია, წყალში კარგად იხსნებიან;

2) I ანალიზური ჯგუფის კათონებს არ გააჩნიათ ჯგუფობრივი რეაქტივი.  $K^+$ -იონისა და  $NH_4^+$ -იონების სელექტიური რეაქტივია  $NaHC_4H_4O_6$ , რომელიც მათთან იძლევა ოქრო ფერის წვრილ, კრისტალურ ნალექებს:



3) I ანალიზური ჯგუფის კათოლიკები ტურქ მეტალებია;

4) I ანალიზური ჯგუფის პათოონები იმყოფებიან მენდელევის პერიოდული სისტემის IA ჯგუფში;

**5) I** ანალიზური ჯგუფის კათიონები მიეკუთვნებიან **S<sup>1</sup>**-ელემენტებს და ეს ერთადერთი **S** ელექტრონი განლაგებულია შიდა ქაშრეზე;




**6) I** ანალიზური ჯგუფის კათონები წარმოქმნიან სფეროსებრი სიმეტრიის კათონებს, რომლებიც განაპირობებენ მათი ნაერთების სიმტკიცეს, უფერობას და სუსტ პოლარიზაციას.

II ანალიზური ჯგუფის კათიონებია:  $\text{Ag}^+$ ;  $[\text{Hg}_2]^{2+}$ ;  $\text{Pb}^{2+}$ . ისინი მდებარეობენ პერიოდული სისტემის IA, IIIB და IVA ჯგუფებში. მაგრამ, მიხედავად ამისა, ისინი გაერთიანებული არიან მეავტრ-ტუტოვანი კლასიფიკაციის ერთ ჯგუფში შემდეგი საერთო თვისებების საფუძვლებზე:

1) ყველა კათიონი ძლიერი პოლარიზატორია;

**2) მათი მარილების უმრავლესობა წყალში უხსნადია;**

3) მათ გააჩნიათ ჯგუფობრივი რეაქტივი – განზავებული HCl, რომელთანაც ისინი წარმოქმნიან თეთრ კრისტალურ ნალექებს ქლორიდების სახით:



4) II ანალიზური ჯგუფის კათიონები წარმოქმნიან კომპლექსებს ნაერთებს.

ვერცხლს გააჩნია **S<sup>1</sup>** ელექტრონი შიდა შრეზე, მაგრამ მისი თვისებები მკვეთრად განსხვავდება I ანალიზური ჯგუფის კათიონების თვისებებისგან. ეს აიხსნება იმით, რომ S-ელექტრონის გაცემის შემდგა, ვერცხლი იღებს 3d<sup>10</sup> და 4d<sup>10</sup> კონფიგურაციებს, რაც განაპირობებს ვერცხლის უნარს, წარმოქმნას სხვადასხვა დაუანგულობის ხარისხის მქონე იონები და გამოავლინოს ქარგი კომპლექსების თვისებები.

ვერცხლისწყალი მიეკუთვნება  $S^2$  ელემენტს და  $6S^2$ -ელექტრონები მიეკუთვნებიან ინერტულ წყვილს, ამიზომ  $Hg^+$  ძნელად იძანგება  $[Hg_2]^{2+}$ -მდე.




ტყველი შემთხვევაში განვითარებული არის მაგრამ უფრო ადვილად წარმოქმნის ორმუხებრიანი იონები.

**III ანალიზური ჯგუფის კათიონებია:  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Ba}^{2+}$ ,  $\text{Sr}^{2+}$ .** ისინი მდებარეობენ პერიოდული სისტემის IIIA ჯგუფში და გაერთიანებული არიან მჟავურ-ტუტოვანი კლასიფიკაციის ერთ ჯგუფში შემდეგი საერთო თვისებების მიხედვით:

1) მე-III ანალიზური ჯგუფის კათიონები წარმოადგენენ ტუტე მეტალებს;

2) მათ გააჩნიათ შემდეგი ელექტრონული კონფიგურაციები:  $4S^2$ ,  $5S^2$ ,  $6S^2$ , ამიტომ  $S^2-$  ელექტრონების გაცემის შემდეგ იქანგებიან ორმუხებიან იონებამდე, რომლებსაც გააჩნიათ ინერტული გაზების ელექტრონული კონფიგურაცია ( $8$  ელექტრონით შიდა შრეზე). ეს იწვევს მათ მდგრადობას, სუსტ პოლარიზაციას;

3) მე-III ანალიზური ჯგუფის კათიონების ჯგუფობრივი რეაგენტია – განზავებული  $\text{H}_2\text{SO}_4$ , რომელთანაც ისინი წარმოქმნიან თეთრ კრისტალურ ნალუქებს სულფატების სახით:







4) მე-III ანალიზური ჯგუფის კათიონების ჰიდროქსიდები ძლიერი ტუტებია:  $\text{Ca}(\text{OH})_2$ ;  $\text{Ba}(\text{OH})_2$ ;  $\text{Sr}(\text{OH})_2$ .

#### V.4. კათიონთა IV-V-VI ანალიზური ჯგუფების დახასიათება

**IV ანალიზური ჯგუფის კათიონებია:  $\text{Al}^{3+}$ ,  $\text{Cr}^{3+}$ ,  $\text{Zn}^{2+}$ ,  $\text{Sn}^{2+,4+}$ ,  $\text{As}^{3+,5+}$ .**

მათი საერთო ნიშან-თვისებებია:

1) მათი ჯგუფობრივი რეაგენტებია მწვავე ტუტები –  $\text{NaOH}$  და  $\text{KOH}$ , რომელთა წვეთობით დამატებისას ისინი წარმოქმნიან ამფოტერულ ჰიდროქსიდებს, რომლებიც გვლავ იხსნებიან ჭარბ ტუტებში და მიიღება ხსნადი მარილები:



2) ამ ელექტრო ამფოტერულობა გამოწვეულია იმით, რომ ისინი მიეკუთვნებიან P- და d- ელემენტებს და ეს P- და d- ორბიტალები ვაკანტურია, ამიტომ ისინი შეიძლება შეიცვლონ ელექტრონებით;

3) ამფოტერული ელემენტები პერიოდულ სისტემაში იკავებენ შეა ადგილებს და განლაგებული არიან დიაგონალურად.

Վ անալությունը չշղթայի կատորնեցնա:  $Mg^{2+}$ ,  $Mn^{2+}$ ,  $Fe^{2+,3+}$ ,  $Bi^{3+}$ ,  $Sb^{3+,5+}$ .

მათი საერთო ნიშან-თვის ეტელია:

1) მათი უმრავლესობა ავლენს ცვალებად დაუანგულობის ხარისხს, რადგანაც შეუვსებელი აქვთ როგორც ბოლო, აგრეთვე ბოლოსწინა ორბიტალები;



2) ზემოაღნიშვნულის გამო, ეს ელემენტები აქტიურად მონაწილობენ ჟანგპა-აღდგენით რეაციებში;

3) მათი ნაერთების უმეტესობა შეფერილია;

4) მათ გააჩნიათ ნაწილობრივ შეგვებული P-და d-ორბიტალები;

5) ისინი გარდამავალი ელექტრიკია, რომლებსაც გააჩნიათ კარგად გამოხატული კომპლექსწარმოქმნის უნარი;

6) მათი ჯგუფობრივი რეაგენტებია  $\text{NH}_4\text{OH}$  და  $\text{NaOH}$ , რომლებთანაც ისინი წარმოქმნიან არაამფოტერულ ჰიდროქსიდებს:







VI ანალიზური ჯგუფის კათიონებია:  $\text{Co}^{2+}$ ,  $\text{Ni}^{2+}$ ,  $\text{Hg}^{2+}$ ,  $\text{Cu}^{2+}$ ,  $\text{Cd}^{2+}$ .

მათი საერთო ნიშან-თვისებებია:

1) ისინი გარდამავალი კლემენტებია, რომლებშიც მიმდინარეობს **d**- ქვეშრის შევსება;

**2)** მათი ჯგუფობრივი რეაქტივია ჭარბი  $\text{NH}_4\text{OH}$ , რომლის წვეობით დამატებისას, ისინი წარმოქმნიან ჰიდროქსიდებს, ხოლო მის სიჭარბეში ისევ იხსნებიან და მიიღება ხსნადი კომპლექსური მარილები, რომლებსაც ამიაკატები ეწოდება:



პერიოდული სისტემის I ჯგუფის ელემენტთა მარილების უმრავლესობა წყალში ხსნადია, ხოლო II, III, V და VI ჯგუფების ელემენტთა ჰიდროქსიდები, ფოსფატები და კარბონატები წყალში უხსნადია. ელემენტთა უანგვა-ადგგენითი თვისებებიც დამოკიდებულია მათ განლაგებაზე პერიოდულ სისტემაში. აღდგენითი თვისებები, ანუ ელექტრონთა გაცემის უნარი ახასიათებთ მეტალებს, ხოლო უანგვითი თვისებები, ანუ ელექტრონთა შეძენის უნარი ახასიათებთ არამეტალებს. ეს დამოკიდებულია ატომთა გარე

ელექტრონული გარსების შევსებაზე, ატომთა ზომებზე და მათ უნარზე, მიიზიდონ ელექტრონები.


შეავურ-ტუტოვანი კლასიფიკაციის უპირატესობანი გამოიხატება იმაში, რომ მას საფუძვლად დაედო კათიონთა დამოკიდებულება მუავებობა და ტუტებობა, ამფოტერობა, კომპლექსურმოქმნა და სხვა თვისებები. ამასთან, ჯგუფობრივ რეაქტივად არ გამოიყენება გოგირდწყალბადი და ანალიზიც უფრო სწრაფად მთავრდება.

იონთა ანალიზური კლასიფიკაცია განსხვავდება ელექტრობისგან პერიოდულ სისტემაში, მაგრამ არ შეიძლება მას ვუწოდოთ ხელოვნური, რადგანაც მის საფუძველში დევს გარკვეული კანონზომიერებანი, რომლებიც კავშირშია ნაერთობა სსნადობასთან, ოქსიდთა შეავურ-ფუძურ თვისებებთან. რადგანაც იონთა თვისებები მეტწილად განპირობებულია მათი ელექტრონული კონფიგურაციით, ამიტომ იონთა ანალიზურ კლასიფიკაციაში ერთსა და იმავე ჯგუფში ხშირად გვხვდება პერიოდების სხვადასხვა ჯგუფებში მდებარე ელექტრო იონები.

## თავი VI. წყლის იონური ნამრავლი. ბუფერული სისტემები

### VI.1. წყლის იონიზაციის თერმოდინამიკური კონსტანტა

სუფთა წყალი, რომელიც არ შეიცავს მინარევებს, ხასიათდება მცირე ელექტროგამტარობით, რადგანაც მისი მოლეკულები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იშლებიან იონებად. წყალი ტიპიური ამფოტერული ელექტროლიტია:



მჟავა ფუძე მჟავა ფუძე

მაშასადამე, წყალბადის იონი წყალსნარში არსებობს პიდროქსონიუმის იონის სახით, მაგრამ ჩანაწერის გამარტივების მიზნით, წერენ არა  $H_3O^+$ -ს, არამედ  $H^+$ -ს, ე.ი.



წყლის იონიზაცია შექცევადი პროცესია, ამიტომ თუ მას მივუყენებთ მმკ-ს, შეიძლება წყლის იონიზაციის კონსტანტას გამოთვლა:

$$\frac{a_{H^+} \times a_{OH^-}}{a_{H_2O}} = K_a, \quad \text{სადაც: } K_a - \text{არის წყლის იონიზაციის თერმოდინამიკული კონსტანტა.}$$

ექსპერიმენტულად ნაპოვნია, რომ როცა  $t = 25^\circ C$ ,  $K_a = 1,8 \times 10^{-16}$ . წყლის 1 ლიტრი შეიცავს:  $1000 : 18 = 55,5$  მოლს, ანუ  $[H_2O] = 55,5$  მოლი/ლ. აქედან იონებად დისოცირდება წყლის მოლეკულების უმნიშვნელო რაოდენობა: ყოველი 555 მილიონი მოლეკულიდან – მხოლოდ ერთი. ე.ი. იონიზირებული  $H^+$ -ის და  $OH^-$ -იონების კონცენტრაცია ძალზე მცირება, იგი შეადგენს  $1 \times 10^{-7}$  გ-იონი/ლ. წყლის დანარჩენი რაოდენობა იმყოფება არაიონიზირებული მოლეკულების სახით. რადგანაც არაიონიზირებული მოლეკულების კონცენტრაცია 555 მილიონით აღემატება იონიზირებული მოლეკულების რიცხვს, ამიტომ  $a_{H_2O}$  ითვლება მუდმივ სიდიდედ.

წყლის იონიზაციის კონსტანტას ტოლობა შეიძლება შემდეგნაირად გარდაიქმნას:

$$a_{H^+} \times a_{OH^-} = K_a \times a_{H_2O} = 1,8 \times 10^{-16} \times 55,5 = 1 \times 10^{-14}.$$

წყალბად- და ჰიდროქსილ-იონების აქტივობების ნამრავლი მუდმივი სიდიდეა, განაწილდება წყლის იონური ნამრავლი, აღინიშნება  $K_{H_2O}$  და  $t = 25^{\circ}C$  -ზე იგი ტოლია  $1 \times 10^{-14}$ . რადგანაც  $[H^+]$  და  $[OH^-] = 1 \times 10^{-7}$  გ-იონი/ლ, ამიტომ მათი აქტივობები პრაქტიკულად მათი კონცენტრაციების ტოლია:  $a_{H^+} \times a_{OH^-} = [H^+] \times [OH^-] = 1 \times 10^{-14}$ , როცა  $t = 25^{\circ}C$ .

მაშასადამე, სუფთა წყლისთვის და ძლიერ განზავებული ელექტროლიტებისთვის  $[H^+]$  და  $[OH^-]$  -იონების კონცენტრაციების ნამრავლი პრაქტიკულად ტოლია წყლის იონური ნამრავლისა:

$$[H^+] \times [OH^-] = K_{H_2O}$$

წყლის იონიზაცია ენდოთერმული პროცესია, ამიტომ ლე-შატელიეს პრინციპის თანახმად, ტემპერატურის გაზრდით იონიზაციის წონასწორობა გადაინაცვლებს წყლის წარმოქმნის მხარეს და  $K_{H_2O}$  იზრდება, ხოლო ტემპერატურის შემცირებით –  $K_{H_2O}$  მცირდება.  $[H^+]$  და  $[OH^-]$  უკუპროპორციულად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, მაგრამ არასოდეს არ არიან 0-ის ტოლი:  $[H^+] = \frac{K_{H_2O}}{[OH^-]}$  და  $[OH^-] = \frac{K_{H_2O}}{[H^+]}$ .

ნეიტრალურ ხსნარებში:  $[H^+] = 1 \times 10^{-7}$  გ-იონი/ლ;

მჟავა ხსნარებში:  $[H^+] > 1 \times 10^{-7}$  გ-იონი/ლ;

ტუტე ხსნარებში:  $[H^+] < 1 \times 10^{-7}$  გ-იონი/ლ.

## VI.2. წყლის იონური ნამრავლი. წყალბადის მაჩვენებელი – pH და ჰიდროქსილის მაჩვენებელი – pOH

ხსნარების მჟავიანობის გამოსახვა  $[H^+]$  -ით იწვევს გარკვეულ უხერხულობას, რადგანაც მისი სიდიდე ძალიან მცირება და შეადგენს  $1 \times 10^{-7}$ , ანუ 0,0000001-ს, ამიტომ წყალბად-იონის კონცენტრაციის გამოსახვისათვის, სარგებლობენ წყალბადის მაჩვენებლით, ანუ pH-ის სილიდით.

pH-ის სიმბოლო წარმოდგება ორი ლათინური სიტყვის პირველი ასოებისგან: **Pondus-მაჩვენებელი; Hydrogenium-წყალბადი.**

**pH** - არის წყალბად-იონების კონცენტრაციის გამომსახველი რიცხვის უარყოფითი ათობითი ლოგარითმი:

$$pH = -\lg[H^+] = \lg \frac{1}{[H^+]}$$

ნეიტრალური ხსნარებისთვის:  $pH = -\lg 10^{-7} = 7$ .

როცა მცირდება  $[H^+]$ , მაშინ pH იზრდება და პირიქით. რაც უფრო მაღალია pH, მით უფრო ტუტეა ხსნარი.

როგორც ცნობილია, წყლის იონური ნამრავლი ტოლია:

$$[H^+] \times [OH^-] = 10^{-14} \quad (1)$$

(1) განტოლების გალოგარითმებით მივიღებთ:  $\lg[H^+] + \lg[OH^-] = \lg 10^{-14}$  (2)

$$\lg[H^+] + \lg[OH^-] = -14 \quad (3)$$

-14 რომ გავხადოთ დადებითი რიცხვი, (3) განტოლების ყველა წევრი გავამრავლოთ -1  $\cdot$  10<sup>-9</sup>, მივიღებთ:  $-\lg[H^+]-\lg[OH^-] = 14$  (4)

$-\lg[OH^-]$ -არის  $[OH^-]$ -ის უარყოფითი ათობითი ლოგარითმი, მას ეწოდება ჰიდროქსილის მაჩვენებელი და აღინიშნება pOH სიმბოლოთი.

$$\text{მაშასადამე: } pOH = -\lg[OH^-] = \lg \frac{1}{[OH^-]}$$

ჩავსვათ pH-ის და pOH-ის სიმბოლოები (4) ტოლობაში:

$$pH + pOH = 14 \quad (5)$$

(5) განტოლებას გააჩნია დიდი მნიშვნელობა ხსნარების რეაქციის დასახასიათებლად, კერძოდ:

თუ  $pH = 7$ , მაშინ  $pOH = 7$  და ხსნარი ნეიტრალურია;

თუ  $pH < 7$ , მაშინ  $pOH > 7$  და ხსნარი მჟავაა;

თუ  $pH > 7$ , მაშინ  $pOH < 7$  და ხსნარი ტუტეა.

### VI.3. თანაფარდობა წყალბად-იონის კონცენტრაციას, pH-სა, pOH-სა და ხსნარის რეაქციას შორის

ცხრილი 7

№	ძლიერი მჟავას კონცენტრაცია (გ-ექგ/ლ)	1 10 <sup>-1</sup> 10 <sup>-2</sup> 10 <sup>-3</sup>	10 <sup>-4</sup> 10 <sup>-5</sup> 10 <sup>-6</sup>	10 <sup>-7</sup>	— — —	— — —
1	ძლიერი ტუტის კონცენტრაცია (გ-ექგ/ლ)	— — — —	— — —	10 <sup>-7</sup>	10 <sup>-6</sup> 10 <sup>-5</sup> 10 <sup>-4</sup>	10 <sup>-3</sup> 10 <sup>-2</sup> 10 <sup>-1</sup>
2	$[H^+]$ (გ-იონი/ლ)	1 10 <sup>-1</sup> 10 <sup>-2</sup> 10 <sup>-3</sup>	10 <sup>-4</sup> 10 <sup>-5</sup> 10 <sup>-6</sup>	10 <sup>-7</sup>	10 <sup>-8</sup> 10 <sup>-9</sup> 10 <sup>-10</sup>	10 <sup>-11</sup> 10 <sup>-12</sup> 10 <sup>-13</sup> 10 <sup>-14</sup>
3	ხსნარის pH	0 1 2 3	4 5 6	7	8 9 10	11 12 13 14
4	ხსნარის pOH	14 13 12 11	10 9 8	7	6 5 4	3 2 1 0
5	ხსნარის რეაქცია	მჟავა	სუსტი მჟავა	ნე-იტ-რა-ლუ-რი	სუსტი ტუტე	ტუტე

## VI.4. ხსნარების pH-ის განსაზღვრის მეთოდები

თვისებით ანალიზში ხსნარების pH-ს საზღვრავენ სხვადასხვა მეთოდებით, რომელთა შორის უმარტივესია **ინდიკატორული მეთოდი**. ძირითადად იყენებენ 5 ინდიკატორს, რომლებიც იცვლიან ფერს pH-ის სხვადასხვა ინტერვალებში (ცხრილი 8):

ცხრილი 8

ინდიკატორი	pH მუდა გარემოში და ინდიკატორის ფერი	pH ტუტე გარემოში და ინდიკატორის ფერი
მეთილნარინჯი	3,1 – ვარდისფერი	4,4 – ნარინჯისფერი
მეთილის წითელი	4,4 – წითელი	6,2 – ყვითელი
ლაქმუხი	5,0 – წითელი	8,0 – ლურჯი
ფენოლის წითელი	6,8 – ყვითელი	8,0 – წითელი
ფენოლფტალეინი	8,0 – უფერო	10,0 – ჟოლოსფერი

ხსნარების pH-ის დასადგენად, ხშირად სარგებლობენ **უნივერსალური ინდიკატორით**, რომელიც შედგება 5 ნივთიერების ნარევისგან: 1) დიმეთილამინოაზობენ-ზოლი; 2) ბრომთიმოლი; 3) მეთილის წითელი; 4) ფენოლფტალეინი; 5) თიმოლფტალეინი. pH-ის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ინდიკატორი იღებს სხვადასხვა ფერს (ცხრილი 9):

ცხრილი 9

### უნივერსალური ინდიკატორის ფერის ცვლილება pH-ის სხვადასხვა ინტერვალში

pH	ინდიკატორის ფერი
1	შინდისფერი
2	მოვარდისფრო-მოწითალო
3	ნარინჯისფერ-მოწითალო
4	ნარინჯისფერი
5	მოყვითალო-ნარინჯისფერი
6	მოყვითალო-ლიმონისფერი
7	მომწვანო-მოყვითალო
8	მწვანე
9	მომწვანო-მოლურჯო
10	იისფერი

უნივერსალური ინდიკატორი გამოიყენება ხსნარის ან ინდიკატორული ქაღალდის სახით. ქაღალდის შეკვრაზე წარმოდგენილია ფერადი სკალა, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ ფერს იღებს ინდიკატორი სხვადასხვა pH-ის დროს. ამისათვის ინდიკატორული ქაღალდის ზოლზე დაიტანებ საკვლევი ხსნარის 1 წვეთს, რომელიც შედებავს მას. მიღებულ ფერს შეადარებენ სკალაზე არსებულ ფერებს და ვიზუალურად ადგენენ ხსნარის pH-ს 1-დან 2-მდე სიზუსტით.

pH-ის ზუსტი რაოდენობრივი განსაზღვრისათვის იყენებენ პოტენციომეტრებს და ლაბორატორიულ pH-მეტრებს, რომელთაც გავეცნობით ანალიზის ინსტრუმენტალური მეთოდების განხილვისას.

## VI.5. ბუფერული სისტემები და მათი ქიმიური შედგენილობა

ანალიზური რეაქციების ჩატარებისას, ხშირ შემთხვევაში (მაგალითად, დალექტის რეაქციებში), საჭირო ხდება საანალიზო ხსნარში  $H^+$ -იონების ან  $OH^-$ -იონების კონცენტრაციის გარკვეული სიდიდის შენარჩუნება. მაგალითად, ხსნარის განზავებისას ან მასზე მუნაკავის ან ტუტის დამატებისას, საჭირო ხდება  $pH$ -ის სიდიდის შენარჩუნება.

**ბუფერული ეწოდება ხსნარებს, რომელთა  $pH$  არ იცვლება მათზე ძლიერი მუნაკავის ან ძლიერი ტუტის მცირე რაოდენობის მიმატებით, ან მცირედი განზავებით.**

ბუფერული ხსნარები წარმოადგენენ ელექტროლიტთა ნარევებს, რომლებიც შეიცავენ ერთსახელიან იონებს.

**ბუფერული ხსნარების ქიმიური შედგენილობა შემდეგია:**

- 1) სუსტი მუნაკავის და მათი მარილების ნარევი;
- 2) სუსტი ფუძეებისა და მათი მარილების ნარევი;
- 3) მრავალფუძიანი მუნაკავის მარილთა ნარევი (ცხრილი 10).

**ცხრილი 10**

### ზოგიერთი ბუფერული ნარევის ქიმიური შედგენილობა


სახელწოდება, თანაფარდობა 1 : 1	ქიმიური შედგენილობა	pH	გამოყენების ზოგიერთი შემთხვევა
ფორმიატული	$HCOOH+HCOONa$	3,80	ZnS-ის დალექტისას
აცეტატური	$CH_3COOH+CH_3COONa$	4,70	$Ba^{2+}$ -ის $Cr_2O_7^{2-}$ -ით დალექტისას
ფოსფატური	$NaH_2PO_4+Na_2HPO_4$	6,60	ჟანგვა-აღდგენით რეაქციებში
ამიაკური	$NH_4OH+NH_4Cl$	9,25	$Al(OH)_3$ -ის დალექტისას

## VI.6. ბუფერული მოქმედების ქიმიური მექანიზმი


**რაში მდგომარეობს ბუფერული მოქმედების ქიმიური მექანიზმი?**

**I ავხსნათ ეს აცეტატური ბუფერული ნარევის მაგალითზე:**


თუ აცეტატურ ბუფერზე დავამატებთ ძლიერი მუნაკავი მცირე რაოდენობას ( $HCl$ ,  $H_2SO_4$ ,  $HNO_3$ ), სისტემის  $pH$  არ შეიცვლება, რადგანაც ხსნარში მომატებული  $H^+$ -იონები შეიძობება  $CH_3COONa$ -ით და მიიღება მცირედ დისოცირებული სუსტი მუნაკავა-ძმარმუავა:




ხოლო თუ სისტემაზე დავამატებთ ძლიერი ტუტის მცირე რაოდენობას, ბუფერული ნარევის  $pH$  მაინც არ შეიცვლება, რადგანაც ხსნარში მომატებული  $OH^-$ -იონები შეიძობება ძმარმუავით და წარმოიქმნება წყალი (სუსტი ელექტროლიტი):



2) თუ საქმე გვაქვს ამიაკურ ბუფერთან და ამ სისტემაზე დავამატებთ ძლიერი მჟავას მცირე რაოდენობას, ხსნარში მომატებულ  $H^+$ -იონებს შებოჭავს  $NH_4OH$ , მიმდინარეობს ნეიტრალიზაციის რეაქცია და ხსნარის pH არ შეიცვლება:



ხოლო თუ სისტემაზე დავამატებთ ძლიერი ტუტის მცირე რაოდენობას, ხსნარში მომატებულ  $OH^-$ -იონებს შებოჭავს  $NH_4Cl$ , მიდის რეაქცია მარილსა და ძლიერ ტუტებს შორის, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება სუსტი ფუძე და ხსნარის pH არ შეიცვლება:



თუ ბუფერულ ხსნარებზე დავამატებთ ძლიერი მჟავას ან ძლიერი ტუტის მნიშვნელოვან როდენობას, სისტემის pH უცვლელი არ დარჩება.

**განსაზღვრული კონცენტრაციის მჟავას ან ტუტის იმ რაოდენობას, რომელიც ბუფერული ნარევის 1 ლიტრზე დამატებისას, ცვლის ნარევის pH-ს ერთი ერთეულით, ბუფერული ტემპერატურაზე გადადგება.**

ბუფერული ნარევები გამოიყენება ანალიზურ ქიმიაში მრავალ დალექცისა და ფერად რეაქციაში. გარდა ამისა, ისინი ფართოდ გვხვდებიან მცენარეულსა და ცხოველურ ორგანიზმებში (სისხლი, ლიმფა), ნიადაგში (ნიადაგის ხსნარი), გარემოში (ზღვის წყალი) და ა.შ. ბუფერული ხსნარები უზრუნველყოფენ pH-ის მუდმივობის შენარჩუნებას ნიადაგში, ზღვის წყალში, ცოცხალ ორგანიზმებში, ბიოლოგიურ ხსნარებში.

## თავი VII. მოქმედ მასათა კანონი და ჰითეროგენული პროცესები


### VII.1. წონასწორობა სისტემაში: ნალექი-ნაჯერი ხსნარი. ხსნადობის ნამრავლი

თვისებით ანალიზში ხშირად ვსარგებლობთ დალექცისა და ნალექის გახსნის რეაქციებით, ამიტომ საჭიროა გავერკვეთ, რას ნიშნავს “ხსნადობის ნამრავლის” ცნება.

**განვიხილოთ მაგალითი:**

$BaSO_4$ -ის მცირედხსნადი მარილი მავათავსოთ წყლიან ჭიქაში. მარილის წყალთან შეხებისას, დაიწყება მისი გახსნის პროცესი, რომლის მექანიზმი მდგომარეობს შემდეგში:  $Ba^{2+}$  და  $SO_4^{2-}$ -იონები, რომლებიც იმყოფებიან  $BaSO_4$ -ის კრისტალური მესრის ზედაპირულ ფენაში, მიიზიდავენ წყლის დიპოლურ მოლეკულებს და გადავლენ წყალხსნარში პიდრატირებული იონების სახით. როცა პიდრატირებული იონები დაგროვდებიან ხსნარში, ისინი დაეჯახებიან კრისტალური ნალექის ზედაპირს, მიიზიდებიან საწინააღმდეგოდ დამუხტული იონების მიერ, განიცდიან დეპიდრატაციას და დაილექტრიზაციას.

**ამრიგად, დალექცის პროცესი შექცევადია, რადგანაც მისი თანმხლები პროცესი – გახსნა:**



ამ ორი პროცესის მიმდინარეობისას, მყარდება დინამიური წონასწორობა, რომლის დროსაც იონთა დალექვის სიჩქარე ტოლი ხდება ნალექის გახსნის სიჩქარისა. **წონასწორობის დამყარების მოძენება ში მიიღება ნაჯერი ხსნარი.** ჰეტეროგენულ სისტემებში მიმდინარე პროცესებისათვის დამახასიათებელია ის, რომ გახსნილი ნივთიერებისა და ნალექის კრისტალებს შორის შეჯახებანი მიმდინარეობს მხილოდ ორი ფაზის შემხებ ზედაპირზე და არა მორეაგირე ნივთიერებების მოელ მასაში.

რადგანაც გახსნისა და დალექვის პროცესები დინამიურ წონასწორობაში არიან ერთმანეთთან, მათ შეიძლება მიგუყენოთ მოქმედ მასათა კანონი, რომლის მიხედვით:

მყარი ნივთიერების გახსნის სიჩქარე –  **$V_1$**  პირდაპირ პროპორციულია მყარი სხეულის ზედაპირის სიდიდისა:

$$V_1 = k_1 \times P, \text{ სადაც:}$$

**$k_1$**  – არის პროპორციულობის კოეფიციენტი, ანუ გახსნის სიჩქარის კონსტანტა;

**P** – არის მყარი ფაზის ზედაპირის სიდიდე.

წონასწორობის დამყარებისას და მუდმივი ტემპერატურის დროს, **P** შეიძლება ჩავთვალოთ მუდმივ სიდიდე, რომელიც რიცხობრივად 1 - ის ტოლია, მაშინ:  **$V_1 = k_1$** . ეს იგი გახსნის სიჩქარე დამოკიდებულია მხილოდ გასახსნელი ელექტროლიტის ბუნებაზე.

იონთა დალექვის სიჩქარე პროპორციულია მყარი ფაზის ზედაპირისა, იონთა კონცენტრაციისა და ხსნარში იონთა მოძრაობის სიჩქარისა. რადგანაც  **$P = 1$** , ამიტომ დალექვის სიჩქარე დამოკიდებულია იონთა კონცენტრაციასა და იონთა მოძრაობის სიჩქარეზე (ანუ იონთა აქტივობებზე):

$$V_2 = k_2 \times a_{Ba^{2+}} \times a_{SO_4^{2-}}$$

წონასწორობის დამყარებისას,  **$V_2 = V_1$** , მაშასადამე,

$$k_2 \times a_{Ba^{2+}} \times a_{SO_4^{2-}} = k_1$$

მეორენაირად ეს ტოლობა შეიძლება ასე ჩავწეროთ:

$$a_{Ba^{2+}} \times a_{SO_4^{2-}} = \frac{k_1}{k_2}$$

მუდმივი ტემპერატურის დროს,  **$k_1$**  და  **$k_2$**  მუდმივი სიდიდებია, ამიტომ მათი შეფარდებაც მუდმივი სიდიდე იქნება. თუ ფარდობას  $\frac{k_1}{k_2}$  აღვნიშნავთ ხსნადობის ნამრავლით (ხ6), მაშინ ჩაიწერება:  $a_{Ba^{2+}} \times a_{SO_4^{2-}} = \text{ხ6 } BaSO_4$

**ხსნადობის ნამრავლი** – ეწოდება ძნელადხსნადი ელექტროლიტის იონთა აქტივობების ნამრავლს, რომელიც მუდმივ ტემპერატურაზე წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს, აღინიშნება სიმბოლოთი ხ6 და ინდექსად მიეწერება იმ ელექტროლიტის ფორმულა, რომელზეცაა ლაპარაკი. თუ იონთა აქტივობების მნიშვნელობებს შევცვლით მათი კონცენტრაციებით, მაშინ ძნელადხსნადი ბინარული ელექტროლიტისათვის ხსნადობის ნამრავლის ზოგადი ფორმულა შემდეგნაირად ჩაიწერება: **[A] × [B] = ხ6<sub>AB</sub> = const.**

თუ ელექტროლიტი შედგება დადებითად და უარყოფითად დამუხტული იონების თითო ატომისგან, მაშინ ამ ელექტროლიტის **ხ6** ტოლია მისი შემადგენელი იონების კონცენტრაციების ნამრავლისა: **ხ6<sub>AB</sub> = [A<sup>+</sup>] × [B<sup>-</sup>]**.

თუ ელექტროლიტი შედგება იონთა ორი ან მეტი რიცხვისაგან, მაშინ **ხ6** ტოლია ყველა იონის კონცენტრაციების ნამრავლისა:

$$\text{ხ6}MgNH_4PO_4 = [\text{Mg}^{2+}] \times [\text{NH}_4^+] \times [\text{PO}_4^{3-}].$$

თუ ელექტროლიტი შედგება ერთსახელიანი იონების ორი ან მეტი ატომისგან, მაშინ **ხ6** – ის ფორმულაში ატომთა რიცხვები აიყვანება შესაბამის ხარისხში, მაგ:

$$\text{b} \text{b}_{Pb_3(PO_4)_2} = [\text{Pb}^{2+}]^3 \times [\text{PO}_4^{3-}]^2.$$

**არანაჯერ ხსნარში** ელექტროლიტის იონთა იონური ნამრავლი ნაკლებია ხსნადობის ნამრავლზე, ამიტომ არანაჯერ ხსნარში ნალექი გადავა ხსნარში მანამდე, ვიდრე იონური ნამრავლი გაუტოლდებოდეს **ბ** -ის.

**ნაჯერ ხსნარში** ელექტროლიტის იონთა იონური ნამრავლი ტოლია **ბ** -ის.

**ზენაჯერ ხსნარში** ელექტროლიტის იონთა იონური ნამრავლი მეტია **ბ** -ზე, ამიტომ ზენაჯერ ხსნარში ნალექი წარმოიქმნება უფრო ადრე, ვიდრე იონური ნამრავლი გაუტოლდება ხსნადობის ნამრავლს.

## VII.2. დალექვა და გახსნა ქიმიურ ანალიზში

ქიმიური ანალიზის ერთ-ერთ ძირითად ოპერაციას წარმოადგენს ხსნარიდან ნალექის გამოყოფა. მაგალითად, მიმოცვლის ორეაქციებში ფართოდ გამოიყენება ნალექის გამოყოფა და ამ რეაქციების საშუალებით შეიძლება ნაერთები დავყოთ კათიონებისა და ანიონების ცალკეულ ჯგუფებად, ან გამოყოთ ნარევიდან ცალკეული იონები.

**ხსნარიდან მყარი ფაზის გამოყოფის პროცესს ეწოდება დალექვა, ხოლო მყარ ფაზას – ეწოდება ნალექი.** ნალექს გამოყოფება ან ფილტრაციით, ან ცენტრიფუგირებით. გამოყოფის შემდეგ კი ადგენენ ნალექის შედგენილობას.

**კერძა ნალექი იყოფა ორ ტიპად:**

1. კრისტალური ნალექი;
2. ამორფული ნალექი.

**რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?**

– კრისტალური ნალექის კრისტალებს გააჩნიათ მკაცრად ინდივიდუალური ფორმა, რომელიც კარგად ჩანს მიკროსკოპში, მსხვილი კრისტალები ადვილად შესამჩნევია თვალითაც;

– კრისტალური ნალექის დაქუცმაცების შემდეგაც, მისი ნამსხვრევები ინარჩუნებენ იმავე შინაგან სტრუქტურას და კრისტალურ მესერს;

– კრისტალური ნალექი უფრო სწრაფად ილექტბა;

– კრისტალური ნალექი უფრო ადვილად გამოიყოფა გაფილტვრით;

– ამორფული ნალექის სტრუქტურა მიკროსკოპის ქვეშაც არ შეინიშნება, რადგანაც მისი შემადგენელი ნივთიერების მოლეკულები განლაგებული არიან უწესრიგოდ და არ წარმოქმნიან არავითარ კრისტალურ მესერს;

– ამორფული ნალექი არის ფაშარი, იგი ძნელად დასალექია და ასევე ძნელად გამოიყოფა გაფილტვრით;

– ამორფული ნალექი ძნელად ირეცხება;

**ნალექი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

1) უნდა იყოს მცირედ ხსნადი;

2) უნდა იყოს კრისტალური, მსხვილმარცვლოვანი, ადვილად უნდა ირეცხებოდეს და ჩქარა უნდა იფილტრებოდეს;

3) არ უნდა შეიცავდეს მინარევებს დამუშავების დროს;

4) ნალექი არ უნდა გადადიოდეს კოლოიდურ მდგომარეობაში შენახვის, გაფილტვრის და გარეცხვის შემდეგ;

5) ნალექი არ უნდა იცვლიდეს შედგენილობას ჰაერთან შეხებისას.

**ნალექის წარმოქმნისას მიმდინარეობს ორი პროცესი:**

ა) იონების გადასვლა ხსნარში სოლვატაციის, ანუ ჰიდრატაციის ენერგიის ხარჯზე;

ბ) საპირისპიროდ მიმდინარეობს იონების მოლეკულებად წარმოქმნის პროცესი, რომელიც ხორციელდება ნივთიერების კრისტალური მესრის ენერგიის ხარჯზე.

რაც უფრო დიდია კრისტალური მესრის ენერგია, მით უფრო ადვილად და სრულად ხდება ნალექის წარმოქმნა. მაგალითად, **KCl**-ის კრისტალური მესრის ენერგია შეადგენს 163,2 კკალ/მოლს, ხოლო ჰიდრატაციის ენერგია – 159 კკალ/მოლს. რადგანაც სხვაობა მათ

შორის შეადგენს 4,2 კპალ/მოლს, ამიტომ  $\text{KCl}$ -ის გახსნა მიმდინარეობს გარემოდან სითბოს შთანთქმით, ესე იგი პროცესი ენდოთერმულია. ასევეა ნიტრატებისთვისაც. სხვა სურათი შეინიშნება  $\text{AgCl}$ -ის გახსნის შემთხვევაში, რადგანაც მისი კრისტალური მესრის ენერგია ტოლია 212 კპალ/მოლის, ხოლო ჰიდრატაციის ენერგია – 188 კპალ/მოლის. ამიტომ  $\text{AgCl}$ -ის კრისტალური ნალექი ადვილად წარმოიქმნება, თუ  $\text{Ag}^+$ -ის შემცველ რომელიმე მარილის სხარის შევურევთ  $\text{Cl}^-$ -ის შემცველ რომელიმე მარილის სხართან.

**დალექვა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე:** ა) ნალექის შემადგენლობაში შემავალი კათიონებისა და ანიონების თვისებებზე; ბ) სხარის კონცენტრაციაზე; გ) ტემპურატურაზე; დ) pH-ზე; ე) სხარის იონურ ძალაზე; ვ) თანდალექვის პროცესებზე.

ნივთიერების სხადობა დამოკიდებულია ჰიდრატაციის ენერგიასა და კრისტალური მესრის ენერგიებს შორის სხვაობაზე:

**თუ  $E_{\text{ჰიდრატ.}} > E_{\text{კრისტ.}}$  – გახსნის პროცესი ეგზოთერმულია;**

**თუ  $E_{\text{ჰიდრატ.}} < E_{\text{კრისტ.}}$  – გახსნის პროცესი ენდოთერმულია.**

თუ სითბოს რაოდენობას, რომელიც საჭიროა 1 მოლი ნივთიერების კრისტალური მესრის დასაშლელად, აღვნიშნავთ  $Q_p$ , ხოლო სითბოს რაოდენობას, რომელიც გამოიყოფა 1 მოლი ნაწილაკის ჰიდრატაციისას, აღვნიშნავთ  $Q_c$ , მაშინ 1 მოლი ნივთიერების გახსნის სითბო:  $Q_{\text{სხადობის}} = Q_c - Q_p$ .

სხვადასხვა ნივთიერებების სხადობის სითბო სხვადასხვაა. მაგალითად,  $\text{NaCl}$ -ის წყალში გახსნისას  $Q_{\text{სხადობის}} = Q_c = Q_p$ .

$\text{KNO}_3$ -ის წყალში გახსნისას, ტემპერატურა მკვეთრად ეცემა, რადგანაც  $Q_c < Q_p$ .

ხოლო  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ის,  $\text{KOH}$ -ის წყალში გახსნისას ტემპერატურა მკვეთრად იზრდება, რადგანაც  $Q_c > Q_p$ .

არაორგანული და ორგანული მჟავების უმრავლესობა კარგად სხადებია, გამონაკლისია მხოლოდ:  $\text{H}_2\text{SiO}_3$ ;  $\text{H}_2\text{SnO}_3$ ;  $\text{H}_2\text{SbO}_3$ .

უველა ფუძე მცირედ სხადია, გამონაკლისია მხოლოდ ტუტები.

სხადობის მიხედვით, მარილები იყოფა ორ ჯგუფად:

ა) ძლიერი მჟავას მარილები, როგორც წესი, კარგად სხადებია, გამონაკლისია მხოლოდ:  $\text{BaSO}_4$ ;  $\text{PbSO}_4$ ;  $\text{AgCl}$ ;  $\text{AgBr}$ ;  $\text{AgI}$  და სხვ.;

ბ) სუსტი მჟავას მარილები, როგორც წესი, მცირედ სხადებია, გამონაკლისია მხოლოდ:  $\text{Li}^+$ -ის,  $\text{Na}^+$ -ის,  $\text{K}^+$ -ის,  $\text{Rb}^+$ -ის,  $\text{Cs}^+$ -ის მარილები, აგეთვე ნიტრიტები და აცეტატები.

ქიმიური შედგენილობის გარდა, სხადობაზე გავლენას ახდენს: რეაქციის მიმდინარეობის პირობები; მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაცია; ტემპერატურა.

თუ ნივთიერების რაოდენობა, რომელიც გადადის სხარში დროის გარკვეულ ერთეულში, ტოლია ნივთიერების რაოდენობისა, რომელიც ამავე დროის ერთეულში გამოიყოფა მეტ ფაზაში, ასეთ სხარს ეწოდება ნაჯერი სხარი, ხოლო პროცესს ეწოდება გაჯერება. ნაჯერი სხარის კონცენტრაცია მოცემულ ტემპერატურაზე არის მუდმივი სიდიდე.

თუ სხარის კონცენტრაცია მოცემულ ტემპერატურაზე უფრო მაღალია, ვიდრე ნაჯერი სხარისა, ასეთ სხარს ეწოდება ზენაჯერი.

სხარებს, რომლებიც შეიცავენ ნივთიერების უფრო ნაკლებ კონცენტრაციას, ვიდრე აუცილებელია გაჯერებისათვის, ეწოდება უნაჯერი სხარები.

დალექვა მიმდინარეობს თანდათანობით. ჯერ წარმოიქმნება ძალიან წვრილი კრისტალები, ანუ კრისტალთა ჩანასახები, რომლებიც თანდათან მსხვილდებიან და წარმოქმნიან უფრო მსხვილ კრისტალებს, ანუ კრისტალთა ჯგუფებს.

დროს, რომელიც საჭიროა სხარების შერევის მომენტიდან წერილი კრისტალების წარმოქმნამდე, ეწოდება ინდუქციური პერიოდი, რომელიც დამოკიდებულია ნალექის ინდივიდუალურ თვისებებზე.

### VII.3. მარილის ეფექტი. წილადური დალექვა

**მარილის ეფექტი – ეს არის მცირებელნადი მარილების ხენადობის ზრდა სისტემი ნალექი  $\Leftrightarrow$  ნაჯერი ხენარი მაშინ, როცა ამ სისტემაზე ემატება ხევა ძლიერი ელექტროლიტები.**


მაგალითად, დადგენილია, რომ  $\text{PbSO}_4$ -ის ხენადობა იზრდება მაშინ, როცა მასთან შეხებაში მყოფ ნაჯერ ხენარს ამატებენ  $\text{KNO}_3$ -ის ან  $\text{NaNO}_3$ -ის ხენარებს.

**მარილის ეფექტის მექანიზმი მდგომარეობს შემდეგ ში:** ძნელადხენადი ელექტროლიტის ნაჯერ ხენარზე ძლიერი ელექტროლიტის დამატებისას, რომელსაც არ გააჩნია ძნელადხენადი ელექტროლიტის მსგავსი იონები, ხენარის იონური ძალა იზრდება. ამის გამო, იონთა აქტივობების კოეფიციენტები მცირდება და ხდება ერთზე ნაკლები. ამის შედეგად, ძნელადხენადი ელექტროლიტის ხენადობა ხდება მეტი ამავე ელექტროლიტის ხენადობის ნამრავლის სიდიდეზე სუფთა წყალში. ამრიგად, მარილის ეფექტი განპირობებულია აქტივობის კოეფიციენტის შემცირებით, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია ხენარის იონური ძალის ზრდით, მასზე გარეშე ელექტროლიტების დამატებისას.

ანალიზურ ქიმიაში ხშირად გამოიყენება ჯგუფობრივი რეაგენტები, რომლებიც ლექავენ ერთდროულად რამდენიმე იონს. როგორ მიმდინარეობს ამ დროს იონთა დალექვა?

**მაგალითი:** მოცემულია ნარევი  $\text{K}_2\text{SO}_4 + \text{K}_2\text{CrO}_4$ , სადაც:  
 $[\text{SO}_4^{2-}] = 1 \times 10^{-1}$  გ-იონი/ლ და  $[\text{CrO}_4^{2-}] = 1 \times 10^{-1}$  გ-იონი/ლ.

თუ ამ ნარევს პატარა ულუფობით დავამატებთ **0,1N**  $(\text{CH}_3\text{COO})_2\text{Pb}$ -ის ხენარს, ტყვიის იონები შეეჯახებიან სულფატ- და ქრომატ-იონებს და მიმდინარეობს შემდეგი რეაქციები:



ამ ორი რეაქციიდან რომელი წავა პირველად?

ხენადობის ნამრავლის მიხედვით, პირველ რიგში წავა რეაქცია, რომლის დროსაც წარმოიქმნება უკელაზე ნაკლებად ხენადი ნივთიერება:

$$\text{b6 } \text{PbSO}_4 = [\text{Pb}^{2+}] \times [\text{SO}_4^{2-}] = 1,6 \times 10^{-8}$$

$$\text{b6 } \text{PbCrO}_4 = [\text{Pb}^{2+}] \times [\text{CrO}_4^{2-}] = 1,8 \times 10^{-14}$$

რადგანაც  $[\text{SO}_4^{2-}] = [\text{CrO}_4^{2-}] = 1 \times 10^{-1}$  გ-იონი/ლ, უნდა ვიპოვოთ  $\text{Pb}^{2+}$ -ის იონის ის უმცირესი კონცენტრაცია, რომელიც აუცილებელია ნალექის წარმოსაქმნელად;

$$[\text{Pb}^{2+}]_{\text{PbSO}_4} = \text{b6 } \text{PbSO}_4 : [\text{SO}_4^{2-}] = (1,6 \times 10^{-8}) : (1 \times 10^{-1}) = 1,6 \times 10^{-7} \text{ გ-იონი/ლ.}$$

$$[\text{Pb}^{2+}]_{\text{PbCrO}_4} = \text{b6 } \text{PbCrO}_4 : [\text{CrO}_4^{2-}] = (1,8 \times 10^{-14}) : (1 \times 10^{-1}) = 1,8 \times 10^{-13} \text{ გ-იონი/ლ.}$$


მივიღეთ, რომ  $[\text{Pb}^{2+}]$ , რომელიც საჭიროა  $\text{PbCrO}_4 \downarrow$ -ის წარმოსაქმნელად, თითქმის  $10^6$ -ით ნაკლებია  $[\text{Pb}^{2+}]$ -ზე, რომელიც საჭიროა  $\text{PbSO}_4 \downarrow$ -ის წარმოსაქმნელად. ამიტომ, პირველ რიგში, წავა  $\text{PbCrO}_4 \downarrow$ -ის წარმოქმნის რეაქცია, რადგანაც **б6**  $\text{PbCrO}_4$  მიიღწევა უფრო ადრე, ვიდრე **б6**  $\text{PbSO}_4$ .

## VII.4. მნელადხსნადი ელექტროლიტების გადაყვანა სხვა მნელადხსნად ელექტროლიტებში

მნელადხსნადი ელექტროლიტების გარდაქმნა სხვა მნელადხსნად ელექტროლიტებში შეიძლება აიხსნას ხსნადობის ნამრავლიდან გამომდინარე.


### მაგალითი 1:

კოქათ, გვაქვს წონასწორული სისტემა:




თუ ამ სისტემაზე დავამატებთ  $\text{KCl}$ -ის ჭარბ რაოდენობას და შევანჯლრევთ, შევნიშნავთ, რომ  $\text{Ag}_2\text{CrO}_4 \downarrow$ -ის აგურისფერ-წითელი ნალექი გარდაიქმნება  $\text{AgCl} \downarrow$ -ის თეთრ ხაჭოსებრ ნალექად. ამის მიზეზი მდგომარეობს შემდეგ ში:  $\text{Ag}_2\text{CrO}_4 \rightarrow \text{Ag}^+$   $\text{KCl}$ -ის დამატებისას,  $\text{Ag}^+$ -ის კათონები შეეჯახებიან  $\text{Cl}^-$ -ის ანიონებს, რადგანაც:  $\text{K}^+ \text{AgCl} = 1,78 \times 10^{-10}$ , ხოლო  $\text{K}^+ \text{Ag}_2\text{CrO}_4 = 1,1 \times 10^{-12}$ , მაშასადამე:  $\text{K}^+ \text{AgCl} > \text{K}^+ \text{Ag}_2\text{CrO}_4$

კროცესი წავა შემდეგნაირად:



### მაგალითი 2:

$\text{CaSO}_4 \downarrow$  უხსნადია მჟავებსა და ტუტეებში, ამიტომ იგი ჯერ გადაჰყავთ სხვა სუსტადხსნად ნაერთში, კერძოდ, კარბონატში, რომელიც ადვილად იხსნება ძმარმჟავაში:



ეს რეაქცია მიღის ადვილად და ბოლომდე მარცხნიდან მარჯვნივ, რადგანაც  $\text{K}^+ \text{CaCO}_3 = 4,8 \times 10^{-9}$  და იგი 5000-ით ნაკლებია  $\text{K}^+ \text{CaSO}_4 = 9,10 \times 10^{-6}$ .


## თავი VIII. თანამედროვე წარმოდგენები მჟავებსა და ფუძეებზე ბრენსტედ-ლოურის პროცენტური თეორიის საფუძველზე

### VIII.1. მჟავებისა და ფუძეების პროცენტური თეორია

სვანტე არენიუსი განიხილავდა მჟავას ისეთ ნივთიერებად, რომელიც დისოციაციის დროს წარმოქმნიდა  $H^+$ -იონებს, ხოლო ფუძეს – ისეთ ნივთიერებად, რომელიც დისოციაციისას წარმოქმნიდა  $OH^-$ -იონებს. არენიუსის ელექტროლიტური დისოციაციის თეორია საფუძვლად დაედო ნეიტრალიზაციის, პიდროლიზის პროცესებს, ბუფერული ხსნარების და წყლის იონიზაციის პროცესის შესწავლას.

ხსნარების ელექტროქიმიის შემდგომმა განვითარებამ დაამტკიცა, რომ არენიუსის თეორია არაუნივერსალური იყო, რადგანაც იგი გამოდგებოდა ელექტროლიტთა წყალსსნარებისათვის, ხოლო არაწყალსსნარებში იგი არ გამოდგებოდა, რადგანაც მჟავა ასეთ გარემოში არ წარმოქმნიდა  $H^+$ -იონებს, ხოლო ფუძე –  $OH^-$ -იონებს.



**განვიხილოთ მაგალითი:**  $HCl$ -ის გახსნა თხევად ამიაკში.



ამრიგად, ამ რეაქციის დროს წყალი არ წარმოიქმნა, ანუ მჟავას განეიტრალებისას ფუძით არ ხდება  $H^+$ -იონების ურთიერთქმედება  $OH^-$ -იონებთან, რაც ეწინააღმდეგება არენიუსის ელექტროლიტური დისოციაციის თეორიას.

ეს ფაქტები, რომლებიც ვერ თავსდებიან არენიუსის ელექტროლიტური დისოციაციის თეორიის საზღვრებში, შეიძლება აიხსნას მჟავებისა და ფუძეების თანამედროვე ფიზიკო-ქიმიური თეორიით, რომელიც ერთდროულად შეიმუშავეს ბრენსტედმა და ლოურიმ 1923 წელს და მას ეწოდება მჟავებისა და ფუძეების პროცენტური თეორია. ეს თეორია სამართლიანია ნივთიერებათა როგორც წყალსსნარებისათვის, ასევე უწყლო ხსნარებისათვის. "პროცენტურის" ხახლწოდება თეორიამ მიიღო იმიტომ, რომ მჟავა-ფუძეური ურთიერთქმედების რეაქციებში ძირითად მორეაგირე იონს წარმოადგენს პროტონი ( $H^+$ ).

პროცენტური თეორიის თანახმად, მჟავა წარმოადგენს ნივთიერებას, რომელიც გახცემს პროტონს ( $H^+$ ), ხოლო ფუძე წარმოადგენს ნივთიერებას, რომელიც მიიღრთებს ამ პროტონს. ბრენსტედ-ლოურის თეორიის თანახმად, მჟავურ-ფუძური პროცესის არსი მდგომარეობს მჟავადან პროტონის გადაცემაში ფუძეზე. რადგანაც თავისუფალი პროტონები ხსნარში არ არსებობენ, ამიტომ მჟავადან მათი მოხლების პროცესი იზოლირებულად კი არ მიმდინარეობს, არამედ ყოველთვის მთავრდება მისი გადაცემით ფუძეზე. ამრიგად, ხსნარში ერთდროულად მიმდინარეობს 2 პროცესი:



არენიუსის ელექტროლიტური დისოციაციის თეორიისაგან განსხვავებით, პროცენტური თეორიის თანახმად, მჟავასა და ფუძის ურთიერთქმედებისას ყოველთვის მიიღება ახალი მჟავა და ახალი ფუძე. ამ ორმაგი პროცენტური წონასწორობის დროს, რეაქციაში მონაწილეობს ფუძეებისა და მჟავების ორი წყვილი. თითოეულ წყვილს ეწოდება "შეუღლებული" მჟავა და ფუძე, რაც იმას ნიშნავს, რომ სუსტ მჟავას შეესაბამება ძლიერი ფუძე და პირიქით. მაგალითად, სუსტ მჟავა –  $CH_3COOH$ -ს შეესაბამება ძლიერი ფუძე –  $CH_3COO^-$ , რომელიც ენერგიულად მიიღრთებს პროტონს, ხოლო ძლიერ ფუძეს –  $NH_3$ -ს შეესაბამება სუსტი მჟავა –  $NH_4^+$ , რომელიც გადასცემს თავის პროტონს მხოლოდ ძლიერ ფუძეს.

### VIII.2. მჟავებისა და ფუძეების კლასიფიკაცია პროტოლიტური თეორიის საფუძველზე

პროტოლიტური თეორიის მიხედვით, გამოყოფებ მჟავების შემდეგ ტიპებს:

1. ელექტრონეიტრალური მჟავები:  $\text{HCl}$ ;  $\text{H}_2\text{SO}_4$ ;  $\text{CH}_3\text{COOH}$ ;  $\text{HNO}_3$ .



2. ანიონური მჟავები, რომლებიც წარმოიქმნებიან მრავალფუძიანი მჟავების იონიზაციის მე-2 ან შემდეგ საფეხურებზე:  $\text{HCO}_3^-$ ;  $\text{HSO}_4^-$ ;  $\text{H}_2\text{PO}_4^-$ ;  $\text{HPO}_4^{2-}$ .




3. კათიონური მჟავები, რომლებიც იშვიათად გვხვდებიან. მათ მიეკუთვნებიან წყალბადის ჰიდრატირებული კათიონები:





პროტოლიტური თეორიის მიხედვით, გამოყოფებ ფუძეთა შემდეგ ტიპებს:

1. ელექტრონეიტრალური ფუძეები:  $\text{NH}_3$ ;  $\text{H}_2\text{O}$ .




2. ანიონური ფუძეები :  $\text{Cl}^-$ ;  $\text{Br}^-$ ;  $\text{I}^-$ ;  $\text{NO}_3^-$ ;  $\text{OH}^-$ ;  $\text{CH}_3\text{COO}^-$ .






მრავალი ნივთიერება თამაშობს ერთდროულად როგორც მჟავას, ასევე ფუძის როლს. ასეთი ორმაგი ბუნების მქონე ნივთიერებებს უწოდებენ ამფოლიტებს, ანუ ამფოტიკულებს. მათ მიეკუთვნება ისეთი პროცესები, როგორებიცაა:  $\text{H}_2\text{O}$ ;  $\text{NH}_3$ , მრავალფუძიანი მჟავების ანიონები:  $\text{HSO}_4^-$ ;  $\text{H}_2\text{PO}_4^-$ .



ამფოტიკულობის გამო, წყალი ექვემდებარება ავტოპროტოლიზს, რომლის დროსაც ერთმანეთთან რეაგირებს წყლის ორი მოლეკულა: ერთი—როგორც მჟავა, მეორე—როგორც ფუძე. თვით გამსხვევის იონიზაციის პროცესი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია ამფოტიკული თვისებები. მაგალითად, წყლის იონიზაციის დროს, მისი ერთი მოლეკულა გასცემს პროტონს და იქცევა, როგორც მჟავა, ხოლო მეორე მოლეკულა მას მიიღოთებს და იქცევა როგორც ფუძე (ასეა ამიაკიც) :




ძლიერი მჟავები სუსტად იმაგრებენ პროტონს და ადვილად გასცემენ მას, ხოლო ძლიერი ფუძეები — ადვილად მიიღოთებენ პროტონს და მნელად გასცემენ მას. მჟავები კარგად იონიზირდებიან იმ შემთხვევაში, თუ გამსხვევი ძნელად გასცემს პროტონს (ძლიერი გამსხვევები), ხოლო ფუძეები კარგად იონიზირდებიან იმ შემთხვევაში, თუ გამსხვევი ადვილად გასცემს პროტონს (სუსტი გამსხვევები).

წყალი მიეკუთვნება ძლიერ გამსხვევის, რომელიც ძნელად გასცემს პროტონს, ამიტომ წყალში ძლიერი მჟავების გასხინისას, ისინი მთლიანად იონიზირდებიან:



ხოლო აცეტონი —  $\text{CH}_3\text{COCH}_3$  და ნიტრობენზოლი —  $\text{C}_6\text{H}_5\text{NO}_2$  სუსტი გამსხვევებია, ამიტომ მათში იონიზირდებიან ფუძეები:




### VIII.3. მჟავურ-ფუძური ურთიერთქმედების მექანიზმი. ლიონიუმის კათიონი და ლიატის ანიონი

იმისათვის, რომ განისაზღვროს, ნივთიერება ფუძეა თუ მჟავა, საჭიროა გათვალისწინება, თუ როგორი სახით მონაწილეობს იგი მჟავურ-ფუძური ურთიერთქმედების რეაქციაში. მჟავურ-ფუძური ურთიერთქმედება – წარმოადგენს ელექტროქიმიურ პროცესს, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება თავისუფალი სოლვატირებული იონები, ან ბმული იონური წყვილები.

მჟავურ-ფუძური ურთიერთქმედებისას, ფუძის მჟავასთან მიერთების, ან გამხსნელის მჟავასთან მიერთების პროცესში წარმოიქმნება მჟავას პროტონის წყალბადური ბმის ხარჯზე.


**პროტონის სოლვატაცია მიმდინარეობს ორ სტადიად:**

1) პროტონი უერთდება გამხსნელის პირველ მოლეკულას დონორულ-აქცეპტორული ბმის მეშვეობით. ამ დროს მიმდინარეობს მიერთების რეაქცია, რომლის დროსაც გამოიყოფა სითბო:



პირველ სტადიაზე წარმოიქმნება ჰიდროქსონიუმის იონი.


2) მიმდინარეობს ჰიდროქსონიუმის იონის შემდგომი ჰიდრატაცია:




ამრიგად, მჟავა ეწოდება ნივთიერებას, რომელიც შეიცავს წყალბადს და მონაწილეობს მჟავურ-ფუძური ურთიერთქმედებაში პროტონის დონორის სახით. ხოლო ფუძე ეწოდება ნივთიერებას, რომელიც მონაწილეობს მჟავურ-ფუძური ურთიერთქმედებაში პროტონის აქცეპტორის სახით.

ესე იგი, მჟავურ-ფუძური ურთიერთქმედების დროს, მიმდინარეობს პროტონის გადაცემა მჟავადან ფუძისკენ, რის შედეგადაც ფუძე პროტონიზირდება და წარმოქმნის ლიონიუმის კათიონს, ხოლო მჟავა ანიონიზირდება და წარმოქმნის ლიატის ანიონს.


**ლიონიუმის კათიონი – ეწოდება მჟავას ან გამხსნელის პროტონის მიერთების პროცესში ფუძესთან:**



**ლიატის ანიონი – ეწოდება გამხსნელის მიერ პროტონის გაცემის შედეგად წარმოქმნილ პროცესში:**



**მაგალითად:**



3) მჟავურ-ფუძური ურთიერთქმედების ბოლო სტადია მჟავას წყალბადური ბმის ხარჯზე, მჟავასა და ფუძის ურთიერთქმედების პროცესში წარმოქმნა. ეს პროცესში იონური წყვილები.

### VIII.4. მჟავურობის და ფუძურობის კონსტანტები. მჟავებისა და ფუძეების ძალისმიერი მაჩვენებელი

პროტოლიტური თეორიის მიხედვით, მჟავებისა და ფუძეების სიძლიერეს გამოსახავენ წონასწორობის კონსტანტებით, რომელთაც ეწოდება მჟავურობის კონსტანტა- $K_A$  (acid-მჟავა) და ფუძურობის კონსტანტა- $K_B$  (base-ფუძე).

ზოგადად ეს რეაქციები შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:



მჟავა ფუძე



ფუძე მჟავა

“შეუდლებული” მჟავებისა და ფუძეებისათვის ეს ტოლობები შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:



მჟავა ფუძე



ფუძე მჟავა

$$K_A \times K_B = \frac{[H_3O^+] \times [A^-]}{[HA]} \times \frac{[HA] \times [OH^-]}{[A^-]} = [H_3O^+] \times [OH^-]$$

ესე იგი:  $K_A \times K_B = K_{H_2O}$

მჟავურობის და ფუძურობის კონსტანტების ნამრავლი, “შეუდლებული” მჟავებისა და ფუძეების შემთხვევაში, ტოლია წყლის იონური ნამრავლისა. წონასწორობის კონსტანტას გამოსახავენ ძალისმიერი მაჩვენებლით –  $pK$ , რომელიც წონასწორობის კონსტანტას უარყოფითი ათობითი ლოგარითმია:  $pK = -\lg K$ .

$$\text{მაგალითად, } pK_{CH_3COOH} = -\lg(1,74 \times 10^{-5}) = -\lg 1,74 - \lg 10^{-5} = 4,76.$$

$pK$  გვიჩვენებს მჟავასა და ფუძის სიძლიერეს. რაც უფრო მეტია  $pK$ , მით უფრო ადვილად იშლება მჟავა  $H^+$ -იონად და ანიონად. ყოველთვის ძლიერ მჟავას შეესაბამება სუსტი “შეუდლებული” ფუძე და ანალოგიურად, ძლიერ ფუძეს შეესაბამება სუსტი “შეუდლებული” მჟავა.

### III ნაწილი

## თავი IX. რაოდენობითი ანალიზის თეორიული საფუძვლები

### IX.1. რაოდენობითი ანალიზის საგანი, ამოცანები და მეთოდები

**რაოდენობითი ანალიზის საგანია** – იმ მეთოდების შესწავლა და ათვისება, რომლებიც საშუალებას იძლევიან განისაზღვროს ნივთიერების რაოდენობრივი შედგენილობა.

**რაოდენობითი ანალიზის ამოცანაა** – ქიმიურ ელემენტთა (ან მათი ჯგუფების) რაოდენობითი განსაზღვრა ნაერთებში. რაოდენობითი ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა განსაზღვრების ჩატარება, მაგალითად: თანაფარდობის დადგენა ელემენტთა მასებს შორის, რომლებიც შედიან რთული ნივთიერებების შედგენილობაში (მარილების მჟავების და სხვა.); ხსნარში ნივთიერების რაოდენობის განსაზღვრა; ნივთიერებათა ნარევში შემავალი ელემენტების კონცენტრაციის დადგენა (მაგალითად, ნახშირბადისა და წყალბადის შემცველობისა ნავთობში); ამა თუ იმ კომპონენტის რაოდენობის განსაზღვრა არაერთგვაროვან ნივთიერებაში (წიაღისეულში, მინერალებში, სასუქებში).

**რაოდენობითი ანალიზის მეთოდები იყოფა 3 ჯგუფად:**

1. ქიმიური;
2. ფიზიკური;
3. ფიზიკურ-ქიმიური.

**ქიმიურ მეთოდებს** – მიეკუთვნება:

- ა) გრავიმეტრული (წონითი) ანალიზი;
- ბ) ტიტრიმეტრული (მოცულობითი) ანალიზი;
- გ) გაზური ანალიზი.

**გრავიმეტრული ანალიზის** საფუძველს წარმოადგენს საკვლევი კომპონენტის რაოდენობის განსაზღვრა მისი გამოყოფის გზით ძნელადებსნადი ნალექის სახით, შემდგომ წონიან ნალექს და მისი მასის მიხედვით გამოთვლიან საძიებელი კომპონენტის რაოდენობას. გრავიმეტრული ანალიზი თავის საწყისს მ.ვ.ლომონოსოვიდან იღებს. ეს ზუსტი მეთოდია, მაგრამ გააჩნია შეზღუდული პრატიკული გამოყენება, რადგანაც პრაქტიკულად უსსნადი არაორგანული ნაერთების რიცხვი მცირეა. ამ მიმართულებით დიდი როლი ითამაშა ორგანული ნაერთების გამოყენებამ დამლექავების სახით. ამ დარგში უდიდესი დვაწლი მიუძღვის ლ.ა.ჩუგაევს, ი.პ.ალიმარინს, ი.მ.კორემანს, ვ.ი.კუზნეცოვს, ლ.მ.კულბერგს, რომლებმაც გამოიყენეს ორგანული რეაგენტები დალექვის რეაქციებში.

**ტიტრიმეტრული ანალიზის** საფუძველს წარმოადგენს ორი ხსნარის მოცულობის განსაზღვრის ნიადაგზე ნივთიერების კონცენტრაციის დადგენა. ამ ორი ხსნარიდან ერთის კონცენტრაცია ცნობილია – მას ეწოდება **ტიტრიანი (სტანდარტული) ხსნარი**. ხსნარს, რომლის კონცენტრაცია უცნობია – ეწოდება **საანალიზო ხსნარი**. საანალიზო ხსნარი იტიტრება სტანდარტულით და რეაქციის დასრულების მომენტს არკვევენ ინდიკატორების მეშვეობით. ტიტრიმეტრული ანალიზის (ნეიტრალიზაციის მეთოდის) განვითარება დაკავშირებულია გ.მ.სევერგინის, ნ.ა. მენშუტკინის, ლ.ა.ჩუგაევის, ნ.ა.შილოვის, ნ.ა.ტანანავის ნაშრომებთან.

**გაზური ანალიზი** დაფუძნებულია საკვლევი გაზისებრი ნივთიერებების მოცულობების გაზომვაზე. საკვლევი სინჯის მოცულობის დადგენას ახდენენ ან მყარი და თხევადი შთანმთქმელების მიერ მისი შთანთქმის შემდეგ, ან გაზთა ნარევის დაწვის შემდეგ. გაზთა ნარევის რაოდენობის მიხედვით, რომელიც აღებულია საანალიზოდ, გაზური ანალიზი იყოფა: მაკრო- (100მლ გაზი), ნახევრადმიკრო- (2-10მლ) და მიკრომეთოდებად (1მლ).

**ფიზიკური მეთოდები** დაფუძნებულია ნივთიერების რომელიმე ფიზიკური თვისების გაზომვაზე. მაგალითად, სპექტრალური ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს ელემენტის კონცენტრაცია ატომთა უნარის მეშვეობით, გამოასხივონ “აღგზნებულ” მდგომარეობაში (მაგალითად გახურებისას) გარკვეული სიგრძის ტალღის (მონოქრომატული) გამოსხივება, რომლის მიხედვით მსჯელობები ნივთიერების არსებობისა და მისი რაოდენობის შესახებ. ამ მეთოდის მეშვეობით შესაძლებელი გახდა 1868წ. მზეზე პელიუმის აღმოჩენა, რომელიც დედამიწაზე აღმოაჩინეს მხოლოდ 1895 წელს.

**ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები** დაფუძნებულია ქიმიურ რეაქციებზე, რომელთა მიმდინარეობისას ხდება ხსნარის ფიზიკური თვისების შეცვლა (მაგალითად, ელექტროგამტარობის, შეფერვის ინტენსივობის). ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები იყოფა 3 ჯგუფად:

- ა) ელექტროქიმიური;
- ბ) ოპტიკური;
- გ) ქრომატოგრაფიული.

**ელექტროქიმიური მეთოდები, თავის მხრივ, იყოფა შემდეგ სახეობებად:**

1. ელექტრომონითი მეთოდი, რომელსაც საფუძველად უდევს ელექტროლიზი, ანუ ელექტროდენიო ელექტროდზე ნივთიერების გამოყოფა;
2. ელექტრომოცულობითი მეთოდი, რომლის დროსაც საანალიზო ხსნარს უმატებენ რეაქტივის ხსნარს და ექვივალენტობის წერტილში ზომავენ ელექტროდის პოტენციალს.

ელექტრომოცულობითი მეთოდის სახეობებია: პოტენციომეტრია, კონდუქტომეტრია, კულონომეტრია, ამპერომეტრია, პოლაროგრაფია.

**ოპტიკური მეთოდი** – დაფუძნებულია შთანთქმული, გამოსხივებული და გაფანტული სპექტრების გამოკვლევაზე.

თავის მხრივ, ოპტიკური მეთოდის სახეობებია: კოლორიმეტრია, ფოტოკოლორიმეტრია, ნეფელომეტრია, ტურბიდიმეტრია, სპექტროფოტომეტრია, რეფრაქტომეტრია, ემისიური სპექტრული ანალიზი.

**ქრომატოგრაფიული მეთოდი** – დაფუძნებულია საანალიზო ნარევის გატარებაზე ადსორბენტით შევსებულ ქრომატოგრაფიულ სვეტში, სადაც ადსორბენტი სელექტიურად (შერჩევით) შთანთქავს ნარევის ცალკეულ კომპონენტებს, რომლებიც დაიღეს ქრომატოგრაფიული სვეტის სხვადასხვა სიმაღლეზე.

ბერძნულად: **Chroma** - ნიშნავს ფერს, **grapho** - ვწერ. მიღებულ ფერად სურათს ეწოდება ქრომატოგრამა. თუ კეთდება უფერული ნაერთების ქრომატოგრაფიული ანალიზი, მაშინ საჭირო ხდება საანალიზო ნარევში შემავალი კომპონენტების შემდგომი იდენტიფიკაცია (გამჟღავნება).

თავის მხრივ, ქრომატოგრაფიული ანალიზი იყოფა შემდეგ სახეობებად:

- ა) ადსორბციული;
- ბ) იონმიმოცვლითი;
- გ) დალექციო;
- დ) გამანაწილებელი.

## IX.2. რაოდენობითი ანალიზის ჩატარების პირობები

იმისათვის, რომ რაოდენობითი ანალიზის შედეგები იყოს ზუსტი და სწორი, საჭიროა მისი ჩატარების **რიგი პირობების დაცვა**:

- ა) უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ანალიზური რეაქციის სწორად შერჩევა, რომლის მეშვეობითაც ხდება რაოდენობითი ანალიზის ჩატარება;
- ბ) საჭიროა ანალიზური ოპერაციების ჩატარება მეთოდიკაში მითითებული მოთხოვნების და პირობების სრული დაცვით;

- გ) ქიმიური ჭურჭლისადმი წაყენებული მოთხოვნების დაცვა;  
 დ) რეაქციის შედეგების განსაზღვრის სანდო ხერხების გამოყენება.

**ანალიზური (ქიმიური) რეაქციების მიმართ წაყენებულია შემდეგი მოთხოვნები:**

1. რეაქცია უნდა მიღიოდეს ბოლომდე, ანუ იყოს სტექიომეტრული;
  2. ანალიზურ რეაქციებს უნდა გააჩნდეთ საკმაოდ სანდო და მდგრადი ანალიზური ეფექტი, რომელიც ადვილად ფიქსირდება;
  3. რაოდენობითი ტიტრიმეტრული ანალიზის ჩატარებისას, აუცილებელია ისეთი რეაგენტების ხსნარების გამოყენება, რომელთაც გააჩნიათ ზუსტი კონცენტრაცია;
  4. რაოდენობითი ანალიზის ყველა ოპერაცია ჩატარდეს მაქსიმალური აკურატულობით, ანუ დანაკარგების გარეშე;
  5. რაოდენობითი განსაზღვრების შედეგები უნდა დამუშავდეს მათემატიკურად.
- რაოდენობითი ანალიზის მგრძნობიარობის, სიზუსტის და სელექტიურობის ასამაღლებლად, არსებობს სხვადასხვა მეთოდები, კერძოდ:
- ქიმიური მეთოდები – რომელთაც მიეკუთვნება ექსტრაცია, დალექვა, თანდალექვა; ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები – რომელსაც მიეკუთვნება ქრომატოგრაფია; ფიზიკური მეთოდები – მიეკუთვნება გადადენა, დისტილაცია.

### IX.3. რაოდენობითი ანალიზის შეცდომები

რაოდენობითი ანალიზის ჩატარებისას წარმოიშობა მთელი რიგი შეცდომები, რომლებიც ამცირებენ ანალიზის შედეგების სიზუსტეს. ასეთ შეცდომებს მიეკუთვნება:

#### 1. აწონვის და აზომვის შეცდომები

მაგალითად, ანალიზური სასწორის სიზუსტე შეადგენს 0,0001-ს.

პიპეტისა და ბიურეტის სიზუსტე შეადგენს 0,02-0,03 სმ<sup>3</sup>-ს, ამიტომ მათზე მუშაობისას, ასაზომი ხსნარების მოცულობა სასურველია იყოს 20სმ<sup>3</sup> ან მეტი;

2. ქიმიური შეცდომები – მათ მიეკუთვნება გატიტვრის შეცდომები, რომელთა შესამცირებლად გატიტვრას ატარებენ არანაკლებ 3-ჯერ და იყენებენ საკონტროლო ცდას, რომელსაც ატარებენ მსგავს პირობებში, მაგრამ საკვლევი ნივთიერების გარეშე. ტიტრაციის მოცულობას, რომელიც დაიხარჯა საკონტროლო ცდის გატიტვრაზე, გამოაკლებენ ანალიზის შედეგს. გატიტვრას ახდენენ წვეთობით, რათა არ მოხდეს საანალიზო ხსნარის გადატიტვრა.

#### 3. სისტემატური და შემთხვევითი შეცდომები

შემთხვევითი შეცდომების შესამცირებლად, ანალიზის შედეგებს ამუშავებენ მათემატიკურად.

#### 4. აბსოლუტური და ფარდობითი შეცდომები (იხ. თავი 1.3)

## IX.4. რაოდენობითი ანალიზის ჭურჭელი, ხელსაწყოები და აპარატურა

რაოდენობითი ანალიზის ჩასატარებლად გამოიყენება:

- 1) საერთო; 2) საზომი; 3) საეციალური დანიშნულების ჭურჭელი, ხელსაწყოები და აპარატურა.

### საერთო დანიშნულების ჭურჭელის მიეკუთვნება:

- ა) **სინჯარები** (ცილინდრული და კონუსური -ცენტრიფუგის) – გამოიყენება მცირე მოცულობის ანალიზის ჩასატარებლად. მათი მოცულობა შეადგენს 5-20 მლ-ს;
- ბ) **ქიმიური ძაბრები** (მინის ან პლასტმასის) – მათ იყენებენ ხელსაწყოების გადასასხმელად ან გასაფილტრავად;
- გ) **ქიმიური ჭიქები** – მათი მოცულობაა 50 მლ-დან 2 ლ-მდე;
- დ) **კოლბები** – მრგვალირა, ბრტყელირა (მათ შორის, ერლენმეიერის), მათი მოცულობა 50 მლ-დან რამდენიმე ლიტრამდეა. მათ იყენებენ გატიტვრის ჩასატარებლად ან ხელსაწყოების გასაცხელებლად;
- ე) **საწვეთური** – მისი მოცულობა 8-14 მლ-ია, მას ძირითადად იყენებენ ინდიკატორების ხელსაწყოების შესანახად;
- ვ) **მინის წკირები** – მათი დიამეტრი 4-6 მმ-ია, წკირით ურევენ ხელსაწყოების ფილტრზე.

### საზომი ჭურჭელის მიეკუთვნება:

- ა) **საზომი ცილინდრები** – მათი მოცულობა 10მლ-დან 2ლ-მდეა, გამოიყენება ხელსაწყოების მოცულობის ასაზომად;
- ბ) **საზომი მენტურები** – მათი მოცულობა 50 მლ-დან 500მლ-მდეა, გამოიყენება პროცენტული ხელსაწყოების მოსამზადებლად;
- გ) **საზომი კოლბები** – მათი მოცულობა 50 მლ-დან 2ლ-მდეა. გამოიყენება ზუსტი კონცენტრაციის ხელსაწყოების დასამზადებლად;
- დ) **ქიმიური პიპეტები** (გრადიურებული, ანუ დანაყოფებიანი და არაგრადუირებული, ანუ მორის) – მათი მოცულობა 1-100 მლ-მდეა;
- ე) **ქიმიური ბიურეტები** – გამოიყენება გატიტვრის ჩასატარებლად. მათი მოცულობა 25-100 მლ-ია. თოთოეული დანაყოფის ფასია – 0,1 მლ. ბიურეტებს გააჩნიათ მორის მომჰერი ან მინის ონგანი. ბიურეტეს ამაგრებენ მეტალურ შტატივზე, ხელსაწყოების 0-ვან დანაყოფამდე და ბიურეტის ცხვირს ავსებენ. მიკროანალიზის ჩასატარებლად იყენებენ მიკრობიურეტს, რომლის დანაყოფის ფასია 0,01 მლ.

### საეციალური დანიშნულების ჭურჭელის და მოწყობილობას მიეკუთვნება:

- ა) **საშრობი კარადა** – გამოიყენება ჭურჭლის, სხვადასხვა მასალის, ბიუქსების გასაშრობად.
- ბ) **მუფელის ელექტროლუმელი** – გამოიყენება ნალექების გამოსაწვავად, ნივთიერების შესალღობად, მისი ტემპერატურა  $800^{\circ}\text{C}$  - მდეა;
- გ) **წყლის აბაზანა** – მისი ტემპერატურა  $<100^{\circ}\text{C}$ -ზე, გამოიყენება ადვილადაქროლადი ნივთიერების გასახურებლად;
- დ) **ქვიშის აბაზანა** – მისი ტემპერატურა  $200-250^{\circ}\text{C}$ , მასზე აორთქლებენ დუღილის მაღალი ტემპერატურის ქვინებს სითხეებს;
- ე) **მინის ბიურეტები** (პატარა მოცულობის ჭიქები მილესილი თავსახურით) – გამოიყენება ჰიგროსკოპული ან აქროლადი ნივთიერებების შესანახად;
- ვ) **ჩამრეცხი კოლბა** – გამოიყენება ნალექიანი ხელსაწყოების გადასატანად ფილტრზე, მათ ჩასარეცხად, მოცულობა – 250-500 მლ-ია.
- ზ) **ფაიფურის ჯამები** – გამოიყენება სითხეთა ასაორთქლებლად მშრალ ნაშთამდე;
- თ) **ფაიფურის ტიგელები** – მათში ხდება ნალექების გამოწვა. ტიგელებს ახურებენ მუფელის ღუმელში, გადააქვთ მაშების საშუალებით;

- ე) კრისტალიზაცორი** – ცილინდრული ფორმის სქელკედლიანი მინის ჭურჭელია, რომელიც გამოიყენება ხსნარებიდან ნივთიერებათა გამოსაკრისტალებლად და ამ კრისტალთა გასაზრდელად;
- ჟ) ექსიკაცორი** – სქელკედლიანი მინის ჯამი მილესილი თავსახურით, რომელსაც გაზელინს უსვამენ ვაკუუმის შესაქმნელად. ექსიკაცორის შუა ნაწილში იმყოფება ნახვრეტებიანი ფაიფურის სადგამი, რომლის ქვემოთ მოთავსებულია წყალწამრობელი ნივთიერება. ექსიკაცორს იყენებენ გამომწვარი ტიგელების, გამომშრალი ბიუქსების გასაცივებლად, პიგროსკოპიული ნივთივთიერების შესანახად;
- ღ) ბიუხნერის ძაბრი და ბუნზენის კოლბა** – გამოიყენება ხსნარების გასაფილტრად ვაკუუმის პირობებში.

### ხელსაწყოები და აპარატურა

- ა) სასწორები** (ბერანჟეს, სააფთიაქო, ანალიზური);
- ბ) ხელის ცენტრიფუგა და ელექტროცენტრიფუგა;**
- გ) ელექტროლიზის ჩასატარებელი ხელსაწყო;**
- დ) pH- მეტრი (პოტენციომეტრი);**
- ე) პოლაროგრაფი;**
- ვ) კონდუქტომეტრი;**
- ზ) რეფრაქტომეტრი;**
- თ) კოლორიმეტრი;**
- ი) ფოტოკოლორიმეტრი;**
- კ) ალური ფოტომეტრი;**
- ღ) ქრომატოგრაფი;**
- მ) ატომური აბსორბციომეტრი.**

## IX.5. რაოდენობითი ანალიზის ძირითადი ოპერაციები

**1. აწონება** – მას აწარმოებენ ანალიზურ სასწორზე. ამისათვის ტექნიკურ ან სააფთიაქო სასწორზე წონიან ნივთიერების საჭირო რაოდენობას 0,01 გ სიზუსტით, ათავსებენ წინასწარ აწონილ ცარიელ ბიუქსში ან საათის მინაზე. აქროლად ნივთიერებებს და სითხეს წონიან სახურავიან ბიუქსში. ბიუქსს ან საათის მინას წონაკთან ერთად მაშების მეშვეობით ათავსებენ სასწორის მარცხენა თევზზე, ამ დროს სასწორის არეტირი იმყოფება ჩაკეტილ მდგომარეობაში. საწონებს დებენ მარჯვენა თევზზე პინცეტის მეშვეობით, იწერენ აწონების მონაცემებს. აწონებას ახდენენ არანაკლებ 3-ჯერ.

### სასწორზე მუშაობის წესები:

1. სასწორზე დაუშვებელია იმაზე მეტი წონაკის დადება, ვიდრე მითითებულია მის უდელზე;
2. ასაწონ საგნებს უნდა გააჩნდეთ ოთახის ტემპერატურა;
3. ასაწონ ნივთიერებებს ათავსებენ სპეციალურ ჭურჭელში (ბიუქსში, საათის მინაზე, ტიგელში);
4. ასაწონი საგანი თავსდება სასწორის მარცხენა თევზზე, წონაკი – მარჯვენაზე;
5. ყოველი აწონის წინ და შემდეგ არეტირი უნდა იმყოფებოდეს ჩაკეტილ მდგომარეობაში;

6. სასწორის ნულოვანი წერტილი მოწმდება ყოველი აწონის წინ და შემდეგ;
7. სასწორი არ უნდა დაბინძურდეს, უნდა იყოს დაცული დარტმებისაგან,
8. სასურველია ერთი და იგივე სასწორით და წონაკებით სარგებლობა.

**2. აზომება.** ხსნარების მოცულობას რაოდენობითი ანალიზში ზომავენ მოცულობითი ამზომველების – ბიურეტების, პეპეტების, კოლბების, საზომი ცილინდრების მეშვეობით. საანალიზო ხსნარისა და ტიტრანტის მოცულობა საჭიროა აიზომოს 0,01–0,02სმ<sup>3</sup> სიზუსტით. გატიტვრისას საჭიროა გამოყენებული იქნას სტანდარტული ხსნარები, რომელთა კონცენტრაცია არ აღემატება 0,1 ნორმალობას.

**3. გატიტვრა** – მას აწარმოებენ ბიურეტიდან, რომელიც შევსებულია სტანდარტული ხსნარით ნულოვან ნიშანებაზამდე. ბიურეტის შევსება ხდება ძაბრიდან. ბიურეტს წინასწარ ჩარეცხავენ ჯერ დისტილირებული წყლით, შემდეგ – ტიტრანტით. საანალიზო ხსნარს აზომავენ პიპეტით, ათავსებენ კონუსურ კოლბაში, უმატებენ 3-4 წვეთ ინდიკატორს და ტიტრავენ. თავდაპირველად ტიტრანტის უმატებები ბიურეტიდან 1-2 სმ<sup>3</sup> მოცულობით, ამავდროულად, მუდმივად ანჯლრევენ კოლბას. ექვივალენტობის წერტილთან მიახლოებისას ტიტრანტის უმატებები წვეთობით. გატიტვრას ასრულებენ ხსნარის ფერის შემდეგ. გატიტვრას აწარმოებენ 3-ჯერ მაინც. პარალელურად დგამენ საკონტროლო ცდას, სადაც იტიტრება ინდიკატორდამატებული იმავე მოცულობის დისტილირებული წყალი, როგორც საანალიზო ხსნარი. საკონტროლო ცდის შედეგებს გამოაკლებენ ანალიზის შედეგს.

### განასხვავებენ 3 სახის გატიტვრას:

- ა) პირდაპირი გატიტვრა – ამ დროს საანალიზო ხსნარს უმატებენ ტიტრანტის მცირე პორციებს. ექვივალენტობის წერტილს საზღვრავენ ინდიკატორებით ან ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით;
- ბ) უკუგატიტვრა – ამ დროს იყენებენ ორ ტიტრანტს. საანალიზო ხსნარს უმატებენ პირველ ტიტრანტს ჭარბად. ამ დროს საანალიზო ნივთიერებასა და ტიტრანტს შორის მიმდინარეობს რეაქცია, რომლის დასრულების შემდეგ რჩება პირველი ტიტრანტის სიჭარბე და ამ ჭარბ რაოდენობას ტიტრავენ მეორე ტიტრანტით. პირველი ტიტრანტის მოცულობას გამოთვლიან სხვაობით დამატებულ და გატიტრულ მოცულობებს შორის;
- გ) შემცვლელის გატიტვრა – მას იყენებენ მაშინ, როცა პირდაპირი და უკუგატიტვრა შეუძლებელია ან გაძნელებული. ნივთიერებას უმატებებ რომელიმე რეაგენტს, მიმდინარეობს ქიმიური რეაქცია, რომლის დროსაც რაოდენობრივად გამოიყოფა რეაქციის პროდუქტი, რომელსაც ტიტრავენ შესაბამისი სტანდარტული ხსნარით. მაგალითად,  $K_2Cr_2O_7$ -ს საზღვრავენ  $KI$ -ის და  $H_2SO_4$ -ის მიმატებით. ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის შედეგად გამოიყოფა,  $I_2$ , რომელსაც ტიტრავენ  $Na_2S_2O_3$ -ით.

**4) გაფილტვრა** – მას იყენებენ დედა-ხსნარიდან ნალექის გამოსაყოფად. გაფილტვრას აწარმოებენ ქაღალდის ან მინის ფილტრებით, ვაკუუმში ან მის გარეშე. ქაღალდის ფილტრებით გამოყოფენ ამორფულ ნალექებს, მინის ფილტრებით – კრისტალურს. ხსნარი და ნალექი გადააქვთ ფილტრზე მინის წერტილით ნალექიანი ჭურჭელის გამორეცხვას აწარმოებენ გამოხდილ წყლით, ნალექის სრულ გადატანამდე ფილტრზე (დეკანტაციის წესით), შემდეგ აწარმოებენ ნალექის ჩარეცხვას ადვილად აქროლადი ელექტროლიტების ხსნარებით:  $HCl$ ,  $HNO_3$ , ამონიუმის მარილები, ორგანული ნაერთები. ნალექის ჩარეცხვა აუცილებელია მისი პეპტიზაციის, პიდროლიზის, გახსნის თავიდან ასაცილებლად. საჭიროა ნალექის 6-8-ჯერ ჩარეცხვა.

## თავი X. გრავიმეტრული (წონითი) ანალიზი



### X.1. გრავიმეტრული ანალიზის არსი და თეორიული საფუძვლები

**გრავიმეტრული ანალიზის საფუძველის** წარმოადგენს შედგენილობის მუდმივობის კანონი, რომლის მიხედვითაც ნივთიერების შედგენილობაში შემავალი ელემენტების მასათა თანაფარდობა ყოველთვის ერთნაირია. **გრავიმეტრული ანალიზის საფუძველის** წარმოადგენს ასევე ექვივალენტურობის კანონი, რომლის მიხედვითაც რეაქციაში მონაწილე ელემენტთა მასების თანაფარდობა ერთმანეთის მიმართ ყოველთვის მუდმივი და უცვლელია. **გრავიმეტრული ანალიზის არსი მდგომარეობს შემდეგ ში:** საანალიზო სსნარიდან გარკვეული რეაქტივის მეშვეობით ლექავენ პრაქტიკულად უსსნად ნალექს, რომელიც შეიცავს საკვლევ იონს ან ელემეტს. ამ ნალექს ეწოდება **დასაღევები ფორმა.** ნალექის დამუშავების შემდეგ იღებენ გარკვეული შედგენილობის მყარ ნივთიერებას, რომელსაც ეწოდება **ასაწონი ანუ გრავიმეტრული ფორმა.** ამის შემდეგ წონიან ნალექს და გაინგარიშებენ ელემენტთა შემცველობას საანალიზო ნივთიერებაში. მაგალითად, კალციუმის განსაზღვრისას თავდაპირველად მიღებენ დასაღევექ ფორმას  $CaC_2O_4$ , რომელიც გამოწვისას გადადის გრავიმეტრულში - **CaO.**

**მაგალითი:** საჭიროა ვერცხლის შემცველობის გამოთვლა ვერცხლის ნიტრატში.


ამისათვის იღებენ ზუსტ (ანალიზურ) წონაკს –  $AgNO_3$  – 0,2549 გ. სსნიან გამოხდილ წყალში და  $Ag^+$ -იონს ლექავენ  $HCl$ -ით:

$AgNO_3 + HCl \rightarrow AgCl \downarrow + HNO_3$   $AgCl \downarrow$ -არის დასაღევები ფორმა. ნალექს დამუშავების შემდეგ წონიან ანალიზურ სასწორზე. ვთქვათ,  $AgCl$ -ის წონითი ფორმის მასამ შეადგინა 0,2148 გ. პოულობენ ვერცხლის მასას ნალექში:



$$x = \frac{0,2148 \cdot 107,9}{143,35} = 0,1617 \text{ გ } Ag$$

მაშასადამე, 0,2549 გ  $AgNO_3$  შეიცავს 0,1617 გ  $Ag$ -ს. შემდგომ პოულობენ ვერცხლის პროცენტულ შემცველობას  $AgNO_3$ -ში:



$$x = \frac{0,1617 \cdot 100}{0,2549} = 63,44 \text{ გ } Ag \text{ ანუ } 63,44\% \text{ Ag.}$$

#### ასაწონი ფორმისადმი წაყენებული მოთხოვნები:

- 1) მისი შედგენილობა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ქიმიურ ფორმულას;
- 2) უნდა იყოს ქიმიური მდგრადი, არ უნდა შთანთქავდეს ჰაერის  $CO_2$ -ს, წყლის ორთქლს, არ უნდა იქანგებოდეს ჰაერის ჟანგბადით, არ უნდა იშლებოდეს მაღალ ტემპერატურაზე;
- 3) საკვლევი ელემენტის შემცველობა წონით ფორმაში უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე, რადგანაც ამ შემთხვევაში აწონვის ცდომილებანი ნაკლებად იმოქმედებენ ანალიზის შედეგებზე.

### **დამლექავისადმი წაყენებული მოთხოვნები:**

1. მან უნდა წარმოქმნას საკვლევ კომპონენტთან უმცირესი ხსნადობის ნალექი;
2. სასურველია იყოს აქროლადი, სპეციფიური;
3. დამლექავის რაოდენობა დამოკიდებულია საანალიზო ნივთიერების სიდიდეზე. კრისტალური ნალექის მასა არ უნდა აღემატებოდეს 0,5გ-ს, ამორფულის – 0,2-0,3გ-ს.

### **ნალექის ფორმასა და სტრუქტურაზე მოქმედი ფაქტორები:**

1. კონცენტრაციის გადიდება იწვევს ამორფული ნალექის გადასვლას ლაბისებრი ფორმიდან გაცილებით მკვრივ ნალექში;
2. ტემპერატურის ზრდა აჩქარებს კრისტალური მესრის ჩამოყალიბებას, აგრეთვე აფერხებს კრისტალიზაციის პირველ სტადიას.
3. დალექვის თანმიმდევრობა, სიჩქარე, ნალექის დაყოვნების დრო;
4. ხსნარში სხვა ელექტროლიტების არსებობა ხელს უწყობს კოლოიდური ხსნარების გამკვრივებას.

### **აქტან გამომდინარე, ნალექის ხელსაყრელი ფორმის მისაღებად,**

#### **აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა:**


1. დალექვა ვაწარმოოთ შედარებით განზავებული ხსნარებიდან;
2. დალექვა ვაწარმოოთ ცხელი ხსნარებიდან;
3. დამლექავის მიმატება ვაწარმოოთ თანდათანობით, მუდმივი მორევით, რათა ერთმანეთთან ურთიერთმოქმედი იონების კონცენტრაცია არ იყოს ძალიან მაღალი;
4. ნალექის ხსნადობის ხელშემწყობი ნივთიერებების დამატება (მაგალითად, HCl-ის – BaSO<sub>4</sub>-თან). ამ შემთხვევაში იზღუდება კრისტალიზაციის პირველი სტადია;
5. მიღებული ნალექები გარკვეული დროით უნდა დაყოვდნენ (ნალექების “მომწიფება”), ამ დროს წვრილი კრისტალები იხსნებიან, ხოლო მსხვილი კრისტალები – იზრდებიან.

### **დახალექი ფორმისადმი წაყენებული მოთხოვნები:**

1. მცირე ხსნადობა – არაუმეტეს  $1 \cdot 10^{-7} - 1 \cdot 10^{-8}$  მოლი/ლ;
2. ნალექი უნდა იყოს მსხვილკრისტალური;
3. დახალექი ფორმა შედარებით იოლად და სრულად უნდა გარდაიქმნას წონით ფორმად.

### **ნალექის დაბინძურება და ბრძოლა მასთან**

**ნალექის გამოყოფას გარეშე ნივთიერებებთან ერთად ეწოდება თანდალექვა.** მისი ძირითადი მიზენია – ადსორბცია, რაც იწვევს ნალექის ზედაპირის დაბინძურებას. ადსორბცია შერჩევითი ხასიათისაა. მაგალითად, SO<sub>4</sub><sup>2-</sup>-ის იონს ვლექავთ Ba<sup>2+</sup>-ის იონით (Ba<sup>2+</sup>-ის იონები ჭარბადაა):



ადსორბირებული Ba<sup>2+</sup>-ის იონები, თავის მხრივ, შებოჭავენ საწინააღმდეგო დამუხტულ Cl<sup>-</sup>-ის იონებს მანამ, სანამ არ მოხდება ჭარბი მუხტის განეიტრალება.

#### **თანდალექვა ორი სახისაა:**

- ა) თანდალექილ მინარევები იმყოფებიან ნალექის ზედაპირზე, ამ დროს მათი მოცილება ხდება ჩარგცხვით;
- ბ) თანდალექილი მინარევები ოკლუდირებულია, ანუ დაჭრილია ნალექის შიგნით – მისი ნაწილაკებით. ამ დროს მინარევების ხსნარში გადაყვანა შესაძლებელია მთელი ნალექის გახსნით (გადაკრისტალება).

## X2. ანალიზური სასწორი, საშუალო ნიმუშის და ანალიზური წონაკის აღება

**საშუალო ნიმუში – არის საკვლევი ნივთიერების მცირე ულუფა, რომელშიც ყველა კომპონენტის რაოდენობრივი შემცველობა შევსაბამება მათ შემცველობას საკვლევი ნივთიერების მთელ მასაში. პომოგენურ სისტემებში საშუალო ნიმუშის აღება გაცილებით იოლია, რადგანაც ნივთიერებების შედგენილობა მათ ნებისმიერ მოცულობასა და უბანში ერთნაირია. საშუალო ნიმუში უნდა ინახებოდეს პერმეტულად დახურულ ჭურჭელში. თუ ნივთიერება მყარია, იგი წინასწარ უნდა დაქუცმაცდეს როდინში. მყარი ნივთიერების წონაკს იღებენ საათის მინაზე, თხევადი და აქროლადი ნივთიერებების წონაკს – ბიუქსებში.**

ამჟამად ლაბორატორიებში ყველაზე უფრო გავრცელებულია **დემპფერული ელექტროსასწორები**. სასწორის სვეტს, ზედა ნაწილში ჩამაგრებული პრიზმის მეშვეობით ექრდნობა თანასწორმხრიანი **მხრული**, რომლებზეც “**საყურებების**” მეშვეობით პრიზმებზე დაკიდულია სასწორის **ორი ჯამი**, დრუ ცილინდრის სახის მქონე **საპარო მარეგულირებლებით**. ეს ცილინდრები ერთმანეთშია ჩადგმული და სასწორის რხევას არეგულირებს. მხრეულზე მიმაგრებულია სასწორის **ისარი მიკროსკალით**, რომელიც ოპტიკური სისტემისა და ელექტრონათურის მეშვეობით აირეკლება ეკრანზე. სასწორის მარჯვენა მხარეს დამაგრებულია **თამასა**, რომელზეც დისკოიანი ასაწყობი მოწყობილობით უშვებენ გარკვეული მასის მქონე **რგოლებს**. სასწორზე გრამების ათვლა ხდება სხვადასხვა მასის ანალიზური **ნაირსაწონების** მეშვეობით, ხოლო გრამის მეათედი და მეასედისა – **დისკოიანი ასაწყობი მოწყობილობით** და **რგოლებით**. გრამის მეათასედი და მეათიათასედი წილები ათვლება **100 დანაკოფის მქონე მიკროსკალით**.

არასამუშაო მდგომარეობაში საწონებისა და ტვირთის დადება-აღების ოპერაციების ჩასატარებლად, სასწორის მხრეულს აფიქრებენ სპეციალურ საყრდნებზე **არეტირის** საშუალებით. სასწორს ათავსებენ კაპიტალურ კედლებში ჩამაგრებულ სპეციალურ კონსტრუქციებზე დადგმულ თაროებზე.

საწონები და ასაწონი საგნები შეაქვთ ტიგელის მაშით ან პინცეტის საშუალებით, სასწორის გვერდითი კედლებიდან, დებენ ჯამებზე და იღებენ სასწორის სრული არეტირების დროს. სასწორის ნულოვან წერტილს ამოწმებენ ყოველი აწონვის წინ და შემდეგ. აწონვის დროს ტვირთს ჯერ საწონებით აწონასწორებენ, შემდეგ – რგოლებით. მილიგრამებს და მილიგრამის მეათედს საზღვრავენ მიკროსკალით.

აწონვის დამთავრებისას, საწორს აჩერებენ **საჩერის** მეშვეობით, ჩაიწერენ შედეგს, გადმოიდებენ სასწორის ჯამებიდან საწონებსა და ტვირთს, ასწევენ რგოლებს, გაწმენდენ სასწორის ჯამებს და მიხურავენ სასწორის გვერდითა კარებს.

ანალიზური წონაკის სიდიდე დამოკიდებულია ჩასატარებელ ანალიზურ მეთოდზე: თუ ტარდება გრავიმეტრული ანალიზი და მიიღება ამორფული ნალექები, მაშინ ნივთიერების წონაკი იღება იმ ანგარიშით, რომ გამოწვის შემდეგ წონითმა ფორმამ შეადგინოს 0,07-0,1 გ, კრისტალური ნალექებისათვის – 0,1-0,5 გ, ნივთიერებათა ტენიანობის და ნაცრიანობის განსაზღვრისას – 1-2 გ.

საანალიზო ნივთიერების წონაკი იღება შესაბამისი ჭურჭლით, რომელიც წინასწარ არის აწონილი და დაყვანილი მუდმივ წონამდე.

### X.3. გრავიმეტრული ანალიზის ჩატარების საერთო სქემა და ძირითადი ოპერაციები

**გრავიმეტრული ანალიზის ძირითადი ოპერაციებია:**

1. საშუალო ნიმუშის აღება (კვარტირების მეთოდით);
2. ნიმუშის წონაკის მასის განსაზღვრა;
3. გახსნა;
4. საკვლევი ნივთიერების დაღეჭვა;
5. გაფილტვრა;
6. ნალექის გარეცხვა;
7. გამოშრობა და გამოწვა;
8. გრავიმეტრული ფორმის აწონვა;
9. შედეგების გაანგარიშება.

**წონაკის გახსნა** – მიმდინარეობს ქიმიურ ჭიქაში დისტილირებული წყლით. აუცილებლობის შემთხვევაში ჭიქას ახურებენ აზბექტის ბადეზე ან წყლის აბაზანაზე. თუ ნივთიერება წყალში უხნადია, გამსხველად იყენებენ მინერალურ მჟავებს, სამეფო არაფს (1 წ.6. კონც.  $HNO_3$  + 3 წ.6. კონც.  $HCl$ ), ტუტეებს. მიღებულ ხსნარს ანეიტრალებენ, აცილებენ ხელისშემსლელ ნივთიერებებს და ფილტრავენ.

**დალექვა** - მას ხშირად აწარმოებენ ამიაკის ხსნარით, ამონიუმის მარილებით, აქროლადი კლექტროლიტებით –  $NH_3$ ,  $(NH_4)_2CO_3$ ,  $(NH_4)_2SO_4$ . დალექვის სისრულეს უზრუნველყოფენ იმით, რომ უმატებენ დამლექავის სიჭარბეს.

**ნალექის დამუშავება** - წარმოებს შემდეგნაირად: ნალექს აყოვნებენ მანამ, სანამ ხსნარი მის ზემოთ არ გახდება გამჭვირვალე. შემდეგ დედა ხსნარს მინის წკირის მეშვეობით გადაიტანენ ფილტრზე. ჭიქაში დარჩენილ ნალექს ხელმეორედ ასხამენ ცხელ წყალს და კვლავ მოაცილებენ ნალექს დედა სხნარს. ამ პროცესს დეკანტაცია ეწოდება, რომელსაც იმეორებენ 3-4 – ჯერ, რომლის შემდეგ ფილტრატს ამოწმებენ ჩასარეცხი იონის არსებობაზე. თუ ეს იონი ფილტრატში აღარ აღმოჩნდება, მაშინ ნალექს უმატებენ წყლის ახალ პორციას, ანჯდრევენ და ნალექიან ხსნარს ფილტრავენ. ძაბრს ფილტრიან ქაღალდთან და ნალექთან ერთად აშრობენ კარადაში  $100^{\circ}C$  -ზე, ოდნავ ტენიან ფილტრს და ნალექს გამოიღებენ, აშრობენ ოთახის ტემპერატურაზე. გაცივებულ ნალექიან ფილტრს მოკეცავენ გუნდად და ათავსებენ გამომწვარ და მუდმივ წონამდე დაყვანილ ფაიფურის ტიგელში. ტიგელს ათავსებენ ელექტროქურაზე, სადაც ფილტრი დაიწვება და დანახშირდება. შემდეგ ნალექიან ტიგელს ათავსებენ მუფელის ლუმელში, სადაც ნალექი დანაცრიანდება  $600-800^{\circ}C$  -ზე  $30-50$ -თ-ის განმავლობაში, შემდეგ აცივებენ ექსიკატორში და წონიან. გამოწვას ახდენენ მუდმივ წონამდე დაყვანით, სანამ სხვაობა ორ ბოლო აწონვას შორის არ იქნება  $0,0002 - 0,0003$  გ.

ნალექის წონა = (ნალექიანი ტიგელის წონა – ცარიელი ტიგელის წონა).

**გაფილტვრა** – მას აწარმოებენ მინის ან უნაცრო ფილტრის ქაღალდის მეშვეობით. ფილტრის ქაღალდები განსხვავდებიან სიმკვრივით: მცირე სიმკვრივის – შავი ან წითელლენტიანი, საშუალო სიმკვრივის – თეთრლენტიანი, მაღალი სიმკვრივის – ლურჯლენტიანი. ამორფულ ნალექებს ფილტრავენ მცირე სიმკვრივის ფილტრებში, კრისტალურს – საშუალო და მაღალი სიმკვრივის ფილტრებში.

#### X.4. გაანგარიშებები გრავიმეტრულ ანალიზი

საანალიზო ნივთიერების შემადგენელი ნაწილის განსასაზღვრელად, აუცილებელია ამ ნივთიერების წონაკის ცოდნა, მიღებული ნალექის მასის ცოდნა და მიღებული ნალექის ქიმიური ფორმულის ცოდნა. გრავიმეტრული ანალიზის შედეგებს გამოსახავენ %-ბით საწყისი ნივთიერებებიდან.

ხშირად ნივთიერებათა მასების განსასაზღვრელად გრავიმეტრულ ანალიზი იყენებენ **ანალიზურ მამრავლს** – ეს არის საანალიზო ნივთიერების (**ელემენტის**) მოლეკულური (**ატომური**) მასის შეფარდება ნალექის მოლეკულურ წონასთან (**ასაწონი ფორმა**). გაანგარიშებში მონაწილეობენ როგორც მუდმივი, ისე ცვალებადი სიდიდეები. ცვალებად სიდიდეებს მიეკუთვნება – წონაკის და ნალექის მასები, მუდმივ სიდიდეებს – ატომური და მოლეკულური მასები. მაგალითად ბარიუმის განსაზღვრის დროს გრავიმეტრულ ანალიზი **BaSO<sub>4</sub>**-ის სახით, ანალიზური მამრავლი ტოლია:

$$F = \frac{A_{Ba}}{M_{BaSO_4}} = \frac{137,40}{233,40} = 0,5887,$$

სადაც:  $A$  - არის ბარიუმის ატომური მასა (მუდმივი სიდიდე);  
 $M$  - არის **BaSO<sub>4</sub>**-ის მოლეკულური მასა (ასაწონი ფორმა).

ნივთიერების შემადგენელი ნაწილის განსასაზღვრელად %-ბით, იყენებენ ფორმულას:

$$\frac{P \cdot F}{q} \cdot 100\%, \text{ სადაც:}$$

$q$  – არის საკვლევი ნივთიერების წონაკი;

$P$  – არის გამომწვარი ნალექის მასა;

$F$  – ანალიზური მამრავლი.

მაშასადამე, ბარიუმის პროცენტული შემცველობა ნაერთში  $BaCl_2 \cdot 2H_2O$  გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\% Ba = \frac{P \cdot F}{q} \cdot 100 = \frac{P \cdot 0,5887}{q} \cdot 100$$

ოუ  $P=0,4665$  და  $q=0,4888$ , მაშინ

$$\% Ba = \frac{0,4665 \cdot 0,5887}{0,4888} \cdot 100 = 56,18\%$$

## თავი XI. ტიტრიმეტრული (მოცულობითი) ანალიზი

### XI.1. ტიტრიმეტრული ანალიზის არსი, თავისებურებები, თეორიული საფუძვლები

ტიტრიმეტრული ანალიზი დაფუძნებულია ცნობილი კონცენტრაციის ხენარის (რეაგენტის) მოცულობის გაზომვაზე, რომელიც იხარჯება ქიმიურ რეაქციაზე. აქედან წარმოდგება მეორდის სახელწოდებაც – მოცულობითი. ანალიზი სრულდება შემდეგნაირად: საანალიზო ნივთიერების წონაკიდან მზადდება ხსნარი, რომელსაც წვეორბით უმატებენ ცნობილი კონცენტრაციის რეაგენტის ხსნარს მანამ, სანამ ნივთიერებები მთლიანად არ შევლენ ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში ექვივალენტური რაოდენობებით. რეაქციის დასრულების მომენტს ეწოდება ექვივალენტობის წერტილი. ცნობილი კონცენტრაციის ხსნარს ეწოდება დატიტრული (სტანდარტული) ხენარი. ზუსტი კონცენტრაციის ხსნარის თანდათანობით დამატებას, საანალიზო ხსნარზე ექვივალენტობის წერტილის მიღწევამდე ეწოდება გატიტვრა. გატიტვრაზე დახარჯული სტანდარტული ხსნარის რაოდენობით გამოითვლიან საანალიზო ნივთიერების რაოდენობას ხსნარში და წონაკში. ტიტრიმეტრულ ანალიზში კონცენტრაციას გამოსახვენ რეაგენტის გ-ექვ/ლ, რომელსაც ეწოდება ხსნარის ნორმალობა; ან ხსნარის ტიტრით, ანუ ნივთიერების გ/1მლ ხსნარში.


მოცულობითი ანალიზის სპეციფიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სამუშაო ხსნარების მოსამზადებლად საჭირო რეაქტივები ჰიგროსკოპული და ადვილად აქროლადია, ამიტომ მათგან ძნელია ზუსტი კონცენტრაციის ხსნარების დამზადება. აქედან გამომდინარე, სამუშაო ხსნარების დასამზადებლად იყენებენ მკაცრად განსაზღვრული ქიმიური შედგენილობის ნივთიერებებს, რომელთა ზუსტ ხსნარებს იყენებენ სამუშაო ხსნარის გასატიტრად და მისი ზუსტი კონცენტრაციის დასადგენად.

**გაგალითი:** მოცემულია ორი ხსნარი:

აირველი – **HCl**, რომელიც შეიცავს 0,03604 გ HCl-ს 1 მლ-ში;  
მეორე – უცნობი კონცენტრაციის **NaOH**-ის ხსნარი.

უნდა განისაზღვროს რამდენ გრამ **NaOH**-ს შეიცავს 20 მლ ხსნარი.

ამისათვის კონუსურ კოლბაში ათავსებენ **NaOH**-ის ხსნარის გარკვეულ მოცულობას (20 მლ), უმატებენ 2-3 წვეთ ინდიკატორ მეთილნარინჯს და ტიტრავენ ბიურეტიდან **HCl**-ის ხსნარით მანამ, სანამ ხსნარი არ მიიღებს ნარინჯისფერს. გთქათ, გატიტვრაზე დაიხარჯა 20,70 მლ **HCl**.



თუ 1 მლ **HCl** შეიცავს – 0,03604 გ Cl-ს,

მაშინ 20,70 მლ შეიცავს – X გ.

$$x = 20,70 \cdot 0,03604 = 0,7460 \text{ გ Cl.}$$

რეაქციის მიხედვით, 1 მოლ Cl-ს (36,46 გ) ესაჭიროება 1 მოლი **NaOH** (40 გ). გვოულობთ **NaOH** –ის რაოდენობას:

თუ 36,46 გ **HCl** ანეიტრალებენ – 40 გ **NaOH**-ით

მაშინ 0,7460 გ **HCl** ანეიტრალებს – X გ **NaOH**

$$x = \frac{0,7460 \cdot 40}{36,46} = 0,8184 \text{ გ NaOH}$$

მაშასადამე, 20 მლ **NaOH**-ის ხსნარი შეიცავს 0,8184 გ **NaOH**-ს.

ტიტრიმეტრული განსაზღვრების შედეგების გაანგარიშების საფუძველს  
წარმოადგენს შემდეგი ფორმულა:

$$\mathbf{V} \cdot \mathbf{N} = \mathbf{V}_1 \cdot \mathbf{N}_1,$$

სადაც:  $\mathbf{V}$  – საანალიზო ხსნარის მოცულობაა;

$\mathbf{N}$  – საანალიზო ნივთიერების კონცენტრაციაა, გ-ექვ (უცნობია);

$\mathbf{V}_1$  – სამუშაო ხსნარის მოცულობაა, მლ;

$\mathbf{N}_1$  – სამუშაო ხსნარის კონცენტრაციაა, გ-ექვ (ცნობილია).

### ტიტრიმეტრული ანალიზის უპირატესობანია:

1. სიჩქარე;
2. ოპერაციების სიადგილე;
3. შედეგების საკმაო სიზუსტე.

## XI.2. ტიტრიმეტრული ანალიზის მეთოდები, რეაქციებისადმი წაყენებული მოთხოვნები ტიტრიმეტრიაში


### ტიტრიმეტრულ ანალიზში მიმდინარე რეაქციებისადმი წაყენებული მთავარი მოთხოვნები მდგრმარეობს შემდეგ ში:

- 1) რეაქციის დამთავრების მომენტი (ექვივალენტობის წერტილი) უნდა ისაზღვრებოდეს მკაფიოდ – ან გასატიტრი ხსნარის ფერის შეცვლით, ან მისი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლის (ელექტროგამტარობა, ჟანგვა-აღდღენითი პოტენციალი) შეცვლით;
- 2) არ უნდა მიმდინარეობდეს თანმხლები რეაქციები და წონასწორობა მნიშვნელოვნად გადახრილი უნდა იყოს რეაქციის პროდუქტებისაკენ;
- 3) რეაქციის სიჩქარე უნდა იყოს მაღალი;
- 4) რეაქციაში შესასვლელი ნივთიერების გამოყენება უნდა მოხდეს ზუსტად განსაზღვრული კონცენტრაციის ხსნარის სახით;
- 5) ტიტრიმეტრული ანალიზის შეცდომა არ უნდა აღემატებოდეს 0,3%-ს.

ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, ძალიან მოსახერხებელია ისეთი რეაქციები, რომელთა მიმდინარეობის პროცესში ექვივალენტობის წერტილში იცვლება ხსნარის შეფერილობა. მაგალითად,  $KM_nO_4$ -ის ხსნარს გააჩნია იასამნისფერი. თუ ამ ხსნარს თანდათან დავამატებთ  $Fe(II)$ -ის მარილის შემუავებულ ხსნარს, წარიმართება შემდეგი რეაქცია:  $5Fe^{2+} + MnO_4^- + 8H^+ = 5Fe^{3+} + Mn^{2+} + 4H_2O$ , რომლის დასრულებისას პერმანგანატის ხსნარი გაუფერულდება. მაგრამ, როგორც კი ყველა  $Fe^{2+}$ -ის იონი დაიუანგება,  $KM_nO_4$ -ის ხსნარის პირველივე წვეთი შეფერავს ხსნარს ჟოლოსფრად. ტიტრიმეტრულ ანალიზში ხშირად იყენებენ ნივთიერებებს, რომელთა მცირე რაოდენობით მიმატებისას, ექვივალენტობის წერტილში იცვლება ხსნარის გარეგნული სახე: შეფერილობა, გამჭვირვალობა, ნალექის წარმოქმნა. ამ ნივთიერებებს იხდიკატორები ეწოდება.

### ტიტრიმეტრული ანალიზის მეთოდები შეიძლება დაიყოს 4 ძირითად ჯგუფად:

1. მუკურ-ფუძური გატიტვრის (ნეიტრალიზაციის მეთოდები), რომელთა საფუძველში დევს შემდეგი რეაქციები:



ამ რეაქციებში ექვივალენტობის წერტილი ისაზღვრება ინდიკატორების მეშვეობით, რომლებიც იცვლიან ფერს გარემოს რეაქციის ( $pH$ -ის სიდიდის) მიხედვით. ამ მეთოდებით ისაზღვრება მუკურის, ტუტეების, მარილების კონცენტრაციები;

2. ჟანგვა-აღდღენითი მეთოდები (რეაქციების მეთოდები), რომლიც დაფუძნებულია ჟანგვა-აღდღენით რეაქციებზე სამუშაო ხსნარსა და საკვლევ ნივთიერებას შორის. ამ ჯგუფში შედის:

**ა) პერმანგანატომეტრია** – სამუშაო ხსნარია **KMnO<sub>4</sub>**, იგი არის მჟანგავი, რომლის მეშვეობითაც ისაზღვრება **Fe<sup>2+</sup>, NO<sub>2</sub><sup>-</sup>, CNS<sup>-</sup>**;

**ბ) იოდომეტრია** – მჟანგავის როლში გამოდის **I<sub>2</sub>**, აღმდგენელის როლში კი **I**. ამ მეთოდით ისაზღვრება **KMnO<sub>4</sub>, MnO<sub>2</sub>, Cl<sub>2</sub>, Na<sub>2</sub>SO<sub>3</sub>**;

**გ) ქრომატომეტრია** – მჟანგავად გამოიყენება კალიუმის ბიქრომატის (**K<sub>2</sub>Cr<sub>2</sub>O<sub>7</sub>**) სამუშაო ხსნარი;


**დ) ბრომატომეტრია** – მჟანგავია კალიუმის ბრომატი (**KBrO<sub>3</sub>**);

**ე) ვანადატომეტრია** – სამუშაო ხსნარია ამონიუმის ვანადატი (**NH<sub>4</sub>VO<sub>3</sub>**);

**ვ) ცერიმეტრია** – მჟანგავს და სამუშაო ხსნარს წარმოადგენს ცერიუმის **Ce(IV)** სხვადასხვა ნაერთები.

**3. დალუქის მეთოდები** – დაფუძნებულია გაცვლის რეაქციებზე, რომელთა დროს საკვლევი ელემენტი (იონი) გადადის ნალექში. იმისდა მიხედვით, თუ რომელი რეაგენტი გამოიყენება სამუშაო ხსნარად, მეთოდი იღებს შესაბამის სახელწოდებას: თუ სამუშაო ხსნარი არის **AgNO<sub>3</sub>**, მეთოდს ეწოდება **არგენტომეტრია**; თუ სამუშაო ხსნარია **NH<sub>4</sub>SCN** – **როდანომეტრია**; თუ სამუშაო ხსნარია **Hg(I)** – ის მარილები – **მერკურომეტრია**.

**4. კომპლექსწარმოქმნის მეთოდები** – დაფუძნებულია იმ კათიონთა და ანიონთა განსაზღვრაზე, რომლებიც წარმოქმნიან სუსტადდისოცირებულ კომპლექს-იონებს. განსაკუთრებით გამოიყენება **კომპლექსონ III (ტრილონ B)**, ანუ ეთილენდიამინტეტრამმარმჟავას ორნატრიუმიანი მარილი:



**გატიტვრა შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა ხერხით:**

- ა) პირდაპირი გატიტვრით** – როცა საკვლევ იონს უშუალოდ ტიტრავენ რეაგენტის ხსნარით;
- ბ) უჯუგატიტვრა** – საანალიზო ხსნარს უმატებენ რეაგენტის სიჭარბეს და ამ სიჭარბეს ტიტრავენ სხვა რეაგენტით. ამ ხერხს იყენებენ როდანომეტრიაში.
- გ) შემცვლელის გატიტვრა** – გამოიყენება მაშინ, როცა საკვლევი იონი არ ურთიერთქმედებს სამუშაო ხსნართან, ან რეაგირებს მასთან არასტექიომეტრული თანაფარდობით, ან არ იძლევა რეაქციას ინდიკატორთან. ეს წესი გამოიყენება იოდიომეტრიაში.

### XI.3. გატიტვრის პროცესი

ტიტრიმეტრული ანალიზის ყველა ოპერაცია სრულდება საზომი კოლბების, პიპეტების და ბიურეტების მეშვეობით. საზომ კოლბაში იხსნება საანალიზო ნივთიერების წონაკი. შემდეგ მომზადებული ხსნარის ზუსტად აღებულ ნაწილს გადაიტანენ გატიტვრისათვის განკუთვნილ ჭურჭელში და ამ ნაწილს ეწოდება **ალიქვოტური მოცულობა**. პიპეტით ხსნარის განსაზღვრული რაოდენობის გამოყოფას ეწოდება **პიპეტირება**. გატიტვრას ახდენენ ბრტყელძირა კონუსურ კოლბებში, რომელთა მოცულობა 100 ან 250 მლ-ია. კოლბაში ათავსებენ ალიქვოტს, უმატებენ 2-3 წვეთ ინდიკატორს და ტიტრავენ წვეთობით სამუშაო ხსნარით. ყოველი ულუფის დამატების შემდეგ კოლბის შიგთავსს ანჯღრევენ. ექვივალენტობის წერტილთან მიახლოებისას სამუშაო ხსნარის დამატებას აგრძელებენ წვეთობით, რათა არ მოხდეს ხსნარის გადატიტვრა. შემდგომ

იღებენ დახარჯული სამუშო ხსნარის ზუსტ ანათვალს ბიურეტზე. ამ დროს ანალიტიკის თვალი უნდა იმყოფებოდეს ბიურეტში სითხის მენისკის დონეზე. გამჭვირვალე ხსნარებში ანათვალი წარმოებს ქვედა მენისკის დონეზე, შეფერილ ხსნარებში – ზედა მენისკის დონეზე.

### **გატიტვრის დროს რეკომენდირებულია შემდეგი წესების დაცვა:**

- 1) ხსნარის გადმოდვრის სიჩქარე ბიურეტიდან არ უნდა აღემატებოდეს 4-5 წვეთს წამში;
- 2) ყოველი გატიტვრა უნდა წარმოებდეს **0** - ვანი წერტილიდან;
- 3) გატიტვრაზე დახარჯული სითხის მოცულობა უნდა შეადგენდეს ბიურეტის ნახევარ მოცულობას მაინც, რადგანაც გატიტვრის პროცენტული შეცდომები იმყოფებიან უკუდამოკიდებულებაში გატიტვრაზე დახარჯულ მოცულობასთან.

### **გატიტვრის დასრულების განხაზღვრის (ინდიკაციის) ხერხის მიხედვით არჩევებ:**

- 1) **ინდიკატორულ გატიტვრას**, რომელიც დაყარებულია ინდიკატორების გამოყენებაზე, ე.ი. ნივთიერებებისა, რომლებსაც გატიტვრის დროს ფერის შეცვლის უნარი გააჩნიათ;
- 2) **პოტენციომეტრულ გატიტვრას**, სადაც ინდიკატორის როლს ასრულებს ელექტროდი, რომლის პოტენციალი დამოკიდებულია რეაქციაში მონაწილე ერთ-ერთი ნივთიერების კონცენტრაციაზე;

**3) ამპერომეტრულ გატიტვრას** – ხსნარს ათავსებენ ელექტროლიზერში, რომელშიც იმყოფება ვერცხლისწყლის წვეთური ელექტროდი – კათოდი და ვერცხლისწყლის ფენა – ანოდი. გატიტვრის დროს მცირდება როგორც ლითონის თავისუფალი იონების კონცენტრაცია, ასევე დენის ძალაც. ნახტომი ყველაზე მკვეთრად გატიტვრის ბოლოს აღინიშნება. მეთოდი გამოიყენება კათოონების, ანიონების და ორგანული ნივთიერებების განსაზღვრისათვის. ვერცხლისწყლის წვეთური ელექტროდის გარდა, გამოიყენება მყარი მიკროელექტროდებიც;

**4) კონდუქტორმეტრულ გატიტვრას**, რომელიც დამყარებულია გატიტვრის პროცესში ხსნარების ელექტროგამტარობის ცვლილებებზე;

**5) მაღალსიხშირულ გატიტვრას**, სადაც გატიტვრის საბოლოო წერტილის დასადგენად იყენებენ მაღალი სიხშირის ცვლად დენებს. ელექტროდები ხსნარს არ ეხება, ამიტომ მეთოდს არაელექტროდულ კონდუქტორმეტრიასაც უწოდებენ;

**6) ოპტიკურ მეთოდებს**, რომლებიც დამყარებულია გატიტვრის პროცესში სინათლის შთანთქმის გაზომვაზე. მათი გამოიყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც სინათლის შთანთქმისა და განსასაზღვრავი ნივთიერების კონცენტრაციას შორის ხაზოვანი დამოკიდებულება არსებობს.

გატიტვრისას იყენებენ არა რეაქტივის სიჭარბეს, არამედ მის იმ რაოდენობას, რომელიც განსასაზღვრავი ნივთიერების ექვივალენტურია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გასატიტრ ნივთიერებასა და სამუშაო ხსნარს შორის მიმდინარე რეაქციის დამთავრების მომენტის ზუსტ დადგენას, ე.ი. ექვივალენტობის წერტილის ფიქსირებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეაქციის დამთავრების დასადგენად იყენებენ განსაკუთრებულ ნივთიერებებს, ე.წ. **ინდიკატორებს**. ინდიკატორების მოქმედება, უმტეს შემთხვევაში, იმაში გამოიხატება, რომ გასატიტრ ნივთიერებასა და სამუშაო ხსნარს შორის რეაქციის დამთავრების შემდეგ, უკანასკნელის მცირედი სიჭარბისას, ინდიკატორი იცვლის ფერსა და შესაბამისად, ცვლის ხსნარის შეფერვას. როდესაც ბიურეტიდან დამატებული სამუშაო ხსნარის რაოდენობა საკმარისია გასატიტრი ხსნარის შეფერვის შესამჩნევი ცვლილებისათვის, მაშინ თვლიან, რომ გატიტვრის დასრულების წერტილი მიღწეულია. იგი შეიძლება ზუსტად არც კი ემთხვეოდეს ექვივალენტობის წერტილს, მაგრამ, ვინაიდან სამუშაო ხსნარის ტიტრის დადგენას ატარებენ იმავე ინდიკატორით და იგივე პირობებში, რაშიც თვით ანალიზს, ამიტომ გატიტვრის დასრულების წერტილის ექვივალენტობის წერტილთან დაუმთხვევლობა, განსაზღვრის სიზუსტეზე პრაქტიკულად არ მოქმედებს.

ყოველ ტიტრიმეტრულ მეთოდს საკუთარი ინდიკატორის გააჩნია. მჟავურ-ფუძური გატიტვრის დროს ინდიკატორები თავის შეფერვას იცვლიან ხსნარის pH-ის შეცვლით. დალექვის მეთოდებში ექვივალენტობის წერტილს პოულებენ ნალექის წარმოქმნის

დასრულების მომენტის დაფიქსირებით. ამ მეთოდებში გამოყენებული ინდიკატორები, სამუშაო ხსნარების სიჭარბისას, კაშკაშა ფერის ნალექს ან ხსნარს წარმოქმნიან. თუ გატიტვრა კაშკაშა ფერის ხსნარით ხდება, გატიტვრის დასრულება ზოგჯერ ინდიკატორის გარეშეც შეიძლება შევამჩნიოთ, ვინაიდან სამუშაო ხსნარის პირველივე წვეთი, რომელიც განსასაზღვრავ ნივთიერებასთან არ რეაგირებს, შეცვლის გასატიტრი ხსნარის შეფერვას.

#### XI.4. მირითადი, სამუშაო და სტანდარტული ხსნარების დამზადება. ფიქსონალები

**სამუშაო, ანუ სტანდარტული ხსნარი (დატიტრული)** ეწოდება ხსნარს, რომლის კონცენტრაცია ( $\text{ნორმალობა}$ ) ზუსტადაა ცნობილი. მაგალითად, ტუტების განსასაზღვრულად სამუშაო ხსნარად გამოიყენება მჟავების ზუსტი ხსნარები და პირიქით. პერმანგანატომეტრიაში სამუშაო ხსნარად გამოიყენება –  $KM_nO_4$ , იოდომეტრიაში –  $Na_2S_2O_3$ . ზუსტი ხსნარების დასამზადებლად იყენებენ სუფთა რეაქტივებს (**Ч.Д.А.**) ან ქიმიურად სუფთა რეაქტივებს (**Х.Ч.**).

თუ ავიდებთ საჭირო ნივთიერების ზუსტ წონაქს, გავხსნით საზომ კოლბაში დისტილირებულ წყალში, მივიყვანთ წყლით ნიშანხაზამდე და შევანჯლრევთ, მივიღებთ სასურველი კონცენტრაციის ხსნარს, რომლის ტიტრი გამოითვლება ფორმულით:  $T = \frac{m}{V}$ . ამ გზით მომზადებული ტიტრიანი ხსნარები იწოდებიან სტანდარტულ ხსნარებად, ანუ დამზადებულ ტიტრიან ხსნარებად. ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენებიან ტიტრიანი ხსნარების დასამზადებლად, იწოდებიან **საწყის (სტანდარტულ) ნივთიერებებად**.

**ეს ნივთიერებები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:**

- ა) უნდა იყვნენ ქიმიურად სუფთა;
- ბ) მათი შედგენილობა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს მათ ქიმიურ ფორმულას;
- გ) ისინი მდგრადი უნდა იყვნენ ხსნარებში და ასევე შენახვისას მყარ მდგომარეობაში;
- დ) ხსნარის კონცენტრაციის სიზუსტის ასამაღლებლად, მათი გრამ-ექვივალენტის სიდიდე უნდა იყოს რაც შეიძლება მაღალი. ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება:  $Na_2B_4O_7 \cdot 10H_2O; Na_2CO_3; H_2C_2O_4 \cdot 2H_2O; Na_2C_2O_4$  (ნატრიუმის ოქსალატი);  $H_2C_4H_4O_4$  (ქარვისმჟავა);  $KCl; NaCl; K_2Cr_2O_7$ . საწყისი ნივთიერებებიდან ტიტრიანი ხსნარების მოსამზადებლად, ნივთიერების წონაქს გამოიანგარიშებენ ფორმულით:  $m = \frac{N \cdot \dot{Y} \cdot V}{1000}$

ხსნარებს, რომელთა ტიტრს პოულობენ არა ზუსტი წონაქის მიხედვით, არამედ მათი მეშვეობით ამა თუ იმ საწყისი ნივთიერების გატიტვრის გზით, ეწოდება **დადგენილი ტიტრიანი ხსნარები**. მაგალითად,  $H_2SO_4$ -ის ხსნარის ტიტრს ადგენენ ნატრიუმის ტეტრაბორატით, ტუტის ხსნარის ტიტრს ადგენენ მჟაუნმჟავას მიხედვით. გარდა ამისა, ლაბორატორიულ პრაქტიკაში ტიტრიან ხსნარებს ამზადებენ **“ფიქსონალების”** ანუ **სტანდარტ-ტიტრების** საშუალებით. **“ფიქსონალი”** – წარმოადგენს ნივთიერების ზუსტად განსაზღვრულ რაოდენობას, რომელიც მოთავსებულია შედუღაბებულ ამჟღაში და რომელიც გაანგარიშებულია **1ლ 0,1 N** ხსნარის მოსამზადებლად.

მათი დანიშნულების მიხედვით, ტიტრიანი ხსნარები იყოფა – სამუშაო და საწყის ხსნარებად (მირითადი ხსნარი). **სამუშაო ხსნარების** საშუალებით აწარმოებენ ტიტრიმეტრულ განსაზღვრებებს და არკვევენ საკვლევი ნივთიერებების რაოდენობას ხსნარებში. **საწყისი (მირითადი) ხსნარების** საშუალებით საზღვრავენ სამუშაო ხსნარების ტიტრს და ნორმალობას.

### გატიტვრას ახდენებ თრი ხერხით:

**ა)** ცალკეული წონაკების წესით, რომლის დროსაც იდებენ რამდენიმე ერთმანეთის მსგავს წონაკს, ხსნიან ნებისმიერ მოცულობის დისტილირებულ წყალში და მიღებულ ხსნარებს ტიტრავენ;

**ბ)** პიპეტირების წესით – ამ დროს საანალიზო ნივთიერების წონაკი გადააქვთ საზომ კოლბაში, ხსნიან დისტილირებულ წყალში, მიჰყავთ წყლით ნიშანხაზამდე, შეანჯლრევენ, შემდეგ პიპეტით იდებენ ხსნარის ალიქვოტს და ტიტრავენ.

**გაგალითი 1.** როგორ დავამზადოთ  $H_2C_2O_4 \cdot 2H_2O$ -ის 0,1N 250 მლ ხსნარი, რომელიც გამოიყენება ტუტის გასატიტრავად, როგორი წონაკის აღებაა საჭირო?

**ამოხსნა:**

**მოც:**  $V=250$  მლ

**N= 0,1**

$$\dot{Y}_{H_2C_2O_4 \cdot 2H_2O} = \frac{126,06}{2} = 63,03 \text{ გ}$$


---

**უ.გ.: m და N**

$$m = \frac{N \cdot V \cdot \dot{Y}}{1000} = \frac{0,1 \cdot 250 \cdot 63,03}{1000} = 1,5757 \text{ გ}$$

$$N = \frac{m \cdot 1000}{V \cdot \dot{Y}} = \frac{1,5757 \cdot 1000}{250 \cdot 63,03} = 0,09999$$

**პასუხი:**  $m_{H_2C_2O_4 \cdot 2H_2O} = 1,5757 \text{ გ}$        $N_{H_2C_2O_4 \cdot 2H_2O} = 0,09999$

### XI.5. ანალიზური კონცენტრაციების განსაზღვრა და გაანგარიშება ტიტრიმეტრულ ანალიზში

**ანალიზური კონცენტრაცია.** ტიტრიმეტრულ ანალიზში ყველაზე ხშირად გამოიყენება სტანდარტული ხსნარის კონცენტრაცია მისი ნორმალობის ან ტიტრის სახით. გამოიყენება კონცენტრაციის გამოსახვა ტიტრის მეშვეობით:

**ნივთიერების ხსნარის ტიტრი  $T$  – ეს არის ნივთიერების შემცველობა გრამობით ხსნარის 1 სტ - ში (გ/მლ).**

**სტანდარტული ხსნარის სტანდარტიზაცია.** სტანდარტული ხსნარის ტიტრს და ნორმალობას საზღვრავენ სპეციალური ნივთიერებების – სტანდარტების გატიტვრით. სტანდარტებს უნდა გააჩნდეთ მაღალი მოლური და ექვივალენტური მასა, მათი შედგენილობა უნდა იყოს მუდმივი, ისინი ადგილად უნდა სუფთავდებოდნენ გამოკრისტალებით, არ უნდა იცვლიდნენ შედგენილობას გამოშრობისას, აწონებისას, არ უნდა იუანგებოდნენ, არ უნდა შთანთქავდნენ წყალს და  $\text{CO}_2$ -ს ჰაერიდან, არ უნდა კარგავდნენ ტენის შენახვისას.

ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი სტანდარტები:

$\text{Na}_2\text{CO}_3$  – გამომშრალი  $270\text{-}300^\circ\text{C}$ -ზე;

$\text{KCl}, \text{NaCl}$  – გამომშვარი  $500\text{-}600^\circ\text{C}$ -ზე;

$\text{K}_2\text{Cr}_2\text{O}_7$  – გამომშრალი  $130^\circ\text{C}$ -ზე;

სტანდარტული ხსნარების მოსამზადებლად იყენებენ ასევე სტანდარტ-ტიტრებსაც ანუ ფიქსონალებს. **ფიქსონალი** წარმოადგენს შედუღაბებულ ამპულას, რომელშიც

იმყოფება კრისტალური ნივთიერება. იმისათვის, რომ ფიქსონალიდან მომზადდეს ზუსტი ტიტრიანი ხსნარი, ძაბრში ჩატეხავენ ამპულას, ჩარეცხავენ ამპულის შიგთავს გამოხდილი წყლით 1 ლიტრიან საზომ კოლბაში და მიჰყავთ ხსნარის მოცულობა წყლით ნიშანხაზამდე.

ფიქსონალში იმყოფება 0,1 მოლი ანუ 0,1 გ-ექვ. ნივთიერება.

**ანალიზური კონცენტრაციების გაანგარიშება.** ტიტრიმეტრული ანალიზის ჩატარებისას ცნობილია: საანალიზო ხსნარის მოცულობა –  $V_A$ , ნივთიერების მოცულობა –  $V$  და ტიტრანტის ნორმალობა -  $N$ , რომელიც დაიხარჯა გატიტვრაზე.

**გაანგარიშებას აწარმოებენ შემდეგი თანმიმდევრობით:**

ა) ადგენენ რეაქციის ტოლობას, რომელიც მიმდინარეობს ანალიზში;

ბ) გაინგარიშებენ ან პოულობენ ცხრილში ნივთიერებათა ექვივალენტებს, რომლებიც მონაწილეობენ რეაქციაში;

გ) შეარჩევენ შესაფერის გამოსათვლელ ფორმულას, აწარმოებენ გაანგარიშებას მმიმის შემდეგ მეოთხე ციფრის სიზუსტით.

ექვივალენტების კანონის თანახმად, ნივთიერება  $A$ -ს ერთ ექვივალენტთან ურთიერთქმედებს რეაგენტ  $B$ -ს ერთი ექვივალენტი, ამიტომ მორეაგირე ექვივალენტების რიცხვიც –  $n_A$  და  $n_B$  ერთმანეთის ტოლი იქნება, ე.ო.  $n_A = n_B$ .

$$n = \frac{N \cdot 1000}{V}, \text{ სადაც: } N - \text{არის ნორმალობა; } V - \text{მოცულობა.}$$

**ნორმალობის და ტიტრის გაანგარიშება.** ტიტრანტის ნორმალობის და ტიტრის გაანგარიშება ხდება მისი მოცულობის მიხედვით, რომელიც დაიხარჯა სტანდარტულის გატიტვრაზე. მაგალითად, ოუ 20 მლ  $\text{NaOH}$ -ის გატიტვრაზე დაიხარჯა 20 მლ 0,1N  $\text{H}_2\text{SO}_4$ . მაშინ  $\text{NaOH}$ -ის ნორმალობა და ტიტრი ტოლი იქნება:  $N_{\text{NaOH}} = \frac{0,1 \cdot 20}{20} = 0,1 \text{N}$

$$T_{\text{NaOH}} = \frac{0,1 \cdot 40}{1000} = 0,004 \text{ გ/მლ}$$

ტიტრიმეტრულ ანალიზში ნივთიერების კონცენტრაციას სამუშაო ხსნარში გამოსახავენ გ-ექვ/ლ-ში ან ტიტრით (გ/მლ). როგორც ცნობილია, ტიტრიმეტრულ ანალიზში მონაწილეობს ორი ნივთიერება. პირველი ნივთიერების გ-ექვ-ბის რიცხვი ტოლია  $\frac{N_1 \cdot V_1}{1000}$ , ხოლო მეორე ნივთიერების –  $\frac{N_2 \cdot V_2}{1000}$ , რადგანაც ორივე ნივთიერება ურთიერთქმედებს ერთმანეთთან ექვივალენტური რაოდენობით, ამიტომ:  $\frac{N_1 \cdot N_2}{1000} = \frac{N_2 \cdot V_2}{1000}$

საკვლევი ნივთიერების რაოდენობა გრამებში გამოითვლება ფორმულით:  $m = \frac{N \cdot V \cdot \varrho}{1000}$

სადაც:  $m$  – საკვლევი ნივთიერების რაოდენობა, გ;

$N$  – საანალიზო ხსნარის ნორმალობა;

$V$  – სამუშაო ხსნარის მოცულობა, რომელიც დაიხარჯა გატიტვრაზე, მლ;

$\varrho$  – საკვლევი ნივთიერების გ-ექვ;

1000 – ლიტრიდან მიღილიტრებში გადასაყვანი კოეფიციენტი.

მაშასადამე, შეიძლება ხსნარის ნორმალობის განსაზღვრა, ოუ ცნობილია მისი მოცულობა და ასევე სამუშაო ხსნარის მოცულობა და ნორმალობა:

$$N_1 \cdot V_1 = N_2 \cdot V_2, \text{ აქედან: } N_1 = \frac{N_2 \cdot V_2}{V_1} \text{ ან } N_2 = \frac{N_1 \cdot V_1}{V_2}$$

$$V_1 = \frac{N_2 \cdot V_2}{N_1} \quad \text{ან} \quad V_2 = \frac{N_1 \cdot V_1}{N_2}$$

საკვლევი ნივთიერების რაოდენობის განსაზღვრის ფორმულიდან შეიძლება გამოვალოს ხსნარის ნორმალობა:  $N = \frac{m \cdot 1000}{V \cdot \varrho}$

ხსნარის ტიტრი გამოითვლება წონაკის შეფარდებით მოცულობასთან, რომელშიც გახსნილია ეს წონაკი:  $T = \frac{m}{V}$ , აქედან:  $m = T \cdot V$

თუ ცნობილია ხსნარის ნორმალობა, შეიძლება მისი ტიტრის გამოთვლა:

$$T = \frac{N \cdot Y}{1000} \text{ (გ/სმ}^3 \text{ ან გ/მლ)}$$

**შესწორების კოეფიციენტის გაანგარიშება.** ხსნარების მომზადებისას შეუძლებელია ზუსტი ნორმალობის ხსნარების მიღება. შესწორების კოეფიციენტები საშუალებას იძლევა გამარტივდეს გაანგარიშება. შესწორების კოეფიციენტი გამოისახება  $K$ - სიმბოლოთი და მას გამოთვლიან ხსნარების თეორიული და რეალური ტიტრების მიხედვით:

$$K = \frac{T_t}{T_p}, \text{ სადაც:}$$

$T_t$  - არის ხსნარის რეალური ტიტრი;

$T_p$  - არის ხსნარის თეორიული ტიტრი;

**საკლევი ნივთიერების რაოდენობის გამოთვლა.** ნივთიერებათა მასის და პროცენტული შემცველობის გამოთვლა ხსნარში შესაძლებელია ანალიზის შედეგების მიხედვით:

$$\text{ხსნარში} - N_A = \frac{N_B \cdot V_B}{V_A} \quad T_A = \frac{N_A \cdot \Theta_A}{1000} \quad m_A = T_A \cdot V$$

**მაგალითი:** განზაგებული  $\text{HCl}$ -ის 20 მლ-ის გატიტვრაზე დაიხარჯა 16 მლ 0,9986  $\text{NaOH}$ . განსაზღვრეთ  $\text{HCl}$ -ის პროცენტული შემცველობა 100 მლ ხსნარში.

თავდაპირველად, ვპოულობთ  $\text{HCl}$ -ის საანალიზო ხსნარის ნორმალობას:

$$N_{\text{HCl}} = \frac{N_{\text{NaOH}} \cdot V_{\text{NaOH}}}{V} = \frac{0,998 \cdot 16}{20} = 0,7984$$

შემდეგ ვპოულობთ  $\text{HCl}$ -ის ტიტრს:

$$T_{\text{HCl}} = \frac{N_{\text{HCl}} \cdot Y_{\text{HCl}}}{1000} = \frac{0,7984 \cdot 36,5}{1000} = 0,0291 \text{ გ/მლ}$$

შემდეგ ვპოულობთ  $\text{HCl}$ -ის რაოდენობას 100 მლ ხსნარში.

$$m_{\text{HCl}} = T_{\text{HCl}} \cdot V = 0,0291 \cdot 100 = 2,91 \text{ გ.}$$

თუ ხსნარის სიმკვრივეს ჩათვლით 1გ/მლ-ის ტოლად, მაშინ ნაპოვნი სიდიდე შეადგენს  $\text{HCl}$ -ის საპოვნ პროცენტულ კონცენტრაციას პრეპარატში.

**მაგალითები გატიტვრის შედეგების გაანგარიშებაზე**

რამდენი გრამი  $\text{Na}_2\text{CO}_3$  იყო აღებული, თუ მისი გახსნის შემდეგ 250 მლ-იან საზომ კოლბაში, აღებული იქნა პიპეტით 25 მლ, ხოლო გატიტვრაზე დაიხარჯა 20,20 მლ 0,1010 N  $\text{HCl}$ .

ამოხსნა:

ვიყენებთ ტოლობას:  $N_1 \cdot V_1 = N_2 \cdot V_2$

$$N_{\text{Na}_2\text{CO}_3} \cdot V_{\text{Na}_2\text{CO}_3} = N_{\text{HCl}} \cdot V_{\text{HCl}}$$


$$N_{\text{Na}_2\text{CO}_3} = \frac{N_{\text{HCl}} \cdot V_{\text{HCl}}}{V_{\text{Na}_2\text{CO}_3}} = \frac{20,20 \cdot 0,1010}{25} = 0,08160 \text{ გ-ექვ/ლ}$$

$$T_{\text{Na}_2\text{CO}_3} = \frac{N \cdot Y}{1000} = \frac{0,08160 \cdot 53}{1000} = 0,004325 \text{ გ/მლ}$$

$$m_{\text{Na}_2\text{CO}_3} = T \cdot V = 0,004325 \cdot 250 = 1,081 \text{ გ}$$

**მაგალითები კონცენტრაციის გამოხახვაზე სამუშაო ხენარის ტიტრის მიხედვით.**  
 რამდენი გრამი **NaOH** შედის 500 მლ ხენარში, თუ ამ ხენარის 20 მლ-ის გატიტვრაზე დაიხარჯა 20,80 მლ **HCl**, რომლის ტიტრი ტოლია 0,002022გ/მლ.

**ამოხსნა:**



უნდა გავიანგარიშოთ, რამდენი გრამი **HCl**-ია 20,80 მლ ხენარში:

$$m_{HCl} = 20,80 \cdot 0,002022 = 0,04206 \text{ გ}$$

ტოლობის მიხედვით, 1 გ-ექვ **NaOH**-ზე მიდის 1 გ-ექვ **HCl**, მაშასადამე:

$$\begin{array}{rcl} \text{თუ } 39,9 \text{ გ } \text{NaOH} \text{ იხარჯება} & - & 36,46 \text{ გ } \text{HCl}-ზე \\ \text{მაშინ } X_{\text{გ}} \text{ იხარჯება} & - & 0,04206 \text{ გ } \text{HCl} \end{array}$$

$$x = \frac{0,04206 \cdot 39,9}{36,46} = 0,04603 \text{ გ}$$

$$m_{NaOH} = \frac{x \cdot V_1}{V} = T \cdot V_1 = \frac{0,04603 \cdot 500}{20} = 1,1508 \text{ გ}$$

**მაგალითები კონცენტრაციის გამოხახვაზე განსასაზღვრავი ნივთიერების ტიტრის მიხედვით.**

$$T = \frac{N \cdot \mathcal{E}}{1000}, \quad \text{სადაც: } \mathbf{T} - \text{სამუშაო ხენარის ტიტრია;}$$

**N** – სამუშაო ხენარის ნორმალობაა;

**Э** – საკვლევი ნივთიერების ექვივალენტია.

**AgNO<sub>3</sub>** – ის ხენარის ტიტრი არის 0,01702გ/მლ. განსაზღვრეთ მისი ტიტრი **NaCl**-ის მიხედვით. ვიპოვოთ **AgNO<sub>3</sub>**-ის ხენარის ნორმალობა.

**ამოხსნა:**

$$N_{AgNO_3} = \frac{T \cdot 1000}{\mathcal{E}_{AgNO_3}} = \frac{0,01702 \cdot 1000}{169,9} = 0,1002 \text{ გ-ექვ/ლ}$$

$$T_{AgNO_3 / NaCl} = \frac{N_{AgNO_3} \cdot \hat{Y}_{NaCl}}{1000} = \frac{0,1002 \cdot 58,46}{1000} = 0,005858 \text{ გ/მლ}$$

## თავი XII. მუკურ-ფუძური გატიტვრა (ნეიტრალიზაცია)

### XII.1. ნეიტრალიზაციის არსი და თეორიული საფუძვლები

მუკურ-ფუძური გატიტვრის საფუძველს წარმოადგენს  $H^+$  -იონის ურთიერთქმედება  $OH^-$ -იონთან, რომლის შედეგად წარმოიქმნება სუსტადდისოცირებული წყლის მოლეკულა (გამხსხელი):  $H^+ + OH^- = H_2O$ . ეს მეოთვი გამოიყენება მუკურის, ტუტეების, მარილების ( $Na_2CO_3, K_2CO_3$ ) და მათი ნარევების ( $NH_4Cl, NaOH$ ) რაოდენობრივი განსაზღვისათვის.


**მუკურ-ფუძურ გატიტვრას გააჩნია ორი ძირითადი მეთოდი:**

- 1) **აციდიმეტრული გატიტვრა (acidium-მუკა)** – რომელშიც ტიტრანტის როლში გამოდის  $HCl$ -ის ან  $H_2SO_4$ -ის ხსნარები და ისაზღვრება ფუძეები, ფუძე მარილები, ძლიერი ფუძეების და სუსტი მუკურის მარილები.
- 2) **ალკალიმეტრული გატიტვრა (alcalis-ტუტე)** რომელშიც ტიტრანტად გამოდის  $NaOH$  ან  $KOH$  და ისაზღვრება მუკური, მუკა მარილები, ძლიერი მუკურის და სუსტი ფუძეების მარილები, ფენოლები. გატიტვრის პროცესში ხსნარში იცვლება  $[H^+]$  და  $[OH^-]$ , მაგრამ ექვივალენტობის წერტილში  $[H^+] = [OH^-]$ . თუმცა, ეს ხდება მხოლოდ ძლიერი მუკას ძლიერი ფუძით გატიტვრისას და პირიქით. თუ რეაქციაში მონაწილეობს სუსტი მუკა ან ფუძე, მაშინ ექვივალენტობის წერტილში შეიმჩნევა  $H^+$ -იონების ან  $OH^-$ -იონების ერთგვარი სიჭარბე, ანუ ექვივალენტობის წერტილი აღარ ემთხვევა ნეიტრალიზაციის წერტილს.

სამუშაო ხსნარებად გამოიყენება:  $HCl, H_2SO_4, NaOH, KOH (N = 0,1 - 0,5)$ .

განახლებები გატიტვრის შემდეგ შემთხვევებს:

- a) ძლიერი მუკას გატიტვრა ძლიერი ტუტე-ექვივალენტობის წერტილში  $pH=7$ .  
ინდიკატორები: მეთილნარინჯი, მეთილის წითელი, ფენოლფტალეინი.



- b) სუსტი მუკას გატიტვრა ძლიერი ფუძით:


$HCOOH + NaOH \rightarrow HCOONa + H_2O$        $HCOOH + OH^- \rightarrow HCOO^- + H_2O$  ექვივალენტობის წერტილში  $pH>7$  (სუსტი ტუტე რეაქცია). ინდიკატორი – ფენოლფტალეინი. ნატრიუმის ფორმიატი პიდროლიზდება:



ხსნარში წარმოიქმნება  $OH^-$ -ის სიჭარბე, ამიტომ ექვივალენტობის წერტილი ძველ ტუტე არ ეში.

- c) სუსტი ფუძის გატიტვრა ძლიერი მუკით:

ექვივალენტობის წერტილში  $pH<7$  (სუსტი მუკა რეაქცია).  
ინდიკატორები: მეთილის წითელი, მეთილნარინჯი.



$NH_4Cl$  პიდროლიზდება, ამიტომ ხსნარში გროვდება  $H^+$ -იონები, რომლებიც გადაანაცვლებენ ექვივალენტობის წერტილს მუკა არ ეში.


## XII.2. მჟავურ-ფუძური გატიტვრის ინდიკატორები

ნეიტრალიზაციის რეაქციების მიმდინარეობისას არ აღინიშნება გარეგნული ეფექტები, ამიტომ ექვივალენტობის წერტილის დასაფიქსირებლად იყენებენ შესაბამის ინდიკატორებს, რომლებიც ცვლიან ხსნარის შეფერილობას **pH**-ის ცვლილებისას, და შეფერილობის შეცვლა შექცევადია. ინდიკატორების ფერის შეცვლა მიმდინარეობს **pH**-ის გარევეულ ინტერვალში. **pH-ის მნიშვნელობის ინტერვალს, რომელშიც იცვლება ინდიკატორის ფერი, ეწოდება გადასვლის ინტერვალი.** ზოგიერთი ინდიკატორის გადასვლის ინტერვალი მოვანილია მე-10 ცხრილში.

**ცხრილი 10**

სახელწოდება	გადასვლის ინტერვალი, pH	შეფერილობის შეცვლა
მეთილნარინჯი	3,0-4,4	მოვარდისფრო წითელი – ნარინჯისფერი ყვითელი
კონგო წითელი	3,0-5,2	მოლურჯო იისფერი – წითელი
მეთილის წითელი	4,4-6,2	წითელი-ყვითელი
ლაქმუსი	5,0-8,0	წითელი – ლურჯი
ბრომთიმოლი	6,0-7,6	ყვითელი – ლურჯი
ცენოლფტალეინი	8,2-10,0	უვერო – ქოლოსფერი
თიმოლფტალეინი	9,4-10,6	უვერო – ლურჯი

ინდიკატორების ფერის შეცვლისას მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების მექანიზმი ასენა **ოსტვალდმა (1894)**, რომელმაც შემოგვთავაზა ინდიკატორების იონური თეორია. ამ თეორიის მიხედვით ინდიკატორები განიხილება როგორც ორგანული მჟავები ან ფუქსები, რომლებიც განიცდიან დისოციაციას. მაგალითად, ლაქმუსის არადისოცირებული მოლეკულები არიან წითელი, ანიონები კი ლურჯი:



ლაქმუსის მოლეკულა თამაშობს პროტონის დონორის როლს და თუ ხსნარს დავამატებთ 1-2 წვეთ **NaOH**-ს, **OH<sup>-</sup>**-იონები შეუერთდებიან **H<sup>+</sup>**-იონებს და წარმოქმნიან **H<sub>2</sub>O**-ს, ამიტომ წონასწორობა გადაინაცვლებს მარჯვნივ და ფერი გახდება ლურჯი. თუ ხსნარს დავამატებთ 1-2 წვეთ **HCl**-ს, წონასწორობა გადაინაცვლებს მარცხნივ და ხსნარი გახდება წითელი. ნეიტრალური რეაქციის დროს **HInd** და **Ind<sup>-</sup>** იქნებიან ხსნარში ექვივალენტური რაოდენობით და ხსნარი გახდება იისფერი. შეიძლება ინდიკატორი იყოს პროტონის აქცეპტორი: **IndOH + H<sup>+</sup> ⇌ Ind<sup>+</sup> + H<sub>2</sub>O**. ინდიკატორებს, რომლებსაც გააჩნიათ ორი შეფერილი ფორმა, ეწოდება ორფერიანი (ლაქმური, მეთილნარინჯი, მეთილის წითელი), ხოლო თუ ინდიკატორის გააჩნია ერთი შეფერილი ფორმა – ერთფერიანი (ფენოლფტალეინი). ორგანული ნაერთების შეფერილობა დამოკიდებულია მათში განსაკუთრებული ატომთა ჯგუფის არსებობაზე, რომელთაც ეწოდება ქრომოფორები (“ფერის მატარებლები”). ქრომოფორებს მიეკუთვნება: კარბონილის ჯგუფი  $\text{C}=\text{O}$

ნიტროჯგუფი  $\text{O}=\text{N}\rightarrow$ , რომელიც გადადის ნიტროზოჯგუფში  $\text{HO}-\text{N}=$ , აზოჯგუფი

– N= , რომელიც გარდაიქმნება ჰიდრაზოჯგუფში = N – NH –, ბენზოის ჯგუფი



, რომელიც გადადის ჸინოიდურში




ნივთიერებებს, რომლებიც აძლიერებენ ქრომოფორების შეფერილობას, ეწოდება **აუქსოქრომები:** პიდროქსილის ჯგუფი **OH**, ამინოჯგუფი – **NH<sub>2</sub>**, ეთერის ჯგუფი - **-CH<sub>3</sub>**, ეთილის რადიკალი **-C<sub>2</sub>H<sub>5</sub>**.

როგორც შემდგომ გამოირკვა, ინდიკატორის შეფერვა დამოკიდებულია არა მხოლოდ დისოციაციაზე, არამედ ინდიკატორის სტრუქტურაზე და მასში ქრომოფული და აუქსოქრომული დაჯგუფების არსებობაზე. ამის საფუძველზე წარმოიქმნა **ინდიკატორების ჰანჩის ქრომოფორმური თეორია**, რომლის მიხედვით, ხსნარის **pH**-ის ცვლილებისას მიმდინარეობს ატომთა შიგამოლექულური გადაჯგუფება და ამ დროს ხდება ფერის შეცვლა. ეს გადაჯგუფება შექცევადი პროცესია და მას ეწოდება **ტაუტომერული იზომერია**. ინდიკატორები იმყოფებიან ორ ტაუტომერულ ფორმაში და ერთი ფორმა შეიძლება გადავიდეს მეორეში, **pH**-ის სიდიდის მიხედვით. ეს პროცესი მიმდინარეობს მანამ, სანამ არ დამყარდება გარკვეული წონასწორობა ამ ორ ფორმას შორის. მაშასადამე, ინდიკატორთა ხსნარებში არსებობს **ორი ტიპის წონასწორული ძოვომარჯობა:** ა) მოლეკულების დისოციაცია; ბ) ტაუტომერული ფორმების წონასწორობა. ამასთან, ტაუტომერული პროცესის წონასწორობა მყარდება არა მაშინვე, არამედ თანდათანობით, მაშინ როცა დისოციაციის წონასწორობა მყარდება მაშინვე. ამიტომ გატიტვრის დროს ინდიკატორის ფერის ცვლილება მიმდინარეობს ნელა, თანდათანობით. ამრიგად, თანამედროვე წარმოდგენებით ყველაზე სარწმუნოა ინდიკატორთა **იონურ-ქრომოფორმური თეორია**, რომლის მიხედვით ინდიკატორის ფერის შეცვლა გამოწვეულია მათ მოლეკულაზე **H<sup>+</sup>**-იონების მიერთებით ან მოხლევით, რომელიც თავის მხრივ იწვევს ინდიკატორის მოლეკულის სტრუქტურის შეცვლას.

### XII.3. ინდიკატორის გადასვლის ინტერვალი. ინდიკატორის მაჩვენებელი - pK და გატიტვრის მაჩვენებელი - pT.

ინდიკატორის შეფერილობის შეცვლა გატიტვრის პროცესში დამოკიდებულია **H<sup>+</sup>** და **OH<sup>-</sup>**-იონების კონცენტრაციის ცვლილებაზე. **pH = -lg[H<sup>+</sup>]**, ე.ი. შეფერვის ცვლილება მთლიანად დამოკიდებულია გასატიტრი ხსნარის **pH**-ის სიდიდეზე. **ინტერვალს pH-ის იზონდიდებს შორის, რომელშიც ხდება ინდიკატორის ფერის თანდათანობით შეცვლა, ეწოდება ინდიკატორის გადასვლის ზონა ან ინტერვალი.**

თუ დავეყრდნობით იონურ-ქრომოფორმულ თეორიას, ფენოლფტალეინის მაგალითზე შეიძლება განვიხილოთ ორი წონასწორული მდგომარეობა, ანუ ერთი ტაუტომერული ფორმის (ბენზოლური) გადასვლა მეორე ტაუტომერულ ფორმაში (ქინოიდურში):



$$(1) K_{\text{F}} = \frac{[HInd'']}{[HInd']}, \quad \text{სადაც: } K_{\text{F}} - \text{არის } \text{წონასწორობის } \text{კონსტანტა.}$$

თავის მხრივ, **HInd''** განიცდის დისოციაციას: **HInd''  $\Leftrightarrow H^+ + Ind^-$** , მაშინ:

$$(2) K_{\text{დისო}} = \frac{[H^+] \cdot [Ind^-]}{[HInd'']}, \quad \text{სადაც: } K_{\text{დისო}} - \text{არის } \text{დისოციაციის } \text{კონსტანტა.}$$

გავამრავლოთ (1) ტოლობა (2) - ზე:

$$K_{\text{V}} \cdot K_{\text{დისოც}} = \frac{[HInd'']}{[HInd']} \times \frac{[H^+] \cdot [Ind^-]}{[HInd'']} = \frac{[H^+] \cdot [Ind^-]}{[HInd']}$$

$$K_{\text{V}} \cdot K_{\text{დისოც}} = -\text{ეს არის ინდიკატორის იონიზაციის ხარისხი. ე. შემდეგი აღვნიშნოთ}$$

$$[Ind^-] - \text{წარმოადგენს ტუტე ფორმის კონცენტრაციას და იგი შეიძლება აღვნიშნოთ}$$

$C_{\text{ტ.ფ.}}$ , ხოლო  $[HInd^-] - \text{წარმოადგენს მჟავური ფორმის კონცენტრაციას, ამიტომ აღვნიშნოთ}$

 $C_{\text{გ.ფ.}} \text{ მაშინ: } K = \frac{[H^+] \cdot C_{T.F.}}{C_{M.F.}}, \text{ აქედან: } [H^+] = \frac{K \cdot C_{M.F.}}{C_{T.F.}}.$ 

გალოგარითმების შედეგად მივიღებთ:

$$\lg[H^+] = \lg K + \lg \frac{C_{M.F.}}{C_{T.F.}}, \quad \text{ან} \quad pH = pK - \lg \frac{C_{M.F.}}{C_{T.F.}}, \quad \text{სადაც:} \quad pK = -\lg K \quad \text{და} \quad \text{მას} \quad \text{ეწოდება}$$

$$\text{ინდიკატორის მაჩვენებელი. თუ } C_{\text{გ.ფ.}} = C_{\text{ტ.ფ.}}, \text{ მაშინ } \frac{C_{M.F.}}{C_{T.F.}} = 1,$$

$$\text{ე. შემდეგი შედეგი: } pH = pK - \lg 1 = pK$$

$$\text{თუ } C_{\text{გ.ფ.}} = 91\%, \text{ ხოლო } C_{\text{ტ.ფ.}} = 9\%, \text{ მაშინ } \frac{C_{M.F.}}{C_{T.F.}} = \frac{91}{9} \approx 10,$$

$$\text{ხოლო } pH = pK - \lg 10 = pk - 1$$

$$\text{თუ } C_{\text{გ.ფ.}} = 9\%, \text{ ხოლო } C_{\text{ტ.ფ.}} = 91\%, \text{ მაშინ } pH = pK - \lg \frac{9}{91} = pK - (-1) = pK + 1$$

მაშასადამე, ინდიკატორის გადასვლის ინტერვალი მერყეობს **pK+1** – დან, **pK-1**–მდე, ანუ **pH = pK ± 1**. pH-ის მნიშვნელობას, რომლის დროსაც ამთავრებენ გატიტვრას მოცემული ინდიკატორით, აღნიშნავენ სიმბოლოთი **pT**, რომელსაც ეწოდება გატიტვრის მაჩვენებელი. **pT**მეთილის წითელის =5,5; **pT**მეთილნარინჯის =4; **pT**ლაქმუსის =7; **pT**ფენოლფტალეინის =9

## XII.4. სამუშაო სსნარების მომზადება

ძირითად სამუშაო ხსნარებად ნეიტრალიზაციის მეთოდში გამოიყენება 0,1 N HCl და 0,1 N NaOH. საცნობარო ცხრილის მიხედვით, კონცენტრირებული HCl, რომლის  $\rho=1,19 \text{ g/l}^3$ , შეიცავს 38% Cl-ს. იმისათვის, რომ მომზადებეს 1ლ 0,1N HCl, საჭიროა 3,6გ HCl.

100 გ ტექნიკური მარილმჟავა შეიცავს 38გ HCl-ს, აქედან მჟავას საჭირო რაოდენობა – x შეადგენს:

$$38\text{g HCl} - 100 \text{ g},$$

$$3,6\text{g HCl} - X\text{g}, \quad x = \frac{3,6 \cdot 100}{38} = 9,5 \text{ g} \quad V = \frac{m}{d} = \frac{9,5}{1,19} = 8,0 \text{ მლ}$$

8,0 მლ კონცენტრირებულ **HCl**-ს აზომავენ ცილინდრით, გადააქვთ 1 ლიტრიან საზომ კოლბაში და მიჰყავთ დისტილირებული წყლით ნიშანებაზამდე. სამუშაო ხსნარის ტიტრის დადგენას ახდენენ ნატრიუმის ტეტრაბორატის მიმართ –  $Na_2B_4O_7 \cdot 10H_2O$ , რომელიც ურთიერთქმედებს **HCl**-თან: ნატრიუმის ტეტრაბორატის გრამ-ექვივალენტი ამ რეაქციაში ტოლია მისი მასის ნახევრისა:  $\mathcal{E} = 381,4\text{g} : 2 = 190,7\text{g}$ . ექვივალენტობის წერტილში  $pH=5,1$ . ინდიკატორად გამოიყენება მეთოლნარინჯი ან მეთოლის წითელი. ამზადებენ 250 მლ 0,1N  $Na_2B_4O_7 \cdot 10H_2O$ -ის ხსნარს.

**0,1N NaOH**-ის მოსამზადებლად მის წონაკს ხსნიან გადადუდებულ და გაცივებულ დისტილირებულ წყალში. რადგანაც **NaOH**-ის ხსნარი შეიძლება შეიცავდეს **Na<sub>2</sub>CO<sub>3</sub>**-ის კვალს, მას აცილებენ **10% BaCl<sub>2</sub>**-ის მიმატებით. **BaCO<sub>3</sub>**-ის ნალექის დალექვის შემდეგ, **NaOH**-ის სხნარს ასხამენ ჭურჭელში. მის ტიტრს ადგენენ **HCl**-ის ზუსტი ხსნარის მიხედვით. ამისათვის კოლბაში ათავსებენ **NaOH**-ის ზუსტ მოცულობას, უმატებენ 1-2 წვეთ მეთოლნარინჯს და ტიტრავენ **0,1N HCl**-ით მდგრადი ვარდისფერის წარმოქმნამდე. **HCl**-ის ნორმალობის მიხედვით გამოითვლიან **Ba(OH)<sub>2</sub>**-ის ნორმალობას.

## XII.5. გატიტვრის მრუდები

გატიტვრის ჩატარებისათვის საჭიროა განისაზღვრის მოცემული ნივთიერების გატიტვრის შესაძლებლობა მოცემული ტიტრანტით და საჭიროა შეირჩეს ინდიკატორი. ამ საკითხებს წყვეტენ გატიტვრის მრუდების მეშვეობით, რომლებიც ასახავენ **pH**-ის ცვლილების დამოკიდებულებას დამატებული ტიტრანტის მოცულობაზე. გატიტვრის მრუდის მისაღებად აგებენ გრაფიკს, რომლის აბსცისთა დერძზე დააქვთ ტიტრანტის მოცულობა სმ<sup>3</sup>-ში ან მლ-ში, ხოლო ორდინატთა დერძზე – **pH**-ის მნიშვნელობა.

**განვიხილოთ მუავურ-ფუძური გატიტვრის 4 შემთხვევა:**

### 1. ძლიერი ტუტის გატიტვრა ძლიერი მუავით – 0,1N NaOH + 0,1N HCl:

თუ 100სმ<sup>3</sup> **0,1N NaOH**-ზე არ არის დამატებული **HCl**, მაშინ  $pH = -\lg[NaOH] = 13$ , ხოლო **pOH = 1**. თუ დავამატებთ 90სმ<sup>3</sup> **0,1N HCl**-ს, მაშინ **pH = 12**, **pOH = 2**. თუ დავამატებთ 99სმ<sup>3</sup> **HCl**-ს, მაშინ **pH=11** და **pOH=3**.

**0,1N HCl**-ის შემდგომი დამატებით ვდებულობოთ ციფრებს, რომლებიც შეტანილია გვ-11 ცხრილში. ცხრილის მიხედვით იგება გატიტვრის გრაფიკი.

**ცხრილი 11**

<b>HCl</b> ტიტრანტის მოცულობა, სმ <sup>3</sup>	0	90,0	99,0	100,0	100,1	101,0	110,0
<b>NaOH</b> გასატიტრი ხსნარის <b>pH</b>	13	12	11	7	4	3	2
<b>NaOH</b> გასატიტრი ხსნარის <b>pOH</b>	1	2	3	7	10	11	12

გატიტვრის მრუდებზე აღინიშნება **pH**-ის მნიშვნელობის მკვეთრი ცვლილების ზონა, რომელსაც ეწოდება **გატიტვრის ნახტომი**. ეს ნახტომი წარმოიქმნება **99,9-100,1** სმ<sup>3</sup> **0,1N HCl**-ის მიმატებით. ამ დიაპაზონში გარემოს **pH** იცვლება **11,0-4,0** (ნახ.1). ექვივალენტობის წერტილში **pH=7**.

**2. ძლიერ მჟავას ( $0,1N HCl$ ) ძლიერი ტუტით ( $0,1N NaOH$ ) გატიტვრისას მრუდს გააჩნია პირიქით ფორმა, კერძოდ – იგი იწყება მჟავა არეში, გატიტვრის ნახტომი იმყოფება ინტერვალში **pH = 4-11**, ექვივალენტობის წერტილში **pH = 7** (ნახ. 2).**

### **სუსტი მჟავებისა და სუსტი ტუტების გატიტვრის მრუდები:**


**3. სუსტი მჟავების გატიტვრისას ძლიერი ფუძეებით ნახტომი და ექვივალენტობის წერტილი გადანაცვლებულია ტუტის მხარეს (ნახ. 3). რაც უფრო სუსტია გასატიტრი მჟავა, მით უფრო ძლიერად არის გადანაცვლებული გატიტვრის ნახტომი და ექვივალენტობის წერტილი.**

**4. სუსტი ფუძეების გატიტვრისას ძლიერი მჟავებით ნახტომი და ექვივალენტობის წერტილი ინაცვლებს მჟავას მხარეს (ნახ. 4).**


ინდიკატორის სწორად შესარჩევად, საჭიროა რომ მისი ფერის გადასვლის ინტერვალი და გატიტვრის მაჩვენებელი იმყოფებოდნენ გატიტვრის ნახტომის ფარგლებში. მაგალითად,  $0,1N$  ძლიერი მჟავების და ტუტების გატიტვრისას შესაძლებელია გამოვიყენოთ მეთილნარინჯი, მეთილის წითელი და ფენოლფტალეინი, რადგანაც  $pT_{\text{მეთილნარინჯი}} = 4$ ,  $pT_{\text{მეთილის წითელი}} = 5$ ,  $pT_{\text{ფენოლფტალეინი}} = 9$ , ე.ი. სამივე მნიშვნელობა იმყოფება გატიტვრის ნახტომის ფარგლებში (4-10).

პრაქტიკულად მოსახერხებელია უფერო სსნარების გატიტვრა, ამიტომ ძლიერი მჟავების გატიტვრისას ძლიერი ტუტებით იყენებენ ფენოლფტალეინს, ამ დროს გატიტვრის დასრულებისას წარმოიქმნება ჟოლოსფერ-წითელი შეფერვა.


ძლიერი ტუტების გატიტვრისას ძლიერი მჟავებით იყენებენ მეთილის წითელს, გატიტვრის დასასრულს ყვითელი ფერი გადადის წითელში. სუსტი ფუძეების გატიტვრისას იყენებენ მეთილნარინჯს, სუსტი მჟავების გატიტვრისას კი – ფენოლფტალეინს.




ნახ. 1. ძრიული ტყების  
გატიტვის ძრიული მუნიცი



ნახ. 2. ძრიული ჰესვას  
გატიტვის ძრიული ტყებით




ნახ. 3. სუსტი მუნიცის  
გატიტვის ძრიული მუნიცი




ნახ. 4. სუსტი ფუძეების  
გატიტვის ძრიული მუნიცი

## XII.6. გატიტვრა უწყლო ხსნარებში


მჟავურ-ფუძური გატიტვრა მიმდინარეობს არა მარტო წყალხსნარებში, არამედ უწყლო ხსნარებშიც: ეთანოლში, უწყლო მმარმჟავაში, აცეტონში. როგორც ცნობილია, წყლის დისოციაცია მიმდინარეობს სქემით:



წყლის მსგავსად, უწყლო გამხსნელებიც ექვემდებარებიან თვითიონიზაციის პროცესს, ანუ ავტოპროტოლიზებიან:



ეთოლის სპირტი  
(ეთანოლი)



მმარმჟავა

ავტოპროტოლიზის შედეგად წარმოიქმნება წყალბადის სოლვატირებული იონები ( $C_2H_5OH_2^+$ ,  $CH_3COOH_2^+$ ) და ანიონები ( $C_2H_5O^-$ ,  $CH_3COO^-$ ). სოლვატირებულ წყალბადიონებს ეწოდება ლიონიუმის კათიონები, ხოლო ანიონებს – ლიატის ანიონები. გამხსნელების ავტოპროტოლიზის შედეგად წარმოქმნილი იონების კონცენტრაციას უწოდებენ გამხსნელის იონურ ნამრავლს ანუ **ავტოპროტოლიზის კონსტანტას** და აღნიშნავენ **K<sub>s</sub>**.  $K_{H_2O} = 1 \cdot 10^{-14}$ ,  $K_{C_2H_5OH} = 8 \cdot 10^{-20}$ ,  $K_{CH_3COOH} = 2,5 \cdot 10^{-13}$ . უწყლო ხსნარებში მჟავებისა და ფუძეების ძალა სხვაგვარია, რაც გამოწვეულია იონიზაციით, რომელიც დამოკიდებულია გამხსნელის ავტოპროტოლიზის კონსტანტაზე. გამხსნელები, რომლებიც აძლიერებენ განსხვავებას გახსნილი მჟავებისა და ფუძეების ძალაში, იწოდებიან **მაღიფერებულირებული** გამხსნელებლად. ხოლო გამხსნელები, რომლებიც ათანაბრებენ მჟავებისა და ფუძეების ძალას, იწოდებიან **მანიველირებული** გამხსნენებლად.

**დონორულ-აქცეპტორული უნარის მიხედვით, განასხვავებენ შემდეგ გამხსნელებს:**

- ა) ამფოტერული (ამფოტროპული) –  $H_2O; C_2H_5OH; CH_3OH$ ;
- ბ) მჟავური (პროტოგენული) – ადვილად გასცემენ პროტონს  $HCOOH; CH_3COOH$ ;
- გ) ფუძური (პროტოფილური) - ადვილად იერთებენ პროტონს: პირიდინი;  $NH_3$ .
- დ) აპროტონული – არ ურთიერთქმედებენ პროტონებთან: ბენზოლი; ციკლოჰექსანი; ქლოროფორმი. უწყლო გამხსნელების ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ მათში კარგად იხსნება ბენზი წყალში უხსნადი ორგანული ნივთიერება.

## XII.7. მჟავურ-ფუძური გატიტვრის პრაქტიკული გამოყენება

მჟავურ-ფუძური გატიტვრით ისაზღვრება ქიმიური ნივთიერებები, ფარმაცევტული პრეპარატები, ორგანული მჟავები, ფუძეები, მათი წარმოებულები. ქიმიურ ანალიზში გამოიყენება ამ მეთოდის **რამდენიმე მოდიფიკაცია** (ანუ წესი):

1. **პირდაპირი გატიტვრა** – მას იყენებენ მარილმჟავას, ნატრიუმის კარბონატის, წყალბადის, ნიკოტინის მჟავას განსასაზღვრავად. გატიტვრა ხდება **0,1N NaOH**-ით, ინდიკატორი – ფენოლფტალეინი;
2. **უუგატიტვრა** – იყენებენ ქლორალჰიდრატის, ჰექსამეთილენტერამინის განსასაზღვრავად. გატიტვრას აწარმოებენ **0,1N H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>**-ით, ინდიკატორი – ფენოლფტალეინი;

3. რეაქციის პროცესში გამოიყენება მეტვლელის (შემცვლელის) გატიტვრა – გამოიყენება ვერცხლისწყლის ოქსიდის, მეთილსალიცილატის, ფენილსალიცილატის, სანტონინის საანალიზოდ;

4. უწყლო გატიტვრა – გამოიყენება სუსტი ფუძეების (ამიდოპირინი), სუსტი მჟავების (ფენოლი) და მათი მარილების ( $\text{CH}_3\text{COONa}$ ) საანალიზოდ.

უწყლო გატიტვრას იყენებენ ექვივალენტობის წერტილის მკაფიოდ განსაზღვრისათვის. ამასთან, პრეპარატების უმეტესობა უსსნადია წყალში, მაგრამ კარგად იხსნება ორგანულ გამხსნელებში.

**ქლორწყალბადმჟავას 0,1N სამუშაო ხსნარის მომზადება.**  $\text{HCl}$ -ის დატიტრული ხსნარის მომზადება კონცენტრირებული მარილმჟავიდან შეუძლებელია, ამიტომ ამზადებენ დაახლოებით 0,1N ხსნარს და მის ტიტრს ადგენენ. ასეთ ხსნარის 1 ლიტრის დასამზადებლად იღებენ 8 მლ კონცენტრირებულ  $\text{HCl}$ -ს ( $\rho=1,19\text{g/l}\text{m}^3$ ).

**$\text{HCl}$ -ის ტიტრის დადგენა.** გამოსავალი ნივთიერებაა ნატრიუმის კარბონატი  $\text{Na}_2\text{CO}_3$  ან ნატრიუმის ტეტრაბორატი  $\text{Na}_2\text{B}_4\text{O}_7 \cdot 10\text{H}_2\text{O}$  (ბორაქსი). რეაქციის დასრულების დასადგენად სარგებლობები მეთილნარინჯით ან მეთილის წითელით; ამზადებენ ბორაქსის 0,1N ხსნარს. ამ მიზნით ანალიზურ სასწორზე წონიან 1,9072გ გადაკრისტალებულ ბორაქს და ათავსებენ 100მლ ტევადობის საზომ კოლბაში, რომელსაც შეავსებენ ჭდემდე დისტილირებული წყლით. 250 მლ-იან კონუსურ კოლბაში პიპეტით გადმოიტანენ 10მლ ბორაქსის ხსნარს. განაზავებენ დისტილირებული წყლით და უმატებენ 3 - 4 წვეთ მეთილნარინჯს. მეორე ასეთივე კოლბაში ამზადებენ ხსნარ “მოწმეს”. ამისათვის კოლბაში ასხამენ დისტილირებულ წყალს 50-60მლ ოდენობით, უმატებენ 3 - 4 წვეთ მეთილნარინჯს, 1 წვეთ მჟავას (ბიურეტიდან). ხსნარი დებულობს ვარდისფერს. ბორაქსის ხსნარს ტიტრავენ 0,1N  $\text{HCl}$ -ით, ვიდრე გასატიტრი ხსნარი ვარდისფერს (“მოწმეს” ფერს) არ მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გატიტრულია. ცდას იმეორებენ რამდენიმეჯერ და გამოთვლიან  $\text{HCl}$ -ის ხსნარის ზუსტ ნორმალობას და ბორაქსის მიმართ მის ტიტრს.

**0,1N  $\text{NaOH}$  სამუშაო ხსნარის მომზადება.**  $\text{NaOH}$  ხსნარის მომზადება ზუსტად აღებული წონაკით შეუძლებელია, ვინაიდან მყარი ტუტე ყოველთვის შეიცავს წყალსა და კარბონატებს. მაშასადამე,  $\text{NaOH}$ -ის რაოდენობა აღებულ წონაკს არ შეესაბამება. 45გ სუფთა  $\text{NaOH}$ -ს ათავსებენ ფაიფურის ჯამზე და ხსნიან 60მლ დისტილირებულ წყალში. ნატრიუმის კარბონატის ნალექს აცდიან დაწდომას, ხოლო ტუტის ხსნარს ფრთხილად გადმოასხამენ სუფთა კოლბაში და უმატებენ ახლადგამოხდილ 950 მლ დისტილირებულ წყალს. მიიღება დაახლოებით 1N კონცენტრაციის ტუტის ხსნარი, რომლის 10-ჯერ განზავებით მიიღებენ **0,1N  $\text{NaOH}$**  ხსნარს. ტუტის ხსნარმა ჰაერიდან რომ არ შთანთქოს ნახშირბადის (IV) ოქსიდი, ხსნარიან ჭურჭელს უკეთებენ საცობს ნატრონის კირით შევსებული მშთანმთქავი მილით.

**ტუტის ხსნარის ტიტრის დადგენა 0,1 N მჟაუნმჟავას ხსნარის მიხედვით.** ამზადებენ 0,1N მჟაუნმჟავას ხსნარს, რისთვისაც 0,6304 გრამ მჟაუნმჟავას წონაკს წონიან ანალიზურ სასწორზე და 100 მლ ტევადობის საზომ კოლბაში ამზადებენ ხსნარს.

250მლ ტევადობის ორ კონუსურ კოლბაში ათავსებენ მჟაუნმჟავას ხსნარის 10-10 მლ-ს, უმატებენ 1-2 წვეთ ფენოლფტალეინს და ტიტრავენ 0,1 N ტუტის ხსნარით დია ვარდისფერის მიღებამდე. შევერვა არ უნდა გაქრეს 30 წმ-ის განმავლობაში. გატიტვრის მიხედვით მიღებული შედეგებით გამოითვლიან ტუტის ხსნარის ზუსტ კონცენტრაციას.

## თავი XIII. რედოქსიმეტრიის (ჟანგვა-ალდგენის) მეთოდები

### XIII.1. რედოქსიმეტრიის არსი, მეთოდები

რედოქსიმეტრიის მეთოდებს საფუძვლად უდევს ჟანგვა-ალდგენითი რეაქციები. ჟანგვა-ალდგენითი გატიტვრა დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ საანალიზო ნივთიერება შეიძლება არსებობდეს ორ ფორმაში – დაუანგულში და ალდგენილში. ამ ორი ფორმის გარკვეულ თანაფარდობას შეესაბამება გარკვეული ჟანგვა-ალდგენითი პოტენციალი, რომელიც განისაზღვრება **ნერნსტის განტოლებით:**

$$E = E_o + \frac{RT}{n \cdot F} \cdot \lg \frac{c_{\text{დაუანგული}}}{c_{\text{ალდგენილი}}}, \quad \text{სადაც:}$$

**E** - არის სისტემის ჟანგვა-ალდგენითი პოტენციალი;

**E<sub>o</sub>** - სტანდარტული (ნორმალური) ელექტროდული პოტენციალი, ვოლტებში;

**R** - უნივერსალური გაზური მუდმივა;

**T** - აბსოლუტური ტემპერატურა;

**n** - ელექტრონების რიცხვი, რომლებიც მონაწილეობენ რეაქციაში;

**F** - ფარადეის რიცხვი, რომელიც ტოლია  $9,65 \cdot 10^4$  კულონი.

თუ აწარმოებენ საანალიზო ნივთიერების ალდგენილი ფორმის გატიტვრას დამჟანგელის სსნარით, გატიტვრის პროცესში ალდგენილი ფორმა გადადის დაუანგულ ფორმაში და სისტემის პოტენციალი იცვლება. ექვივალენტობის წერტილში საანალიზო ნივთიერება მთლიანად გადადის დაუანგულ ფორმაში და ხდება პოტენციალის მკვეთრი ცვლილება. პოტენციალის ნახტომი იმყოფება ექვივალენტობის წერტილში.

იმ მეთოდების სახელწოდება, რომლებშიც გამოყენებულია რედოქსიმეტრიის პრინციპი, წარმოდგება ტიტრიანი სამუშაო სსნარების სახელწოდებიდან.

#### რედოქსიმეტრიის მეთოდებს მიეკუთვნება:

**a) პერმანგანატმეტრია** – იგი დაფუძნებულია **KMnO<sub>4</sub>**-ის სამუშაო სსნარის დამჟანგელ მოქმედებაზე, გატიტვრა მიღის ინდიკატორის გარეშე;

**b) იოდმეტრია** – სამუშაო სსნარს წარმოადგენს თავისუფალი იოდის სსნარი ( $I^-$  -ის იონი ალდგენილია), ამ მეთოდით ისაზღვრება როგორც დამჟანგელები, ასევე ალდგენელები, ინდიკატორი – სახამებელია.

**გ) ქრომატმეტრია** – სამუშაო სსნარია **K<sub>2</sub>Cr<sub>2</sub>O<sub>7</sub>**, მეთოდის მეშვეობით შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ასევე უკუგატიტვრა.

**დ) ბრომატმეტრია** – სამუშაო სსნარია კალიუმის ბრომატი – **KBrO<sub>3</sub>**, რომელსაც გააჩნია დამჟანგელი თვისებები.

**ე) იოდატმეტრია** – სამუშაო სსნარია კალიუმის იოდატი – **KIO<sub>3</sub>**.

**ვ) განადატმეტრია** – სამუშაო სსნარია დამჟანგელი ამონიუმის ვანადატი – **NH<sub>4</sub>VO<sub>3</sub>**.

#### დაუანგვა-ალდგენის რეაქციების ძირითადი თავისებურებანი შემდეგია:

– მრავალ რეაქციაში ურთიერთქმედებს არა მარტო მჟანგავები ან ალმდგენები, არამედ

- სხვა ნივთიერებებიც (მაგალითად, მჟავები და ტუტეები);
- რეაქციები ხშირად რამდენიმე სტადიად მიმდინარეობს, ამასთან თითოეული მათგანი სხვადასხვა სიჩქარით;
- დაუანგვა-ალდგენის რეაქციების სიჩქარე უფრო დაბალია, ვიდრე იონგაც კლითი რეაქციებისა. მაშინ, როცა იონური რეაქციები პრაქტიკულად მყისიერად ხორციელდება, დაუანგვა-ალდგენის რეაქციები მოითხოვს მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ დროსა და განსაზღვრულ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროცესის წარმართვას ბოლომდე;
- ერთი და იგივე გამოსავალი ნივთიერებისათვის შესაძლებელია რეაქციის სხვადასხვა მიმართულებით წარმართვა. გარდა ამისა, რეაქციის პროცესში

ხშირია ისეთი ნივთიერებების წარმოქმნა, რომლებიც თვით რეაქციის მსვლელობას ცვლის.

ოქსიდომეტრიის მეთოდებში გამოიყენება სხვადასხვა ინდიკატორი. ხშირად ისინი ორგანული ნივთიერებებია, რომლებიც თვითონ არიან მუანგავები ან აღმდგენები. ამგვარ ინდიკატორებს **რედოქს-ინდიკატორები** ეწოდება. ისინი ადვილად გადადიან მუანგავი ფორმიდან აღმდგენში, და პირიქით. გარდა ამისა, ამ ფორმებს განსხვავებული შეფერვა აქვს. მაგალითად, დიფენილამინის მუანგავი ფორმა მოლურჯო-იისფერია, ხოლო აღმდგენი – უფერო.

**ზოგიერთი რეაქციისათვის არსებობს სპეციფიკური ინდიკატორები** – ნივთიერებები, რომლებიც შეფერვის შეცვლით რეაგირებენ გატიტვრის ერთ-ერთ მონაწილესთან. მაგალითად, სახამებელი იოდთან წარმოქმნის ლურჯი ფერის ადსორბციულ ნაერთებს.

შესაძლებელია გატიტვრა ინდიკატორის გარეშეც ჩატარდეს, თუ სამუშაო ხსნარის შეფერვა საკმაოდ კაშკაშაა და რეაქციის შედეგად იგი მკვეთრად იცვლება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გატიტვრა კალიუმის პერმანგანატით, რომლის ხსნარი ეოლოსფერია.

### XIII.2. რედოქს-პოტენციალები, რედოქს-რეაქციების მიმართულება. რედოქს-რეაქციების წონასწორობის კონსტანტები

დამუანგველები და აღმდგენელები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქიმიური აქტიურობით, ისინი რაოდენობრივად ხასიათდებიან რედოქს-პოტენციალების სიდიდით. აბსოლუტური პოტენციალების გაზომვა რთულია, ამიტომ ელექტროდულ პოტენციალებს საზღვრავენ სტანდარტულ წყალბადის ელექტროდთან შეფარდებით, რომელიც მიჩნეულია **0** ვოლტის ტოლად. ყოველი გალვანური ელემენტი შედგება ნახევარელემენტების ორი წყვილისაგან. დაგუშვათ, რომ ერთ წყვილს წარმოადგენს  $Fe^{3+}/Fe^{2+}$ , მეორე წყვილს –  $2H^+/H_2$ . შეიძლება გალვანური ელემენტის ელექტრომამოძრავებელი ძალის (ე.მ.ძ.) განსაზღვრა:

$$\text{ე.მ.ძ.} = E_{oFe^{3+}/Fe^{2+}} - E_{o2H^+/H_2} = 0,773 \text{ ვ, რადგანაც } E_{o2H^+/H_2} = O \text{ ვ.}$$

თუ ცნობილია სტანდარტული რედოქს-პოტენციალების სიდიდე, შეიძლება ჟანგვა-აღდგენითი პროცესის მიმართულების განსაზღვრა. წყვილი, რომელსაც გააჩნია უფრო მეტი სტანდარტული რედოქს-პოტენციალი, ითამაშებს დამუანგველის როლს იმ წყვილის მიმართ, რომელსაც გააჩნია ნაკლები პოტენციალი.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი წყვილის რედოქს-პოტენციალი გამოითვლება ფორმულით:


$$E = E_o + \frac{RT}{nF} \cdot \lg \frac{[\text{დამშ.}]}{[\text{აღმდგ.}]}$$

თუ ნატურალური ლოგარითმებიდან გადავალთ მეათედებზე და ჩავსვამთ ფორმულაში კონსტანტების მნიშვნელობას, მივიღებთ:  $E = E_o + \frac{0,058}{n} \cdot \lg \frac{[\text{დამშ.}]}{[\text{აღმდგ.}]}$

თუ  $[Fe^{3+}] = 1\text{-იონი/ლ}$ , ხოლო  $[Fe^{2+}] = 1 \cdot 10^{-3}\text{-იონი/ლ}$ , მაშინ წყვილისთვის  $Fe^{3+}/Fe^{2+}$  ნერნსტის განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$E_{Fe^{3+}/Fe^{2+}} = 0,77 + 0,558 \cdot \lg \frac{1}{1 \cdot 10^{-3}} = 0,9443 \text{ ვ.}$$

მაშასადამე, რედოქს-პოტენციალი დამოკიდებულია რედოქს-ფორმების კონცენტრაციაზე. გარდა ამისა, რედოქს-პოტენციალის სიდიდე დამოკიდებულია ასევე  $[H^+]$ -ის სიდიდეზე ხსნარში. ეს კარგად ჩანს ისეთი რეაქციის მიმდინარეობისას,



$$E_{MnO_4^- / Mn^{2+}} = E^\circ + \frac{0,058}{5} \lg \frac{[MnO_4^-] \cdot [H^+]}{[Mn^{2+}]}$$

$$[\text{დამჟ}] = [\text{აღმდგ}] \quad \text{და} \quad [H^+] = 1$$

იმისათვის, რომ გაირკვეს ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების გადანაცვლების ხარისხი საჭირო მიმართულებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ დამჟანგველსა და აღმდგენელს შორის შესაძლებელია დამჟარდეს წონასწორული მდგომარეობა. მაშინ შესაძლებელია გამოვთვალოთ წონასწორობის კონსტანტა:

$$\lg K = \frac{[E'_0 - E''_0] \cdot n}{0,058}, \quad \text{სადაც:} \quad - \text{არის წონასწორობის კონსტანტა.}$$

$$E'_0 \quad \text{და} \quad E''_0 \quad - \text{სტანდარტული რედოქს-პოტენციალებია;}$$

**II** – გადანაცვლებული ელექტრონების რიცხვი.

წონასწორობის კონსტანტა მით მეტია, რაც უფრო მეტია სხვაობა სტანდარტულ რედოქს-პოტენციალებს შორის. წონასწორული სისტემის მდგომარეობა შესაძლებელია იქნეს გადანაცვლებული ამა თუ იმ მიმართულებით, აღნიშნული პარამეტრების მომატებით ან შემცირებით. ამის მიღწევა შეიძლება დამჟანგავის კონცენტრაციის ამაღლებით ან აღმდგენელის კონცენტრაციის შემცირებით.


### XIII.3. რედოქს-მეთოდების გატიტვრის მრუდები. რედოქს-ინდიკატორები

რედოქს-მეთოდებით გატიტვრის პროცესში, საწყისი და საბოლოო პროდუქტების კონცენტრაციები განუწყვეტლივ იცვლება, ეს იწვევს ხსნარის რედოქს-პოტენციალის შეცვლას. მაგალითად:  $MnO_4^- + 5Fe^{2+} + 8H^+ \rightleftharpoons Mn^{2+} + 5Fe^{3+} + 4H_2O$

ხსნარში არსებობს ორი რედოქს-წყვილი:  $MnO_4^- / Mn^{2+}$  და  $Fe^{3+} / Fe^{2+}$ .

$$E' = 1,51 + \frac{0,058}{1} \cdot \lg \frac{[MnO_4^-]}{[Mn^{2+}]} \quad E'' = 0,77 + \frac{0,058}{1} \cdot \lg \frac{[Fe^{3+}]}{[Fe^{2+}]}$$

გატიტვრის მრუდის ასაგებად, ორდინატთა ღერძზე დაიტანენ რედოქს-პოტენციალის სიდიდეებს –  $E(\text{გ})$ , ხოლო აბსცისთა ღერძზე –  $0,1\text{N KMnO}_4$ -ის ხსნარის და  $\text{FeSO}_4$ -ის ხსნარის რაოდენობას, (მლ).  $\text{FeSO}_4$ -ის კონცენტრაციის შეცვლა  $\text{KMnO}_4$ -ით გატიტვრისას გამოისახება გატიტვრის მრუდით (ნახ. 5):



ნახ. 5. სტანდარტული სამუშაო ხსნარის –  $\text{KMnO}_4$  მოცულობა, მლ

თუ ხსნარში დიდი რაოდენობითაა  $\text{FeSO}_4$ , მაშინ  $\text{KMnO}_4$ -ის მიმატებით ნაკლებად იცვლება ხსნარის კონცენტრაცია. ექვივალენტობის წერტილის მიღწევისას  $\text{FeSO}_4$ -ის კონცენტრაცია იცვლება ნახტომისებურად და შესაბამისად იცვლება პოტენციალის სიდიდე –  $E$ . პოტენციის დასაწყისში პოტენციალი  $E = 0,77\text{ვ}$ .  $\text{KMnO}_4$ -ის მიმატებისას  $[\text{Fe}^{2+}]$  მცირდება, ხოლო  $[\text{Fe}^{3+}]$  იზრდება, შესაბამისად გაიზრდება. ექვივალენტობის წერტილამდე ცვლილება უმნიშვნელოა, ხოლო გატიტვრის ბოლოს იზრდება და აღწევს 1,220 კონცენტრაციას – ეს არის ექვივალენტობის წერტილი.

ექვივალენტობის წერტილის დაფიქსირება რედოქსიმეტრული გატიტვრის დროს შესაძლებელია ინდიკატორის გარეშეც, როცა ტიტრანტის ფერი შესამჩნევად იცვლება, როგორც ხდება პერმანგანატმეტრიაში. მაგრამ იოდომეტრიაში მიზანშეწონილია სახამებლის გამოყენება, რომელიც თავისუფალი იოდის მონაწილეობისას იფერება ინტენსიურ ლურჯ ფერად, რადგანაც ამ დროს წარმოიქმნება ლურჯი ფერის ადსორბციული ნაერთი. ინდიკატორებს, რომელთა ფერი იცვლება რედოქს-პოტენციალის გარკვეული მნიშვნელობის მიღწევისას, ეწოდებათ **რედოქს-ინდიკატორები**. მათ მიეკუთვნება დიფენილამინი –  $NH(C_6H_5)_2$ , რომლის ხსნარიც დამჟანგველების მოქმედებით იფერება მოლურჯო – იისფრად.

#### **ინდიკატორებს წაყენებული აქვთ შემდეგი მოთხოვნები:**

- დაჟანგული და აღდგენილი ფორმის შეფერილობა უნდა იყოს სხვადასხვა;
- შეფერვის ცვლილება უნდა იყოს შესამჩნევი ინდიკატორის მცირე რაოდენობის შემთხვევაშიც;
- ინდიკატორი უნდა რეაგირებდეს ექვივალენტობის წერტილში დამჟანგველის ან აღმდგენელის მცირე სიჭარბესთან;
- ინდიკატორის მოქმედების ინტერვალი უნდა იყოს შესაძლოდ მცირე;
- ინდიკატორი უნდა იყოს მდგრადი გარემოს ქმედებაზე: ჰაერის ჟანგბადზე,  $\text{CO}_2$ -ზე, სინათლეზე.

**რედოქს-ინდიკატორები** არსებობენ ორი ფორმით – დაჟანგული და აღდგენილი, მათ მიეკუთვნება:

#### **I) დიფენილამინი – $NH(C_6H_5)_2$**

იგი გამოიყენება დამჟანგველებით გატიტვრის პოტენციალში. დიფენილამინი იუანგება დიფენილბენზიდინით მოლურჯო-იისფრამდე. შეფერვის გადასვლის პოტენციალი  $E_o = 0,76 \text{ ვ}$ .

**2) ფენილანთრანილის მჟავა –  $C_6H_5NHC_6H_4COOH$**

აღდგენილ ფორმაში ინდიკატორი უფერულია, დაჟანგულ ფორმაში მოწითალო-ისფერი. შეფერვის გადასვლის პოტენციალი  $E_o = 1,08$  ვ.



**3) სახამებელი –  $(C_6H_{10}O_5)_n$**

თავისუფალი იოდის მონაწილეობისას სახამებელი ლურჯდება, იოდის ადსორბციის შედეგად მის მოლექულებზე.

**4) ამონიუმის თორციანატი –  $NH_4SCN$ .** გამოიყენება  $Fe^{3+}$ -ის მარილების გატიტვრისას. ექვივალენტობის წერტილში გასატიტრი ხსნარის წითელი ფერი უფერულდება.

### XIII.4. პერმანგანატმეტრიის საფუძვლები. პერმანგანატის სამუშაო ხსნარის დამზადება




პერმანგანატმეტრიას საფუძვლად უდევს პერმანგანატ-იონით ( $MnO_4^-$ ) დაჟანგა, რომელიც წარმოებს  $KMnO_4^-$ -ის მეშვეობით მჟავა, ტუტე ან ნეიტრალურ გარემოში. მჟავა არეში  $Mn(VII)$  აღდგება  $Mn(II)$ -მდე და ხსნარის უოლოსფერ-ისფერი შეფერვა უფერულდება:



$MnO_4^-$  იღებს 5 –ს, მაშასადამე  $KMnO_4^-$ -ის გ-ექვ ტოლია:

$$\vartheta = \frac{158,03}{5} = 31,61 \text{ გ}$$


ტუტე ან ნეიტრალურ არეშე დაჟანგვისას  $Mn(VII)$  აღდგება  $Mn(IV)$ -მდე:



ამ შემთხვევაში,  $MnO_4^-$  იღებს 3 -ს, მაშასადამე, მისი გ-ექვ. ტოლია:

$$\vartheta = \frac{158,03}{3} = 52,68 \text{ გ}$$

$Mn^{2+}$  -იონი და  $MnO_2$  გადადიან ერთმანეთში:



$[H^+]$ -ის გაზრდისას ხსნარში, წონასწორობა გადაიხრება  $Mn^{2+}$ -ის მხარეს, რეაქციის შედეგად წარმოიქმნება უფერული  $Mn^{2+}$  იონები.

$[H^+]$ -ის შემცირებისას, წონასწორობა იხრება  $MnO_2$ -ის წარმოქმნის მხარეს, რაც აღინიშნება კიდევ რეაქციის ჩატარებისას ტუტე ან ნეიტრალურ არეში.

$KMnO_4$ -ის დამჟანგველი უნარი მჟავა არეში გაცილებით მეტია –  $E_{MnO_4^-}/Mn^{2+} = +1,51$  ვ, ვიდრე ტუტე არეში –  $E_{MnO_4^-/MnO_2} = +0,59$  ვ.

**პერმანგანატმეტრიით ისაზღვრება რაოდენობრივად:** მჟაუნმჟავა, ჭიანჭველმჟავა, გოგირდწყალბადმჟავა, წყალბადის ზეჟანგი, რკინა – რკინის (II) მარილებში, მანგანუმი – მანგანუმ (II) - ის მარილებში.


**პერმანგანატმეტრიის ჩასატარებლად აუცილებელია:**

1. **0,05N**  $KMnO_4$ -ის სამუშაო ხსნარი;
2. **0,05N** მჟაუნმჟავას ან ნატრიუმის ოქსალატის ხსნარები:  $H_2C_2O_4 \cdot 2H_2O; Na_2C_2O_4$  (პერმანგანატის ხსნარის ტიტრის დასადგენად);
3. **2N**  $H_2SO_4$ -ის ხსნარი, ინდიკატორი არ არის საჭირო.

**პერმანგანატმეტრიაში გამოიყენება 0,05N  $KMnO_4$ -ის სამუშაო ხსნარი, რომლის დამზადება ზუსტი წონაკის მიხედვით გამნელებულია იმის გამო, რომ იგი შეიცავს  $MnO_2$ -ის მინარევებს. დისტილირებულ წყალშიც იმყოფება აღმდგენელი მინარევები, რომლებიც აღადგენებ  $KMnO_4$ -ს  $MnO_2$ -მდე. ამიტომ წონაკიდან მომზადებულ ხსნარს აყოვნებენ 7 დღეულამებ, რომლის განმავლობაში ხსნარში მიმდინარეობს ყოველგარი თანმხელები რეაქციები და  $KMnO_4$ -ის კონცენტრაცია ხდება მუდმივი.  $KMnO_4$  უანგავს რეზინას, ფილტრის ქაღალდს, ამიტომ მას ფილტრავენ მინის ფილტრში, ხოლო ინახავენ მუქ ჭურჭელში, რადგანაც დღის სინათლეზე  $KMnO_4$  იშლება;**



ანალიზურ სასწორზე წონიან 1,58 გ ქიმიურად სუფთა  $KMnO_4$ -ს, ხსნიან 1 ლ დისტილირებულ წყალში, მიჰყავთ ადუდებამდე და აგრძელებენ გათბობას 1 სთ-ის განმავლობაში. შემდეგ ფილტრავენ მინის ფილტრში და მიიღება 0,05  $KMnO_4$ . ადგენენ ხსნარის ტიტრს მჟაუნმჟავას მიმართ –  $H_2C_2O_4 \cdot H_2O$  ან ნატრიუმის ოქსალატის მიმართ –  $Na_2C_2O_4$ . პერმანგანატით გატიტვრა მიმდინარეობს ინდიკატორის გარეშე:



ორივე შემთხვევაში  $C_2O_4^{2-}$  იქანგება:  $C_2O_4^{2-} - 2\bar{e} \rightarrow 2CO_2 \uparrow$

$$\varTheta_{H_2C_2O_4 \cdot 2H_2O} = \frac{126,06}{2} = 63,03 \text{ გ} \quad \varTheta_{Na_2C_2O_4} = \frac{134}{2} = 67 \text{ გ}$$

რადგანაც  $KMnO_4$ -ის ხსნარი 0,05 ნორმალობისაა, ამიტომ მჟაუნმჟავას ან ნატრიუმის ოქსალატის ხსნარებიც უნდა იყოს 0,05 ნორმალობის. იმისათვის, რომ დამზადდებს 250 მლ 0,05 N  $H_2C_2O_4 \cdot 2H_2O$ -ის ან  $Na_2C_2O_4$ -ის ხსნარები, საჭიროა:

$$m_{H_2C_2O_4 \cdot 2H_2O} = 63,03 \cdot 0,05 \cdot 0,25 = 0,79 \text{ გ}$$


$$m_{Na_2C_2O_4} = 67 \cdot 0,05 \cdot 0,25 = 0,84 \text{ გ}$$

პიპეტით გადააქვთ 25 მლ მჟაუნმჟავას ან ნატრიუმის ოქსალატის ხსნარი კოლბაში, უმატებენ 10-15 მლ 2N  $H_2SO_4$ -ს, ახურებენ 70-80°C და ტიტრავენ 0,05 N  $KMnO_4$ -ით მანამ, სანამ ხსნარი არ მიიღებს სუსტ უოლოსფერს. გატიტვრას ახდენენ 3-ჯერ მაინც და გამოითვლიან საშუალო არითმეტიკულით  $KMnO_4$ -ის ტიტრს:


$$T_{KMnO_4} = \frac{N \cdot \varTheta}{1000} \quad N_{KMnO_4} = \frac{N_{H_2C_2O_4} \cdot V_{H_2C_2O_4}}{V_{KMnO_4}}$$

### XIII.5. იოდმეტრია. სამუშაო ხსნარები იოდმეტრიაში, იოდის სტანდარტული ხნარის დამზადება

იოდმეტრია ეწოდება ყველაზე ზუსტ უანგვა-აღდგენით მეთოდს, რომელიც გამოყენებულია ტიტრიმეტრულ ანალიზში და რომელსაც საფუძვლად უდევს ნივთიერების რაოდენობის განსაზღვრა გამოყოფილი ან შთანთქმული იოდის მიხედვით. დამჯანველს როლში გამოდის თავისუფალი იოდი:




$E_{\text{ol}_2/2I^-} = 0,54$  ვ, ამიტომ ნივთიერებები, რომელთა  $E_\circ$  ნაკლებია ამ მნიშვნელობაზე, წარმოადგენენ აღმდგენელებს და წარმართავენ რეაქციას მარჯვნივ, მათ მიეკუთვნება:  $Na_2S_2O_3$ ;  $Al_2O_3$ ;  $SnCl_2$ . ნივთიერებები, რომელთა  $E_\circ$  მეტია 0,54 ვოლტზე, წარმოადგენენ დამჯანველებს  $I^-$ -ის იონის მიმართ და წარმართავენ რეაქციას თავისუფალი იოდის გამოყოფის მიმართულებით:



ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება:  $KMnO_4$ ;  $K_2Cr_2O_7$ ;  $MnO_2$ ;  $Cl_2$ ;  $Br_2$ .


როცა  $pH > 8$ , მიმდინარეობს რეაქცია:  $I_2 + 2OH^- \leftrightarrow I^- + H_2O$ , ამ დროს წარმოიქმნება ჰიპოიოდიდი, რომელსაც გააჩნია უფრო მაღალი  $E_\circ$ , ვიდრე  $I_2$  -ს, ამიტომ იოდმეტრიის ჩატარება ტუტე არ შეიძლება. თავისუფალი იოდის რაოდენობას საზღვრავენ მისი გატიტვრით 0,01N  $Na_2S_2O_3$ -ის ხსნარით:



$Na_2S_2O_3$  შთანთქავს თავისუფალ იოდს და გადახრის წონასწორობას მარჯვნივ. იმისათვის, რომ რეაქციის წონასწორობა გადაიხაროს მარცხნივ, საჭიროა თავისუფალი იოდის სიჭარე. იოდმეტრული რეაქციების უმეტესობა მიმდინარეობს დიდი სიჩქარით, ამიტომ განსაზღვრას ატარებენ უპუგატიტვრით. ამისათვის საანალიზო ხსნარს უმატებენ იოდის ჭარბ ხსნარს და ტიტრავენ იოდის სიჭარბეს  $Na_2S_2O_3$ -ის ტიტრიანი ხსნარით:






$Na_2S_2O_3$ -ის მოლეკულაში  $S^{2-}$  -იონების არსებობა განაპირობებს ამ ნივთიერების ძლიერ აღმდგენელ თვისებებს. თავისუფალი იოდი ურთიერთქმედებს მასთან:




იოდის კონცენტრაციის მიხედვით ხსნარში, მისი ფერი შეიძლება იყოს ყვითლიდან ყავისფრამდე. ხსნარი  $Na_2S_2O_3$  -ით გატიტვრისას უფერულდება.

$Na_2S_2O_3$ -ის გ-ექვ-ს საზღვრავენ მისი რეაქციის საფუძველზე იოდთან:




$\dot{Y}_{Na_2S_2O_3 \cdot 5H_2O} = 248,19$  გ. იმისათვის, რომ დამზადებს 1 ლ 0,01 N ხსნარი, საჭიროა 2,5 გ წონაკის აღება. მაგრამ წონაკის გახსნით ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარის დამზადება

შეუძლებელია, რადგანაც მარილი პაერზე ადვილად იფანტება, ხოლო წყალსნარში იგი იშლება ნახშირმჟავათი და პაერის უანგბადით:



ამიტომ ნატრიუმის თიოსულფატის სსნარს ამზადებენ შემდეგნაირად: დისტილი-რებულ წყალს ადუღებენ **CO<sub>2</sub>**-ის მოსაცილებლად. ტექნიკურ სასწორზე წონიან ნატრიუმის თიოსულფატის უხეშ წონაკს, სსნიან წყალში, უმატებენ 0,2 გრამ **Na<sub>2</sub>S<sub>2</sub>O<sub>3</sub>**-ს და მიჰყავთ 1 ლ-მდე. **Na<sub>2</sub>S<sub>2</sub>O<sub>3</sub>**-ს ტიტრს ადგენენ **K<sub>2</sub>Cr<sub>2</sub>O<sub>7</sub>**-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ძლიერ მჟანგავს, მაგრამ მისი უშუალო გატიტვრა ნატრიუმის თიოსულფატით გაძნელებულია, ექვივალენტობის წერტილის ძნელად დადგენის გამო. ამიტომ აწარმოებენ გატიტვრას შემცვლელის მეთოდით, რისთვისაც იყენებენ იოდის დამხმარე სსნარს. **K<sub>2</sub>Cr<sub>2</sub>O<sub>7</sub>**-ი, როგორც მჟანგავი, გამოყოფს იოდიდან თავისუფალ იოდს ისეთი რაოდენობით, რომელიც ექვივალენტურია **K<sub>2</sub>Cr<sub>2</sub>O<sub>7</sub>**-ის წონაკისა. გამოყოფილ იოდს ტიტრავენ **Na<sub>2</sub>S<sub>2</sub>O<sub>3</sub>**-ით:



$$\varTheta_{K_2Cr_2O_7} = \frac{294,21}{6} = 49,04 \text{ გ}$$

$$m_{K_2Cr_2O_7} = \frac{49,04 \cdot 0,05}{4} = 0,6 \text{ გ}$$

აღნიშნული წონაკი გადააქვთ 250 მლ მოცულობის საზომ კოლბაში და მიჰყავთ წყლით ნიშანსაზამდე. პიპეტით იღებენ 20 მლ იოდის სსნარს, გადააქვთ კონუსურ კოლბაში, უმატებენ 15-20 მლ 20% **H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>**-ს და 20-25 მლ **K<sub>2</sub>Cr<sub>2</sub>O<sub>7</sub>**-ის სტანდარტულ სსნარს, აყოვნებენ 5 წთ-ით და უმატებენ 100-150 მლ წყალს, შემდეგ კი ტიტრავენ **Na<sub>2</sub>S<sub>2</sub>O<sub>3</sub>**-ის სსნარით. თავდაპირველად გატიტვრას ახდენენ ინდიკატორის გარეშე და მას შემდეგ, როცა სსნარი გახდება ლია-ყვითელი, უმატებენ 2-3 მლ სახამებელს, აგრძელებენ გატიტვრას სსნარის ლურჯი ფერის გაქრობამდე და მწვანე ფერის მიღებამდე (**Cr<sup>3+</sup>**-იონების წარმოქმნის გამო).

$$N_{Na_2S_2O_3} = \frac{N_{K_2Cr_2O_7} \cdot V_{K_2Cr_2O_7}}{V_{Na_2S_2O_3}}$$

კალიუმის ბიქრომატის გარდა, ნატრიუმის თიოსულფატის ტიტრის დადგენა შეიძლება **KMnO<sub>4</sub>**-ის სსნარითაც.

0,1 N იოდის სამუშაო სსნარის მომზადება ხდება შემდეგნაირად:

$$\varTheta_{I_2} = 126,92 \text{ გ} \quad m_{I_2} = \dot{Y} \cdot N = 126,92 \cdot 0,1 = 12,7 \text{ გ}$$

იოდის სსნადობა მცირეა წყალში და 20°C-ზე შეადგენს 0,02 გრამს, ამიტომ სსნადობის გასაზრდელად, სსნარზე ამატებენ იოდის 3-ჯერად რაოდენობას. ამ დროს იოდი წარმოქმნის სსნად კომპლექსურ ნაერთს:  $I_2 + KI \rightleftharpoons K[I_3]$ . იოდის ზუსტი სსნარის მომზადებისათვის შეიძლება ფიქსონალის გამოყენებაც. 0,1 N იოდის სამუშაო სსნარის მოსამზადებლად, 1 ლიტრიან საზომ კოლბაში ათავსებენ 20-25 გრამ **KI**-ს, სსნიან 50-60 მლ წყალში, უმატებენ 12,5 გრამ იოდს და ავსებენ წყლით ნიშანსაზამდე. მიღებულ სსნარს ტიტრავენ **Na<sub>2</sub>S<sub>2</sub>O<sub>3</sub>**-ით, როცა სსნარი მიიღებს ლია-ყვითელს, უმატებენ 2-3 მლ სახამებელს. გატიტვრას ასრულებენ სსნარის გაუფერულების შემდეგ.

### XIII.6. სახამებელი, როგორც ინდიკატორი იოდმეტრიაში. იოდმეტრიის პრაქტიკული გამოყენება

იოდმეტრიაში ძალზე მგრძნობიარე ინდიკატორს წარმოადგენს 1% სახამებლის ხსნარი, რომელიც იძლევა იოდთან არამდგრად მუქი ლურჯი ფერის ნაერთს. ლურჯი ფერი გამოწვეულია სახამებლის ნაწილაკების ადსორბციული ნაერთის წარმოქმნით იოდთან, რომელსაც ეწოდება **იოდსახამებელი**. ტემპერატურის გაზრდით იოდსახამებელი იშლება და ხსნარი კვლავ უფერულდება, ამიტომ იოდმეტრულ გატიტვრას აწარმოებენ სიცივეში. სახამებლის მეშვეობით ადვილად შეიძლება ხსნარში თავისუფალი იოდის წარმოქმნა (გალურჯება) და მისი გაქრობა ხსნარიდან (ლურჯი ხსნარის გაუფერულება), მაგრამ თავისუფალი იოდის წარმოქმნის შეწყვეტის მომენტის დაფიქსირება ვერ ხერხდება სახამებლის მეშვეობით. ამიტომ იოდმეტრიაში დამჟანგველების განსაზღვრისათვის იყენებენ შემცვლელის მეთოდს, კერძოდ: თუ დამჟანგველის ხსნარს დავამატებთ იოდის ხსნარის სიჭარბეს, დამჟანგველი გამოყოფს ხსნარიდან მკაცრად ექვივალენტურ თავისუფალი იოდის რაოდენობას. თუ გამოყოფილ იოდს გავტიტრავთ რომელიმე აღმდგენელით, ადვილად განვსაზღვრავთ დამჟანგველის რაოდენობასაც საანალიზო ხსნარში. ამრიგად, იოდი გამოიყენება არა როგორც სამუშაო ხსნარი, არამედ როგორც დამხმარე ხსნარი.

დამჟანგველების განსაზღვრისას სამუშაო ხსნარად გამოიყენება  $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3$ -ის ხსნარი. 1% სახამებლის ხსნარის დასამზადებლად, წონიან 5 გ სახამებელს, სრესენ ცივი წყლის მცირე რაოდენობის თანხლებით და მიღებულ ნარევს იმატებენ 100 მლ ცხელ წყალს. 2-3 წთ-ის დუღილის შემდეგ სახამებლის ხსნარი მზადაა ხმარებისთვის. იოდის გატიტვრისას  $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3$ -ის ხსნარით, სახამებლის მიმატება საჭიროა გატიტვრის ბოლოსკენ, სხვანაირად გამოყოფილი იოდის დიდი რაოდენობა ადსორბირდება სახამებლის მიერ და შენელდება იოდის ურთიერთქმედების რეაქცია ნატრიუმის თიოსულფატთან. სახამებლის ხსნარის კონსერვაციისათვის, მას უმატებენ სალიცილის მჟავას ან  $\text{ZnCl}_2$ -ს.


არაორგანული ნაერთებიდან იოდმეტრულად ისაზღვრება იოდი,  $\text{KMnO}_4$ ,  $\text{Na}_2\text{AsO}_4$ ,  $\text{Hg}_2\text{Cl}_2$  (კალომელი),  $\text{CuSO}_4$ , ორგანული ნაერთებიდან – ფორმალინი, ანტიპირინი. პირდაპირი გატიტვრით  $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3$ -ის ხსნარის მეშვეობით აწარმოებენ იოდის ანალიზს. უკუგატიტვრით აწარმოებენ კალომელის, ფორმალინის, ანტიპირინის ანალიზს. შემცვლელის გატიტვრით ახდენენ  $\text{KMnO}_4$ -ის,  $\text{Na}_2\text{AsO}_4$ -ის,  $\text{CuSO}_4$ -ის ანალიზს.

### XIII.7. ოქსიდომეტრიის სხვა მეთოდები

**განადომეტრია** – დაფუძნებულია საანალიზო ნივთიერების აღდგენის რეაქციაზე განადიუმის (II) სულფატით, რომელიც იუანგება ვანადიუმის (III) სულფატამდე:


$$V^{2+} + \bar{e} = V^{3+}$$

განადომეტრიაში იყენებენ ორ სამუშაო ხსნარს –  $VSO_4$  და რკინა-ამონიუმის შაბის ხსნარს –  $NH_4Fe(SO_4)_2$ . განსაზღვრებს აწარმოებენ უკუგატიტვრით. საანალიზო ხსნარზე ამატებენ  $VSO_4$ -ის ტიტრიანი ხსნარის სიჭარბეს და ტიტრავენ რეაქციაში შეუსვლელ  $VSO_4$ -ის ხსნარს რკინა-ამონიუმის შაბის ტიტრიანი ხსნარით. ამ დროს მიმდინარეობს რეაქცია:




$VSO_4$ -ის ტიტრიანი ხსნარის რაოდენობის მიხედვით გამოითვლიან საანალიზო ნივთიერების რაოდენობას. **ინდიკატორად გამოიყენება საფრანინი**, რომელიც უფერულია  $V^{2+}$ -იონების მონაწილეობისას და წითლდება რკინა-ამონიუმის შაბის (დამჟანგელის) სიჭარბეში.

**ქრომატომეტრია** – დაფუძნებულია საანალიზო ნივთიერების დაუანგვაზე  $K_2Cr_2O_7$ -ის ხსნარით, რომელიც აღდგება  $Cr^{3+}$ -მდე:




სამუშაო ხსნარს წარმოადგენს  $K_2Cr_2O_7$ . ანალიზს აწარმოებენ პირდაპირი გატიტვრით, ინდიკატორია – დიფენილამინი  $(C_6H_5)_2NH$ , რომელიც ფერავს ხსნარს ლურჯად  $K_2Cr_2O_7$ -ის სიჭარბეში.

**ცერიმეტრია** – დაფუძნებულია საანალიზო ნივთიერების დაუანგვაზე ცერიუმ (IV)-ის მარილებით, რომელიც აღდგება ცერიუმ (III)-მდე:



ოთხვალენტიანი ცერიუმის მარილის სახით გამოიყენება მისი შერეული მარილი –  $Ce(SO_4)_2 \cdot 2(NH_4)_2SO_4 \cdot 2H_2O$ , რომელიც წარმოადგენს სამუშაო ხსნარს და რომლის ტიტრს ადგენენ ნატრიუმის ოქსალატის მიხედვით. ანალიზი წარმოებს პირდაპირი გატიტვრით. ექვივალენტობის წერტილს ადგენენ ხსნარის ყვითელი ფერის წარმოქმნით, რადგანაც  $Ce^{3+}$ -ის მარილები უფერულია, ხოლო  $Ce^{4+}$ -ის მარილები – ყვითელი.

**ტიტანომეტრია** – დაფუძნებულია საანალიზო ნივთიერების აღდგენაზე ტიტან (III)-ის სულფატით, ამ დროს ტიტან (III) იუანგება ტიტან (IV)-მდე;



სამუშაო ხსნარია – ტიტან (III)-ის სულფატი, რომლის ტიტრს ადგენენ  $KMnO_4$ -ის ხსნარის მიხედვით.

## თავი XIV. დალექვითი გატიტვრა

### XIV.1. დალექვითი მეთოდების არსი და თეორიული საფუძვლები

დალექვითი მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ განსასაზღვრული ნივთიერება (იონი) რაოდენობრივად გადაკეთ ნალექში, ნივთიერების რაოდენობაზე კი მსჯელობები სამუშაო ხსნარის დახარჯული მოცულობის მიხედვით გატიტვრის პროცესზე. ამიტომ ამ მეთოდში გამოიყენება ისეთი რეაქციები, რომლებსაც ახლავს რომელიმე ძნელადხსნადი ნაერთის წარმოქმნა.

#### დალექვის რეაქციები უნდა აქმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

- ა) ნალექი უნდა იყოს პრაქტიკულად უხსნადი და სწრაფად უნდა გამოილექოს;
- ბ) ინდიკატორის მიერ ადვილად უნდა დაფიქსირდეს ექვივალენტობის წერტილი;
- გ) გატიტვრას ხელი არ უნდა შეუშალოს გარეშე ნივთიერების ადსორბციამ.

დალექვით გატიტვრაში დამლექავს იდებენ ექვივალენტური რაოდენობით. ნალექს გააჩნია უნარი თავის ზედაპირზე ადსორბცია გაუკეთოს სხვადასხვა იონებს, რომლებისგანაც შედგება თავად ნალექი. განსაკუთრებით მაღალ ადსორბციულ უნარს იჩენენ ნალექები თავიანთი წარმოქმნის პროცესში. დაყოვნებისას ნალექები “ბერდებიან,” ანუ მათი ზედაპირი მცირდება და მაშასადამე, მათი ადსორბციული უნარიც. ნალექის ზედაპირზე ადსორბირებული იონები რეაქციაში ძნელად შედიან და ეს იწვევს შეცდომებს. ადსორბციის შესამცირებლად საჭიროა გატიტვრის ნელა ჩატარება, ხოლო სამუშაო ხსნარის ყოველი წვეთის მიმატებისას – ხსნარის შენჯდრევა. ეს ხელს უწყობს რეაქტივის ურთიერთქმედებას ადსორბირებულ იონებთან.

დალექვითი გატიტვრის რეაქციებში, ექვივალენტობის წერტილის დასადგენად, გატიტვრის პროცესი შეიძლება ჩატარდეს ინდიკატორის გარეშე და ინდიკატორით.


#### ინდიკატორები იყოფა ორ ჯგუფად:

##### 1) ინდიკატორ-რეაგენტები; 2) ადსორბციული რეაგენტები.

ინდიკატორ-რეაგენტების (კალიუმის ქრომატი, რკინა-ამონიუმის შაბი) მოქმედების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი საანალიზო ნივთიერებასთან ერთად შედიან რეაქციაში სამუშაო ხსნართან, ნალექის წარმოქმნით ან შეფერილი ხსნარის წარმოქმნით. ამ დროს მიღებულ ნალექს უნდა გააჩნდეს უფრო მეტი ხსნადობა, ვიდრე ძირითად ნალექს.

ადსორბციული რეაგენტების (ფლუორესცეინი, ეოზინი) მოქმედების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ექვივალენტობის წერტილში ინდიკატორი ადსორბირდება ნალექის ზედაპირზე და აძლევს მას შესაბამის შეფერილობას.

**თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს გატიტვრის ხერხების სქემა  
დალექვითი მეთოდის მიხედვით.**



## XIV.2. დალექვითი მეთოდების კლასიფიკაცია

**დალექვითი გატიტვრის მეთოდებს მიეკუთვნება:**


- 1) **არგენტომეტრული გატიტვრა** – ტიტრანტს წარმოადგენს  $\text{AgNO}_3$ , რომელიც წარმოქმნის ნალექებს ჰალოგენიდებთან ( $\text{AgCl}$ ,  $\text{AgBr}$ ,  $\text{AgI}$ ), თიოციანატებთან ( $\text{AgSCN}$ ), რომელთა განსასაზღვრელად ის გამოიყენება;
- 2) **თიოციანატმეტრული გატიტვრა** – ტიტრანტია  $\text{NH}_4\text{SCN}$ , რომელიც ლექავს ვერცხლის მარილებს ( $\text{AgSCN}$ ), უკუგატიტვრით. ტიტრანტი გამოიყენება ჰალოგენიდების, თიოციანატების განსასაზღვრელად.
- 3) **მერკურომეტრული გატიტვრა** – ტიტრანტია  $\text{Hg}_2(\text{NO}_3)_2$ , რომელიც გამოიყენება ჰალოგენიდების და თიოციანატების განსასაზღვრელად, წარმოიქმნება ნალექები:  $\text{Hg}_2\text{Cl}_2$ ;  $\text{Hg}_2\text{I}_2$ ;  $\text{Hg}_2\text{Br}_2$ ;  $\text{Hg}_2(\text{SCN})_2$ .
- 4) **სულფატომეტრული გატიტვრა** – ტიტრანტებია  $\text{H}_2\text{SO}_4$ ,  $\text{BaCl}_2$ , რომლებიც გამოიყენება სულფატების განსასაზღვრელად (ნალექი –  $\text{BaSO}_4$ ).

### XIV.3. არგენტომეტრია – მორის, ფაიანსის მეთოდები

გამოიყენება არგენტომეტრული გატიტვის ორი წესი, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ინდიკატორების ტიპებით:

- მორის წესი – ინდიკატორი  $K_2CrO_4$ ;
- ფაიანსის წესი – ინდიკატორებია ფლუორესცეინი და ეოზინი.


არგენტომეტრული გატიტვის ძირითადი რეაქციაა:



სადაც  $Hal^-$ -არის ჰალოგენიდ-იონი ( $Cl^-, Br^-, I^-$ ). არგენტომეტრიაში იყენებენ ტიტრანტს – 0,1 N  $AgNO_3$ , რომლისგანაც ამზადებენ 0,05 N; 0,02 N; 0,01 N ხსნარებს.

0,1 N  $AgNO_3$ -ის ტიტრს ადგენენ სტანდარტით –  $NaCl$ -ის მიხედვით.

მორის წესით-ისაზღვრება  $Cl^-$ -იონი, რომელიც იტიტრება  $AgNO_3$ -ით ინდიკატორ–  $K_2CrO_4$ -ის მონაწილეობისას, რომელიც  $AgNO_3$ -თან წარმოქმნის აგურისფერ-წითელ ნალექს:



ეს ნალექი წარმოიქმნება მას შემდეგ, როცა  $Cl^-$ -იონები პრაქტიკულად გადასული არიან ნალექში:  $Ag^+ + Cl^- \rightarrow AgCl \downarrow$ .

გატიტვის პროცესში **pH=7-10**. ტუტე არეში  $AgNO_3$  ურთიერთქმედებს ტუტებთან, მუავებში  $Ag_2CrO_4 \downarrow$  იხსნება. გატიტვას აწარმოებენ ოთახის ტემპერატურაზე, რადგანაც ტემპერატურის გაზრდისას  $Ag_2CrO_4$ -ის ხსნადობაც იზრდება და ეცემა ინდიკატორ  $K_2CrO_4$ -ის მგრძნობიარობა. მორის წესი გამოიყენება ქლორიდების და ბრომიდების განსასაზღვრულად, იოდიდები და ტოციანატები ამ მეთოდით არ განისაზღვრება, რადგანაც  $AgI$  -ის და  $AgSCN \downarrow$ -ის ნალექები ადსორბირებენ  $K_2CrO_4$ -ს, ამიტომაც ისინი იღებებიან ექვივალენტობის წერტილის მიღწევამდე. ქლორიდების და ბრომიდების განსაზღვრას მორის წესით ხელს უშლის  $Ba^{2+}$ ,  $Bi^{3+}$ , რომლებიც წარმოქმნიან ნალექებს

$K_2CrO_4$ -თან. მორის წესით ისაზღვრება:  $KCl$ ;  $KBr$ ;  $NaCl$ ;  $NaBr$ .

**ფაიანსის წესი** – დაფუძნებულია ნალექის მიერ ხსნარიდან იონების შერჩევით ადსორბციაზე. ამ მეთოდში იყენებენ ადსორბციულ ინდიკატორებს:

**ა) ფლუორესცეინის** – იგი წარმოადგენს მოყვითალო-წითელ ფხვნილს, წყალში ცუდად იხსნება, ხსნადია  $NaOH$ -ში, ორგანულ გამხსნელებში, გამოიყენება 0,1-0,2% სპირტსანარის სახით ქლორიდების გატიტვისას;

**ბ) ეოზინის** – წითელი კრისტალური ფხვნილია, გამოიყენება 0,5% წყალსანარის სახით, ბრომიდების და იოდიდების განსასაზღვრულად.

ფლუორესცეინი და ეოზინი წარმოადგენენ მუავებს და ხსნარებში განიცდიან იონიზაციას:  $HInd \rightleftharpoons H^+ + Ind^-$ .

გატიტვის დასაწყისში ხსნარს გააჩნია მოყვითალო-მწვანე ფერი, ექვივალენტობის წერტილში  $AgCl \downarrow$  იღებს ვარდისფერს. ქლორიდების გატიტვისას  $AgNO_3$ -ით წარმოიქმნება  $AgCl \downarrow$ , რომელიც ჯერ კიდევ ექვივალენტობის წერტილამდე ადსორბირებს  $Cl^-$ -იონებს და იდენტულყოფით მუხტს –  $AgCl \cdot nCl^-$ . ინდიკატორის იონები ნალექებზე არ ადსორბირდებიან, რადგანაც ერთსახელიანი მუხტები ამას ხელს უშლიან. ექვივალენტობის წერტილში  $Cl^-$ -ის იონები უკავშირდებიან  $AgCl$ -ს და წარმოიქმნება  $Ag^+$ -იონების სიჭარბე, რომლებიც ადსორბირდებიან  $AgCl \downarrow$ -ზე. ნალექი იდენტული დადგებით მუხტს, ადსორბირებს  $Ind^-$ -ის იონებს ( $AgCl \cdot mAg^+ \cdot nInd^-$ ) და ამ დროს იფერება. ფაიანსის წესით ისაზღვრება იოდიდები, რომლებიც ვერ ისაზღვრება მორის წესით. ფაიანსის წესით გატიტვა წარმოებს ნეიტრალურ ან სუსტ მუავა არეში, ტუტე არეში ანალიზი ვერ ტარდება, რადგანაც წარმოიქმნება  $Ag_2O$ .


## XIV.4. როდანომეტრული გატიტვრა

**ფოლგარდის წესი** დაფუძნებულია  $\text{AgNO}_3$ -ის გატიტვრაზე ტიტრანტით – ამონიუმის ტოციანატის (როდანიდის) ხსნარით. საანალიზო ხსნარის პორციას უმატებენ  $\text{AgNO}_3$ -ის ზუსტად აზომილ მოცულობას, ამასთან,  $\text{AgNO}_3$ -ის რაოდენობა მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს იმ მოცულობას, რომელიც აუცილებელია  $\text{Cl}^-$ -იონების სრულად დასალექად. ამის შემდეგ  $\text{AgNO}_3$ -ის ნარჩენს ტიტრავენ  $\text{NH}_4\text{SCN}$ -ით მჟავა არეში ინდიკატორ – რკინა-ამონიუმის შაბის ( $\text{NH}_4[\text{Fe}(\text{SO}_4)_2] \cdot 12\text{H}_2\text{O}$ ) მონაწილეობით. ამ დროს მიმდინარეობს რეაქციები:



ფოლგარდის წესით გატიტვრა ტარდება მჟავა არეში, იგი გამოუსადეგარია იმ კათიონთა მონაწილეობისას, რომლებიც წარმოქმნიან მნელადხსნად ნაერთებს  $\text{SCN}^-$ -იონებთან (ეს არის  $\text{Hg}^{2+}, \text{Cu}^{2+}$ -ის კათიონები). ეს მეთოდი გამოუსადეგარია აგრეთვე დამჟანგებელების მონაწილეობისას, რომლებიც შლიან  $\text{SCN}^-$ -იონებს (ეს არის  $\text{MnO}_4^-$ ). ფოლგარდის მეთოდში ტიტრანტს წარმოადგენს **0,1 N**  $\text{NH}_4\text{SCN}$ , რომლისგანაც ამზადებენ **0,02 N** და **0,01 N** ხსნარებს. **0,1 N**  $\text{NH}_4\text{SCN}$ -ის ტიტრს ადგენენ **0,1 N**  $\text{AgNO}_3$ -ის ხსნარის მიმართ, რისთვისაც **0,1 N**  $\text{AgNO}_3$ -ს ათავსებენ კოლბაში, უმატებენ 50 მლ დისტილირებულ წყალს, 2 მლ  $\text{HNO}_3$ -ს, 2 მლ ინდიკატორს –  $\text{NH}_4\text{Fe}(\text{SO}_4)_2 \cdot 12\text{H}_2\text{O}$  და ტიტრავენ **0,1 N**  $\text{NH}_4\text{SCN}$ -ით მანამ, სანამ ხსნარი არ მიიღებს მოყვითალო-ვარდისფერ შეფერილობას.

ფოლგარდის მეთოდში **ინდიკატორს** წარმოადგენს **რკინა-ამონიუმის შაბი**  $\text{NH}_4\text{Fe}(\text{SO}_4)_2 \cdot 12\text{H}_2\text{O}$ , რომელიც წარმოქმნის  $\text{SCN}^-$ -იონებთან წითელი ფერის კომპლექსურ ნაერთს – რკინა (III)-ის როდანიდს:



იყენებენ ინდიკატორის ნაჯერ წყალხსნარს, რომელიც შემჟავებულია 3-ით (ჰიდროლიზის ჩასახშობად).  $\text{AgNO}_3$ -ის გატიტვრისას  $\text{NH}_4\text{SCN}$ -ით, ინდიკატორის –  $\text{NH}_4\text{Fe}(\text{SO}_4)_2$  მონაწილეობისას, თავდაპირველად წარმოიქმნება  $\text{AgSCN}$ -ის თეთრი ნალექი. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა სრულად შეიბოჭება  $\text{Ag}^+$ -იონები, იწყება რკინის როდანიდის წითელი კომპლექსის წარმოქმნა.

ფოლგარდის წესს იყენებენ  $\text{AgNO}_3$ -ის, ჰალოგენიდების, თიოციანატების საანალიზოდ.

**გეოლუსაკის წესი.** გეოლუსაკმა პირველად გამოიყენა დალექვის რეაქციები მოცულობითი ანალიზური განსაზღვრებისათვის:  $\text{AgNO}_3 + \text{NaCl} \rightarrow \text{AgCl} \downarrow + \text{NaNO}_3$ . ექვივალენტობის წერტილი დგინდება ნალექის წარმოქმნის შეწყვეტით, რეაგენტის ახალი პორციის მიმატებისას. ეს წესი ითხოვს დიდ დროს და იგი გამოიყენება როგორც ძლიერ მჟავა, ასევე შეფერილ ხსნარებში.


## XIV.5. მერკურომეტრია და მერკურიმეტრია. სულფატომეტრული გატიტვრა

**სამუშაო ხსნარებად გამოიყენება:** მერკურომეტრიაში – **Hg(I)-ის** ნიტრატი, ხოლო მერკურიმეტრიაში – **Hg(II)-ის** ნიტრატი.


**მერკურიმეტრიაში**  $Hg^{2+}$ -იონების ურთიერთქმედებისას პალოგენიდებთან, ციანიდებთან, როდანიდებთან, წარმოიქმნება სუსტად დისოცირებული ნაერთები, მაგალითად:  $Hg^{2+} + 2Cl^- \rightarrow HgCl_2$ .

ექვივალენტობის წერტილის მიღწევისას, როცა ყველა **Cl<sup>-</sup>**-იონები შეიბოჭება,  $Hg^{2+}$ -იონების აღმოჩენა ხდება ინდიკატორების – ნატრიუმის ნიტროპრუსიდის ან დიფენილკარბაზონის მეშვეობით, რომლებიც წარმოქმნიან  $Hg^{2+}$ -იონებთან ლურჯი ფერის ნალექებს.


**მერკურომეტრული გატიტვრა დაფუძნებულია** **Hg(I)-ის** ძნელადხსნადი ნალექების წარმოქმნაზე ( $Hg_2Cl_2; Hg_2Br_2; Hg_2I_2$ ):




ეს მეთოდი გაცილებით იაფია არგენტომეტრულ გატიტვრაზე (რადგანაც ვეცხლის დირებულება უფრო ძვირია, ვიდრე ვერცხლისწყლის), მაგრამ მეთოდს გაჩნია ნაკლი, რომელიც მდგომარეობს **Hg(I)-ის** მარილების მაღალტოქსიკურობაში. მერკურომეტრიაში ტიტრანტს წარმოადგენს **Hg(I)-ის** ნიტრატი – 0,1N  $Hg_2(NO_3)_2 \cdot 2H_2O$ , რომლის ტიტრს ადგენენ NaCl-ის მიხედვით. მერკურომეტრიაში გამოიყენება ორი ინდიკატორი –  $Fe(SCN)_3$  ან დიფენილკარბაზონი.  $Fe(SCN)_3$ -ის გამოყენებისას, პალოგენიდის გასატიტრ ხსნარს უმატებენ 2 მლ კონცენტრირებულ  $Fe(NO_3)_3$ -ს და 1 მლ 0,05 N  $NH_4SCN$ -ს. ამ დროს ხსნარში წარმოიქმნება წითელი ფერის  $[Fe(SCN)]^{2+}$ . სანამ გასატიტრ ხსნარში იმყოფება პალოგენიდ-იონები, ტიტრანტი ურთიერთქმედებს მათთან. ექვივალენტობის წერტილში პალოგენიდ-იონები მთლიანად იბოჭებიან ნალექში –  $Hg_2Hal_2$  და ხსნარში წარმოიქმნება  $Hg_2^{2+}$ -ის სიჭარბე, რომელიც ურთიერთქმედებს  $[Fe(SCN)]^{2+}$ -თან და წარმოქმნის  $Hg_2(SCN)_2$ -ს. ამ დროს იშლება **Fe(III)-ის** ტოციანატური კომპლექსი და მისი წითელი ფერი ქრება (ხსნარი უფერულდება):



დიფენილკარბაზონს (1-2%-იანი სპირტებსნარის სახით), როგორც ინდიკატორს, ამატებენ გატიტვრის დასასრულის წინ ( $Hg_2^{2+}$ -ის დაუანგვის ასაცილებლად). იგი ადსორბირდება **Hg(I)-ის** პალოგენიდის ნალექზე, ჟანგავს  $Hg_2^{2+}$ -ს  $Hg^{2+}$ -მდე და წარმოქმნის  $Hg^{2+}$ -თან ლურჯი ფერის კომპლექსს. დიფენილკარბაზონის ადსორბცია მიმდინარეობს ექვივალენტობის წერტილში  $Hg_2Cl_2$ -ის ნალექზე ადსორბირებული პალოგენიდ-იონების სრული შებოჭვის შემდეგ:



**სულფატომეტრული გატიტვრა** – ეს არის დალექტითი გატიტვრის შედარებით ახალი წესი, რომელიც შემუშავებულია  $Ba^{2+}$  და  $SO_4^{2-}$ -იონების რთული გრავიმეტრული ანალიზის შესაცვლელად. მეთოდი დაფუძნებულია გატიტვრის პროცესში  $BaSO_4$ -ის ნალექის წარმოქმნაზე:



მეთოდში გამოიყენება ორი ტიტრანტი – 0,1 N  $H_2SO_4$  ( $Ba^{2+}$ -ის განსაზღვრის დროს) და 0,1 N **BaCl<sub>2</sub>**. გოგირდმჟავას ტიტრს ადგენენ ნატრიუმის ტეტრაბორატის მიმართ, ბარიუმის


ქლორიდის ტიტრს კი – 0,1N  $H_2SO_4$ -ის მიხედვით. **ძეთოდის ინდიკატორებია:** მეტალურმული ინდიკატორები – ნიტრომაზო და ორტანილის A. თავისუფალი სახით მათ გააჩნიათ ვარდისფერი, ხოლო  $Ba^{2+}$ -იონებთან წარმოქმნიან იისფერ კომპლექსები. თუ იტიტრება სულფატები ( $BaCl_2$ -ის ხსნარით), მაშინ საანალიზო ნარევში ინდიკატორები იმყოფებიან თავისუფალი სახით და ხსნარი შეფერილია ვარდისფრად. ექვივალენტობის მომენტში წარმოიქმნება  $Ba^{2+}$ -იონების სიჭარბე და მიიღება იისფერი ინდიკატორის კომპლექსი. ბარიუმის მარილების გატიტრისას ( $H_2SO_4$ -ით) ინდიკატორის იისფერი კომპლექსი  $Ba^{2+}$ -იონებთან იშლება ექვივალენტობის წერტილში,  $Ba^{2+}$ -იონების შებოჭვის გამო  $BaSO_4$ -ის ნალექში, და ამ ხსნარის იისფერი გადადის ვარდისფერში.

## თავი XV. კომპლექსონმეტრული გატიტრა

### XV.1. ტიტრიმეტრიაში გამოყენებული კომპლექსწარმოქმნის რეაქციები


**კომპლექსონმეტრია** – წარმოადგენს ტიტრიმეტრული ანალიზის მეთოდს, რომელიც დაფუძნებულია განსაზღვრული იონების ურთიერთქმედებაზე ზოგიერთ ორგანულ რეაგენტთან, რომელთაც კომპლექსონები ეწოდება. მეტალთა იონები პრაქტიკულად მყისიერად ურთიერთქმედებენ კომპლექსონებთან და წარმოქმნიან ხსნად სუსტად დისოცირებულ შიგაკომპლექსურ შენაერთებს, რომელთაც გააჩნიათ მუდმივი შედგენილობა. **კომპლექსონები წარმოადგენება სამუშაო ხსნარს კომპლექსონმეტრულ გატიტრაში.**

**კომპლექსონები** – წარმოადგენენ ორგანულ ნაერთებს, ამინოჰოლიკარბონმჟავების წარმოებულებს, რომელთაგან უმარტივესია **იმინოზიმურმჟავა:**




**კველაზე გავრცელებული კომპლექსონებია:**


**კომპლექსონ I – ნიტრილტრიმეტრმჟავა:**




**კომპლექსონ II – ეთილენდიამინტეტრამეტრმჟავა:**






**კომპლექსობ III (ტრილონ ბ) – ეთილენდიამინტეტრამმარმჯვას  
ორნატრიუმიანი მარილი (ტДА):**



სიმარტივისთვის, რეაქციის ტოლობებში ტრილონ ბ-ს აღნიშნავენ  $\text{Na}_2\text{H}_2\text{Y}$ . კომპლექსონთა მოლეკულებში არსებობს რამდენიმე ფუნქციონალური ჯგუფი, რომელთაც გააჩნიათ უნარი ერთდროულად შებოჭონ კომპლექსის ცენტრალური ატომი რამდენიმე კოორდინაციული ბმით. ტრილონ ბ მრავალ კათიონთან წარმოქმნის მდგრად და წყალში ხსნად შიგაკომპლექსურ მარილებს, რომლებიც წარმოიქმნებიან მეტალის მიერ კარბოქსილის ჯგუფის წყალბადის ატომთა ჩანაცვლებით და კათიონის ურთიერთქმედებით ამინოჯგუფის აზოგის ატომებთან. ტრილონ ბ-ს ურთიერთქმედება ორმუხებიან კათიონებთან შეიძლება გამოისახოს შემდეგი სქემით:



ასეთი კომპლექს-ნაერთები გამოირჩევიან მაღალი სიმტკიცით. ტრილონ ბ გამოიყენება მრავალი იონის განსასაზღვრელად, კერძოდ:  $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{Mg}^{2+}$ ,  $\text{Ba}^{2+}$ ,  $\text{Co}^{2+}$ ,  $\text{Ni}^{2+}$ ,  $\text{Al}^{3+}$ ,  $\text{CN}^-$ ,  $\text{Cu}^{2+}$ ,  $\text{PO}_4^{3-}$ . სხვადასხვა ხარისხის მქონე მეტალთა გატიტვრისას ტრილონ ბ-ს ხსნარით მიმდინარეობს შემდეგი რეაქციები:



სადაც  $\text{H}_2\text{Y}^{2-}$ -არის ტრილონ ბ-ს ანიონი. მეტალის 1 გ-ექვ. ბოჭავს ყოველთვის 1 გ-ექვ. კომპლექსონს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მეტალის დაუანგულობის ხარისხი, ამიტომ კომპლექს-ნაერთების შედგენილობა მუდმივია 1 : 1.

კომპლექსონმეტრული გატიტვრა დაფუძნებულია იმაზე, რომ განსასაზღვრავი იონების შემცველ საანალიზო ხსნარზე თანდათანობით უმატებებ კომპლექსონის ტიტრიან ხსნარს. გატიტვრის პროცესში საკვლევი იონები იბოჭებიან კომპლექსში და ექვივალენტობის წერტილში ისინი თითქმის არ არსებობენ ხსნარში. იმისათვის, რომ კომპლექსწარმოქმნის რეაქცია წავიდეს ბოლომდე, საჭიროა გამოყოფილი  $\text{H}^+$ -ის იონების შებოჭვა, ამიტომ გატიტვრისას საანალიზო ხსნარს უმატებენ  $\text{NH}_4\text{Cl}$ -ისა და  $\text{NH}_4\text{OH}$ -ის ხარევს – ამიაკურ ბუფერს, რათა შენარჩუნებული იქნეს ხსნარის მუდმივი  $\text{pH}$ .

## XV.2. ექვივალენტობის წერტილის და გატიტვრის საბოლოო წერტილის დადგენა კომპლექსონმეტრიაში

**ექვივალენტობის წერტილის დადგენა კომპლექსონმეტრიაში ხდება  
რამდენიმე ხერხით:**

- ა) რადგანაც საკვლევი კათიონის ურთიერთქმედებისას კომპლექსონთან ხდება კათიონთა ექვივალენტური რაოდენობის  $H^+$ -იონების გამოყოფა, შესაძლებელია  $H^+$ -იონთა განსაზღვრა ალკალიმეტრულად და ამის საფუძველზე მსჯელობა სენარში საკვლევი კათიონის რაოდენობაზე;
- ბ) კომპლექსონმეტრულ გატიტვრაში ექვივალენტობის წერტილის განსაზღვრა შეიძლება ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით (სპექტროფოტომეტრიით, ამპერომეტრიით, პოტენციომეტრიით);
- გ) გატიტვრის საბოლოო წერტილს საზღვრავენ სენარში საკვლევი კათიონის გაქრობით, ე.წ. მეტალ-ინდიკატორების მეშვეობით. ეს ორგანული საღებავები წარმოქმნიან კათიონებთან შეფერილ კომპლექსების, რომლებიც ნაკლებ მდგრადებია, ვიდრე იმავე კათიონთა კომპლექსები ტრილონ ნ-სთან. ამიტომ სენარის გატიტვრისას ტრილონ ნ-ს მეშვეობით ხდება მეტალის იონის შებოჭვა კომპლექსონით და გამოიყოფა თავისუფალი ინდიკატორი, რომელსაც გააჩნია სხვა შეფერილობა (ლურჯი), ვიდრე მეტალის კომპლექსს ინდიკატორთან (წითელი).

## XV.3. კომპლექსონმეტრული გატიტვრის პირობები




**კომპლექსონმეტრული გატიტვრის ძირითადი პირობები შემდეგია:**

1) რეაქცია უნდა მიმდინარეობდეს ისეთნაირად, რომ ექვივალენტობის წერტილში განსასაზღვრავი კათიონები პრაქტიკულად შებოჭილი უნდა იყოს კომპლექსში. ასეთი კომპლექსების არამდგრადობის კონსტანტა უნდა იყოს ძალზე უმნიშვნელო. ამ დროს განსასაზღვრავი კათიონები უნდა წარმოქმნიდეს მეტალ-ინდიკატორთან უფრო ნაკლები მდგრადობის კომპლექსს, ვიდრე მათი კომპლექსებია კომპლექსონთან.

ძლიერ მჟავა ხსნარებში (რომელთა  $pH < 3$ ) წარმოქმნება ნაკლებ მდგრადი მჟავა კომპლექს-ნაერობი. მდგრადი კომპლექს-ნაერობის წარმოქმნას ხელს უწყობს ხსნარის  $pH$ -ის ამაღლება. თუმცა, ძლიერ ტუტე ხსნარებში ( $pH > 10$ ) აღინიშნება ოქსიკომპლექსური ნაერობისა და საკვლევი კათიონების ჰიდროქსიდების ნალექების წარმოქმნა;

2) უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომპლექსის წარმოქმნისას, გამოთავისუფლება  $H^+$  - იონები და ხსნარის  $pH$  ქვეითდება. ამიტომ გასატიტრი ხსნარები დაცული უნდა იყოს ბუფერული ნარევის მოქმედებით, რადგანაც  $pH$ -ის დაქვეითება ხელს შეუშლის კომპლექს-ნაერობის წარმოქმნას. ამრიგად,  $pH$ -ის მოცემულ დონეზე შესანარჩუნებლად, გატიტვრა უნდა წარმოებდეს ბუფერული ხსნარების გარემოში, რომლებიც პასუხობენ  $pH$ -ის გარკვეულ მნიშვნელობას.

**Y<sup>4-</sup>** -ის თავისუფალი ანიონების კონცენტრაცია კომპლექსონ-II –ში უმნიშვნელოა:



ჯამური დისოციაციის კონსტანტა  $K_{\text{საერთო}} = 10^{-21,09}$ , რაც შეესაბამება  $pK = 21,09$ . ეს მონაცემები მეტყველებენ იმაზე, რომ  $\mathbf{HY}^{3-}$  წარმოადგენს სუსტ მჟავას და ამიტომ  $\mathbf{H}_4\mathbf{Y}$ -ის ხსნარში  $\mathbf{Y}^4-$ -ის კონცენტრაცია ძალზე მცირება.

შესაძლებელია  $[\mathbf{Y}^4-]$ -ის გამოვლენის მმარტივობა, თუ გამოვიყენებოთ მმარტივობა:

$$\frac{[H^+]^4 \cdot [Y^{4-}]}{[H_4Y]} = K_{H_4Y} \quad [Y^{4-}] = \frac{K_{H_4Y} \cdot [H_4Y]}{[H^+]^4}$$

ეს განტოლება უჩვენებს, რომ  $[\mathbf{Y}^4-]$  ძლიერაა დამოკიდებული  $\mathbf{H}^+$ -იონების კონცენტრაციაზე:  $[\mathbf{H}^+]$ -ის ზრდით მცირდება  $[\mathbf{Y}^4-]$ .

მაგ: თუ გვაქვს კომპლექსონ-II -ის 0,1 N ხსნარი, მაშინ მისი  $\mathbf{Y}^4-$  თავისუფალი იონების კონცენტრაცია 0,1 N  $\mathbf{HCl}$ -ის ხსნარში (რომლის  $\mathbf{pH=1}$ ) იქნება:

$$[Y^{4-}] = \frac{10^{-21,09} \cdot 10^{-1}}{(10^{-1})^4} = 10^{-18,09} \text{ გ-იონი/ლ}$$


ხოლოდ ის კათიონები –  $Fe^{3+}, In^{3+}, Sc^{3+}, Zr^{4+}, Th^{4+}$ , რომლებიც წარმოქმნიან მდგრად კომპლექსებს კომპლექსონთან, იტიტრებიან მჟავა არეში, ხოლო კათიონები, რომლებიც წარმოქმნიან უფრო სუსტ კომპლექსებს კომპლექსონთან, არ იტიტრებიან მჟავა არეში და არ უშლიან იმ კათიონთა გატიტვრას ხელს, რომლებიც ისაზღვრებიან მჟავა ხსნარში.

ამიტომაც კათიონთა უმეტესობა იტიტრება ამიაკურ-ბუფერულ გარემოში ( $NH_4OH + NH_4Cl$ ), როცა  $\mathbf{pH=8-9}$ . პიდროქსიდების ნალექების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად და ცალკეულ კათიონთა შენიდბვის მიზნით, ბუფერულ ხსნარებთან ერთად, უმატებენ დამხმარე კომპლექსწარმოქმნელ ნაერთებს, მაგ:  $Mn^{2+}$ -ის და  $Pb^{2+}$ -ისათვის –ტარტრატებს ან ციტრატებს;  $Be^{2+}$ -ის,  $Al^{3+}$ -ის,  $Ti^{4+}$ -ისათვის –ნატრიუმის ფტორიდს;  $Zn^{2+}$ -ის,  $Cu^{2+}$ -ის,  $Cd^{2+}$ -ისათვის – კალიუმის ციანიდს.

#### XV.4. კომპლექსონმეტრული გატიტვრის ინდიკატორები


კომპლექსონმეტრულ გატიტვრებში ინდიკატორებად გამოყენებულია **მეტალოქრომული ინდიკატორები**, რომლებიც წარმოქმნიან მეტალ-იონებთან შეღებილ კომპლექსურ ნაერთებს. ამასთან, კომპლექსის ფერი განსხვავდება ინდიკატორის თავისუფალი ფორმის ფერისაგან. ყველაზე ხშირად გამოიყენება: მჟავა ქრომ-შავი სპეციალური (ერიოქრომ შავი T ანუ ქრომოგენ შავი); მჟავა ქრომ მუქილურჯი; მურექსიდი; პიროქატექინური იისფერი.

**მჟავა ქრომოგენ შავი, ანუ ერიოქრომ შავი T** – ორგანული საღებავია, მისი ემპირული ფორმულაა  $C_{20}H_{13}O_7N_3S$  (ნახ. 6). ამ საღებავის ანიონს  $\mathbf{HInd}^{2-}$  ტუტე არეში გააჩნია ლურჯი შეფერვა.




ნახ. 6. ქრომოგენ შავის სტრუქტურული ფორმულა

მეტალთა კათიონებთან იგი წარმოქმნის დვინისფრად წითელ კომპლექსურ ნაერთებს:




ნეიტრალურ ანუ ტუტე არეზი (pH 7-11) ეს ინდიკატორი წარმოქმნის კომპლექსურ ნაერთებს მეტალთა იონებთან ( $Cu^{2+}$ ,  $Mg^{2+}$ ,  $Zn^{2+}$ ,  $Mn^{2+}$ ,  $Al^{3+}$ ). ტრილონ ნ-ს ხსნარით გატიტვრისას  $MeInd^-$ -ის კომპლექსი იშლება, რადგანაც მეტალის იონები უკავშირდება ტრილონ ნ-ს გაცილებით მტკიცე კომპლექსში, ხოლო  $HInd^{2-}$ -ის ანიონები გროვდება ხსნარში და ანიჭებს მას ლურჯ ფერს:





ფერის ცვლილება მკვეთრად შესამჩნევია მაშინ, როცა pH = 8-10, ამიტომ გატიტვრას ახდენენ ბუფერული ნარევის ( $NH_4OH + NH_4Cl$ ) მონაწილეობით, რომელიც ანეიტრალურ გამოყოფილი  $H^+$ -იონებით გამოწვეულ მჟავიანობას.

**მურექსიდი**  $C_8H_8N_6O_6$  – წარმოადგენს პურპურმჟავას ამონიუმის მარილს (ნახ.7). ამ ინდიკატორის ანიონი  $Ind^-$  შედის რეაქციაში მეტალთა კათიონებთან შეფერილი კომპლექსების წარმოქმნით:



ეს კომპლექსები ნაკლებად მდგრადია, ვიდრე კომპლექსები ტრილონ ნ-თან, ამიტომ გატიტვრისას  $Me^{2+}$ -ის კათიონები უკავშირდებიან ტრილონ ნ-ს, ხოლო ინდიკატორის ანიონები გროვდებიან ხსნარში და ანიჭებენ მას მოლურჯო-იისფერს:



ნახ.7. მურექსიდის სტრუქტურული ფორმულა

მურექსიდი ნეიტრალურ არეში შეფერილია მოწითალო-იისფრად, ხოლო სუსტ ტუტე არეში – იისფრად. იგი წარმოქმნის  $\text{Ni}^{2+}$ -თან – ყვითელ,  $\text{Cu}^{2+}$ -თან – მოყვითალო-ნარინჯისფერს,  $\text{Ca}^{2+}$ -თან – წითელ კომპლექსებს.

გამოიყენება:	0,01 M,	0,05 M,	0,1 M	ტრილონ <b>B</b> ;
	0,1 N და	0,01 N	<b>MgSO<sub>4</sub></b> ;	
	0,1 N და	0,01 N	<b>ZnSO<sub>4</sub></b>	

ტრილონ **B**-ს ტიტრს ადგენებ ან მისი წონაკის სიდიდის მიხედვით, ან სტანდარტების მიხედვით, რომლებსაც წარმოადგენებ მეტალური თუთია ან  $\text{CaCO}_3$ . მათ ზუსტ წონაკებს ხსნიან განზავებულ  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ში და მიჰყავთ წყლით 1000 მლ-მდე. სტანდარტული ხსნარის გარკვეულ მოცულობას (20-25 მლ) ტიტრავენ ტრილონ **B**-ს ხსნარით ქრომოგენ შავის მონაწილეობით და გამოითვლიან ტიტრს.

$\text{ZnSO}_4$ -ის ხსნარს ამზადებენ მეტალური თუთიის ზუსტი წონაკიდან, ან  $\text{ZnSO}_4$ -დან. თუ ხსნარი დამზადებულია  $\text{ZnSO}_4$ -დან, მაშინ ხსნარის ტიტრს ადგენებ ტრილონ **B**-ს მიხედვით.  $\text{MgSO}_4$ -ის ხსნარს ამზადებენ ფიქსონალიდან ან კრისტალური  $\text{MgSO}_4$ -დან. თუ ხსნარს ამზადებენ კრისტალური  $\text{MgSO}_4$ -დან, მაშინ მის ტიტრს ადგენებ ტრილონ **B**-ს ხსნარის მიხედვით.

## XV.5. კომპლექსონმეტრული გატიტვრის მეთოდები

### კომპლექსონმეტრიაში გამოიყენება გატიტვრის 4 მეთოდი:

- 1) პირდაპირი გატიტვრა;
- 2) უკუგატიტვრა;
- 3) ალკალიმეტრული გატიტვრა;
- 4) შემცვლელის გატიტვრა.

**1. პირდაპირი გატიტვრა** – მას იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა ცნობილია ინდიკატორის შეფერვის მკაფიო გადასვლა (ცვლილება) საბოლოო (ექვივალენტობის) წერტილში. მაგალითად,  $\text{Mg}^{2+}$ -ის,  $\text{Ba}^{2+}$ -ის,  $\text{Sr}^{2+}$ -ის,  $\text{Ca}^{2+}$ -ის,  $\text{Zn}^{2+}$ -ის კათიონები შეიძლება განისაზღვრონ ტრილონ **B**-თი გატიტვრით, ინდიკატორ მურექსიდის მონაწილეობით. ამისათვის საანალიზო ხსნარს განაზავებენ ნიშანების დისტილირებული წყლით, შეანჯღრევენ და გატიტვრას ახდენენ ტუტე არეშე ( $\text{pH} = 10$ ), ამიაკური ბუფერის გამოყენებით.

პირდაპირი გატიტვრის პროცესში, განსასაზღვრავი კათიონის კონცენტრაცია თავდაპირველად ეცემა, ექვივალენტობის წერტილთან მიახლოებისას კი მაკეთრად ეცემა. ეს მომენტი შეინიშნება შეყვანილი ინდიკატორის ფერის შეცვლით.

**2. უკუგატიტვრა** – ამ მეთოდს იყენებენ შემდეგ შემთხვევებში:

- ა) როცა განსასაზღვრავი კათიონისათვის უცნობია ინდიკატორი, რომელსაც გააჩნია შეფერვის მკვეთრი გადასვლა ექვივალენტობის წერტილში;
- ბ) როცა ბუფერულ ხსნარში კათიონები წარმოქმნიან ნალექებს;
- გ) როცა კომპლექსწარმოქმნის რეაქცია მიმდინარეობს ნელა;
- დ) როცა ისაზღვრება წყალში უხნად ნალექებში არსებული კათიონები (მაგ:  $\text{Ca}^{2+} - \text{CaC}_2\text{O}_4 \downarrow$  – ში;  $\text{Mg}^{2+} - \text{MgNH}_4\text{PO}_4 \downarrow$  - ში;  $\text{Pb}^{2+} - \text{PbSO}_4 \downarrow$  - ში და ა.შ.);

ე) როცა პიდროლიზის შედეგად საკვლევი კათიონის განსაზღვრა ვერ ხერხდება საანალიზო ხსნარში, გატიტვრისათვის საჭირო **pH**-ის პირობებში. უკუგატიტვრისას კომპლექსონის სიჭარბე იტიტრება **Mg**-ის, **Zn**-ის ან სხვა მარილების ხსნარებით. საანალიზო ხსნარს უმატებენ ტრილონ **B**-ს სტანდარტული ხსნარის ცნობილ რაოდენობას (სიჭარბეს). ხსნარს აცხელებენ, კომპლექსურმოქმნის რეაქციის დასასრულებლად და გაცივების შემდეგ, ტრილონ **B**-ს ჭარბ რაოდენობას ტიტრავენ მაგნიუმის მარილის ხსნარით. ექვივალენტობის წერტილის დადგენას ახდენენ **Mg<sup>2+</sup>**-ის იონების მეტალ-ინდიკატორით.

- 3. ალკალიმეტრული გატიტვრა** – გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ტრილონ **B**-ს ურთიერთქმედებისას ამა თუ იმ კათიონთან, გამოიყოფა **H<sup>+</sup>**-იონების ექვივალენტური რაოდენობა:  $Me^{2+} + [H_2Tr]^{2-} \rightarrow [MeTr]^{2-} + 2H^+$  (Tr – ტრილონ **B**)  
ამ დროს წარმოქმნილი **H<sup>+</sup>**-იონების ექვივალენტურ რაოდენობას საზღვრავენ ტუტით გატიტვრის შედეგად, ფენოლფტალეინის მონაწილეობით (ანუ ჩვეულებრივი ალკალიმეტრული მეთოდით, მჟავურ-ფუძური ინდიკატორის მონაწილეობით).

- 4. შემცვლელის გატიტვრა** – დაფუძნებულია იმაზე, რომ **Mg<sup>2+</sup>** -იონები იძლევიან კომპლექსონთან ნაკლებად მდგრად კომპლექს-ნაერთს ( $pK_{(კომპლექსონი+Mg^{2+})} = 8,7$ ), ვიდრე კათიონთა უმრავლესობა, ამიტომ თუ საკვლევი მეტალის კათიონს შევურევთ კომპლექსონ-III -ის მაგნიუმიან კომპლექსს, ამ დროს მიმდინარეობს გაცვლის რეაქცია:  $Me^{2+} + Na_2[MeTr] \rightarrow Na_2[MeTr] + Mg^{2+}$ , სადაც: **Me<sup>2+</sup>** –მეტალია, **Tr** –ტრილონ **B**.

იმის გამო, რომ **Me<sup>2+</sup>** -იონები წარმოქმნიან ტრილონ **B**-სთან უფრო მდგრად კომპლექს-ნაერთს ( $pK > 8,7$ ), ვიდრე **Mg<sup>2+</sup>**-იონები, ამიტომ მოცემული რეაქციის წონასწორობა გადაინაცვლებს მარჯვნივ. გამოძევებულ **Mg<sup>2+</sup>**-იონებს ტიტრავენ ტრილონ **B**-ს სტანდარტული ხსნარით, ქრომოგენ შავის (ინდიკატორი) მონაწილეობით და ამრიგად საზღვრავენ **Mg<sup>2+</sup>**-იონების რაოდენობას.

## IV ნაწილი

### თავი XVI. ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები. ელექტროგრავიმეტრული და პოტენციომეტრული ანალიზი

#### XVI.1. ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების არსი, კლასიფიკაცია

**ინსტრუმენტულ ანალიზს** მიეკუთვნება ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები. ხსნარების ფიზიკური თვისებების ინტენსივობა –  $f$  პირდაპირპროპორციულია ამ ხსნარებში არსებული ნივთიერებების კონცენტრაციისა –  $C$  და ეს დამოკიდებულება გამოისახება შემდეგი ფორმულით  $f = k \cdot C$ , სადაც  $f$  – არის ხსნარის ფიზიკური თვისებების ინტენსივობა,  $k$  – არის პროპორციულობის კოეფიციენტი, ხოლო  $C$  – ხსნარში ნივთიერების კონცენტრაცია. მაგ: რაც უფრო მეტია  $CuSO_4$ -ის კონცენტრაცია ხსნარში, მით უფრო ინტენსიურად ანუ მუქადაა შეფერილი  $CuSO_4$ -ის შემცველი ხსნარი.

ამ კანონზომიერებას ფართოდ იყენებენ ნივთიერებათა კონცენტრაციის განსაზღვრისათვის, ანუ ისაზღვრება ხსნარის ფიზიკური თვისებების ინტენსივობა, რომელიც პირდაპირპროპორციულია ნივთიერების კონცენტრაციისა. ასეთ მეთოდებს ეწოდება სწორედ ფიზიკური მეთოდები. ფიზიკურ მეთოდს მიეკუთვნება მაგალითად სპექტრული ანალიზი, რომელიც დაფუძნებულია ქიმიური ელემენტის ატომთა უნარზე “ადგზნებულ” მდგომარეობაში (მაგალითად, გახურებისას) გამოასხივონ გარკვეული სიგრძის ტალღის მონიტორინგმატული გამოსხივება, რომელიც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ საკვლევ ნივთიერებაში ელემენტის არსებობა და მისი შემცველობაც. სპექტრული მეთოდით აღმოაჩინეს 1868 წელს მზეზე ელემენტი ჰელიუმი, რომელიც დედამიწაზე იპოვეს მხოლოდ 1895 წელს.

ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდს იყენებენ მაშინ, თუ ნივთიერებას არ გააჩნია ინტენსიური ანალიზური თვისება. ამ დროს მასზე ატარებენ შესაბამის ქიმიურ რეაქციას, რომლის შედეგადაც დებულობენ პროდუქტს და ამ პროდუქტს გააჩნია შემდეგი თვისებები: ფერი, ნალექის წარმოქმნის უნარი, ელექტროქიმიური აქტივობა. მაგალითად:  $Cu^{2+}$ -იონების რაოდენობითი განსაზღვრისათვის მასზე ატარებენ ქიმიურ რეაქციას ამიაკის ხსნართან, რომელთან ურთიერთქმედების საფუძველზე დებულობენ სპილენძის ამიაკატს- $[Cu(NH_3)](OH)_2$ . ამ ხსნარს გააჩნია ინტენსიურად ლურჯი ფერი და ამ ფერის ინტენსივობის მიხედვით საზღვრავენ ხსნარში  $Cu^{2+}$ -იონების რაოდენობას (კონცენტრაციას).

ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდს მიეკუთვნება ინსტრუმენტული ანუ ფიზიკურ-ქიმიური გატიტვრა: ამ დროს საზღვრავენ გასატიტრი ხსნარის ფიზიკურ თვისებას და ამის საფუძველზე აგებენ გატიტვრის მრუდს, რომლის ორდინატა დერძზე დააქვთ გასატიტრი ხსნარის ფიზიკური თვისებების ცვლილება, ხოლო აბსცისთა დერძზე – ტიტრანტის ანუ გამტიტრავი ხსნარის მოცულობა. გატიტვრის დროს იცვლება საკვლევი ნივთიერების კონცენტრაცია და ამავდროულად იცვლება ხსნარის ისეთი ფიზიკური თვისება, როგორიცაა: ხსნარის ელექტროგამტარობა, ხსნარის ოპტიკური შთანთქმა და ა.შ. გატიტვრის პროცესში წარმოქმნება ექვივალენტობის წერტილი, როცა საკვლევი ნივთიერება მთლიანად უკავშირდება ტიტრანტის და ამ დროს გატიტვრის მრუდზე წარმოქმნება გარდატება. ექვივალენტობის წერტილის მიხედვით ადვილად შეიძლება გაირკვეს გატიტვრაზე დახარჯული ტიტრანტის მოცულობა. პრაქტიკაში უკლაზე ხშირად გამოიყენება პოტენციომეტრული, კონდუქტორმეტრული, ფოტომეტრული და ამპერომეტრული გატიტვრები.

ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები სწრაფიცაა და ზუსტად შედეგებსაც იძლევიან, მაგრამ ითხოვენ სპეციალურ და ძვირადღირებულ აპარატურას. ამა, თუ იმ მეთოდის შერჩევა წარმოებს თვითონ საანალიზო ნივთიერების ბუნებიდან გამომდინარე და იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომელსაც მიზნად ისახავს ქიმიკურ-ანალიტიკოსი.

## **ანალიზის ინსტრუმენტალური მეთოდები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:**

1. ოპტიკური მეთოდი;
2. ელექტროქიმიური მეთოდი:
3. ქრომატოგრაფიული მეთოდი.

თავის მხრივ თითოეული ეს მეთოდი იყოფა რამდენიმე სახეობად, კერძოდ:

**ოპტიკური მეთოდის სახეობებია:** а) კოლომეტრია; б) ფოტოკოლომეტრია;

გ) ნეფელომეტრია; დ) ტურბიდიმეტრია; ე) სპექტროფოტომეტრია; ვ) ემისიური სპექტრალური ანალიზი; ზ) რეფრაქტომეტრია.

**კოლორიმეტრული ანალიზი** – დაფუძნებულია ორი ხსნარის ფერის შედარებაზე, რომელთაგან პირველი ხსნარი – არის სტანდარტული ხსნარი, რომელშიც წინასწარ ცნობილია საკვლევი კომპონენტის კონცენტრაცია და რომელიც გადაჰყავთ შეფერილ მდგომარეობაში, ხოლო მეორე ხსნარი – არის საანალიზო ხსნარი, რომელშიც უცნობია საკვლევი კომპონენტის კონცენტრაცია და ეს ხსნარიც გადაჰყავილია შეფერილ მდგომარეობაში. საანალიზო ხსნარის ფერს ადარებენ სტანდარტული ხსნარის ფერს და ამის საფუძველზე მსჯელობენ საანალიზო ხსნარში საკვლევი კომპონენტის შემცველობაზე. მაგალითად:  $Fe^{3+}$ -იონების რაოდენობითი განსაზღვრისათვის, სტანდარტულ ხსნარს ამზადებენ შემდეგნაირად: იღებენ განსაზღვრული რაოდენობის საკვლევ კომპონენტს, გადაჰყავთ იგი ხსნად მდგომარეობაში და უმატებენ როდანიდ-იონების შემცველ რომელიმე ხსნარს, ამით სტანდარტულ ხსნარს მიეცემა სისხლისფერ-წითელი შეფერილობა, რადგანაც წარმოიქმნება  $Fe^{3+}$ -ის როდანიდ:



(წითელი)

ანალოგიურად ამზადებენ საანალიზო ხსნარსაც, რომელშიც უცნობია  $Fe^{3+}$ -ის კონცენტრაცია და ამ ხსნარის ფერს ადარებენ სტანდარტული ხსნარის ფერს.

**ფოტომეტრული ანალიზი (ფოტოკოლორიმეტრია)** – დაფუძნებულია საანალიზო და სტანდარტულ ხსნარებში სხვადასხვანირი ინტენსივობით გამავალი სინათლის სხივის გავლენით, ფოტოელემენტში წარმოქმნილი დენის ძალის ცვლილების გაზომვაზე. ეს დენის ძალა კი პირდაპირპორციულია საანალიზო ხსნარში საკვლევი კომპონენტის კონცენტრაციისა. ამ ანალიზის ჩატარებისას გამოიყენება ხელსაწყო-ფოტოკოლორიმეტრი, მეთოდი გაცილებით ზუსტი და სწრაფია, ვიდრე კოლორიმეტრია.

**ნეფელომეტრული ანალიზის** დროს ზომავენ სინათლის სხივის ინტენსივობას, რომელიც გაიფანტება სუსპენზიურ ხსნარებში გავლის შედეგად. გაფანტული სხივის ინტენსივობა პირდაპირპორციულია სუსპენზიის ნაწილაკებში მყოფი საკვლევი ნივთიერების რაოდენობისა. ამ მეთოდით საზღვრავენ წყალში უხსნადი ნივთიერებების კონცენტრაციას, რომლებიც წარმოქმნიან მდგრად სუსპენზიებს, მაგალითად:  $AgCl$ -ის სუსპენზიურ ხსნარში საზღვრავენ  $Ag^+$ -იონების კონცენტრაციას, გაზომვებს ატარებენ სპეციალურ ნეფელომეტრებზე, რომლებიც კოლორიმეტრების ანალოგიური მოწყობილობისაა.

**ტურბიდიმეტრული ანალიზი** – ამ ანალიზის დროს საზღვრავენ სინათლის ნაკადის ინტენსივობას, რომელიც გაივლის კიუვებაში მოთავსებულ სუსპენზიურ ხსნარში და სუსტდება, ერთის მხრივ სუსპენზიის მიერ მისი გაფანტვის, მეორეს მხრივ კი – შთანთქმის გამო. ამ სინათლის ნაკადის ინტენსივობა პირდაპირპორციულია სუსპენზიაში მყოფი საკვლევი კომპონენტის კონცენტრაციისა რომელსაც საზღვრავენ დანაყოფიანი გრაფიკის საფუძველზე. გრაფიკს აგებენ სტანდარტული ხსნარების მეშვეობით.

**სპექტროფოტომეტრული ანალიზი** – დაფუძნებულია საანალიზო ხსნარში გამავალი მონოქრომატული (ერთი ფერის) სხივის გატარებასა და ამ ხსნარის მიერ მისი შთანთქმის უნარზე. მონოქრომატული გამოსხივება შეიძლება მოხდეს სინათლის სპექტრის როგორც ხილულ, ასევე თვალით უხილავ – ულტრაიისფერ და ინფრაწითელ უბნებში. ამ დროს იკვლევენ საანალიზო ხსნარის მიერ სინათლის სხივის შთანთქმის უნარის ( $D$ ) დამოკიდებულებას ამ ხსნარის მიერ შთანთქმული სხივის ტალღის სიგრძეზე ( $\lambda$ ) და ეს დამოკიდებულებას

კიდებულება გამოისახება გრაფიკით – შთანთქმის სპექტრით, რომლის აბსცისთა დერძზე დააჭვთ სინათლის ტალღის სიგრძეები –  $\lambda$ , ხოლო ორდინატთა დერძზე – საანალიზო ხსნარის მიერ სინათლის სხივის შთანთქმის უნარი, ანუ ოპტიკური სიმკვრივე –  $D$ .

შთანთქმის სპექტრს გააჩნია ზოლები და თითოეული ზოლისათვის დამახასიათებელია სინათლის ტალღის მაქსიმალური სიგრძე  $- \lambda_{\max}$ , რომლის დროსაც მაქსიმალურია ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე  $- D$ , ესე იგი ამ წერტილში საანალიზო ხსნარის მიერ შთანთქმული სინათლის სხივის სიგრძე მაქსიმალურია. ეს მეთოდი ზუსტია და გამოირჩევა დიდი მგრძნობიარობით, რადგანაც სინათლის სხივს – სპექტრს გააჩნია ტალღის სიგრძის ფართო დიაპაზონი.

**ემისიური სპექტრული ანალიზი** – იგი დაფუძნებულია გარკვეული რაოდენობის საანალიზო სინჯის დაწვაზე გაზის ალტი ან ელექტრულ რკალში. საკვლევი ნივთიერება ორთქლდება, მისი მოლექულები დისოცირდება ატომებად, რომლებიც გახურებისას „აღიგზებიან“, ამ დროს ეს ატომები გაატენირებულია და იძლევიან გამოსხივებას. ყოველი ელემენტის ატომისათვის დამახასიათებელია მისი შესაბამისი ფერის გამოსხივება. სხივური ენერგიის რაოდენობა, რომელსაც გამოასხივებენ ატომები 1 წმ-ში, ტოლია ამ ატომების რიცხვისა 1 სმ<sup>3</sup> საკვლევ ნივთიერებაში.

ემისიური სპექტრული ანალიზის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა – **ალური ფოტომეტრია**, რომლის დროსაც საანალიზო ხსნარი ჰაერის ნაკადის ან ჟანგბადის საშუალებით გადაჰყავთ აეროზოლის მდგომარეობაში და ასეთი სახით შეჰვავთ გაზის ალტი. თუ საანალიზო ხსნარში იმყოფება ადვილად „აღიგზებადი“ ელემენტის ატომები, მაშინ გაზის ალტი შეიფერება და გამოსხივებული ენერგიის ინტენსივობა დაფიქსირდება ფოტოელემენტზე, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება ფოტოდენი, ამ ფოტოდენს კი აღრიცხავს მგრძნობიარე გალვანომეტრი.

**რეფრაქტომეტრული ანალიზი** – ამ მეთოდით ისაზღვრება ნივთიერების რაოდენობა ხსნარში ან ხსნარების ნარევში. ეს ყველაზე მარტივი ინსტრუმენტული მეთოდია, რომლის დროსაც საჭიროა საანალიზო ნივთიერების ძალიან მცირე რაოდენობა და ანალიზიც სწრაფია. რეფრაქტომეტრული ანალიზი დაფუძნებულია საანალიზო ნივთიერების ხსნარში ან ხსნარების ნარევში გამავალი სინათლის სხივის გარდატეხის გაზომვაზე, რომლის ძირითადი ფიზიკური თვისებაა – გარდატეხის მაჩვენებელი. ყოველი ინდივინდუალური ნივთიერება ხასიათდება თავისი გარდატეხის მაჩვენებლით.

**ელექტროქიმიური მეთოდები** გამოიყენება ფერადი მეტალებისა და მათი შენადნობის რაოდენობითი განსაზღვრისათვის. ეს მეთოდი დაფუძნებულია იმ ელექტროქიმიური მოვლენების გაზომვაზე, რომლებიც წარმოიშობა საანალიზო ხსნარში, ან ხსნარში ჩაშვებული ელექტროდენის ზედაპირზე.

#### ელექტროქიმიური მეთოდის სახეობებია:

ა) **ელექტროწონითი ანუ ელექტროგრავიმეტრული ანალიზი** – ამ ანალიზს საფუძვლად უდევს საანალიზო ხსნარის ელექტროლიზის მოვლენა, ანუ ხსნარში გამავალი ელექტროდენის შედეგად ელექტროდენის გამოყოფილი საკვლევი ნივთიერების წონითი განსაზღვრა. ამისთვის ხსნარში ჩაშვებულ ელექტროდენი ელექტროლიზამდე და ელექტროლიზის შემდეგ, წონის სხვაობით იგებენ ელექტროდენი გამოყოფილი საკვლევი ნივთიერების წონას.

ელექტროწონით ანალიზში „რეაქტივის“ როლს ასრულებს ელექტროდენი. ამ დროს ელექტროდენი შეიძლება გამოიყოს არამარტო მეტალები, არამედ ზოგიერთი ოქსიდიც (მაგ:  $PBO_2 \downarrow$ ) და უხსნადი ნივთიერებებიც კი (მაგ  $AgCl \downarrow$ ).

ბ) **ელექტრომოცულობითი ანალიზი** – იგი დაფუძნებულია საანალიზო ხსნარებზე რეაქტივის თანდათანობით დამატებაზე, რის შედეგადაც იცვლება საანალიზო ხსნარის ელექტრული თვისებები. ამის მიხედვით, ელექტრომოცულობითი მეთოდი თავის მხრივ იყოფა რამდენიმე სახეობად:

–თუ ექივალენტობის წერტილში იცვლება საანალიზო ხსნარში ჩაშვებული ელექტროდის პოტენციალი, მაშინ ანალიზს ეწოდება **პოტენციომეტრული ანალიზი**;

- თუ ექვივალენტობის წერტილში იცვლება საანალიზო ხსნარის ელექტროგამტარობა
- **კონდუქტორებული ანალიზი;**
- თუ საანალიზო ხსნარში ელექტროლიზის პროცესში იცვლება დენის ძალა, ძაბვის გადიდებით - **პოლაროგრაფიული ანალიზი;**
- თუ ანალიზი დაფუძნებულია იმ ელექტროლენის რაოდენობის განსაზღვრაზე, რომელიც ისარჯება ელექტროლიზის პროცესში ელექტროდულ რეაქციაზე - **კულონომეტრული ანალიზი** (ამ დროს ისაზღვრება არა მარტო უხსნადი, არამედ ხსნადი ნაერთების შემცველობაც).
- თუ გატიტვრისას პროცესში, მუდმივი ძაბვის მიწოდების შემდეგ, ექვივალენტობის წერტილში იცვლება ზღვრული დიფუზიური დენი, მაშინ ანალიზს ეწოდება **ამპერომეტრული გატიტვრა.**

**ქრომატოგრაფიული მეთოდი** – მეთოდის დამაარსებელია რუსი ბიოქიმიკოსი – ცვეტი. “Chroma” – ბერძნული სიტყვაა და ქართულად “ფერს” ნიშნავს, “grapho”–”ვწერ”, ე.ი „ფერწერა“. ანალიზი მდგომარეობს შემდეგ ში:

ქრომატოგრაფიულ სვეტს, ანუ კალონკას წინასწარ დატენიან სპეციალური ადსორბენტით და სვეტში გაატარებენ საანალიზო ნარევს. ნარევის შემცველი კომპონენტები შერჩევით, ანუ სელექტიურად შთაინთქმებიან სორბენტის მიერ და დაილექტებიან სხვადასხვა სიმაღლეზე, რის შედეგადაც მიიღება სხვადასხვა ფერად შეფერილი ზონები; თითოეული ფენის ფერისა და სიდიდის მიხედვით მსჯელობენ საკვლევ ნარევში ამა თუ იმ კომპონენტის შემცველობაზე და რაოდენობაზე. თუ ნარევი უფერულია, მაშინ მას წინასწარ შეფერავენ სპეციალური ორგანული საღებავებით. მაგალითად, ამინომჟავები უფერული ნაერთებია, ამიტომ ამინომჟავების ნარევს წინასწარ შეფერავენ ნინჭიდრინით, რომელიც თითოეულ ამინომჟავასთან თავის შესაბამის ფერს წარმოქმნის. ქრომატოგრაფიულ სვეტზე გატარებისას ამინომჟავათა ნარევი დაიყოფა ცალკეულ ამინომჟავებად, რომელიც წარმოქმნიან შესაბამის ფერად ზონებს. **ქრომატოგრაფიული მეთოდის სახეობებია:**

- ა) ადსორბციული ქრომატოგრაფია;
- ბ) იონმიმოცვლითი ქრომატოგრაფია;
- გ) გამანაწილებელი ქრომატოგრაფია;
- დ) დალექციონული ქრომატოგრაფია;

## XVI.2. ელექტროგრავიმეტრული ანალიზის თეორიული საფუძვლები

როგორც ცნობილია, ანალიზის ელექტროქიმიური მეთოდი დაფუძნებულია იმ ელექტროქიმიური მოვლენების გაზომვაზე, რომლებიც წარმოიშობა საანალიზო ხსნარებში უშუალოდ ელექტროდენის გატარებისას, ან კიდევ, რომლებიც წარმოიშობა საანალიზო ხსნარებში ჩაშვებული ორი ერთმანეთთან ურთიერთობოქმედი ელექტროდენის ზედაპირზე. ამისდა მიხედვით, **ხსნარებში წარმოშობილი ელექტროქიმიური მოვლენები იყოფა სამ ტიპად:** ა) უშუალოდ ხსნარის წინაღობა ელექტროდენის მიმართ; ბ) საანალიზო ხსნარებში ჩაშვებულ ელექტროდზე ელექტროდენის გავლის შემდეგ გარკვეული პოტენციალის წარმოქმნა; გ) საანალიზო ხსნარებში ჩაშვებულ ელექტროდებზე ელექტროქიმიური რეაქციის წარმოშობა იმის შემდეგ, როცა ამ ელექტროდებს გარედან მიეწოდება ანუ დაედება გარკვეული პოტენციალი.

**ამ სამი ტიპიდან გამომდინარე ანალიზის ელექტროქიმიური  
მეთოდები იყოფა შემდეგ სახეობად:**

- 1. ელექტროგრავიმეტრული ანალიზი,** რომელიც დაფუძნებულია ხსნარში ჩაშვებულ ელექტროდებზე ელექტროლიზის შედეგად წარმოქმნილი რეაქციის პროდუქტების გრავიმეტრულ ანუ წონით განსაზღვრაზე;
- 2. ელექტრომოცულობითი ანალიზი,** რომელიც თავის მხრივ იყოფა:
  - ა) პოტენციომეტრულ ანალიზად;
  - ბ) კონდუქტომეტრულ ანალიზად;
  - გ) კულონომეტრულ ანალიზად;
  - დ) პოლაროგრაფიულ ანალიზად;
  - ე) ამპერომეტრულ გატიტვრად;

**ელექტროგრავიმეტრული ანალიზი** – გამოიყენება ცალკეული მეტალების, მეტალთა ოქსიდებისა და მნელადხების მარილების რაოდენობითი ანუ წონითი განსაზღვრისათვის. ეს მეთოდი დაფუძნებულია ხსნარების ელექტროლიზის მოვლენაზე და ამ დროს საანალიზო ხსნარში მყოფი ელექტროდის ზედაპირზე გამოყოფილი ნივთიერების მასის, ანუ წონის მიხედვით მსჯელობებს ამ ნივთიერების შემცველობაზე ხსნარში. ამ მეთოდში გამოყენებულ ელექტროდებს წაუქნებული აქვთ შემდეგი მოთხოვნები:



- ა) ელექტროლიზის დროს ელექტროდი არ უნდა შევიდეს რეაქციაში საანალიზო ხსნარში მყოფ ნივთიერებებთან;
- ბ) ხსნარის ელექტროლიზის დროს წარმოქმნილი ნალექი მყარად უნდა მიეკრას ელექტროდის ზედაპირს.

თუ ნებისმიერი ელექტროლიზის ხსნარში ჩავუშვებთ ელექტროდებს და ხსნარში გავატარებთ ელექტრულ დენს, ელექტროდებზე დაიწყება ჟანგვისა და აღდგენის პროცესების მიმდინარეობა. განვიხილოთ ეს მოვლენა  $CuCl_2$ -ის მაგალითზე:

როგორც ცნობილია, ხსნარში  $CuCl_2$  დისოცირებულია იონებად:



ხსნარში  $Cu^{2+}$ -იონები ელექტრული ველის მოქმედების შედეგად დაიწყებენ მოძრაობას კათოდისაკენ. აქ ისინი ურთიერთქმედებენ ელექტრონებთან, რომლებსაც კათოდი დებულობს დენის წყაროდან და ამ ელექტრონების ზეგავლენით  $Cu^{2+}$ -იონები აღდგებიან კათოდზე:



ამრიგად, ელექტრული დენის გავლენით, კათოდზე და ანოდზე წარიმართება ჟანგვა-აღდგენითი რეაქცია, რის შედეგადაც  $Cu^{2+}$ -იონები აღდგება კათოდზე,  $Cl^-$ -იონები კი დაიჟანგება ანოდზე. **ჟანგვა-აღდგენით პროცესს, რომელიც მიმდინარეობს ელექტროდებზე, ხსნარში ან ნალეობში ელექტრული დენის გატარების შედეგად, ეწოდება ელექტროლიზის პროცესი.**

ელექტროდენის რაოდენობასა, რომელიც გატარებულია საანალიზო ხსნარში, და ჟანგვა-აღდგენის შედეგად ელექტროდებზე წარმოქმნილ ნივთიერების რაოდენობას შორის არსებობს მკაცრი დამოკიდებულება, რომელიც განისაზღვრება ფარადეის კანონებით:

**ფარადეის I კანონი** – იგი ამყარებს დამოკიდებულებას ელექტროლიზის შედეგად გარდაქმნილი ნივთიერების რაოდენობასა და საანალიზო ხსნარში გავლილი ელექტრობის რაოდენობას შორის და ეს დამოკიდებულება მდგომარეობს შემდეგში: ელექტროლიზის შედეგად ელექტროდებზე გამოყოფილი ნივთიერების რაოდენობა პირდაპირპორციულია საანალიზო ხსნარში გატარებული ელექტროდის რაოდენობისა. ეს კანონი წარმოადგენს თავად ელექტროლიზის პროცესის არსე ანუ საფუძველს.

**ფარადეის II კანონი** – იგი ამყარებს დამოკიდებულებას ელექტროლიზის შედეგად გარდაქმნილი ნივთიერების რაოდენობას და ამ ნივთიერების ქიმიურ ექვივალენტს შორის და ეს დამოკიდებულება მდგომარეობს შემდეგში: ელექტრობის ერთი და იგივე რაოდენობა გამოყოფს ელექტროდებზე სხვადასხვა ნივთიერებათა იმ რაოდენობას, რომელიც პროპორციულია ამ ნივთიერებათა ქიმიური ექვივალენტისა.

**მაგალითად:** იმისათვის, რომ საანალიზო ხსნარიდან ელექტროდებზე გამოიყოს 1გ.ექვ.  $Cu$  (31,8გ), 1გ.ექვ.  $Ni$  (29,35გ), 1გ.ექვ.  $Ag$  (107,9გ), 1გ.ექვ.  $Mg$  (12,15გ), საჭიროა საანალიზო ხსნარში გაიაროს ერთი და იმავე რაოდენობის ელექტრობამ.

**ელექტრობის რაოდენობა, რომელიც განაპირობებს ელექტროდებზე 1 გ-ექ. ნივთიერების გამოყოფას, ტოლია  $9,65 \times 10^4$  კულონისა (ანუ 96500). ელექტრობის ეს რაოდენობა იწოდება ფარადეის რიცხვად და აღინიშნება –  $F$  ასოთი.**

ფარადეის ორივე კანონი შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ფორმულით:

$$G = \frac{\varepsilon \cdot Q}{F}, \quad \text{სადაც:}$$

$G$  – არის გარდაქმნილი ნივთიერების მასა გრამებში;


$\varepsilon$  – არის გარდაქმნილი ნივთიერების გრამ-ექვივალენტი;

$Q$  – არის ელექტრობის რაოდენობა კულონებში;

$F$  – არის ფარადეის რიცხვი.

### XVI.3. ელექტროგრავიმეტრული ანალიზის ჩატარების პრინციპული სქემა და პირობები

ელექტროწონითი ანალიზის მეთოდი ფართოდ გამოიყენება მეტალთა განსასაზღვრავად და იგი ტარდება ელექტროლიტებისა და მათი მარილების ხსნარების ელექტროლიზის საფუძველზე. ელექტროწონითი ანალიზის ჩასატარებლად გამოიყენება შემდეგი მოწყობილობა, რომლის სქემაც ნაჩვენებია მე-8 ნახაზზე.




1. დენის წყარო
2. ვოლტმეტრი
3. ამპერმეტრი
4. რეოსტატი
5. ანოდი (პლატინის სპირალი)
6. კათოდი (პლატინის ბადე)
7. საანალიზო ხსნარიანი ჭურჭელი (ელექტრობულე)

ნახ. 8


მუდმივი დენის წყაროს როლს ასრულებს ბატარეა ან აკუმულატორი (1), რეოსტატის გავლით (4) ძაბვა მიეწოდება ელექტროდებს (5),(6). ელექტროდები დამზადებულია

პლატინისაგან, რადგანაც იგი არ შედის კონტაქტში საანალიზო ხსნართან. კათოდად გამოიყენება პლატინის ბაზე (6), ხოლო ანოდად გამოიყენება მსხვილი პლატინის სპირალი (5). სქემაში აგრეთვე ჩართულია ამპერმეტრი (3), რომელიც შესაძლებლობას იძლევა ვაკონტროლოთ დენის ძალა. სქემაში ჩართულია ვოლტმეტრიც (2), რომელიც აკონტროლებს ელექტროდებზე მიწოდებული ძაბვის მუდმივობას. საანალიზო ხსნარს ათვესებენ მინის ჭურჭელში (7), რომლებშიც ჩაუშვებენ ელექტროდებს (ელექტრობულე).

ხსნარში ჩაშვებამდე პლატინის კათოდს წინასწარ რეცხავენ, აშრობენ და წონიან, ამის შემდეგ ელექტროდებს ჩაუშვებენ ხსნარში და მათზე მიაწოდებენ მეთოდიკის მიხედვით მითითებულ ძაბვას, რომელიც გამოიწვევს ხსნარის ელექტროლიზს. ელექტროლიზსაც ატარებენ მეთოდიკაში მითითებული დროის განმავლობაში. ამის შემდეგ ელექტროლიზს ასრულებენ, ელექტროდებს ამოიღებენ ხსნარიდან, ისევ ჩარცხავენ კათოდს, ისევ აშრობენ და კვლავ წონიან. ელექტროლიზის პროცესში ელექტროდებზე გამოილექება დაშლის პროდუქტები. მაგალითად, თუ გატარებთ  $CuCl_2$ -ის ხსნარის ელექტროლიზს, კათოდზე აღდგება მეტალური  $Cu$ :



ხოლო ანოდზე გამოილექება  $Cl_2$  – გაზის სახით:



პოტენციალი, ამიტომ წრედში წარმოიქმნება პოტენციალთა სხვაობა, რომელიც იქნება იმ ძაბვის საწინააღმდეგო, რომელი ძაბვაც მიეწოდება ელექტროდებს დენის წყაროდან. ამ მოვლენას, რომელსაც იწვევს **პოლარიზაცია**, იყენებენ პოლაროგრაფიული ანალიზის დროს. პოლარიზაცია იწვევს იმის აუცილებლობას, რომ ელექტროდებს მიეწოდოს დამატებითი ძაბვა, სხვაგვარად ელექტროლიზის პროცესი არ გაგძელდება.

### **ელექტროწონითი ანალიზის დროს აუცილებელია დაცული იქნას შემდეგი პირობები:**

- 1) კათოდზე მეტალი უნდა დაილექოს მკვრივი ფენის სახით, რომელიც არ განიცდის დაცვენას ან დაშლას კათოდის ჩარცხევის, გაშრობის ან აწონის შემთხვევაში;
- 2) კათოდზე დალექილი ნალექის ფორმა დამოკიდებულია დენის სიმკვრივეზე: დენის მცირე სიმკვრივის დროს მეტალის დალექვა კათოდზე მიღის ძალიან ნელა და კათოდზე მიიღება ნალექის მკვრივი ფენა; დენის დიდი სიმკვრივის დროს კი ელექტროლიზის პროცესი მყისიერად იზრდება, მეტალი ვერ ასწრებს ერთბაშად დალექვას კათოდზე და ნალექი უფრო ფხვიერია. ამიტომ ელექტროლიზის დასაჩქარებლად იმ შემთხვევაში, როცა დენის სიმკვრივე მცირეა, ახდენენ საანალიზო ხსნარის გაცხელებას ( $60^{\circ} C$ -მდე);
- 3) ანალიზის ზუსტად და უშეცდომოდ წარმართვისას საჭიროა თვალყურის დევნება, რათა ელექტროდებზე მიწოდებული ძაბვა იყოს მუდმივი;
- 4) დაცული უნდა იყოს მუდმივი ტემპერატურა;
- 5) დაცული უნდა იყოს ხსნარის მუდმივი  $pH$ ;
- 6) დაცული უნდა იყოს ელექტროლიზის პროცესის ხანგრძლივობა.

**ნალექის წონა გამოიანგარიშება შემდეგნაირად:** ელექტროლიზის შემდეგ მიღებულ კათოდის წონას გამოაქლებენ ელექტროლიზამდე არსებულ კათოდის წონას. მიღებული სხვაობა იქნება კათოდზე აღდგენილი მეტალის წონა (ჩვენს შემთხვევაში მეტალური სპილენის წონა, რომელიც აღდგა კათოდზე).

## XVI.4. პოტენციომეტრიის არსი. პოტენციომეტრიაში გამოყენებული ელექტროდების სახეები

**პოტენციომეტრული ანალიზი დაფუძნებულია იმ ელექტროდული პოტენციალის გაზომვაზე, რომელიც წარმოიქმნება საანალიზო ხსნარში ჩაშვებულ ელექტროდზე და რომელიც იცვლება ხსნარის კონცენტრაციის შეცვლით.**

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: თუ რომელიმე მეტალის, მაგალითად თუთიის ფირფიცას ჩავუშვებთ წყალში, მაშინ ფირფიცის ზედაპირიდან მეტალის გარკვეული რაოდენობა გადავა ხსნარში. ეს პროცესი მიმდინარეობს წყლის მოლეკულების ზემოქმედებით, რომელიც იწვევს მეტალის იონთა მოხლეებს ფირფიცის ზედაპირიდან. მეტალის იონთა ხსნარში გადასვლის შედეგად, მეტალური ფირფიცის ზედაპირი დაიმუხებება უარყოფითად იმ ელექტრონების ხარჯზე, რომლებიც დარჩება ფირფიცის ზედაპირზე. იონთა ხსნარში გადასვლის უნარი დამოკიდებულია მეტალის ბუნებაზე და სხვადასხვა მეტალისათვის სხვადასხვანაირია. თუ მეტალის ფირფიცა ჩაშვებულია არა წყალში, არამედ ნებისმიერ სხვა ხსნარში, რომელიც შეიცავს ამ მეტალის შემცველ მარილს, მაშინ ერთდროულად მიმდინარეობს ორი პროცესი:

- 1) მეტალის ფირფიცის ზედაპირიდან ხსნარში იონების გადასვლა;
- 2) საწინააღმდეგო პროცესი, ანუ მეტალის იონთა გადასვლა ხსნარიდან ფირფიცის ზედაპირზე. მაგალითად, თუთიის ფირფიცის შემთხვევაში იონური ტოლობა ასე ჩაიწერება:



ამ ორ პროცესს შორის სწრაფად დამყარდება წონასწორობა, რომელიც მოძრავი ანუ დინამიურია, ე.ი. დროის ერთეულში რამდენი იონიც გადავა ხსნარში მეტალის ფირფიციდან, იმდენივე იონი გადავა დროის იმავე ერთეულში ხსნარიდან მეტალის ფირფიცის ზედაპირზე. მეტალის ფირფიციდან ხსნარში იონთა გადასვლის გამო, მის ზედაპირზე წარმოიქმნება ელექტრონთა სიჭარე და ზედაპირი დაიმუხებება უარყოფითად. ფირფიცის უარყოფითად დამუხეტული ზედაპირი მიიზიდავს ხსნარში არსებული დადებითად დამუხეტული იმავე მეტალის კათონებს. კათონები თავს მოიყრიან ფირფიცის ზედაპირთან და წარმოიქმნიან დადებით დამუხეტულ ფენას.

ამრიგად, მეტალის ფირფიცისა და ხსნარის შეხების საზღვარზე წამოიქმნება ორმაგი ელექტრული ფენა. ერთი ფენა – არის უარყოფითად დამუხეტული მეტალის ფირფიცის ზედაპირი, ხოლო მეორე ფენა კი – ფირფიცის ზედაპირთან თავმოყრილი კათონების ფენა. **სწორედ ეს ორმაგი ელექტრული ფენა განაპირობებს ე.წ. ელექტროდის პოტენციალის წარმოქმნას.** ამ პოტენციალის სიდიდე და ნიშანი დამოკიდებულია ფირფიცისა და ხსნარს შორის იონმიმოცვლის მიმართულებასა და ინტენსიურობაზე. მაგრამ, რადგანაც მეტალის ფირფიცის თვისებები ძირითადად მუდმივია, ამიტომ პოტენციალის სიდიდე დამოკიდებულია ხსნარის თვისებებზე ანუ იმ ხსნარის კონცენტრაციაზე, რომელშიც ჩაშვებულია ელექტროდები. **იმ ელექტროდს, რომლის პოტენციალის მიხედვით მსჯელობებს ხაანალიზო ხსნარის კონცენტრაციაზე, ეწოდება ინდიკატორული ელექტროდი.** უმრავლეს შემთხვევაში ასეთ ელექტროდად გამოიყენება მინის ელექტროდი. ე.ი. ინდიკატორული ელექტროდის პოტენციალი იცვლება ხსნარის კონცენტრაციის შეცვლით. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ინდიკატორული ელექტროდის პოტენციალი, მას ადარებენ მეორე ელექტროდს, რომელსაც ეწოდება **შედარების ანუ სტანდარტული ელექტროდი.** ამ ელექტროდის პოტენციალი კი ხსნარის კონცენტრაციის შეცვლით არ უნდა შეიცვალოს. შედარების ელექტროდად ხშირად იყენებენ წყალდადის ან პლატინის ელექტროდებს, რომელთა პოტენციალი 0-ის ტოლია. როცა შედარების ელექტროდის პოტენციალი 0-ის ტოლია, მაშინ გაღვანური ელემენტის ელექტრომამოძრავებელი ძალა (ე.მ.ძ.) ტოლია:  $E_x = E_{\text{ინდ.}} - E_{\text{შედ.}} = E_{\text{ინდ.}} - 0 = E_{\text{ინდ.}}$  მაშასადამე ინდიკატორული და შედარების ელექტროდების პოტენციალთა სხვაობა წარმოადგენს იმ გაღვანური ელემენტის ელექტრომამოძრავებელ ძალას, რომელიც შედგება ორი ნახევარ ელემენტისაგან:

- 1) მეტალური ელექტროდი, რომელიც ჩაშვებულია საანალიზო ხსნარში (ინდიკატორული ელექტროდი);

2) შედარების ელექტროდი, რომელიც ჩაშვებულია სტანდარტულ ხსნარში.

შემდგომში, როცა საუბარი გვექნება ელექტროდის პოტენციალზე, მხედველობაში მივიღებთ სხვაობას ინდიკატორული და შედარების ელექტროდების პოტენციალებს შორის, ანუ ამ ელექტროდული წყვილის ე. მ. ძალას.

**ელექტროდულ პოტენციალს, რომელიც წარმოიქმნება მეტალის ჩაშვებისას ამაგე მეტალის შემცველი ერთი ნორმალობის მარილის ხსნარში  $25^\circ\text{C}$ -ზე, ეწოდება სტანდარტული პოტენციალი. თითოეულ მეტალს გააჩნია თავისი სტანდარტული პოტენციალი, რომელიც წარმოიქმნება იმ ქიმიური რეაქციის შედეგად, რომელიც წარმოიშობა მეტალის ჩაშვებისას მისივე მარილის ხსნარში (ცხრილი 12).**

## ცხრილი 12

### ზოგიერთი მეტალის სტანდარტული პოტენციალი ნორმალურ წყალბადის ელექტროდთან შედარებით

$\text{Li}^+ + \bar{e} \Leftrightarrow \text{Li}^0$	-3,045
$\text{K}^+ + \bar{e} \Leftrightarrow \text{K}^0$	-2,924
$\text{Ca}^{+2} + \bar{e} \Leftrightarrow \text{Ca}^0$	-2,866
$\text{Na}^+ + \bar{e} \Leftrightarrow \text{Na}^0$	-2,714
$\text{Mg}^{+2} + 2\bar{e} \Leftrightarrow \text{Mg}^0$	-2,363
$\text{Al}^{+3} + 3\bar{e} \Leftrightarrow \text{Al}^0$	-1,663
$\text{Zn}^{+2} + 2\bar{e} \Leftrightarrow \text{Zn}^0$	-0,763
$\text{Fe}^{+2} + 2\bar{e} \Leftrightarrow \text{Fe}^0$	-0,440
$\text{Ag}^+ + \bar{e} \Leftrightarrow \text{Ag}^0$	0,799
$2\text{H}^+ + 2\bar{e} \Leftrightarrow \text{H}_2^0$	0
$\text{Cu}^{+2} + 2\bar{e} \Leftrightarrow \text{Cu}^0$	0,337
$\text{Pt}^{+2} + 2\bar{e} \Leftrightarrow \text{Pt}^0$	1,188

უველა რეაქცია, რომელიც მიმდინარეობს ელექტროდებზე, წარმოადგენს ჟანგვა-აღდგენით რეაქციებს. რაც უფრო უარყოფითია მეტალის სტანდარტული პოტენციალი, მით უფრო ადგილად გასცემს იგი ელექტრონებს და უფრო ადგილად იუანგება. **წყალბადის სტანდარტული პოტენციალი ტოლია 0 კოლტის.** ამიტომ უველა ის მეტალი, რომელიც განლაგებულია წყალბადამდე სტანდარტული პოტენციალის ზრდის მიხედვით, აღადგენენ წყალბადს მოლეკულურ წყალბადამდე, წყალბადის შემდეგ მოთავსებულები კი – ვერ აღადგენენ.

ერთი ცალკე აღებული ელექტროდის პოტენციალის აბსოლუტური მნიშვნელობის გაზომვა შეუძლებელია, ამიტომ პოტენციომეტრული ანალიზის ჩასატარებლად, ამ ელექტროდს მეტალური შემაერთებლით აკავშირებენ მეორე შედარების ელექტროდთან და ზომავენ პოტენციალთა სხვაობას ინდიკატორულ და შედარების ელექტროდებს შორის ( $\mathbf{E_{უდ.}} = 0$ ). ინდიკატორული ელექტროდი ყოველთვის ჩაშვებულია საანალიზო ხსნარში, ხოლო შედარების ელექტროდი – სტანდარტულ ხსნარში.

როგორც აღვნიშნეთ, პოტენციომეტრიაში იყენებენ ორ სახის ელექტროდს:


- 1) შედარების, ანუ სტანდარტული ელექტროდი;
- 2) ინდიკატორული ელექტროდი.

**სტანდარტულ ანუ შედარების ელექტროდებს მიეკუთვნება:**


ა) სტანდარტული წყალბადის ელექტროდი, რომლის პოტენციალი **0** ვოლტის ტოლია. ის შედგება პლატინისაგან და ოვი დაფარული აქვს პლატინის სიშავით. ელექტროდი ჩაშვებულია  $1N$  მჟავას ხელო ელექტროდის ზედა ნაწილი იმყოფება წყალბადის არეში. წყალბადი კარგად იხსნება პლატინის სიშავეში (ნახ. 9);

ბ) სტანდარტული ქლორვერცხლის ელექტროდი – იგი შედგება ვერცხლის მავთულისაგან, რომელიც დაფარულია  $AgCl$ -ის ფენით და ჩაშვებულია  $KCl$ -ის კონცენტრირებულ ხელო ამ ელექტროდის პოტენციალი  $E \approx 2,200$  ვოლტის, ხოლო ელექტროდის ელექტროქიმიური სისტემაა:  $Ag/AgCl/KCl$  (ნახ. 10);


გ) სტანდარტული კალომელის ელექტროდი – რომელიც შედგება ვერცხლისწყლის ფენისაგან, რომელიც კონტაქტშია კალომელის ფენასთან –  $Hg_2Cl_2$  და დაფარულია  $KCl$ -ის ხელო კალომელის ელექტროდის პოტენციალი  $E \approx 0,243$  ვოლტის, ხოლო მისი ელექტროქიმიური სისტემაა:  $Hg/Hg_2Cl_2/KCl$  (ნახ. 11).



ნახ. 9.  
სტანდარტული  
წყალბადის  
ელექტროდი



ნახ. 10.  
სტანდარტული  
ქლორვერცხლის  
ელექტროდი




ნახ. 11.  
სტანდარტული  
კალომელის  
ელექტროდი

**ინდიკატორულ ელექტროდებს მიეკუთვნება:**


ა) პლატინის ელექტროდები, რომელებიც გამოიყენება პოტენციომეტრიასა და კონდუქტორებიში;

ბ) ინდიკატორული ვერცხლისწყლის წვეთვანი ელექტროდი – იგი წარმოადგენს კაპილარს, რომელიც შეერთებულია ვერცხლისწყლიან ბალონთან. ვერცხლისწყლი ბალონიდან ჩაედინება კაპილარში და მოწვეთავს მისგან, იგი გამოიყენება ვოლტამპერომეტრიაში (ნახ. 12);

გ) ინდიკატორული მინის ელექტროდი – იგი წარმოადგენს მინის მილს, რომელიც ბოლოვდება თხელკედლიანი მინის ბურთულით. მინის მილი ავსებულია  $0,1 N HCl$ -ით, რომელშიც მოთავსებულია ქლორვერცხლიანი ელექტროდი. ამ ელექტროდის ჩაშვებისას საანალიზო ხელო წარმოიშობა პოტენციალთა სხვაობა, რადგანაც საანალიზო ხელო მყოფი წყალბად-იონების კონცენტრაცია განსხვავებულია მინის ელექტროდში არსებული  $0,1 N HCl$ -ის კონცენტრაციისაგან. ამ სხვაობის შედეგად წარმოიშობა პოტენციალი, რომელიც პროპორციულია მინის ელექტროდის ზედაპირზე წყალბად-იონთა კონცენტრაციისა. მინის ელექტროდი გამოიყენება პოტენციომეტრიაში (ნახ. 13).



ნახ. 12.  
ინდიკატორული  
ვერცხლისწყლის  
წვეთოვანი ელექტროდი



ნახ. 13.  
ინდიკატორული  
მინის ელექტროდი

### XVI.5. ელექტროდული პოტენციალის განსაზღვრა ნერნსტის განტოლებით. პოტენციომეტრული გაზომვების სქემა

პოტენციომეტრიაში ელექტროდული პოტენციალის დამოკიდებულება ხსნარის კონცენტრაციაზე გამოისახება ნერნსტის განტოლებით:

$$E_x = E_o + \frac{0,058 \cdot R \cdot T}{n \cdot F} \cdot \lg C,$$

სადაც:  $R$  – არის უნივერსალური გაზური კონსტანტა და იგი ტოლია 1,987 კალ/გრად.;

$E_x$  – არის ელექტროდული პოტენციალი;

$E_o$  – არის სტანდარტული პოტენციალი ვოლტებში;

$T$  – აბსოლუტური ტემპერატურა კელვინის გრადუსებში და იგი ტოლია  $298^0$  K;

$n$  – მეტალის იონის დაუანგულობის ხარისხი;

$F$  – ფარადეის რიცხვი, რომელიც ტოლია 96500 კულონის;

$C$  – არის მეტალის იონთა კონცენტრაცია ხსნარში, მოლი/ლ.

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ფორმულაში შემავალ მუდმივ სიდიდეებს, მაშინ ნერნსტის განტოლება გამარტივდება:  $E_x = E_o + \frac{0,058}{n} \cdot \lg C$

**მაგალითად:** თუ ვერცხლის მავთულს ჩავუშვებთ ვერცხლის შემცველ რომელიმე მარილის ხსნარში, მაშინ ამ შემთხვევაში ვერცხლის მავთული იქნება ელექტროდი, ხოლო მისი პოტენციალი, ნერნსტის განტოლების მიხედვით, ტოლი იქნება:

$$E_{Ag^+} = E_0 + \frac{0,058}{1} \cdot \lg Ag^+$$

შემდეგ ვპოულობთ ჟანგვა-ალდგენითი პოტენციალების (ანუ სტანდარტული პოტენციალების) ცხრილში შემდეგი სისტემის  $Ag^+ + \bar{e} \Leftrightarrow Ag^0$  პოტენციალს, რომელიც ტოლია  $E_o = 0,80$  ვოლტის, მაშინ  $E_{Ag^+} = 0,80 + 0,058lg Ag^+$ .

როგორც აღვნიშნეთ, ელექტროდული პოტენციალის განსაზღვრისას, იყენებენ ორი ელექტროდისაგან შემდგარ სისტემას: აქედან ერთი ელექტროდი წარმოადგენს ინდიკატორულს, რომელიც მგრძნობიარეა საანალიზო ხსნარში იონთა კონცენტრაციის მიმართ, ხოლო მეორე ელექტროდი – არის სტანდარტული, ანუ შედარების ელექტროდი, რომლის პოტენციალი მუდმივია და არ არის დამოკიდებული საანალიზო ხსნარის შედგენილობაზე. ამ ორი ელექტროდისაგან შემდგარი სისტემა, რომელიც ჩაშვებულია საანალიზო ხსნარში, წარმოადგენს გალვანურ ელემენტს. ორივე ელექტროდი ერთმანეთთან დაკავშირებულია მეტალური ხიდით, ინდიკატორული ელექტროდი იმყოფება საანალიზო ხსნარში, შედარების ელექტროდი იმყოფება სტანდარტულ ხსნარში.


გალვანური ელემენტის ელექტრომამოძრავებული ძალა ტოლია პოტენციალის, რომელიც წარმოადგენს საანალიზო ხსნარის შედგენილობის მახასიათებელს. ე.მ. ძალის გაზომვა ორ ელექტროდს შორის პოტენციალთა სხვაობით ძალზე რთული ამოცანაა, რადგანაც ძაბვის ჩვეულებრივი გამზომი ხელსაწყო – ვოლტმეტრი, ამ შემთხვევაში არ გამოდგება. ვოლტმეტრზე აუცილებლად მოხდება დენის ძალის დანაკარგი, რაც მოგვცემს გაზომვის ცდომილებას. ამიტომ ე.მ. ძალის გაზომვა წარმოებს სპეციალურ ხელსაწყოებზე, რომელთაც პოტენციომეტრები ეწოდება და ეს ხდება მაკომპენსირებელი მეთოდით (ნახ. 14), რომელიც შემდგომში მდგომარეობს:

ელექტროდებს შორის წარმოშობილი ე.მ. ძალის შემხვედრი მიმართულებით, რეოქორდის გავლით, წარმართავენ მუდმივი დენის წყაროს ე.მ. ძალას. მცოცავი კონტაქტის მეშვეობით საზღვრავენ პოტენციალთა სხვაობას ელექტროდებს შორის მანამ, სანამ არ მიიღწევა მათი სრული კომპენსაცია. კომპენსაციის მომენტში, როცა ელექტროდების ე.მ. ძალა გაუტოლდება მუდმივი დენი წყაროს ე.მ. ძალას, გალვანომეტრის ისარი უჩვენებს წრედში დენის არარსებობას, ანუ დადგება ნულოვან დანაყოფზე. ამ დროს რეოქორდის ჩვენებაც გადაიხრება. სწორედ რეოქორდის გადახრის მაჩვენებელი ტოლი იქნება ელექტროდული ძალისა.

ამ სქემაში გალვანომეტრი ჩართულია კომპენსაციის მომენტის დასადგენად, მაშინ როცა წრედში დენი არ არის. პოტენციომეტრულ სქემაში რთავენ აგრეთვე ნათურის გამაძლიერებელს, რომელიც აძლიერებს ელექტრულ წრედში წარმოქმნილ დაბალ დენს. გამაძლიერებლის მეშვეობით გალვანომეტრის ისარი ადვილად შეიძლება დაგაბრუნოთ ნულოვან მდგომარეობაში.

ლაბორატორიაში პოტენციომეტრული გაზომვებისათვის იყენებენ ლაბორატორიულ  $pH$ -მეტრებს, რომელთა საშუალებით ატარებენ ორი სახის ანალიზს:

- 1) **პირდაპირი პოტენციომეტრია**, ანუ საანალიზო ხსნარში წყალბად-იონთა კონცენტრაციის განსაზღვრა;
- 2) **ირიბი პოტენციომეტრია**, ანუ პოტენციომეტრული გატიტვრა – ეს არის სხვადასხვა ნივთიერებების კონცენტრაციების განსაზღვრა პოტენციომეტრული გატიტვრის წესით.



ნახ. 14.  
პოტენციომეტრული  
გაზომვების  
მაკომპენსირებელი სქემა

1. დენის წყარო
2. რეოქორდი
3. გალვანომეტრი
4. ელექტროდები

#### XVI.6. პირდაპირი პოტენციომეტრია. ლაბორატორიული $pH$ -მეტრები. ხსნარების $pH$ -ის განსაზღვრა $pH$ -მეტრზე

პირდაპირი პოტენციომეტრია ნიშნავს საანალიზო ხსნარში წყალბად-იონთა კონცენტრაციის, ანუ ხსნარის  $pH$ -ის განსაზღვრას. პირდაპირ პოტენციომეტრიაში იყენებენ მინის ელექტროდებს, რომელთა ჩაშვებისას საანალიზო ხსნარში მიმდინარეობს იონთა მიმოცვლა ხსნარსა და ელექტროდის ზედაპირს შორის, კერძოდ: წყალბად-იონები ხსნარიდან გადადიან მინაში, ხოლო მინიდან – საანალიზო ხსნარში. იონთა მიმოცვლა მიმდინარეობს სხვადასხვა სისწრაფით, რის შედეგადაც მინის ელექტროდის ზედაპირზე წარმოიქმნება პოტენციალი და ეს პოტენციალი იქნება საანალიზო ხსნარის  $pH$ -ის, ანუ საანალიზო ხსნარში წყალბად-იონთა კონცენტრაციის ტოლი. ხსნარების  $pH$ -ის გასაზომად იყენებენ ლაბორატორიულ  $pH$ -მეტრებს, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან:

1) გალვანური ელემენტი – იგი შეიცავს ერთმანეთან დაკავშირებულ ინდიკატორულ (მინის ელექტროდი) და შედარების (ქლორვერცხლიანი) ელექტროდებს. აქედან ინდიკატორული ელექტროდი ჩაშვებულია საანალიზო ხსნარში, ხოლო შედარების ელექტროდი – სტანდარტულ ხსნარში;

2) გამზომი ხელსაწყო – მასზე მოთავსებულია:  $H^+$ -იონების და  $OH^-$ -იონების კონცენტრაციის სკალა;  $pH$ -ის სხვადასხვა ინტერვალები -1 – დან +19-ის ჩათვლით; ტემპერატურის ჩამრთველი; კორექტირების ჩამრთველები ბუფერული ხსნარების მიხედვით სკალის გასაწონასწორებლად. გამზომ ხელსაწყოზე მოთავსებულია ასევე  $pH$ -ის სკალა, რომლის ისარი ზომავს  $pH$ -ის სხვადასხვა მნიშვნელობებს. თავდაპირველად  $pH$ -მეტრს ჩართავენ ელექტრულ ქსელში, დააყენებენ წყალბად-იონების და ჰიდროქსილ-იონების ინტერვალზე და ჩამრთველით დააყენებენ  $pH$ -ის უხეშ ინტერვალს -1-დან +19-მდე. წინასწარ გასუფთავებულ ელექტროდებს ჩაუშვებენ თავდაპირველად იმ ბუფერულ ხსნარში, რომლის  $pH$  ახლოსაა საანალიზო ხსნარის  $pH$ -თან და აწარმოებენ  $pH$ -ის სკალის კორექტირებას ანუ დაყენებას ბუფერული ხსნარის  $pH$ -ის მიმართ. იმის შემდეგ, როცა  $pH$ -მეტრის ისარი დაყენებულია ბუფერულ ხსნარის შესაბამისი  $pH$ -ის მნიშვნელობაზე, ელექტროდებს ამოიღებენ ბუფერული ხსნარიდან. ამ დროს  $pH$ -მეტრის ჩამრთველები გამორთულია, ჩარცხავენ ელექტროდებს დისტილირებული წყლით, გაამშრალებენ ფილტრის ქაღალდით ან უბუსუსო ნაჭრით. შემდეგ ელექტროდებს ჩაუშვებენ საანალიზო ხსნარში, ისევ ჩართავენ  $pH$ -მეტრის ჩამრთველებს და ამ მომენტში  $pH$ -მეტრის ისარი უჩვენებს საანალიზო ხსნარის  $pH$ -ის მნიშვნელობას.

**ინდიკატორული მინის ელექტროდი ძალზე მგრძნობიარება და მას გააჩნია როგორც უპირატესობა, ასევე ნაკლიც, სხვა ელექტროდებთან შედარებით.**

**უპირატესობა მდგომარეობს შემდგომში:** 1) მინის ელექტროდის მეშვეობით სწრაფად მყარდება პოტენციალი მის ზედაპირზე; 2) ეს პოტენციალი არ არის დამოკიდებული საანალიზო ხსნარში სხვადასხვა დამუანგველის და აღმდგენელის არსებობაზე; 3) მინის ელექტროდები გაცილებით იაფფასიანია და უბრალოდ შზადდება.

**ნაკლი მდგომარეობს შემდეგ ში:** 1) მინის ელექტროდები ძალიან ფაქიზია; 2) ისინი მგრძნობიარე არიან ტუტე ხსნარისადმი, ამიტომ მათი საშუალებით შეიძლება მხოლოდ მეავე ხსნარების  $pH$ -ის გაზომვა; 3) მესამე ძირითადი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მინის ელექტროდებს გააჩნიათ **ასიმეტრიის პოტენციალი** – ეს იმას ნიშნავს, რომ მინის ელექტროდების შიგნითა და გარეთა ზედაპირების თვისებები განსხვავებულია, ამიტომ განსხვავებული იქნება შიგნითა და გარეთა პოტენციალებიც.

ასიმეტრიის პოტენციალის შესამცირებლად, მინის ელექტროდს ერთო-ორი დღე-დამის განმავლობაში აყოვნებენ 0,1 N  $HCl$ -ის ხსნარში, რის შედეგაც მინის ბუფერულის ზედაპირი ხდება უფრო მგრძნობიარე წყალბად-იონების მიმართ და ასიმეტრიის პოტენციალიც მცირდება, მაგრამ იგი საბოლოოდ მაინც არ ქრება.

იმისათვის, რომ გამოვრიცხოთ პოტენციომეტრული გაზომვების ცდომილება ასიმეტრიის პოტენციალთან დაკავშირებით, ელექტროდების პოტენციალებს თავდაპირველად ამოწმებენ ბუფერულ ხსნარების მიმართ და ამას ეწოდება  $pH$ -ის ხელის კორექტირება ბუფერული ხსნარების მიხედვით.

ბუფერული ხსნარების ნარევის განმასხვავებელი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ მათზე მცირე რაოდენობით კონცენტრირებული მჟავების ან ტუტების დამატებისას, მათი  $pH$  პრაქტიკულად არ იცვლება, ამიტომ თუ ბუფერულ ხსნარს დავამატებთ ნებისმიერ სხვა ხსნარზე, მაშინ ამ სხვა ხსნარის  $pH$  პრაქტიკულად მუდმივი გახდება.

**პოტენციომეტრიაში ყველაზე გავრცელებული ბუფერული ხსნარებია:**

1) **ფტალური ბუფერული ნარევი** – რომელიც შედგება ფტალის მჟავასაგან -  $C_6H_4(COOH)_2$ , მისი  $pH$   $25^0C$ -ზე – 4,01-ია;

2) **აცეტატური ბუფერი** – რომელიც შედგება 0,1 N მმარმჟავასა ( $CH_3COOH$ ) და 0,1 N ნატრიუმის აცეტატისაგან ( $CH_3COONa$ ). ამ ნარევის  $pH$   $25^0C$ -ზე – 4,64-ია;

3) **ფოსფატური ბუფერი** – რომელიც შედგება 0,025 M კალიუმის დიპიროფოსფატისაგან ( $KH_2PO_4$ ) და 0,025 M Na-ის ჰიდროფოსფატისაგან ( $Na_2HPO_4$ ), ამ ნარევის  $pH$   $25^0C$ -ზე ტოლია 6,855-ის;

4)  $Na$ -ის ტეტრაბორატი –  $0,5\text{ M}$   $Na_2B_4O_7 \cdot 10H_2O$  – ნარევის  $pH$   $25^{\circ}C$  – 9,18-ის ტოლია;

5) ამიაკური ბუფერი –  $0,1\text{ N}$   $NH_4OH + 0,1\text{ N}$   $NH_4Cl$ ,  $pH9,25$ ,  $t = 25^{\circ}C$ .

$pH$ -მეტრის სკალის კორექტირება ბუფერული ხსნარების მიხედვით ტარდება შემდეგნაირად: საანალიზო ჭიქაში ასხამენ ბუფერულ ხსნარს და ჩაუშვებენ მასში ინდიკატორულ და შედარების ელექტროდებს. გალვანომეტრის ისარი გადაიხრება და იგი უნდა დავაყენოთ  $pH$ -ის იმ მნიშვნელობაზე, რომელიც გააჩნია ბუფერულ ხსნარს. ამ ოპერაციას იმეორებენ ორ-სამჯერ და ოწმუნდებიან იმაში, რომ  $pH$ -მეტრის სკალა გაწონას-წორებულია ბუფერული ხსნარის მიხედვით. ამის შემდეგ ელექტროდებს გამორთავენ, ჩარცხავენ, გაამშრალებენ და ჩაუშვებენ საანალიზო ხსნარში. შემდეგ კვლავ ჩართავენ  $pH$ -მეტრს და მისი ისარი უჩვენებს საანალიზო ხსნარის  $pH$ -ს.

### XVI.7. პოტენციომეტრული გატიტვრის არსი.

პოტენციომეტრული გატიტვრის ჩატარება  
დალექვის, ნეიტრალიზაციის და ჟანგვა-აღდგენით რეაქციებში

პოტენციომეტრული გატიტვრის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პოულობენ ექვივალენტობის წერტილს და ეს წერტილი შეესაბამება საანალიზო ხსნარში ჩაშვებულ ელექტროდულ წყვილებს შორის წარმოქმნილი პოტენციალის გვეთო სხვაობას. როგორც აღვნიშნეთ, ინდიკატორული ელექტროდის პოტენციალი დამოკიდებულია საანალიზო ხსნარში საკვლევი იონების კონცენტრაციაზე, ამიტომ თუ გატიტვრა წარმოებს დალექვის, ნეიტრალიზაციის ან ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების პირობებში, მაშინ გატიტვრის მომენტში საკვლევი იონების კონცენტრაცია თანდათან შეიცვლება და ეს გამოიწვევს ინდიკატორული ელექტროდის პოტენციალის შეცვლასაც. ამ პოტენციალის მაქსიმალური შეცვლა მოხდება იმ მონეტში, როცა მთლიანად მოხდება პოტენციალის განმსაზღვრელი იონების შებოჭვა და ეს წერტილი ექვივალენტობის წერტილია.

უკვლანე ხშირად პოტენციომეტრული გატიტვრები გამოიყენება მოცულობითი ანალიზის შემდეგ რეაქციებში:

- 1) დალექვის რეაქციები;
- 2) ნეიტრალიზაციის რეაქციები;
- 3) ჟანგვა-აღდგენითი რეაქციები.

#### მოთხოვნები პოტენციომეტრული გატიტვრისადმი:

ა) რეაქციის ყველა ეს სახე უნდა მიმდინარეობდეს სწრაფად და ერთი მიმართულებით, ე.ი. ეს რეაქციები პრაქტიკულად შეუქცევადი უნდა იყოს;

ბ) ექვივალენტობის წერტილში უნდა მოხდეს ინდიკატორული ელექტროდის პოტენციალის შესამნევი ცვლილება, ანუ ნახტომი;

გ) საანალიზო ხსნარზე სტანდარტული ხსნარის ყოველი ახალი პორციის დამატების შემდეგ საჭიროა ინტენსიური მორევა, რადგანაც ელექტროდთან თავმოყრილი იონების კონცენტრაცია ტოლი გახდეს მთელ ხსნარში არსებულ იონების კონცენტრაციისა;

დ) გატიტვრის დროს, ხსნარის შედგენილობა იცვლება და საჭიროა გარკვეული დრო, რომ ამ ხსნარს ჩამოუყალიბდეს წონასწორობის ახალი ელექტროდული პოტენციალი. ამიტომ საანალიზო ხსნარზე სტანდარტული ხსნარის ყოველი ახალი პორციის დამატებისას, მორევასთან ერთად საჭიროა ცოტა ხნით დაყოვნება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საანალიზო ხსნარის ახალი ელექტროდული პოტენციალის გაზომვა.

გატიტვრის მონაცემები შეაქვთ ცხრილში, რომლის საფუძველზეც აგებენ პოტენციომეტრული გატიტვრის მრუდს.

**გატიტვრის მრუდი იგება შემდევნაირად:** აბსცისთა ღერძზე დაიტანება საანალიზო ხსნარზე დამატებული სტანდარტული ხსნარის მოცულობა მილილიტრობით –  $V$ , ხოლო ორდინატთა ღერძზე – ე.მ. ძალა  $E$  მიკროვოლტებში ან ხსნარის  $pH$  და ეს გრაფიკი უჩვენებს საანალიზო ხსნარის ე.მ. ძალის დამოკიდებულებას სტანდარტული ხსნარის მოცულობაზე. გრაფიკზე მრუდის ნახტომი შეესაბამება **ექვივალენტობის წერტილს**, რომლიდანაც უშვებენ პერპენდიკულარს აბსცისთა ღერძზე და გადაკვეთის წერტილი შეესაბამება **გატიტვრის საბოლოო წერტილს**, ხოლო **საკვლევი კომპონენტის შემცველობას** ხსნარში საზღვრავენ ფორმულით:

$$P = \frac{V \cdot N \cdot \Theta \cdot V_0}{V_1 \cdot 1000}, \text{ სადაც:}$$

$P$  – არის საკვლევი კომპონენტის შემცველობა საანალიზო ხსნარში;

$V$  – არის გატიტვრის საბოლოო წერტილი;

$N$  – არის სტანდარტული ხსნარის ნორმალობა;

$\Theta$  – არის საკვლევი კომპონენტის გრამ-ექვივალენტური მასა;


$V_0$  – არის საანალიზო ხსნარიანი ჭიქის მოცულობა, მლ-ში;

$V_1$  – არის გასატიტრად აღებული საანალიზო ხსნარის მოცულობა მლ;

1000 – ლიტრიდან მილილიტრებში გადასაყვანი რიცხვი.


**პოტენციომეტრული გატიტვრის ჩატარება დალექტის, ნეიტრალიზაციის და უანგვა-აღდგენით რეაქციებში**

**განვიხილოთ**  $Ag^+$ -იონების დალექტა პოტენციომეტრული გატიტვრის შედეგად  $Cl^-$ -იონებით. ამისათვის შეიძლება ჩავატაროთ  $NaCl$ -ის ხსნარის გატიტვრა  $AgNO_3$ -ის ხსნარით:



ამ გატიტვრის ჩასატარებლად, ინდიკატორული ელექტროდის როლი შეუძლია შეასრულოს ვერცხლის ელექტროდმა, რომელიც წარმოადგენს ვერცხლის ფირფიტას, ხოლო შედარების ელექტროდის როლი შეიძლება შეასრულოს კალომელის ელექტროდმა. გატიტვრის დასაწყისში საანალიზო ხსნარში ჭარბად იმყოფება  $Cl^-$ -იონები და სხვა იონებიც, რომლებიც არ აღძრავენ ელექტროდულ პოტენციალს. გატიტვრის


პროცესში ხსნარში თანდათან წარმოიქმნება  $AgCl \downarrow$ -ის მოლეკულები, რომელთა ხსნადობა ძალიან მცირეა და ამიტომ ისინი გამოილექტებიან. ამის შედეგად, ხსნარში დარჩება  $Ag^+$ -ის იონების ძალიან მცირე რაოდენობა. გატიტვრის პროცესში  $Cl^-$ -იონების კონცენტრაცია საანალიზო ხსნარში თანდათან შემცირდება, ხოლო  $Ag^+$ -იონების კონცენტრაცია გაიზდება. როცა  $Cl^-$ -ის ყველა იონი შეიძობება  $AgNO_3$ -ით, მაშინ საანალიზო ხსნარში მკვეთრად გაიზდება  $Ag^+$ -იონების კონცენტრაცია. სწორედ  $Ag^+$ -იონები განაპირობებენ ელექტროდული პოტენციალის წარმოშობას. ამიტომ  $Ag^+$ -იონების კონცენტრაციის გაზრდა ხსნარში გამოიწვევს პოტენციალის მკვეთრ ნახტომს, რაც მიუთითებს ექვივალენტობის წერტილზე. ეს წერტილი მოთავსებული იქნება პოტენციომეტრული გატიტვრის მრუდის მაქსიმუმში (ნახ. 15).



ნახ. 15.  
NaCl-ის  $AgNO_3$  - ით პოტენციომეტრული გატიტვრის მრუდი

პოტენციომეტრული გატიტვრის ჩასატარებლად ნეიტრალიზაციის რეაქციებში ინდიკატორული ელექტროდის როლს ასრულებს – მინის ელექტროდი, ხოლო შედარების, ანუ სტანდარტული ელექტროდის როლს – კალომელის ელექტროდი.


განვიხილოთ  $HCl$  -ის პოტენციომეტრული გატიტვრა  $NaOH$  -ით:



თავდაპირველად გატიტვრის დასაწყისში, მარილმჟავაზე  $NaOH$  -ის დამატებისას წყალბად-იონების კონცენტრაცია ხსნარში თანდათანობით შეიცვლება – შემცირდება. ამის შესაბამისად, შემცირდება მინის ელექტროდის პოტენციალიც და ექვივალენტობის წერტილში წარმოიშობა პოტენციალის ნახტომი.


ნახტომის სიდიდე დამოკიდებული იქნება საანალიზო ხსნარის კონცენტრაციაზე, კერძოდ: რაც მეტია საანალიზო ხსნარის კონცენტრაცია, მით მკვეთრი იქნება ექვივალენტობის წერტილში პოტენციალის ნახტომი. განსაკუთრებით მკვეთრი ნახტომია

დამახასიათებელი ძლიერი მჟავების და ტუტების გატიტვრის რეაქციებში (ნახ. 16). პოტენციომეტრული გატიტვრის მრუდის აგება აუცილებელია ექვივალენტობის წერტილის ზუსტი განსაზღვრისათვის და გატიტვრის საბოლოო წერტილის დასადგენად.



ნახ. 16.  
 $HCl$ -ის  $NaOH$ -ით პოტენციომეტრული გატიტვრის მრუდი

პლატინის ელექტროდის ჩაშვებისას  $Fe^{2+}$  და  $Fe^{3+}$ -იონების შემცველ საანალიზო ნისნარში, რომლებიც იმყოფებიან შემდეგ წონასწორულ მდგომარეობაში:




პლატინის ელექტროდებზე წარმოიქმნება პოტენციალი, რომელიც ტოლი იქნება  $Fe^{2+}$  და  $Fe^{3+}$ -იონების შეფარდებისა. ეს პოტენციალი გამოითვლება ფორმულით:

$$E_x = 0,77 + 0,058 \cdot \lg \frac{[Fe^{+3}]}{[Fe^{+2}]}, \text{ სადაც:}$$

$E_x$  – არის პლატინის პოტენციალი;



0,77 – არის  $E_0$ , ანუ სტანდარტული ჟანგვა-ალდგენითი პოტენციალი სისტემისა:



ამ დროს პლატინის ელექტროდზე პოტენციალის წარმოქმნა ხდება შემდეგნაირად: პლატინის ელექტროდი იდებს ელექტრონებს  $Fe^{2+}$ -იონებიდან და გასცემს ამ ელექტრონებს  $Fe^{3+}$ -იონებს. ამ მოვლენაზეა დაფუძნებული პლატინის ელექტროდის გამოყენება პოტენციომეტრული გატიტვრისას ისეთ ჟანგვა-ალდგენით რეაქციაში, როგორცა რკინის კვიპაროსის  $FeSO_4$ -ის პოტენციომეტრული გატიტვრა დამუანგველის –  $KMnO_4$ -ის ხენარით, მუავა გარემოში (მაგალითად,  $H_2SO_4$ -ის მონაწილეობით):




ამ რეაქციის იონური ტოლობა კი შემდეგნაირად ჩაიწერება:



$FeSO_4$ -ის ხსნარზე  $KMnO_4$ -ის მიმატებით,  $Fe^{+2}$ -ის იონების კონცენტრაცია თანდათანობით შემცირდება, ხოლო  $Fe^{+3}$ -ის იონების კი – გაიზრდება. ექვივალენტობის წერტილში მიღწევისას, მთელი რკინა დაიუანგება და გადავა  $Fe^{+2}$ -დან  $Fe^{+3}$ -ის მდგომარეობაში, ხოლო მთელი მანგანუმი აღდგება, ანუ გადავა  $Mn^{+7}$ -იდან  $Mn^{+2}$ -ის მდგომარეობაში. ამის შემდეგ ხსნარზე  $KMnO_4$ -ის ჭარბი რაოდენობით დამატება გამოიწვევს სისტემის  $\frac{MnO_4^-}{Mn^{+2}}$  ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალის წარმოქმნას, ეს კი შესაბამისად გამოიწვევს ელექტროდის პოტენციალის მკვეთრ ნახტომს. პოტენციალის ნახტომი ექვივალენტობის წერტილში მით უფრო მკვეთრია, რაც უფრო მეტია ჟანგვა-აღდგენითი პროცესების პოტენციალთა სხვაობა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პოტენციალის ნახტომი იქნება მკვეთრი, რადგანაც სტანდარტული პოტენციალი სისტემისა:  $\frac{Fe^{+3}}{Fe^{+2}} = 0,77$  ვოლტის, ხოლო სტანდარტული პოტენციალი სისტემისა:  $\frac{MnO_4^-}{Mn^{+2}} = 1,51$  ვოლტის. პოტენციალის ნახტომი დამოკიდებულია აგრეთვე საანალიზო ხსნარის საწყის კონცენტრაციაზე, კერძოდ: რაც უფრო მეტია საანალიზო ხსნარის კონცენტრაცია, მით მეტია პოტენციალის ნახტომი ექვივალენტობის წერტილში (ნახ. 17).



ნახ. 17.

$FeSO_4$ -ის  $KMnO_4$ -ით პოტენციომეტრული გატიტვრის მრუდი

## თავი XVII. კონდუქტომეტრია, პოლაროგრაფია, ამპერომეტრია

### XVII.1. კონდუქტომეტრიის არსი.

#### ხსნარების ელექტროგამტარობის განსაზღვრა

კონდუქტომეტრული ანალიზი დაფუძნებულია ელექტროლიტების წყლიანი ხსნარების ელექტროგამტარობის გაზომვაზე (ძავების, ფუძეების, მარილების). ელექტროლიტთა ელექტროგამტარობა განსაზღვრული ტემპერატურის დროს ელექტროლიტის კონცენტრაციის პროპორციულია. ესე იგი, რაც მეტია ხსნარში ელექტროლიტის იონთა რიცხვი, მით მეტია ელექტრული დენის ძალა, რომელიც გაივლის ამ ხსნარში.

თუ ელექტროლიტის ხსნარიან ჰურჭელში მოვათავსებთ ორ ელექტროდს და მივუკრთებთ მათ დენის წყაროს, მაშინ ხსნარში გაივლის ელექტრული დენი, რომლის ძალა –  $I$  გამოითვლება ომის კანონით  $I = \frac{E}{R}$ , სადაც:  $I$  – არის დენის ძალა;  $E$  – არის ძაბვა ელექტროდებზე;  $R$  – არის ხსნარის წინადობა.

**ელექტროგამტარობა** –  $L$  კი არის წინადობის საწინააღმდეგო სიდიდე, მაშასადამე  $L = \frac{1}{R}$ , სადაც  $L$  – არის ელექტროგამტარობა. რადგანაც წინადობა იზომება ომებში, ამიტომ ელექტროგამტარობა გაიზომება ომის საპირისპირო ერთეულში, კერძოდ, **ომი<sup>1</sup>**.

**ხსნარის ელექტროგამტარობა დამოკიდებულია:** 1) ხსნარის კონცენტრაციაზე; 2) განსნილი ელექტროლიტის თვისებებზე; 3) ელექტროდების ზომებზე, ზედაპირებზე და ელექტროდებს შორის დაშორებაზე. მაგალითად, რაც მეტია ელექტროდების ზედაპირი და რაც უფრო ნაკლებია მათ შორის დაშორება, მით მეტია ელექტროგამტარობა, რომელსაც ზომავენ ამ ელექტროდების მეშვეობით.

იმისათვის, რომ მოახდინონ სხვადასხვა ელექტროდებით ჩატარებული გაზომვების შედარება, სარგებლობენ კუთრი ელექტროგამტარობის ცნებით. **კუთრი ელექტროგამტარობა** – არის ხსნარის ელექტროგამტარობა, რომელიც იყოფება 1 სმ ფართობის მქონე და 1 სმ მანძილით ერთმანეთისაგან დაცილებულ ელექტროდებს შორის. კუთრ ელექტროგამტარობას აღნიშნავენ  $\chi$  (კაპა) სიმბოლოთი და იგი იზომება ომი<sup>-1</sup> · სმ<sup>-1</sup>.

ხსნარის ელექტროგამტარობა, კუთრი ელექტროგამტარობის გათვალისწინებით, გამოითვლება ფორმულით:  $L = \chi \cdot \frac{S}{d}$ , სადაც:  $L$  – არის ხსნარის ელექტროგამტარობა, ომი<sup>-1</sup>;  $\chi$  – არის ხსნარის კუთრი ელექტროგამტარობა, ომი<sup>-1</sup> · სმ<sup>-1</sup>;  $S$  – არის ელექტროდების ზედაპირი (სმ<sup>2</sup>), ხოლო  $d$  – არის ელექტროდებს შორის დაშორება (სმ).

ელექტროლიტთა ხსნარებში დენის გადამტანებად ითვლება იონები, რომლებადაც იშლება ელექტროლიტის მოლექულები წყალსნარებში დისონციაციისას. როცა ელექტროლიტის ხსნარში არ გადის ელექტრული დენი, მაშინ ამ ხსნარში იონები უწესრიგოდ მოძრაობენ. როცა ელექტროდებს მიეწოდება ძაბვა, მაშინ ხსნარში გაივლის ელექტრული დენი და წარმოიშობა ელექტრული ველი. ამ ველის ზემოქმედებით, იონები იწყებენ მოძრაობას ერთი მიმართულებით და გადააჭვთ ელექტრული მუხტები. რაც უფრო მეტი იონი მონაწილეობს მუხტების გადაცემაში, მით მეტია დენის ძალა და ხსნარის ელექტროგამტარობა.

ელექტრულ ველში იონები მოძრაობენ სხვადასხვა სიჩქარით. ამიტომ ერთი და იგივე კონცენტრაციის მქონე სხვადასხვა ელექტროლიტების ხსნარებს გააჩნია სხვადასხვა ელექტროგამტარობა. იონის მოძრაობის სიჩქარე ხასიათდება განსაკუთრებული სიდიდით, რომელსაც ეწოდება იონის მოძრაობის უნარი. მე-13 ცხრილში მოყვანილია სხვადასხვა იონების მოძრაობის უნარიანობა.

თონთა მოძრაობის უნარიანობა ( $18^{\circ} C$ -ზე)

იონი	თონთა მოძრაობის უნარი
$H^+$	<u>319,8</u>
$OH^-$	<u>198,3</u>
$1/2 SO_4^{2-}$	80,0
$I^-$	78,8
$Br^-$	78,1
$Cl^-$	76,4
$NH_4^+$	73,6
$K^+$	73,5
$NO_2^-$	71,5
$1/2 CO_3^{2-}$	69,3
$1/2 Ba^{2+}$	63,6
$Ag^+$	61,9
$1/2 Ca^{2+}$	59,5
$1/2 Mg^{2+}$	53,1
$Na^+$	42,8
$CH_3COO^-$	40,9


როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მაღალი მოძრაობის უნარით ხასიათდება წყალბადის იონი –  $H^+$ , შემდეგ  $OH^-$  –ის, შემდეგ კი დანარჩენი იონები. ამიტომ, ამის შესაბამისად, ძლიერი მუავების და ძლიერი ფუძეების ხსნარებს გააჩნიათ მაღალი კუთრი ელექტროგამტარობა.

ხსნარების ელექტროგამტარობის გასაზომად გამოიყენება **კოლრაუშის ხიდის სქემა (ნახ. 18)**, რომლის მიხედვითაც აგებულია **კონდუქტომეტრი**.

კოლრაუშის ხიდის სქემით ელექტროგამტარობა იზომება შემდეგნაირად: **A** და **B** წერტილებში ჩართავენ ცვალებად ელექტრულ დენს. ამ დროს კოლრაუშის ხიდის თითოეულ განშტოებაში წარმოიქმნება ელექტრული დენი და ამ დენის ძალა დამოკიდებული იქნება კოლრაუშის თითოეული გვერდის წინადობაზე –  $AC$  და  $CB$ . ხიდის ზედა ტოტში ( $AC$ ) იმყოფება ცნობილი, ანუ მუდმივი სიდიდის წინადობა –  $R$ . მეორე ტოტში ( $CB$ ) იმყოფება ელექტრობულე, ანუ საანალიზო ხსნარიანი ჭურჭელი –  $R_x$ . ხიდის ქვედა ტოტში ( $AB$ ) იმყოფება რეოქორდი მცოცავი კონტაქტით ( $D$ ). ზედა ტოტის შუა წერტილში –  $C$  მიერთებულია ხიდის დიაგონალი, რომლის მეორე ბოლო მიმაგრებულია მცოცავ კონტაქტთან რეოქორდზე ( $D$ ). საჭიროა განისაზღვროს წინადობა –  $R_x$ . ამისათვის რეოქორდის მცოცავი კონტაქტის მეშვეობით, უნდა მივაღწიოთ დენის ძალის ისეთ განაწილებას კოლრაუშის ხიდის გვერდებში, რომ ხიდის დიაგონალში დენი პრაქტიკულად არ უნდა გადიოდეს. ამ

მომენტი ნულ-გალვანომეტრი  $-E$ , რომელიც ჩართულია ხიდის დიაგონალში, აჩვენებს დენის არარსებობას და მისი ისარი დადგება ნულოვან მაჩვენებელზე. ამ მეთოდს ეწოდება **კომპენსაციის მეთოდი**, რომლის დროსაც შეფარდებები კოლრაუშის ხიდის ცალკეული გვერდის წინადობებს შორის იქნება:

$$\frac{R_x}{R_a} = \frac{R}{R_b}, \quad \text{აქედან } R_x = R \cdot \frac{R_a}{R_b}$$



**ნახ. 18: კოლრაუშის ხიდის სქემა**

1. ცნობილი, ანუ მუდმივი წინადობა ( $R$ )
2. ელექტრობუდე სანალიზო ხსნარით ( $R_x$ )
3. რეოქორდი მცოცავი კონტაქტით ( $D$ )
4. კოლრაუშის ხიდის დიაგონალი ( $C$ )
5. ნულ-გალვანომეტრი ( $E$ )
6. კოლრაუშის ხიდის გვერდები ( $R_a$  და  $R_b$ )

ამრიგად, საანალიზო ხსნარის წინადობის  $-R_x$ -ის გამოსათვლელად, საკმარისია კიცოდეთ  $AD$  და  $DB$  უბნების წინადობათა შეფარდება, ანუ  $\frac{R_a}{R_b}$ . თუ რეოქორდი დამზადებულია ისეთი მავთულისაგან, რომლის დაყოფა ერთნაირია მთელ სიგრძეზე, მაშინ ნებისმიერ უბანში წინადობა პროპორციულია ამ უბნის სიგრძისა და იმის ნაცვლად, რომ კიპოვოთ  $AD$  და  $DB$  უბნების წინადობათა შეფარდება,  $R_x$ -ის ფორმულაში უნდა ჩავსვათ  $AD$  და  $DB$  უბნების სიგრძეების შეფარდება სმით:  $R_x = R \cdot \frac{l_a}{l_b}$ . კოლრაუშის ხიდი მუშაობს მხოლოდ ცვალებად დენზე, რადგანაც მუდმივი დენი გამოიწვევდა ელექტრობუდეში მოთავსებულ საანალიზო ხსნარში გახსნილი ნივთიერების ელექტროლიზს.

ელექტროდის ზედაპირის შეფარდება ელექტროდებს შორის არსებულ დაშორებასთან არის ელექტრული ბუდის მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელსაც ეწოდება **ელექტრული ბუდის მუდმივა**. კოლრაუშის ხიდის მეშვეობით საზღვრავენ არა  $L$ -ის მნიშვნელობას, არამედ მის საწინააღმდეგო ხიდიდეს, ეს არის  $R$ -წინადობა. თუ ცნობილია ხსნარის წინადობა, მაშინ ადგილად გამოითვლება მისი ელექტროგამტარობა. მაგ, თუ

$R = 125$  ռմի, մաթոն ամ եսնարուս յլայէթրոցամբարոծա ջրով օյնենք:  $L = \frac{1}{R} = \frac{1}{125} = 0,008$  ռմո $^{-1}$ . յլայէթրովո ծագութեա մշտմութեա գամուտալութեա ուղարմանութեա:  $K = \frac{S}{d}$ , մաթոն:  $L = \chi \cdot \frac{S}{d} = \chi \cdot K$ , այդան:  $\chi = \frac{L}{K}$ . ռագօն  $L = \frac{1}{R}$ , ամութութեա  $\chi = \frac{1}{K \cdot R}$ .

## XVII.2. პորֆապորո յոնդայէթրոմետրութեա

პորֆապորո յոնդայէթրոմետրութեա անյ եսնարենքուս յոնցենթրացուս ցանսաթլցրա դայշմեց-ծալութ եսնարենքուս յլայէթրոցամբարոծա դամոյութեա նույտույրեց-ծալութ մշտման ամառանութեան ամ լուս սամոյեցալու նույտույրենքուս յոնցենթրացուս ցանսաթլցրա եցանք ցրացայութեա անյ դանապոյցանու ցրացույն մշտման ամառանութեան ըստու սամոյեցալու եսնարուս յլայէթրոցամբարոծա դամոյութեա ամ եսնարուս յոնցենթրացու-աչյ -  $\frac{L}{C}$ .

եսնարենքուս յլայէթրոցամբարոծա ցանսաթլցրա ամառանութեան սբանդարթութեա եսնարենքուս սերուաս, ռոմլեցանութեա ցենոծութեա ցանսաթլցրա նույտույրենքուս յոնցենթրացուս դա աեցենք ամ սբանդարթութեա եսնարենքուս յլայէթրոցամբարոծա ցանսաթլցրա մուցանութեա մշտման ամառանութեան սագութեա ացանք ցրացույն, ռոմլեցանութեա ամառանութեան ցանսաթլցրա սբանդարթութեա եսնարենքուս յոնցենթրացուս - ցր/լ, եռլու, որդունաբութեա ցր/լ - ամ եսնարենքուս յլայէթրոցամբարոծա -  $L$  (ռմո $^{-1}$ ), ան ցուուրութեա յլայէթրոցամբարոծա -  $\chi$  (ռմո $^{-1}$  · սմ $^{-1}$ ).

**Ացանքագութեա:**  $NaCl$ -ուս եսնարուս յոնցենթրացուս ցանսաթլցրա աեցենք մշտման ամառանութեան ամառանութեան ամառանութեան սանոմանութեա եսնարուս, ռոմլեցանութեա մշտման ամառանութեան ցր/լ  $NaCl$ -ս. ամ սանոմանութեա եսնարութեան ամառանութեան սբանդարթութեա եսնարենքուս սերուաս, ռոմլեցանութեա մշտման ամառանութեան ցր/լ:

40 ց/լ; 60 ց/լ; 80 ց/լ; 100 ց/լ  $NaCl$ -ս.

ամ եսնարենքուս տաճմութեա առաջեցանք յլայէթրոցամբարոծա դա սանոմանութեա մատ ցուուրութեա յլայէթրոցամբարոծա - ( $\chi = \frac{L}{K} = \frac{1}{K \cdot R}$ ),


ռոմլեցանութեա ցր/լ: 1) 0,0510 ռմո $^{-1}$  · սմ $^{-1}$

2) 0,0730 ռմո $^{-1}$  · սմ $^{-1}$

3) 0,0940 ռմո $^{-1}$  · սմ $^{-1}$

4) 0,1140 ռմո $^{-1}$  · սմ $^{-1}$

ամ թոնացութեա սագութեա ացանք դանապոյցան ցրացույն (նաև. 19).



**ნახ.19.**  $NaCl$ -ის კონცენტრაციის განმსაზღვრელი დანაყოფიანი მრუდი  
(მისი კლექტორგამტარობის მიხედვით)

$C$ - არის  $NaCl$ -ის ხსნარის კონცენტრაცია გრ/ლ,  $\chi$ -არის  $NaCl$ -ის ხსნარის კუთრი კლექტორგამტარობა ( $\text{ომ}^{-1} \cdot \text{სმ}^1$ ). ამრიგად, აბსცისთა დერძზე დაჭვთ სტანდარტული ხსნარების კონცენტრაციები, ხოლო ორდინატთა დერძზე – კუთრი კლექტორგამტარობის მონაცემები. გრაფიკს გააჩნია სწორხაზოვანი მრუდის ფორმა, მის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს  $NaCl$ -ის შემცველობა ხსნარში 40-დან 100გრ-მდე/ ლიტრში.

ანალიზის ჩასატარებლად კლექტორბუდეში ასხამენ საანალიზო ხსნარს და საზღვრავენ მის კუთრ კლექტორგამტარობას. ჩავთვალოთ, რომ ჩვენს შემთხვევაში ხსნარის კლექტორგამტარობა  $\chi = 0,1030 \text{ მმ}^{-1} \cdot \text{სმ}^1$ . გრაფიკის ორდინატთა დერძზე პოულობენ ამ ციფრის შესაბამის მნიშვნელობას და მოცემული წერტილიდან გაავლებენ პორიზონტალურ ხაზს მრუდის გადაკვეთამდე. გადაკვეთის წერტილიდან კი უშვებენ პერპენდიკულარს აბსცისთა დერძზე. მიღებული მნიშვნელობა შესაბამება  $NaCl$ -ის რაოდენობას საანალიზო ხსნარებში. ჩვენს შემთხვევაში ეს წერტილი შეესაბამება  $NaCl$ -ის შემცველობას – 90 გრ/ლ საანალიზო ხსნარში.

### XVII.3. კონდუქტომეტრული გატიტვრა

კონდუქტომეტრული გატიტვრა წარმოადგენს მოცულობითი ანალიზის ერთ-ერთ მეთოდს, რომელიც დაფუძნებულია ხსნარის კლექტორგამტარობის მკვეთრ ცვლილებაზე ექვივალენტობის წერტილში. საანალიზო ხსნარში იმყოფება საკვლევი ნივთიერების იონები, რომელთაც ტიტრავენ სტანდარტული ხსნარით. გატიტვრის პროცესში საანალიზო ხსნარში იცვლება საკვლევი კომპონენტის იონთა შემცველობა, რადგანაც გატიტვრის პროცესში შეიძლება წარმოიქმნას სუსტად დისოცირებადი, ან ძნელად ხსნადი ნაერთი.

მაშასადამე, საანალიზო ხსნარის გატიტვრისას, კლექტორბუდეში მიმდინარეობს ქიმიური რეაქცია, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება სხვადასხვანაირი მოძრაობის უნარის მქონე იონები და მათი მოძრაობის საფუძველზე ექვივალენტობის წერტილში ხდება კლექტორგამტარობის მეტ-ნაკლებად მკვეთრი ცვლილება. ეს ცვლილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განსხვავდება ქიმიური რეაქციის შედეგად მიღებული იონების მოძრაობის უნარი, გატიტვრამდე ხსნარში არსებული იონების მოძრაობის უნარისაგან.

კონდუქტომეტრული გატიტვრა გამოიყენება: ნეიტრალიზაციის, დალექვისა და კომპლექსურმოქმნით რეაქციებში, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როცა საანალიზო ხსნარი ფერადია ან მღვრიე. მისი მეშვეობით შეიძლება ჩატარდეს განსაზღვრები, რომელთა ჩატარება შეუძლებელია მოცულობითი ანალიზის სხვა მეთოდებით. მაგალითად, გოგირდმჟავასა და მარილმჟავას ნარევის ანალიზი, ქლორიდებისა და ბრომიდების ანალიზი. შესრულების ტექნიკით კონდუქტომეტრული ანალიზი წააგავს ჩვეულებრივი გატიტვრის წესს და განსხვავდება მისგან მხოლოდ ექვივალენტობის წერტილის განსაზღვრის წესით.


#### XII.4. კონდუქტომეტრული გატიტვრის ჩატარება ნეიტრალიზაციისა და დალექვის რეაქციებში

ა) *NaOH -ის კონდუქტომეტრული გატიტვრა HCl -თ  
(ძლიერი ტუტის გატიტვრა ძლიერი მჟავით და პირიქით)*  

$$NaOH + HCl = NaCl + H_2O$$


ძლიერი ტუტე – *NaOH* ხსნარში მთლიანადაა დისოცირებული იონებად და ამიტომ საანალიზო ხსნარის ელექტროგამტარობას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს  $OH^-$ -იონები, რომელთა მოძრაობის უნარი საკმაოდ მაღალია – 198,3. გატიტვრის პროცესში,  $OH^-$ -იონები ურთიერთქმედებენ  $H^+$ -იონებთან და წარმოიქმნება პრაქტიკულად არადისოცირებადი ნაერთი –  $H_2O$ . საანალიზო ხსნარში,  $OH^-$ -იონების ნაცვლად, ექვივალენტური რაოდენობით წარმოიქმნება  $Na^+$ -იონები, რომელთა მოძრაობის უნარი გაცილებით ნაკლებია და შეადგენს 42,8-ს. ამიტომ გატიტვრის პროცესში, ხსნარის ელექტროგამტარობა თანდათან შემცირდება. ექვივალენტობის წერტილში მთელი ტუტე განეიტრალებულია მჟავათი, ხოლო  $OH^-$ -იონები მთლიანად შებოჭილია  $H^+$ -იონებით, წყლის მოლეკულების სახით. ხსნარში იმყოფება მხოლოდ  $Na^+$ -ის და  $Cl^-$ -ის იონები, რომელთაც გააჩნიათ საკმოდ დაბალი მოძრაობის უნარი ( $Cl^-$ -ის მოძრაობის უნარი ტოლია 76,4). ამიტომ ექვივალენტობის წერტილში, საანალიზო ხსნარის ელექტროგამტარობა იქნება მინიმალური.

მჟავას (*HCl*) პირველივე პორციის მიმატება, ექვივალენტობის წერტილის მიღწევის შემდეგ, გამოიწვევს ხსნარის ელექტროგამტარობის მკვეთრ გაზრდას, რადგანაც ხსნარში ჭარბად წარმოიქმნება  $H^+$ -იონები, რომელთა მოძრაობის უნარი მაქსიმალურია და შეადგენს 319,8-ს. მიღებული მონაცემების საფუძველზე აგებენ კონდუქტომეტრული გატიტვრის გრაფიკს, რომლის აბსცისთა ღერძზე დააჭვით სტანდარტული ხსნარის – *HCl*-ის მოცულობა (V) მლ-ებში, ხოლო ორდინატთა ღერძზე – საანალიზო ხსნარის – *NaOH*-ის ელექტროგამტარობა (L). გატიტვრის მრუდზე ორი სწორხაზოვანი ტოტის ექსტრაპოლირება მოგვცემს ექვივალენტობის წერტილს, რომლის შესაბამისი მნიშვნელობა აბსცისთა ღერძზე იქნება გატიტვრის საბოლოო წერტილი (ნახ. 20).




ნახ. 20.  $NaOH$ -ის  $HCl$ -ით კონდუქტორული გატიტვრის მრუდი

ბ) სუსტი მჟავების კონდუქტორული გატიტვრა ძლიერი ტუტებით  
და პირიქით:  $CH_3COOH$ -ის გატიტვრა  $NaOH$ -ით




ქმარმჟავა სუსტი მჟავაა, რომელსაც გააჩნია დაბალი დისოციაციის ხარისხი, ამიტომ გატიტვრის დასაწყისში საანალიზო ხსნარის ელექტროგამტარობა მცირეა. გატიტვრის პროცესში ექვივალენტობის წერტილამდე, ხსნარში იმყოფება  $Na^+$ -ის და  $CH_3COO^-$ -ის იონები და ოუმცა მათი მოძრაობის უნარი დაბალია, ვიდრე  $H^+$ -ის იონებისა, ხსნარის ელექტროგამტარობა უმნიშვნელოდ იზრდება (რადგანაც  $H^+$ -ის იონები მთლიანად შებოჭილია  $H_2O$ -ს მოლეკულებში).

მას შემდეგ, რაც მოელი მჟავა ( $CH_3COOH$ ) განეიტრალიზებულია, საანალიზო ხსნარზე  $NaOH$ -ის პირველივე ზედმეტი პორციის მიმატება გამოიწვევს ხსნარის ელექტროგამტარობის მკვეთრ გაზრდას, ანუ ნახტომს. კონდუქტორული გატიტვრის მრუდზე ორი სწორხაზოვანი მონაკვეთის გადაკვეთა მოგვცემს ექვივალენტობის წერტილს, რომლის შესაბამისი მნიშვნელობა აბსცისთა ღერძზე იქნება გატიტვრის საბოლოო წერტილი (ნახ. 21).




ნახ. 21.  $CH_3COOH$ -ის  $NaOH$ -ით კონდუქტორული გატიტვრის მრუდი

გ) კონდუქტომეტრული გატიტვრა დაღუქვის რეაქციებში  
 $AgNO_3$ -ის გატიტვრა  $KCl$ -ით



გატიტვრის პროცესში, სანალიზო ხსნარში  $Ag^+$ -იონების ადგილზე ჩაინაცვლება  $K^+$ -იონები, რომელთა მოძრაობის უნარი 73,5-ია და 11,6-ით მეტია  $Ag^+$ -იონების მოძრაობის უნარზე ( $Ag^+ - 61,9$ ). ამიტომ  $KCl$ -ის პირველივე პორციების დამატებით სანალიზო ხსნარის ელექტროგამტარობა უმნიშვნელოდ იზრდება. ეპივალენტობის წერტილში  $Ag^+$ -მთელი იონები გადასული არიან  $AgCl$ -ის ფორმაში, ამიტომ  $KCl$ -ის შემდგომი პორციის დამატება გამოიწვევს სანალიზო ხსნარის ელექტროგამტარობის მკვეთრ გაზრდას. კონდუქტომეტრული გატიტვრის მრუდს ექნება შემდეგი სახე (ნახ. 22).



ნახ. 22.  
 $AgNO_3$ -ის  $KCl$  - ით კონდუქტომეტრული  
 გატიტვრის მრუდი

## XVII.5. პოლაროგრაფიის პრინციპები. პოლაროგრაფიული (ვოლტამპერული) მრუდი

**პოლაროგრაფიული** ანალიზი დაფუძნებულია იმ მოვლენაზე, რომ სხვადასხვა მეტალი ილექტრის საანალიზო ხსნარიდან, ამ ხსნარებში ჩაშებული კათოდის ზედაპირზე, სხვადასხვა ელექტრული პოტენციალის შემთხვევაში.

ეველა მეტალს გააჩნია მისოვის დამახასიათებელი **ნახევარტალდის პოტენციალი**, რომელიც გამოიყენება ამ მეტალის იდენტიფიკაციისათვის, ანუ აღმოჩენისათვის (გამედავნებისათვის). მეტალის კონცენტრაციას საანალიზო ხსნარში გამოითვლიან მისი შესაბამისი ტალღის სიგრძის მიხედვით. პოლაგრაფიული მეთოდი გამოიყენება ერთდროულად რამოდენიმე მეტალის აღმოსაჩენად და უმთავრესად კი მძიმე მეტალების აღმოსაჩენად.

თუ ელექტროლიტის ხსნარში ჩაუშებოთ ელექტროდებს ( $\text{J} + \text{A}$ ), შემდეგ გავატარებოთ მუდმივ ელექტროდებს და თანდათანობით გავზრდით მის ძაბვას, მაშინ ელექტროდებზე დაიწყება ელექტროქიმიური პროცესები, კერძოდ: კათოდზე დაიწყება კათოონების აღდგენის პროცესი, ხოლო ანოდზე დაიწყება ანიონების უანგვის პროცესი. როგორც ვიცით, ამ პროცესს ეწოდება ელექტროლიზი, რომელსაც მივყავართ ელექტროდებს შორის **პოტენციალთა სხვაობის წარმოქმნამდე**:

$$\begin{aligned} E_{\text{ინდ}} - E_{\text{შედ}} &= E_x \\ E_x = E_{\text{ინდ}} (\text{J}) - E_{\text{შედ}} (\text{A}) &= E_{\text{ინდ}} (\text{J}) \\ E_x &= E_{\text{J}} \end{aligned}$$


პოტენციალთა სხვაობა მიმართულია ამ ელექტროდებზე დადგებული ძაბვის საპირისპიროდ და ამ მოვლენას ეწოდება – **პოლარიზაცია**.

პოლარიზაციის წარმოშობის ძირითადი მიზეზია – ელექტროდთან მიმდებარე ხსნარის ფენაში იონთა კონცენტრაციის ცვლილება. მაშასადამე, პოლაროგრაფიული მეთოდის პრინციპია – საანალიზო ხსნარის ელექტროლიზი, რომლის შედეგადაც ხსნარში ჩაშებულ ელექტროდებზე წარმოქმნება დენის ძალა (პოტენციალთა სხვაობა), ამ ელექტროდებზე ნივთიერების აღდგენის ან დაუანგვის შედეგად, და რომელიც მიმართულია მათზე დადგებული ძაბვის საპირისპიროდ. სწორედ ელექტროდებზე წარმოქმნილი დენის ძალა ისაზღვრება ხელსაწყო პოლაროგრაფზე, რომლის პრინციპული სქემა წარმოდგენილია 23-ე ნახატზე.

თუ საანალიზო ხსნარში ჩაშებულ ელექტროდებს მივაწვდით ძაბვას, დასაწყისში დენი თითქმის არ გაივლის ხსნარს, რადგანაც ელექტროლიზის პროცესი არ იქნება დაწყებული და დაბალი ძაბვის დროს ელექტროლიზი სუსტად მიმდინარეობს. ამის შემდეგ ზრდიან ელექტროდებზე მიწოდებულ ძაბვას, რაც გამოიწვევს ხსნარში გავლილი დენის ძალის ზრდასაც და საბოლოოდ ძაბვა მიაღწევს ისეთ სიდიდეს, რომელიც საკმარისია საანალიზო ელექტროლიტის ხსნარის იონებად დასაშლელად. **ძაბვის იმ სიდიდეს, რომელიც იწვევს საანალიზო ხსნარის დაშლას, უწოდებენ დაშლის პოტენციალს.** სწორედ ამ მომენტში კათოდზე (ანუ, ჩვენს შემთხვევაში, ვერცხლისწყლის წვეთოვან ელექტროდზე) დაიწყება საანალიზო ხსნარში მყოფი იონების – კათოონების აღდგენა. როგორც აღვნიშნეთ, ყველა მეტალის იონი აღდგება კათოდზე მხოლოდ მისოვის დამახასიათებელი განსაზღვრული პოტენციალის დროს.

**პოლაროგრაფიული მეთოდის ძირითადი მოთხოვნილება** მდგომარეობს იმაში, რომ კათოდზე და ანოდზე ელექტროდენის სიმკვრივე უნდა იყოს განსხვავებული. ეს განსხვავება მიიღწევა შემდეგნაირად: იმ ელექტროდს, რომელზედაც მიმდინარეობს ელექტროქიმიური აღდგენის პროცესი ( $\text{J}$ ), უნდა გააჩნდეს ძალზე მცირე ზედაპირი, სწორედ ამიტომ კათოდად ხშირად იყენებენ ვერცხლისწყლის წვეთოვან ელექტროდს ან მყარ მიკროელექტროდებს – პლატინასა და გრაფიტს. ხოლო მეორე ელექტროდს ( $\text{A}$ ), ანუ შედარების ელექტროდს, რომელზედაც მიმდინარეობს ელექტროქიმიური უანგვის რეაქცია, პირიქით უნდა გააჩნდეს დიდი ზედაპირი, სწორედ ამიტომ ანოდად იყენებენ ვერცხლისწყალს,

რომლის ფენა იმყოფება ელექტრობუდის ფსკერზე. ანოდის როლი შეიძლება შეასრულოს ასევე კალომელის ელექტროდმა ან ქლორვერცხლის ელექტროდმა.



ნახ. 23. პოლაროგრაფის პრინციპული სქემა

1. ვერცხლისწყლიანი ბალონი
2. რეოსტატი (რეოქორდი)
3. აკუმულატორების ბატარეა (დენის წყარო)
4. ვოლტმეტრი (დენის რეგისტრატორი)
5. ვერცხლისწყლის წვეთოვანი ელექტროდი (კათოდი)
6. ვერცხლისწყლის ფენა (ანოდი)
7. ელექტრობუდე

ელექტროდებზე ძაბვის მიწოდების შემდეგ მოხდება კათოდის და ანოდის პოლარიზაცია. ამ დროს საანალიზო ნივთიერების პოტენციალი

$$E_x = E_\delta - E_\beta, \text{ სადაც:}$$

$E_\delta$  და  $E_\beta$  – არის ანოდის და კათოდის პოტენციალები.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ანოდის შეხების ზედაპირი დიდია, ხოლო კათოდის შეხების ზედაპირი – მცირე, მაშინ შეგვიძლია ფორმულა შემდეგნაირად გავამარტივოთ:  $E_x = E_\beta - 0 = E_\beta$ ,  $E_x = E_\beta$ .

ამრიგად ელექტროდებზე დადებული ძაბვა მთლიანად იხარჯება კათოდის პოტენციალის შეცვლაზე, ანუ ელექტროადდგენით რეაქციაზე. თუ პირიქით, ანოდის ზედაპირია მცირე, მაშინ  $E_x = E_\delta$  და ამ დროს, ელექტროდებზე დადებული ძაბვა მთლიანად დაიხარჯება ანოდის პოტენციალის შეცვლაზე, ანუ ელექტროჟანგვით რეაქციაზე.


ვიდრე დაიწყებდნენ პოლაროგრაფიული ანალიზის ჩატარებას, თავდაპირველად ნივთიერება გადაკეთდება ხელის შემშლელ მინარევებს. ამის შემდეგ ხელის აშორებენ მასში გახსნილ ჟანგბადს, რომელსაც შეუძლია აღდგეს კათოდებზე და ამით ხელი შეუშალოს ანალიზის მსვლელობას.

საანალიზო ხელის ათავსებენ ელექტრობუდეში, რომელ შიც ჩაშვებულია კათოდის სახით ვერცხლისწყლის წვეთოვანი ელექტროდი, ხოლო ელექტრობუდის ფსკერზე ანოდის სახით იმყოფება – ვერცხლისწყლის სქელი ფენა, ან კალომელის ელექტროდი. დენის გარეშე წყაროს როლს ასრულებს 2-4 ვოლტიანი აკუმულატორების ბატარეა, რომლიდანაც წამოსული ძაბვა გადაეცემა რეოქორდს და იზომება ვოლტმეტრის საშუალებით. რეოქორდის სკალაზე მცოცავი კონტაქტის გადაადგილებით თანდათანობით ზრდიან ძაბვას და ეს ძაბვა მიეწოდება ელექტროდებს. ძაბვის ზრდასთან ერთად აფიქსირებენ დენის ძალის ცვლილებას და იწერენ მიღებულ მნიშვნელობას.

დენის ძალა, რომელიც გაივლის ელექტრობუდეში ელექტროდებზე ძაბვის მიწოდების შედეგად, გაიზრდება მანამ, სანამ საანალიზო ხელის მყოფი მეტალის იონები

მთლიანად არ აღდგება კათოდზე. ამის შემდეგ დენის ძალა უკვე სტაბილური ხდება და მისი სიდიდე განისაზღვრება მხოლოდ იონების დიფუზიით და იონების კონცენტრაციით.

პოლაროგრაფიული ანალიზის საფუძველზე აგებენ პოლაროგრაფიულ ანუ კოლტამპერულ მრუდს, რომელსაც ეწოდება პოლაროგრაფიული ტალღა. ამ ტალღის ასაგებად, აბსცისთა დერძზე დააქვთ ძალების სიდიდე კოლტებში, ხოლო ორდინატთა დერძზე დააქვთ დენის ძალა მიკროამპერებში (ნახ. 24).



ნახ. 24.  
პოლაროგრაფიული ტალღა  
(კოლტამპერული მრუდი)

პოლაროგრაფიული ანალიზის ჩატარების დასაწყისში, როცა ელექტროდებს მიეწოდება დაბალი ძაბვა, ამ დროს საანალიზო ხსნარში გავლილი დენის ძალა მცირეა, ამიტომ ამ დენის ძალას ეწოდება ნარჩენი დენი – ამ დროს ძაბვის ზრდა არ იწვევს დენის ძალის არსებით ცვლილებას, მრუდის ამ მონაკვეთზე ელექტროლიზი არ მიმდინარეობს. მაშასადამე, საანალიზო ხსნარი არ იშლება და არ მიიღება საკვლევი ნივთიერების დაშლის პოტენციალი. მაგრამ როგორც კი ძაბვა გადაამეტებს ისეთ მნიშვნელობას, რომელიც საკმარისია ხსნარის ელექტროლიზისათვის, ამ დროს დენის ძალაც მყისიერად გაიზრდება და მრუდის ამ მონაკვეთში მოხდება მკვეთრი გაზრდა. სწორედ ამ მონაკვეთს ეწოდება პოლაროგრაფიული ტალღა, რომელიც ახასიათებს საანალიზო ხსნარის ელექტროლიზის პროცესს, რის შედეგადაც კათოდზე და ანოდზე მიმდინარეობს ჟანგვა-აღდგენითი პროცესები.

როგორც აღნიშნეთ, იონების აღდგენა მიმდინარეობს ვერცხლისწყლის წვეთოვან ელექტროდზე (კ), რომლიდანაც თანდათანობით მოწვეთავს  $Hg$ -ის წვეთები. აღდგენა მიმდინარეობს ვერცხლისწყლის წვეთის ზედაპირზე, ამიტომ როცა წვეთი დაეცემა ელექტრობუდის ფსკერზე და შეუერთდება ვერცხლისწყლის ფენას, აღდგენა გაგრძელდება ვერცხლისწყლის ახალ წვეთზე და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ხსნარში მყოფი უველა იონი არ აღდგება ვერცხლისწყლის წვეთზე. იმის შემდეგ, როცა ელექტროლიზი მთლიანად დამთავრებულია და უველა იონი აღდგენილია კათოდზე, დენის ძალის ზრდაც შეწყდება, იგი დასტაბილდება და მრუდი კვლავ მიიღებს პორიზონტალურ სახეს, რომელიც იქნება აბსცისთა დერძის პარალელური. ამ დროს დენის ძალის სიდიდე განისაზღვრება მხოლოდ იონთა დიფუზიის სიჩქარით საანალიზო ხსნარიდან ელექტროდებზე და ასევე იონთა კონცენტრაციით. მრუდის ამ მონაკვეთს დიფუზიური დენი ეწოდება. პოლაროგრაფიული ტალღის სიგრძე  $\lambda$  – წარმოადგენს იგივე დენის ძალას –  $I$ -ს, რომელიც პროპორციულია საანალიზო ხსნარში საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციისა და გამოისახება ფორმულით:

$$I_{\text{დიფ}} = k \cdot C$$

ე. რაც უფრო მეტია საკვლევი ნივთიერების კონცენტრაცია, მით უფრო მეტია ტალღის სიგრძე, ანუ დიფუზიური დენის ძალა. ამიტომ ამ განტოლების გამოყენება ნივთიერებათა ზუსტი განსაზღვრისათვის წარმოადგენს ერთგვარ სიძნელეს, რადგანაც საჭიროა დიფუზიის კოეფიციენტის –  $K$ -ს ცოდნა. აქედან გამომდინარე, როცა სურთ ჩატარონ რაოდენობითი პოლაროგრაფიული ანალიზი, იყენებენ პოლაროგრაფიის სხვა მეთოდებს. გადაღებულ პოლაროგრაფიულ ტალღას ეწოდება **პოლაროგრამა**. პოლაროგრაფიული ტალღის მდგომარეობა პოლაროგრამაზე ხასიათდება ძირითადი მაჩვენებლით, რომელსაც ეწოდება **ნახევარტალღის პოტენციალი**  $E_{1/2}$  – ეს არის პოლაროგრაფიული ტალღის შუა წერტილის პოტენციალი.

ცნობილია, რომ ყოველი პოლაროგრაფიული აქტიური ნაერთი აღდგება ან იუანგება მისთვის დამახასიათებელი ნახევარტალღის პოტენციალის სიდიდის დროს.

#### **ნახევარტალღის პოტენციალი დამოკიდებულია:**

1. თვით ელექტროლიტის ბუნებაზე, რომელშიც გახსნილია საკვლევი ნაერთი;
2. ხსნარის pH-ზე;
3. იმ მასალაზე, რომლისგანაც დამზადებულია ელექტროდები.

ნახევარტალღის პოტენციალს პოულობენ შემდეგნაირად: გრაფიკის ციცაბო მონაკვეთის შუა წერტილიდან უშვებენ პერპენდიკულარს აბსცისთა დერძზე, მიღებული სიდიდე გვიჩვენებს პოტენციალის სიდიდეს, რომელიც აუცილებელია ზღვრული დენის ნახევრის მისაღებად.

ნახევარტალღის პოტენციალი დამოკიდებულია მხოლოდ აღდგენილი იონების ბუნებაზე და არ არის დამოკიდებული საანალიზო ხსნარის კონცენტრაციაზე, ამიტომ ნახევარტალღის პოტენციალის სიდიდის მიხედვით შეიძლება მხოლოდ საკვლევი ნივთიერების თვისებითი ანალიზის ჩატარება. როცა სურთ ჩატარონ რაოდენობითი პოლაროგრაფიული ანალიზი, მაშინ საჭიროა განისაზღვროს პოლაროგრაფიული ტალღის სიგრძე, რადგანაც იგი ახასიათებს სრული დენის ძალას, ამიტომ პირდაპირპორციულია კათოდზე აღდგენილი იონების კონცენტრაციისა, ანუ რაოდენობისა. ესე იგი პოლაროგრაფიული ტალღის სიგრძე – **h** საშუალებას იძლევა განისაზღვროს საანალიზო ნივთიერების იონთა კონცენტრაცია, ანუ რაოდენობა.

## **XVII.6. თვისებითი და რაოდენობითი პოლაროგრაფიული ანალიზი**

პოლაროგრაფიული ანალიზის **თვისებითი მეთოდები** დაფუძნებულია ნახევარტალღის პოტენციალის –  $E_{1/2}$  განსაზღვრაზე. როგორც აღვნიშნეთ, თითოეულ იონს გააჩნია თავისი ნახევარტალღის პოტენციალი –  $E_{1/2}$ , ეს არის ამ იონის თვისებითი მახასიათებელი. ზოგიერთი იონის ნახევარტალღის პოტენციალი წარმოდგენილია მე-14 ცხრილში.

## მეტალთა იონების ნახევარტალდის პოტენციალი

მეტალი	იონი	ნახევარტალდის პოტენციალი კოლტებში
ბისმუტი	$\text{Bi}^{+3}$	-0,10
რკინა	$\text{Fe}^{+2}$	-1,3
	$\text{Fe}^{+3}$	-0,35
კადმიუმი	$\text{Cd}^{+2}$	-0,586
კალიუმი	$\text{K}^+$	-2,13
კობალტი	$\text{Co}^{+2}$	-1,20
ლითიუმი	$\text{Li}^+$	-2,27
მანგანუმი	$\text{Mn}^{+2}$	-1,45
სპილენი	$\text{Cu}^{+2}$	-0,02
ნატრიუმი	$\text{Na}^+$	-2,11
ნიკელი	$\text{Ni}^{+2}$	-1,10
ტყვია	$\text{Pb}^{+2}$	-0,405
ქრომი	$\text{Cr}^{+3}$	-0,95
თუთია	$\text{Zn}^{+2}$	-1,012


პოლაროგრაფიული მეთოდი საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ ანალიზი იმ ხსნა-რებშიც, რომლებიც ერთდღროულად შედგება რამდენიმე იონის ნარევისაგან. ამ დროს ეს იონები ერთმანეთს ხელს ვერ შეუშლიან, რადგანაც თითოეულ იონს ახასიათებს თავისი ნახევარტალდის პოტენციალი, ამიტომ თითოეული იონი აღდგება მხოლოდ მისთვის დამასასიათებელი ძაბვის დროს. ამ დროს პოლაროგრაფიულ მრუდზე გაჩნდება რამდენიმე საფეხური, ანუ ერთდღროულად მივიღებთ რამდენიმე ტალღას და თუ გავზომავთ თითოეული ტალღის ნახევარპოტენციალს, შეგვიძლია საცნობარო ცხრილის მიხედვით დავადგინოთ, თუ რომელი იონი იმყოფება საანალიზო ხსნარში.

**რაოდენობითი პოლაროგრაფიული ანალიზის** დროს ისაზღვრება პოლაროგრაფიული ტალდის სიგრძე –  $\lambda$  და იგი პირდაპირპორციულია კათოდებზე აღდგენილი იონების რაოდენობისა. ე.ი. თუ თვისებითი პოლაროგრაფიული ანალიზის დროს საკმარისია იონების ნახევარტალდის პოტენციალის ცოდნა, რაოდენობითი პოლაროგრაფიული ანალიზის დროს აუცილებელია განისაზღვროს პოლაროგრაფიული ტალღის სიგრძე –  $\lambda$ .

**რაოდენობითი პოლაროგრაფიული ანალიზის მეთოდები იყოფა რამდენიმე სახეობად:**

**1. საკალიბრო მრუდის მეთოდი** – ეს მეთოდი დაფუძნებულია საკალიბრო გრაფიკის აგებაზე და ამისათვის საჭიროა სტანდარტული ხსნარების სერიის მომზადება.

როგორც ცნობილია, სტანდარტული ხსნარი შეიცავს საკვლევ იონს ზუსტად ცნობილი კონცენტრაციით. ანალიზის ჩასატარებლად იღებენ სამუშაო ხსნარს, მისგან ამზადებენ სტანდარტულ ხსნარებს და თითოეული სტანდარტული ხსნარისთვის იღებენ პოლაროგრამას. აგებენ გრაფიკს, რომელიც უჩვენებს ტალღის სიგრძის დამოკიდებულებას სტანდარტული ხსნარის კონცენტრაციასთან. ამის შემდეგ იღებენ უცნობი საანალიზო ხსნარის პოლაროგრამას და ადგენენ მის ტალღის სიგრძეს, შემდეგ კი გრაფიკის მეშვეობით პოულობენ საანალიზო ხსნარის კონცენტრაციას (ნახ. 25).




ნახ. 25.

$h_x$  – არის საკვლევი იონის პოლაროგრაფიული ტალღის სიგრძე;

$C_x$  – არის ამ იონის კონცენტრაცია საანალიზო ხსნარში.

**2. სტანდარტული ხსნარის მეთოდი** – ამ დროს იღებენ მხოლოდ ერთ სტანდარტულ ხსნარს და გადაიღებენ ამ ხსნარის პოლაროგრამას.

როგორც ცნობილია, სტანდარტულ ხსნარში საანალიზო იონის კონცენტრაცია ცნობილია. ამის შემდეგ იღებენ ასევე ერთ საანალიზო ხსნარს და გადაიღებენ მის პოლაროგრამას. საანალიზო და სტანდარტული ხსნარების პოლაროგრაფიული ტალღების სიგრძეებს აღნიშნავენ  $h_{bf}$  და  $h_x$  (ნახ. 26).



ნახ. 26.

$$C_x / C_{bf} = h_x / h_{bf}, \quad \text{აქედან ვპოულობთ } C_x:$$

$$C_x = C_{bf} \cdot h_x / h_{bf}, \quad \text{სადაც:}$$


$C_x$  – არის საანალიზო ხსნარში საკვლევი იონების კონცენტრაცია;

$C_{\text{სტ}}$  – სტანდარტულ ხსნარში საკვლევი იონების კონცენტრაცია;

$h_x$  – საანალიზო ხსნარში საკვლევი იონების პოლაროგრაფიული ტალღის სიგრძე;

$h_{\text{სტ}}$  – სტანდარტულ ხსნარში საკვლევი იონების პოლაროგრაფიული ტალღის სიგრძე.

**3. დიფერენციალური კლასიკური პოლაროგრაფიის მეთოდი** – ამ დროს პოლაროგრაფის მეშვეობით იწერება დიფერენციალური პოლაროგრამა, რომელიც წარმოადგენს დენის ძალის ცვლილების დამოკიდებულებას იონის პოტენციალთან. პოლაროგრამას გააჩნია პიკის ფორმა (ნახ. 27).



ნახ. 27.


დიფერენციალური კლასიკური  
პოლაროგრამა

## XVII.7. ამპერომეტრული გატიტვრა, გატიტვრის მრუდები

ამპერომეტრული გატიტვრა დაფუძნებულია იმაზე, რომ გატიტვრის საბოლოო წერტილს პოულობენ ზღვრული დიფუზიური დენის ცვლილებით. ეს დენი გაივლის ხსნარში, მუდმივი ძაბვის მიწოდების შემდეგ ინდიკატორულ და შედარების ელექტროდებზე, მაშასადამე, ამპერომეტრული გატიტვრა – წარმოადგენს დიფუზიური დენის ძალის დამოკიდებულებას გამტიტრაცი ხსნარის, ანუ ტიტრანტის მოცულობაზე –  $I = \frac{F}{V}$ .

მოცემული შედეგების საფუძველზე აგებენ ამპერომეტრული გატიტვრის გრაფიკს, რომელიც გამოხატავს ზღვრული დენის ძალის დამოკიდებულებას სამუშაო სტანდარტული ხსნარის, ანუ ტიტრანტის მოცულობასთან. გრაფიკის ასაგებად აბსცისთა ღერძზე დააქვთ ტიტრანტის მოცულობა მილილიტრობით, ხოლო ორდინატა ღერძზე – გალვანომეტრის მიერ ზღვრული დიფუზიური დენის ძალის ჩვენება.

გრაფიკი წარმოადგენს ორ სწორხაზოვან მრუდს ანუ ტოტს, რომელთა გადაკვეთით ანუ ექსტრაპოლირებით მიიღება სტანდარტული ხსნარის – ტიტრანტის ის მოცულობა მილილიტრებში, რომელიც დაიხარჯა გატიტვრის საბოლოო წერტილის მისაღწევად. ექვივალენტობის წერტილიდან დაუშვებენ პერპენდიკულარს აბსცისთა ღერძზე და პოულობენ გატიტვრის საბოლოო წერტილს, რომლის მიხედვით შემდგა გაიანგარიშებენ საანალიზო ხსნარში საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციას (ნახ. 28).



ნახ. 28.  
ამპერომეტრული გატიტვრის მრუდი

ამპერომეტრული გატიტვრის დაწყებამდე საჭიროა გამოიცადოს მორეაგირე ნივთიერებების უნარი ელექტროდული რეაქციისადმი (ანუ ელექტროლიზის შედეგად უანგვა-აღდგენითი რეაქციისადმი კათოდზე ან ანოდზე). ამ მიზნით ცალ-ცალკე იღებენ ვოლტ-ამპერულ მრუდს ორივე ხსნარისათვის: საანალიზო ხსნარისათვის და ტიტრანტისათვის. მიღებული მრუდების საფუძველზე ადგენენ იმ პოტენციალს, რომლის დროსაც საანალიზო ხსნარში მყოფი საკვლევი ნაერთები ყველაზე აქტიურია და განიცდიან აღდგენას კათოდზე. ამრიგად, მიღებული პოტენციალის საფუძველზე ადგენენ, თუ რა პირობებში შეიძლება ამპერომეტრული გატიტვრის ჩატარება. ამ პოტენციალის სიდიდე უნდა იყოს ისეთი, რომ მივიღოთ მკვეთრი დიფუზიური დენი. გარდა ამისა, ანოდზე დაჟანგული, ან კათოდზე აღდგენილი ნივთიერების კონცენტრაციის შეცვლამ უნდა გამოიწვიოს დიფუზიური დენის სიდიდის პროპორციული შეცვლა.

**ამპერომეტრული გატიტვრის ჩატარების აუცილებელი პირობაა – მუდმივი ელექტრომამოძრავებელი ძალის შენარჩუნება.**

ამპერომეტრულ გატიტვრას ატარებენ პოლაროგრაფზე. ამისათვის ელექტრობუდეში ასხამენ საანალიზო ხსნარს, უშვებენ მასში ინდიკატორულ ელექტროდს ანუ კათოდს (ვერცხლისწყლის წვეთოვანი ელექტროდი) და ასევე უშვებენ მარილის ხიდის ერთ ბოლოს. მარილის ხიდის მეორე ბოლო ჩაშვებულია მარილსხნარის ჭურჭელში და ამავე ჭიქაში იმყოფება შედარების ანუ სტანდარტული ელექტროდი – ანოდი (ვერცხლისწყლის ფენა ჭიქის ფსკერზე). ორივე ელექტროდს – სტანდარტულს და ინდიკატორულს უერთებენ პოლაროგრაფს, რთავენ მაგნიტურ შემრევს, რომელზედაც იმყოფება საანალიზო ხსნარიანი ელექტროლიზერი და საზომი ბიურეტიდან უმატებენ სტანდარტული ხსნარის მცირე ულუფებს. ყოველი ულუფის დამატების შემდეგ ხსნარს მოურევენ, დააყოვნებენ და იღებენ პოლაროგრაფულ მრუდს, კერძოდ, სამ წერტილს – ექვივალენტობის წერტილამდე და სამ წერტილს – ექვივალენტობის წერტილის მიღწევის შემდეგ. ამით გატიტვრა დასრულებულია და მისი მონაცემების საფუძველზე აგებენ ამპერომეტრული გატიტვრის ანუ ვოლტამპერულ მრუდს. მიღებულ წერტილებზე გაავლებენ ორ პირდაპირ ხაზს, რომელთა გადაკვეთა ანუ ექსტრაპოლირება მოგვცემს ტიტრანტის იმ მოცულობას, რომელიც შეესაბამება გატიტვრის საბოლოო წერტილს.

მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიანგარიშებენ ხსნალიზო ხსნარში საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციას შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

$$C_x = \frac{C_{b\delta} \times g \cdot b \cdot V \times A_x \times V_0}{V_1 \cdot 1000}$$

სადაც:  $C_x$  – არის საანალიზო ხსნარში საკვლევი ნივთიერების კონცენტრაცია;

$C_{b\delta}$  – არის სტანდარტული ხსნარის, ანუ ტიტრანტის მოლური კონცენტრაცია;

$g \cdot b \cdot V$  – სტანდარტული ხსნარის ის რაოდენობა მილილიტრებში, რომელიც დაისარჯა ექვივალენტობის წერტილის მიღწევამდე, ანუ გატიტგრის საბოლოო წერტილი;


$A_x$  – არის საკვლევი ნივთიერების ატომური ან მოლექულური მასა;

$V_0$  – არის საანალიზო ხსნარიანი ჭიქის მოცულობა, მილილიტრებში;

$V_1$  – პიპეტის ან ბიურეტის მოცულობა მილილიტრებში, რომლის მეშვეობითაც წარმოებდა ტიტრანტის მიმატება საანალიზო ხსნარზე.

### ამპერომეტრული გატიტგრების ჩატარებისას შესაძლოა მივიღოთ სამი სახის მრუდი:


1. როცა საანალიზო ნივთიერება პოლაროგრაფიულად აქტიურია – ამ დროს სტანდარტული ხსნარის, ანუ ტიტრანტის მიმატებისას, საანალიზო ხსნარში დიფუზიური დენის ძალა, რომელიც გატიტგრამდე იყო მაქსიმალური, თანდათანობით შემცირდება და მიაღწევს მინიმალურ მნიშვნელობას. სწორედ ამ მომენტში იმყოფება ექვივალენტობის წერტილი, რადგანაც ამ დროს საკვლევი ნივთიერება მთლიანად აღდგენილია კაოდზე, ხოლო ტიტრანტი კი არ განიცდის აღდგენას (ნახ. 29).



ნახ. 29. ამპერომეტრული გატიტგრის მრუდი.

საანალიზო ნივთიერება პოლაროგრაფიულად აქტიურია

**2. როცა სტანდარტული ხსნარი, ანუ ტიტრანტი პოლაროგრაფიულად აქტიურია – ამ დროს, თავდაპირველად სტანდარტული ხსნარის მიმატებისას, გარკვეულ მომენტამდე დიფუზიური დენის ძალა რჩება მუდმივი და მინიმალური. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა საანალიზო ხსნარს ჭარბად დაემატება ტიტრანტი, დაიწყება დიფუზიური დენის ძალის ზრდა. ამ დროს საანალიზო ნივთიერება არ განიცდის აღდგენას კათოდზე, სამაგიეროდ, ანოდზე განიცდის ჟანგვას ტიტრანტი (ნახ. 30).**



ნახ. 30. ამპერომეტრული გატიტვრის მრუდი.

### სტანდარტული ხსნარი პოლაროგრაფიულად აქტიურია

**3. როცა საანალიზო ხსნარიც და ტიტრანტიც აქტიურები არიან – ამ დროს თავდაპირველი მნიშვნელობა ზღვრული დიფუზიური დენისა იქნება მაქსიმალური. შემდეგ გატიტვრის პროცესში, ტიტრანტის მიმატებით, საანალიზო ნივთიერება დაიწყებს თანდათანობით აღდგენას კათოდზე, ამიტომ ზღვრული დიფუზიური დენის ძალა თანდათანობით შემცირდება და როცა მთელი რაოდენობა საანალიზო ნივთიერებისა მთლიანად აღდგება კათოდზე, ზღვრული დიფუზიური დენის ძალა იქნება მინიმალური. სწორედ ამ მინიმუმში იმყოფება ექვივალენტობის წერტილი. ამის შემდეგ ტიტრანტის ჭარბი რაოდენობით მიმატება გამოიწვევს თვით ტიტრანტის დაუნგვას ანოდზე, რის გამოც კვლავ გაიზრდება ზღვრული დიფუზიური დენის ძალა.**

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ორივე ნივთიერება, როგორც საანალიზო, ასევე ტიტრანტიც მონაწილეობენ ელექტროდეულ (ჟანგვა-აღდგენით) რეაქციაში, ანუ საანალიზო ნივთიერება აღდგება კათოდზე, ხოლო ტიტრანტი – იჟანგება ანოდზე. ამპერომეტრული გატიტვრის მრუდს ექნება შემდეგი სახე (იხ. ნახ. 28).

ამპერომეტრული გატიტვრა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ნივთიერებათა ძალზე მცირე რაოდენობებიც კი, კერძოდ  $10^{-4}$  –  $10^{-5}$  მოლი ნივთიერება. ამპერომეტრულ გატიტვრას იჟენებენ დალექციის, კომლექსწარმოქმნით და ჟანგვა-აღდგენით რეაქციებში.

მაშასადამე, ამპერომეტრული გატიტვრის მრუდის ფორმები დამოკიდებულია საანალიზო ნივთიერებისა და რეაგენტების (ტიტრანტების) უნარზე, მონაწილეობა მიიღონ ელექტრულ (ჟანგვა-აღდგენით) რეაქციაში იმ დროს, როცა ელექტროდებს წინასწარ მიეწოდება გარკვეული ძაბვა (მუდმივი ძაბვა).

## თავი XVIII. ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდი

### XVIII.1. ქრომატოგრაფიის არსი. სორბცია-დესორბციის პროცესები. ქრომატოგრამა, სორბენტი, „გადამტანი“

ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდი დაფუძნებულია საანალიზო ხსნარების ნარჯის გატარებაზე ქრომატოგრაფიულ სეეტში და მის დაყოფაზე ცალკეულ კომპონენტებად, რომელთა შედგომი გამოცალკევება და რაოდენობრივი განხაზღვრა შეიძლება ქიმიური ან ინსტრუმენტული მეთოდებით.

ქრომატოგრაფიულმა მეთოდმა თავისი სახელწოდება მიიღო ბერძნული სიტყვებიდან: „chroma“-ფერი, „grapho“ - გრაფი, ე.ი. ფერწერა. ამ მეთოდის დამარსებელია რუსი ბიოქიმიკოსი - ცვეტი და მეთოდმა ფართო გამოყენება პპოვა ქიმიურ მრეწველობაში, მედიცინაში, გეოქიმიაში, ბიოლოგიაში, ეკოლოგიაში და კოსმოსურ კვლევებშიც.

ქრომატოგრაფიული მეთოდის საფუძვლს წარმოადგენს სორბციის და დესორბციის მოვლენები. მაგალითად: გაზის ან ხსნარის გატარებისას წვრილად დანაწევრებული უხსნადი მასალის (მყარის ან თხევადის) მასაში, ეს უხსნადი მასალა ნაწილობრივ შთანთქავს გაზს ან ხსნარს.

#### შთანთქმული ნივთიერების რაოდენობა დამოკიდებული იქნება:

1. შთანმოქმედის თვისებებზე;
2. შთანთქმული ნივთიერების ბუნებაზე;
3. გარემო პირობებზე: ტემპერატურაზე; წნევაზე; კონცენტრაციაზე.

გაზის ან ხითხის გატარებისას უხსნად, წვრილად დამსხვრეულ მასალაში, ეს უკანასკნელი შთანთქავს მათ. შთანთქმული ნივთიერების რაოდენობა დამოკიდებული იქნება შთანმოქმედის ბუნებაზე და გარემო პირობებზე (ტემპერატურა, წნევა, კონცენტრაცია). ამ მოვლენას ეწოდება - **სორბცია**. შთანმოქმედ მასალას ეწოდება - **სორბენტი**. სორბციას, რომელიც მიმდინარეობს სორბენტის ზედაპირზე, ეწოდება **ადსორბცია**. სორბენტის ზედაპირზე სხვადასხვა ნაერთები ადსორბირდებიან მოლექულების ან იონების სახით და წარმოქმნიან მასთან სხვადასხვა სიმტკიცის სორბციულ ნაერთებს. გარეშე პირობების (ტემპერატურის, წნევის ან კონცენტრაციის) ცვლილების შედეგად, შეიძლება მოხდეს ადსორბციის შექცევადი ანუ უკუპროცესი, რომელსაც **დესორბცია** ეწოდება. ამ დროს ადსორბენტზე სორბირებული ნივთიერებები პელავ გადადიან ხსარში ან გაზისებრ ფაზაში (ადსორბენტია - მყარი სხეული ან სითხე, ადსორბირებული ნივთიერებებია - სითხე ან გაზი).

ამრიგად, საანალიზო ნარევის ქრომატოგრაფიული დაყოფა დაფუძნებულია ამ ნარევის შემადგენელი კომპონენტის თვისებებზე, კერძოდ კი მათ სხვადასხვანაირ უნარზე ადსორბირდნენ და დესორბირდნენ სორბენტის შრეში გატარების შედეგად.

ქრომატოგრაფიული ანალიზის ჩასატარებლად იყენებენ ე.წ. **ქრომატოგრაფიულ მილების ანუ სეეტებს**. ქრომატოგრაფიული სეეტი შევსებულია სორბენტით და სეეტში ატარებენ საანალიზო ხსნარს ან ხსნარების ნარევს. ქრომატოგრაფიულ სეეტში გავლისას, ხსნარი განიცდის როგორც სორბციას, ასევე დესორბციას. ის კომპონენტები, რომლებიც ნაკლებად მტკიცედ ადსორბირდებიან ადსორბენტის ზედაპირზე, წარიგაცებიან საანალიზო ხსნარის ნაკადით სეეტის ქვედა ნაწილისაკენ, ხოლო ის ნივთიერებები, რომლებიც უფრო მტკიცედ ადსორბირდებიან, დარჩებიან ქრომატოგრაფიული სეეტის ზედა ნაწილებზე. ასე მეორდება სორბციისა და დესორბციის პროცესები მრავალჯერ, ვიდრე საანალიზო ხსნარი გაივლის ქრომატოგრაფიულ სეეტს. ამის შედეგად საანალიზო ხსნარის შემადგენელი კომპონენტები დაიყოფიან და წარმოქმნიან ქრომატოგრაფიულ სეეტზე ცალკეულ ზონებს. სეეტის ზედა ნაწილში განლაგდება ის კომპონენტები, რომელთა შთანთქმის კოეფიციენტი მაღალია და ამიტომ მათი მოძრაობის სიჩქარე დაბალია, ხოლო სეეტის ქვედა ნაწილში განლაგდება ის კომპონენტები, რომელთა შთანთქმის კოეფიციენტები დაბალია, ამიტომ მათი მოძრაობის სიჩქარე იქნება მაღალი.

ანალიზის შედეგად მიიღება ქრომატოგრამა (ნახ. 31).



ნახ. 31. ქრომატოგრაფიული სვეტი და ქრომატოგრამა

კომპონენტებად დაყოფა უფრო ეფექტურად შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ საანალიზო ხო ხსნარის გატარების შემდეგ ქრომატოგრაფიულ სვეტში გავუშვებთ **სუფთა გამსხველს – ჯლუებჩს**. ამის შედეგად ქრომატოგრაფიული სვეტის მთელ სიგრძეზე უფრო მკაფიოდ გამოჩნდება ცალკეული შეფერილი კომპონენტების მიერ წარმოქმნილი ზონები.

არსებობს ქრომატოგრაფიული დაყოფის რამდენიმე სახეობა და ყველა ისინი დაფუძნებულია საკვლევი კომპონენტების განაწილებაზე ორ ფაზას შორის. აქედან პირველი ფაზა წარმოადგენს დიდი ზედაპირის მქონე უძრავ ფენას, ანუ ადსორბებჩს, ხოლო მეორე ფაზა წარმოადგენს ნაკადს, რომელიც მოძრაობს უძრავი ფაზის გავლით – ეს არის საწყისი საანალიზო ნარევი (ხსნარების ან გაზების ნარევი). **ე.ი უძრავ ფაზას წარმოადგენს ადსორბებჩი, ხოლო მოძრავ ფაზას წარმოადგენს საანალიზო ხსნარი.** უძრავი ფაზის როლი შეიძლება შეასრულოს „გადამტანმა”, რომელზედაც დატანებულია ისეთი ნივთიერებები, როლებიც შთანთქავენ და ყოფენ საანალიზო ხსნარის კომპონენტებს, მაგრამ ადსორბებჩისაგან განსხვავებით, მატარებელი არ უნდა შევიდეს ურთიერთქმედებაში საანალიზო ნარევთან და იგი მხოლოდ გამოიყენება იმ ნივთიერების დასატანად მასზე, რომლებიც ხელს უწყობენ საანალიზო ნარევის დაყოფას.

## XVIII.2. ქრომატოგრაფიის სახეობები

საანალიზო ნივთიერების დაყოფის მექნიზმის მიხედვით, განასხვავებენ ქრომატოგრაფიული ანალიზის შემდეგ სახეებს:

1. ადსორბციული ქრომატოგრაფია, რომლის ერთ-ერთი სახეობაა გაზ-ადსორბციული ქრომატოგრაფია.
2. გამანაწილებელი ქრომატოგრაფია, რომლის სახეობებია: გაზ-სითხური ქრომატოგრაფია, სითხური ქრომატოგრაფია და ქაღალდის ქრომატოგრაფია.
3. იონმიმოცვლითი ქრომატოგრაფია.
4. დალექციონული ქრომატოგრაფია, რომლის ერთერთი სახეობაა ქაღალდის ქრომატოგრაფია.

**ადსორბციური ქრომატოგრაფია** – დაფუძნებულია საანალიზო ნარევში შემავალი კომპონენტების სორბციული თვისებების სხვადასხვაობაზე, რის გამოც ეს კომპონენტები შერჩევით, ანუ „სელექტიურად“ ადსორბირდებიან მყარი ფხვნილისმაგვარი ადსორბენტის ზედაპირზე.

**გამანაწილებელი ქრომატოგრაფია** – დაფუძნებულია კომპონენტების სხვადასხვა განაწილების უნარზე ორ ერთმანეთში შეურეველ გამხსნელს შორის. დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს გამანაწილებელი ქრომატოგრაფიის ისეთ სახეობას, როგორიცაა გაზ-სითხური ქრომატოგრაფია, რომლის მეშვეობით ატარებენ გაზებისა და აქროლადი ნაერთების ანალიზს. გამანაწილებელ ქრომატოგრაფიაში უძრავი ფაზის გადამტანის როლს სჭირად ასრულებს ქრომატოგრაფიული ქაღალდი.

**იონმიმოცვლითი ქრომატოგრაფია** – დაფუძნებულია იონთა მიმოცვლაზე საანალიზო ხსნარის კომპონენტებსა და ადსორბენტის იონოგენურ ჯგუფებს შორის. იონთა ეს მიმოცვლა შექცევადი სახისაა და ამიტომ კვლავ შეიძლება ადსორბენტის მიერ შთანთქმული იონები გადავიდეს საანალიზო ხსნარში.

**დალექციონული ქრომატოგრაფია** – შეიმუშავეს გაპონებმა 1948 წელს, იგი დაფუძნებულია სხვადასხვა შედგენილობის ნალექების წარმოქმნაზე საანალიზო ხსნარის გატარების შედეგად ქრომატოგრაფიულ სვეტში. ამ დროს ქრომატოგრაფიულ სვეტში ერთდროულად იმუოფება დამლექავი რეაგენტის და „გადამტანის“ ნარევი. დამლექავი რეაგენტი კი წარმოადგენს ისეთ იონმიმოცვლელს, რომლის იონებიც საანალიზო ხსნარის იონებთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნიან ნალექებს. ეს ნალექები ხასიათდება ხსნადობის სხვადასხვა უნარით, რაც საშუალებას იძლევა დაიყოს საანალიზო ხსნარი ცალკეულ კომპონენტებად, მათი ხსნადობის უნარის ზრდის მიხედვით. მაშასადამე ქრომატოგრაფიული სვეტის ზედა ნაწილში განლაგდება დაბალი ხსნადობის მქონე ნალექები, ხოლო სვეტის ქვედა ნაწილში – უფრო მაღალი ხსნადობის მქონე ნაერთები.

როგორც ვხედავთ, ქრომატოგრაფიული ანალიზის სხვადასხვა სახეობის საფუძველს წარმოადგენს ისეთი პროცესები, როგორებიცაა: ადსორბცია-დესორბცია, განაწილება, იონმიმოცვლა და დალექცია. ეს საშუალებას იძლევა მოიძებნოს შესაბამისი პირობები სხვადასხვა ორგანული და არაორგანული ნარევების დასაყოფად და საანალიზოდ, რაც ანიჭებს ქრომატოგრაფიულ მეთოდს ფართო გამოყენების შესაძლებლობებს ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში, ასევე ყველა დარგის სამეცნიერო ლაბორატორიებში და საწარმოო ლაბორატორიებში გამოყენების თვალსაზრისითაც.

### XVIII.3. ადსორბციული ქრომატოგრაფია

ადსორბციული ქრომატოგრაფია დაფუძნებულია საანალიზო ნარევის შემადგენელი კომპონენტების შერჩევით, ანუ სელექტიურ ადსორბციაზე მყარი ფხვნილისმაგარი ადსორბცის ზედაპირზე. ადსორბციული ქრომატოგრაფია, ისევე როგორც იონმიმოცვლითი ქრომატოგრაფია, ხორციელდება სამი წესით:

1. ფრონტალური წესი;
2. გამოძევების წესი;
3. ელუენტური წესი.


**ფრონტალური წესი** – ამ დროს ორი A და B კომპონენტებისაგან შემდგარი საანალიზო ნარევი მიეწოდება ქრომატოგრაფიულ სვეტს ზედა ნაწილში და ეს ნარევი ირეცხება სუფთა გამხსნელით, ანუ ელუენტით. ამიტომ ქრომატოგრაფიული სვეტიდან პირველად გამოედინება სუფთა გამხსნელი (ელუენტი). შემდეგ კი, როცა სორბენტი მთლიანად გაიძინოთება, სვეტიდან გამოიღევნება – ჯერ ნაკლებად სორბირებადი კომპონენტი (მაგ: B), ბოლოს კი სვეტიდან გამოედინება ორივე A და B კომპონენტების შემცველი ხსნარი.

ფრონტალური წესით ვერ ხერხდება საანალიზო ნარევის სრული დაყოფა შემადგენელ კომპონენტებად, რადგანაც ქრომატოგრაფიული სვეტიდან სუფთად გამოძევდება მხოლოდ მცირედ სორბირებადი ნივთიერება.

**გამოძევების წესი** – ამ დროს ქრომატოგრაფიულ სვეტში შეპყავთ მრავალკომპონენტიანი საანალიზო ნარევი, რომელთაგან ერთ-ერთი კომპონენტი ყველაზე კარგად სორბირებადია. ამიტომ ეს კარგად სორბირებადი კომპონენტი თანმიმდევრობით გამოაძევებს ქრომატოგრაფიულ სვეტიდან ნაკლებად სორბირებად კომპონენტებს იმისდა მიხედვით, თუ როგორი შერჩევითი სორბციის უნარით ხასიათდება ეს კომპონენტები. ამის გამო I-ლ და მე-II, მე-II და მე-III და ა.შ. კომპონენტების შემცველ ფერად ზონებს შორის განვითარება ორი კომპონენტის შემცველი შუალედური ზონა.

**ელუენტური წესი** – ამ დროს ქრომატოგრაფიულ სვეტში შეპყავთ მრავალკომპონენტიანი ნარევი, რომელსაც ჩარეცხავენ სუფთა გამხსნელით – E. მიიღება ფერადი ქრომატოგრამა, რომლის დროსაც კომპონენტები, მათი სორბციის უნარის მიხედვით, განლაგდებიან ქრომატოგრაფიული სვეტის სხვადასხვა სიმაღლეზე და წარმოქმნიან ფერად ზონებს. აქედან ყველაზე ბოლო ზონა იქნება სუფთა გამხსნელი – E, ანუ ელუენტი. ქრომატოგრაფიული სვეტიდან პირველად გამოირიცხება, ანუ ელუენტდება ყველაზე ნაკლებად სორბირებადი ნივთიერება, ყველზე ბოლოს კი – ყველაზე ძლიერად სორბირებადი ნივთიერება (ნახ. 32).

ადსორბციული ქრომატოგრაფიის ერთ-ერთი სახეობაა **გაზ-ადსორბციული ქრომატოგრაფია**. როცა ატარებენ გაზური ქრომატოგრაფიის მეთოდს, ამ დროს გაზების ან აქროლადი ნივთიერების ორთქლს გაატარებენ ქრომატოგრაფიულ სვეტში, რომელიც შევსებულია **დიდი ზედაპირის მქონე ნივთიერებით**. ეს არის უძრავი ფაზა. თუ უძრავი ფაზის როლში გამოდის მყარი ნივთიერება, მაშინ ნივთიერებათა დაყოფა ემყარება ამ მყარი ნივთიერების ადსორბციულ თვისებებს. ასეთი მყარი ადსორბენტების როლში გამოდის: **სილიკაგლი, აქტივირებული ნახშირი**. შეიძლება უძრავი ფაზის როლში გამოდიოდეს არა მყარი ნივთიერება, არამედ სითხე. იმისათვის, რომ სითხეს შეუქმნან კონტაქტი გაზის ნაკადთან, ამ სითხეს დაიტანენ მყარ ნივთიერებაზე ანუ „გადამტანზე“. ამ დროს თხევადი ფაზა განითხევა მყარი გადამტანის ზედაპირზე თხელი აპეის სახით და საანალიზო ხსნარის კომპონენტები გამოცალკევდებიან ერთმანეთისაგან ამ სითხეში, ანუ უძრავ ფაზაში გახსნის შედეგად. ეს უკვე გამანაწილებელი ქრომატოგრაფიის სახეობაა, რომელსაც ეწოდება **გაზ-სითხური ქრომატოგრაფია**.



ფრონტალური

გამოძევების

ელუსინტური

ნახ. 32. ადსორბციული ქრომატოგრაფიის შესრულების წესები

#### XVIII.4. იონიტები. იონმიმოცვლითი ქრომატოგრაფია

როგორც აღვნიშნეთ, იონმიმოცვლითი ქრომატოგრაფია დაფუძნებულია ქრომატოგრაფიულ სვეტში გამავალი საანალიზო ნარევის იონებსა და ადსორბენტის იონებს შორის შექცევად გაცვლაზე. ადსორბენტი, რომელიც შეიცავს იონმიმოცვლელ (იონმიმომცვლელ) ჯგუფებს, შედის იონმიმოცვლით რეაქციაში საანალიზო სსნარის იონებთან. ასეთ ადსორბენტებს უწოდებენ იონმიმომცვლელებს, ანუ იონიტებს. იონური მიმოცვლითი ხასიათის მიხედვით, გამოყოფენ ორი ტიპის იონიტებს:

**1. კათიონიტები** – ეს არის იონიტები, რომლებიც შეიცავენ მომრავ კათიონებს და მიმოცვლიან საანალიზო სსნარის კათიონებზე;


**2. ანიონიტები** – ეს არის იონიტები, რომელბსაც გააჩნიათ მომრავი ანიონები და ეს ანიონები მიმოცვლებიან საანალიზო სსნარის ანიონებზე.

ანალიზურ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ისეთი პოლიმერები, რომლებიც შეიცავენ მჟავე ბუნების იონოგენურ ჯგუფებს, ასეთ კათიონიტებს წარმოადგენებ: *KB* – 2; *KK* – 4; *KI* – 1; *KI* – 2. ასევე გამოიყენება პოლიმერები, რომლებიც შეიცავენ ფუძე ბუნების იონოგენურ ჯგუფებს, ასეთი ანიონიტებია: *AH* – 1; *AH* – 23; *AB* – 17; *AB* – 18 და სხვა. გარდა ამისა, გამოიყენება არაორგანული იონიტები, როგორებიცაა: ალუმინის ოქსიდი – *Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>*, სილიკაგელი და სხვა.

სამუშაოს დაწყების წინ იონიტს ასუფთავებენ დაბალმოლეკულური მინარევებისაგან და სხვა გარეშე იონებისაგან. ასეთი გზით იონიტი გადაყვანილია შესაბამის იონოგენურ ფორმაში – მჟავის, ფუძის ან მარილის ფორმაში. იმისათვის, რომ კათიონიტები გადაიყვანონ მჟავა ფორმაში, ანუ *H<sup>+</sup>*-ფორმაში, ისინი უნდა დაამუშაონ მარილმჟავას სსნარით, ამ დროს იონიტების შემადგენლობაში შემავალი ყველა კათიონი ჩაინაცვლება

წყალბადის იონებით. ანიონიტი კი გადაჰყავთ ფუძის ფორმაში, ანუ  $OH^-$ -ფორმაში, რის-თვისაც მას ამჟამაგებენ მწვავე ტუტების ( $KOH$ -ის,  $NaOH$ -ის) ან  $Na_2CO_3$ -ის ხსნარით.

თუ საანალიზო ხსნარს გავატარებთ ქრომატოგრაფიულ სვეტში, რომელიც შევსებულია იონმიმოცვლებლი კათიონიტით, რომელიც შეიცავს რამდენიმე კათიონს, ამ დროს მოხდება იონმიმოცვლა საანალიზო ხსნარის იონებსა და კათიონიტის იონებს შორის, რის შედეგადაც საანალიზო ხსნარის კათიონებს შთანთქავს ანუ ადსორბირებს კათიონიტი, ხოლო შესაბამისად კათიონიტში შემავალი წყალბად-იონების ექვივალენტური რაოდენობა გადავა საანალიზო ხსნარში:




კათიონიტი	საანალიზო	საანალიზო
	ხსნარის	ხსნარში
	კათიონები	

იონურ მიმოცვლას ფართოდ იყენებენ საანალიზო იონების გამოსაყოფად და ხელისშემლები იონების თავიდან მოსაცილებლად. მაგალითად, ფოლადში  $Mo^{+6}$ -ის განსაზღვრას ხელს უშლის  $Fe^{+2}$ -ის იონების არსებობა. ამიტომ  $Mo$ -ისა და  $Fe$ -ის იონების ქრომატოგრაფიული დაყოფისათვის იყენებენ  $Mo$ -ის თვისებას, ადსორბირდეს კათიონიტზე ძლიერ მჟავა ხსნარიდან. ამისათვის ფოლადის წონაკას ხსნიან ძლიერ მჟავა ხსნარში, რომელიც შედგება  $HCl$ -ისა და  $HNO_3$ -ის ნარევისაგან. ამ დროს  $Fe^{2+}$  გადადის ხსნარში და წარმოიქმნება დაუანგული  $Fe^{3+}$ -ის იონები, ხოლო  $Mo^{+6}$  იუანგება და წარმოქმნის  $MoO_2^{+2}$ -იონებს.  $Fe^{3+}$ -ის იონები ძლიერ მჟავა ხსნარიდან პრაქტიკულად არ ადსორბირდებიან კათიონიტზე, ხოლო  $MoO_2^{+2}$ -ის იონები – ადსორბირდებიან. ამრიგად  $Fe^{3+}$ -ის იონები დარჩება საანალიზო ხსნარში, ხოლო  $MoO_2^{+2}$ -ის იონები კი გადავა კათიონიტის შემადგენლობაში. თუ ამის შემდეგ სურთ  $Mo$ -ის  $Fe$ -ის სრული დაყოფა, ამისათვის ქრომატოგრაფიულ სვეტში გაატარებენ 3-5 % ტუტის ხსნარს. რადგანაც  $MoO_2^{+2}$ -ის იონებს გააჩნიათ უფრო მჟავა ბუნება, ვიდრე  $Fe^{3+}$ -ის იონებს, ამიტომ ტუტის ზემოქმედებით  $MoO_2^{+2}$ -ის იონები კათიონიტიდან გადავა საანალიზო ხსნარში მოლიბდატის იონის ფორმით –  $MoO_4^{2-}$ . ამის შემდეგ შესაძლებელია  $Mo$ -ის რაოდენობითი განსაზღვრაც. ამისათვის  $Mo$ -ის და  $Fe$ -ის იონების შემცველ ძლიერი მჟავა ხსნარს გაატარებენ ქრომატოგრაფიულ სვეტში, რომელიც დატენილია კათიონიტით. შემდეგ სვეტში გაატარებენ დისტილირებულ წყალს, შემდეგ კი – ტუტის ხსნარს, რომელიც გამოაძევებს  $Mo$ -ს. გამოძევებული  $Mo$ -ის რაოდენობით განსაზღვრას აწარმოებენ პერმანგანატომეტრული გატიტვრით.

იონმიმოცვლითი ქრომატოგრაფიული მეთოდით ადვილად განისაზღვრება ხსნარში მარილების შემცველობა. ამ დროს მარილის შემადგენლობაში შემავალი მეტალის კათიონი სორბირდება კათიონიტის მიერ, ხოლო მის ნაცვლად კათიონიტიდან გამოძევებული წყალბად-იონების ექვივალენტური რაოდენობა გადავა საანალიზო ხსნარში. წყალბად-იონების ეს რაოდენობა ადვილად შეიძლება განისაზღვროს მჟავა-ფუძური გატიტვრის, ანუ ნეიტრალურაციის შედეგად და გატიტრული წყალბადის რაოდენობითი შემცველობა ექვივალენტური იქნება საანალიზო ხსნარში მარილის შემცველობისა. ზუსტად ასევე ანალიზდება ორგანული ნაერთების მარილებიც, რომელთა კათიონები სორბირდება კათიონიტის მიერ და ჩაენაცვლებიან  $H^+$ -ის ადგილზე, ხოლო საანალიზო ხსნარში გადადის მჟავას შესაბამისი რაოდენობა.

იონთა სორბირების ხარისხი სხვადასხვა იონიტების (ანუ სორბენტების) მიმართ, იზრდება ერთმუხტიანი იონებიდან 2-და 3-მუხტიანი იონებისაკენ. რაც შეეხება ერთნაირად დამუხტულ იონებს, ისინი იონიტის მიმართ, სორბირების ხარისხის მიხედვით, განლაგებული არიან შემდეგ „სორბციულ რიგებში“:



გაშასაღამებ, ეს „სორბციული რიგები“ დამოკიდებულია:


- ა) სორბენტის ბუნებაზე;
- ბ) ქრომატოგრაფიული (საანალიზო) ნივთიერების ბუნებაზე;
- გ) ექსპერიმენტის პირობებზე (ტემპერატურა, წნევა, კონცენტრაცია);
- დ) იონის მუხტზე (მისი ზრდით, სორბიორების ხარისხიც იზრდება);
- ე) იონის რადიუსზე (მისი ზრდით, სორბიორების ხარისხიც იზრდება).

**ქიმიური შედგენილობის მიხედვით, იონიტები იყოფა ორ ჯგუფად:**


1. მინერალური წარმოშობის იონიტებად, ანუ იონმიმომცვლელ სორბენტებად;
2. ორგანული წარმოშობის იონიტებად.

**მინერალური წარმოშობის კათოონიტია  $Al$ -ის ალუმინატური თქმილი  $(Al_2O_3)_n \cdot NaAlO_2$ .**

განვიხილოთ  $Al$ -ის ალუმინატური ოქსიდის შედგენილობა, ბუნება და თვისებები. ალუმინის ალუმინატურ თქსიდს დებულობებს  $Al$ -ის გახსნით  $NaOH$ -ში ამ დროს მიიღება ნატრიუმის ალუმინატი  $NaAlO_2$  – ნალექის სახით. ეს ნალექი უნდა გამოიწვას. გამოწვის პროცესში მიიღება ალუმინის ოქსიდი, რომელიც მოექცევა ქვემოთ, ხოლო მის ზედაპირზე ადსორბირდება ნატრიუმის ალუმინატი და ასეთნაირად წარმოიქმნება ალუმინის ალუმინატური ოქსიდი. ეს ნაერთი ხსნარში დისოცირდება და მისგან გამოიყოფა ნატრიუმის იონები:




ნატრიუმის ადვილად მოძრავი იონები, რომლებიც იმყოფებიან მნელად ხსნადი ნალექის –  $Al_2O_3$ -ის ზედაპირზე, შედიან გაცვლით რეაქციებში გახსნილი ელექტროლიტის კათოონებთან. ამ დროს  $Al$ -ის ალუმინატური ოქსიდი გამოდის კათოონიტის როლში, რომლის ნატრიუმის იონების ადგილზე მიმოცვლება ელექტროლიტის კათოონები. მაგალითად, ალუმინის ალუმინატური ოქსიდის ურთიერთქმედებისას  $CoCl_2$ -თან,  $Co^{2+}$ -ის იონები მიმოცვლება  $Na^+$ -ის იონებთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება  $Co$ -ის ალუმინატი. რის გამოც სორბენტი შეიფერება ვარდისფრად. ამასთან, კათოონთა მიმოცვლა მიმდინარეობს მკაცრად ექვივალენტური თანაფარდობით, ანუ ყოველი ადსორბირებული კობალტის დადებით ორმუხტიანი იონის სანაცვლოდ, ხსნარში გადადის  $Na^+$ -ის იონების იმდენივე რაოდენობა:




$Al$ -ის ალუმინატური ოქსიდის გამოყენება შეიძლება ანიონიტის სახითაც. ამისათვის მას რეცხავენ აზოტმჟავათო. ამ დროს  $Na^+$ -ის იონების ნაცვლად სორბენტში ჩაენაცვლება ნიტრატ-იონები:



მივიღეთ  $Al$ -ის ალუმინატური ოქსიდის ნიტრატი, რომელსაც უკვე მოძრავი იონის სახით გააჩნია  $NO_3^-$ -ის იონები, ამიტომ ამ სორბენტს გააჩნია უნარი, შევიდეს გაცვლით რეაქციებში საანალიზო ხსნარის ანიონებთან:



ამჟამად, იონიტების სახით ხშირად იყენებენ სხვადასხვა მარკის სინთეზიკურ ფისებს, რომელთაც დებულობენ პოლიმერიზაციისა და პოლიონდენსაციის რეაქციების შედეგად. ეს არის ორგანული წარმოშობის იონიტები. ორგანული წარმოშობის კათიონიტისათვის იონური გაცვლის ძირითადი რეაქცია შეიძლება ასე ჩაიწეროს:



სადაც:  $R$  – არის კათიონიტის ნაშთი, ანუ მატრიცა;

$SO_3^-H$  – იონოგენური ჯგუფი;


$Kt^+$  – კათიონი;

$An^-$  – ანიონი;

$KtAn$  – ელექტროლიტი;

$H^+$  – წყალბადის მოძრავი იონი, რომელსაც გააჩნია გაცვლის უნარი ელექტროლიტის კათიონზე.

ორგანული წარმოშობის ანიონიტებისათვის იონური გაცვლის რეაქცია ჩაიწერება შემდეგი ძირითადი სქემის მიხედვით:



ანიონიტი

ელექტროლიტი

ადსორბციული  
ნაერთი

ფუძე

ამ შემთხვევაში იონიტი შეაკავებს, ანუ შთანთქავს ელექტროლიტის ანიონებს, ხოლო კათიონები დარჩებიან ხსნარებში და ამგვარად გამოეყოფიან ანიონებს.

**იონმიმოცვლითი ქრომატოგრაფია შეიძლება შესრულდეს სამი წესით:**

1. ფრონტალური წესით;
2. გამოძევების წესით;
3. ელუენტური წესით.

**1. ფრონტალური წესი** – ამ დროს ნივთიერებათა ნარევის შემცველი საანალიზო ხსნარი მიეწოდება ქრომატოგრაფიული სვეტის ზედა ნაწილში და შემდეგ იკრიბება ფილტრაციით ცალკეული ფრაქციები. მაგალითად, თუ საანალიზო სისტემა შედგება ორი **A** და **B** კომპონენტისაგან, რომლებიც იმყოფებიან ერთად საანალიზო ნარევში, პირველად ქრომატოგრაფიული სვეტიდან გამოძევდება სუფთა გამსხველი – ელუენტი. შემდეგ, როცა სორბენტი მთლიანად გაიყდინოთ (გამსხველი), სვეტიდან პირველად გამოირცხება ნაკლებად სორბირებადი კომპონენტი (მაგალითად, კომპონენტი **B**). შემდეგ სორბენტი მთლიანად გაიყდინოთ კომპონენტი **A**-თი და საბოლოოდ, სვეტიდან გამოირცხება ხსნარი, რომელიც ერთდროულად შეიცავს **A** და **B** კომპონენტებს. **ფრონტალური წესის ნაკლებობის შემდეგში:** ამ დროს სუფთა სახით დებულობენ მხოლოდ ნაკლებად სორბირებად ნივთიერებას, ხოლო ძნელად სორბირებადი – სრულად ვერ გამოძევდება. ამიტომ ამ წესით ვერ ხერხდება საანალიზო ნარევის სრული დაყოფა შემადგენელ კომპონენტებად.

**2. გამოძევების წესი** – ამ დროს ქრომატოგრაფიულ სვეტში შეჰყავთ მრავალ კომპონენტიანი ნარევის ხსნარი და უფრო ძლიერად სორბირებადი კომპონენტების მეშვეობით გამოაძევებენ უფრო ნაკლებად სორბირებად კომპონენტებს. მაშასადამე, ძლიერად სორბირებადი ნაერთი თანმიმდევრობით გამოაძევებს ქრომატოგრაფიული სვეტიდან მრავალ კომპონენტებს.

ვალკომპონენტიანი ნარევის შემადგენელ კომპონენტებს და ეს მოხდება მათი შერჩევითი სორბირების უნარის შესაბამისად.

**გამოძევების წესის ნაკლი** მდგომარეობს იმაში, რომ პირველ და მეორე, ასევე მეორე და მესამე კომპონენტებს შორის წარმოიქმნება შუალედური ზონები, რომლებიც ერთდროულად შეიცავენ ორივე კომპონენტის ნარევს, ამიტომ ეს წესი ვერ ახერხებს სრულიად გამოყოს კომპონენტები საანალიზო ხსნარიდან და ნივთიერების დაყოფის სისრულე დამოკიდებულია ანალიზის ზუსტად ჩატარებასა და მის პირობებზე.

**3. ელუენტური წესი** – ამ დროს ქრომატოგრაფიულ სვეტში შეპყავთ საანალიზო ხსნარი, რომელიც შედგება **A**, **B** და **E** კომპონენტებისგან. მიიღება ქრომატოგრამა, რომლის ქვედა ზონაში განლაგდება სუფთა ნივთიერება – **E**. შემდეგ სორბენტს ჩარეცხავენ სუფთა გამხსნელით, რომელსაც ელუენტი ეწოდება. ელუენტის ჩარეცხვისას ხდება ნარევის კომპონენტების გადადგილება ურთიერთგამოძევების შედეგად და მათი სორბირების უნარის მიხედვით.

ამრიგად, ელუენტის მეშვეობით საანალიზო ნარევის კომპონენტები გამოირეცხება, ანუ ელუირდება შემდეგი თანმიმდევრობით: თავდაპირველად გამოირეცხება ნაკლებად სორბირებადი კომპონენტი – **E**, შემდეგ გამოირეცხება საშუალოდ სორბირებადი კომპონენტი – **B**, ხოლო საბოლოოდ – მნელად სორბირებადი კომპონენტი –**A**.

**ელუენტური წესის ნაკლი** შემდეგში მდგომარეობს: კომპონენტების გახსნისას გამამჟღავნებელ ხსნარში, ანუ ელუენტში, ამ კომპონენტების კონცენტრაცია მცირდება, რაც იძლევა ანალიზის ცდომილებას. ელუენტური ანალიზის საფუძველზე შეიძლება გრაფიკის აგება. ამისათვის აბსცისთა ღერძზე უნდა დავიტანოთ ქრომატოგრაფიულ სვეტში გავლილი ნაკადის რაოდენობა, ხოლო ორდინატთა ღერძზე – საანალიზო ნარევის ჩარეცხვის შედეგად გამოყოფილი კომპონენტების კონცენტრაცია.

## XVIII.5. დალექვითი ქრომატოგრაფია

დალექვითი ქრომატოგრაფიის მეთოდი პირველად შეიმუშავეს 1948წ. რუსმა მეცნიერებმა – გაპონებმა, ხოლო შემდგომში განვითარება ამ მეთოდმა პპოვა ოლშანოვას, შემიაკინის, რაჩინსკის ნაშრომებში. **დალექვითი ქრომატოგრაფიის პრინციპი მდგომარეობს შემდეგ ში:** ის დაფუძნებულია საანალიზო ნივთიერების ურთიერთქმედებაზე იონმიმომცვლელის შემადგენლობაში შემავალ დამლექავთან ან „გადამტანთან“ შერეულ დამლექავთან. იონთა დაყოფა ამ მეთოდში დაფუძნებულია ძნელადხსნადი ნაერთების თანმიმდევრობით (ფრაქციულ დალექვაზე). ამ დროს შეარჩევენ ისეთ დამლექავს, რომელიც წარმოქმნის საანალიზო ხსნარის კომპონენტთან სხვადასხვა ხსნადობის ნალექებს და ამ ნალექების სხვადასხვა ხსნადობის ხარისხი საშუალებას იძლევა ერთმანეთისაგან გამოიყოს საანალიზო ხსნარის კომპონენტები.

დალექვით ქრომატოგრაფიაში საანალიზო ხსნარს ატარებენ ქრომატოგრაფიულ სვეტში, რომელიც წინასწარ შევსებულია იონმიმომცვლელი სორბენტით. ეს სორბენტი შეიცავს იონებს, რომლებსაც შეუძლიათ მოგვცენ ნალექები საანალიზო ხსნარის იონებთან. მოცემული ნალექები განლაგდება ქრომატოგრაფიულ სვეტში მათი ხსნადობის ზრდის მიხედვით. ანალიზის შედეგად მიიღება ფერადი ქრომატოგრამა, რომელიც შედეგება სხვადასხვა ფერად შეღებილი ნივთიერებებისგან. მაგალითად, თუ ქრომატოგრაფიულ

სვეტში გავატარებთ ხსნარს, რომელიც შეცავს:  $Ag^+$ ,  $Pb^{+2}$ , და  $Hg^{+2}$ -იონებს, ხოლო თვით ქრომატოგრაფიული სვეტი შევსებულია  $I^-$ -იონების შეცველი იონმიმომცვლელი სორბენტით, მივიღებთ სამი ფერადი ზონისაგან შემდგარ ქრომატოგრამას: ზედა ნაწილში განლაგდება აგურისფერ-წითელი  $HgI_2$ -ის ფენა; შუაში მოთავსდება ლია ყვითელი ფერის  $AgI$ -ის ფენა, ხოლო ყველაზე ბოლოს განლაგდება მუქი ყვითელი ფერის  $-PbI_2$ -ის ფენა.

დალექვითი ქრომატოგრამები მიიღება აგრეთვე ფილტრის ქაღალდზეც იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენებენ ნეიტრალურ „გადამტანებს“. „გადამტანის“ როლში შეიძლება გამოვიდეს ნაკლებად ხსნადი და დიდი ზედაპირის მქონე ნივთიერება, რომელიც ინდიფერენტულია საანალიზო ხსნარის კომპონენტების მიმართ, ამით განსხვავდება იგი სორბენტისაგან. „გადამტანის“ როლი შეიძლება შეასრულოს ისეთმა ნეიტრალურმა ნივთიერებებმა, როგორებიცაა: სილიკაგელი, სახამებელი,  $Al_2O_3$ ,  $BaSO_4$ , კვარცი, აზბესტი, მინის ფხვნილი და სხვა იონიტები, ხოლო ნალექების სრულად გამოყოფა ერთმანეთისაგან შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან ხსნადობის მიხედვით.

საანალიზო ხსნარის უკეთ დაყოფა კომპონენტებად შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მას ჩავრცეხავთ ქრომატოგრაფიულ სვეტში ელუენტით (სუფთა გამხსნელით). ამ დროს ზონები გამოცალკევდება და მათი საზღვრები გახდება უფრო მკაფიო.

**დალექვითი ქრომატოგრაფიის ქაღალდის წესი - დალექვითი ქრომატოგრაფიის ერთ-ერთი სახეობაა, რომლის დროსაც „გადამტანის“ როლში გამოდის საშუალო სიმკვრივის ფილტრის ქაღალდების ზოლები ან რგოლები. ქაღალდს რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩაძირავენ დამლექავის შემცველ ხსნარში, რომლის კონცენტრაცია წინასწარ განსაზღვრულია, შემდეგ ქაღალდს აშრობენ ჰაერზე. გაშრობის შემდეგ დამლექავი რეაგენტით გაედგენთილი ქაღალდის ცენტრში მიკროპიპეტით წვეთობით დააქვთ საანალიზო ხსნარი, ამასთან, ყოველი მომდვერო წვეთი დააქვთ მხოლოდ წინა წვეთის გაწოვის შემდეგ. წარმოიქმნება სხვადასხვა ფერად შედებილი ძნელადხსნადი ნაერთები, რომლებიც მათი ხსნადობის მიხედვით რგოლისებურად განლაგდებიან ცენტრის გარშემო. როგორც აღვნიშეთ, ცენტრს წარმოადგენს ფილტრის ქაღალდზე საანალიზო ხსნარის დატანების ადგილი. ფერადი ქრომატოგრამის გასაფართოებლად, მას რეცხავენ გამხსნელის 2-3 წვეთით, რომელიც ასევე მიკროპიპეტის მეშვეობით დააქვთ ფილტრის ქაღალდის ცენტრში. გამხსნელის როლში, უმრავლეს შემთხვევაში, გამოდის დისტილირებული წყალი. ამ დროს გამხსნელი გადაადგილდება ცენტრიდან პერიფერიებისაკენ და ახდენს ნალექთა ზოლების გაფართოებას და მათ დამატებით დაყოფას.**

შეიძლება ამ მეთოდის დროს წარმოიქმნას უფერო ნაერთებისაგან შემდგარი ნალექები, ამიტომ საჭირო ხდება მათი გამუღავნება ანუ იდენტიფიკაცია, მშრალ ქრომატოგრამაზე შესაბამისი გამამუღავნებლების შესხურებით.

დალექვითი ქრომატოგრაფიის ქაღალდის წესით თვისებითი ანალიზი ტარდება საკვლევი იონის შეფერვის ინტენსიონის მიხედვით და შეფერილი ნაერთების ადგილ-მდებარეობის მიხედვით, ხოლო რაოდენობით ანალიზს აწარმოებენ შეფერილი ზონების სიგანის მიხედვით, ე.ი. ზონის სიგანე პირდაპირპორციულადაა დამოკიდებული ხსნარში საკვლევი იონის კონცენტრაციაზე.

## XVIII.6. გამანაწილებელი ქრომატოგრაფია. გაზ-ადსორბციული და გაზ-სითხური ქრომატოგრაფია

**გამანაწილებელი ქრომატოგრაფიის მეთოდი დაფუძნებულია ნივთიერებათა განაწილების პროცესზე ორ ერთმანეთში შეურეველ გამსხველს შორის.**

**განვიხილოთ მაგალითი:** თუ ბრომიან წყალსნარს შევანჯდევთ ბენზოლთან და დავაყოვნებთ, დავინახავთ, რომ ბრომი უკეთესად იხსნება ბენზოლში ანუ ორგანულ გამსხველში, ვიდრე წყალში. ამის შედეგად ბრომი გადავა წყალსნარიდან ბენზოლის ფენაში და შეღებავს მას მურა-ყვითელ ფერად. ე.ი. ბრომი ერთდროულად განაწილდება ორ ერთმანეთში შეურეველ გამსხველს შორის: ერთი არის არაორგანული გამსხველი ანუ წყალი, მეორე კი – ორგანული გამსხველი ანუ ბენზოლი. ამ განაწილების შემდეგ დამყარდება მოძრავი წონასწორობა, რომლის დროსაც ბრომის კონცენტრაციის შეფარდება ორგანულ გამსხველში ბრომის კონცენტრაციასთან წყალში ტოლია ბრომის განაწილების კოეფიციენტისა. განაწილების კოეფიციენტი გამოისახება ფორმულით:

$$K_d = \frac{C_{\text{org}}}{C_{\text{H}_2\text{O}}}$$

სადაც:  $K_d$  – არის განაწილების კოეფიციენტი და იგი მუდმივი სიდიდეა;

$C_{\text{org}}$  – საკვლევი კომპონენტის (ბრომის) კონცენტრაციაა (მოლი/ლ) ორგანულ გამსხველში, რომელიც ამ შემთხვევაში, წარმოადგენს უძრავ ფაზას;

$C_{\text{H}_2\text{O}}$  – საკვლევი კომპონენტის (ბრომის) კონცენტრაციაა (მოლი/ლ) წყალში, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს მოძრავ ფაზას.

**განაწილების კოეფიციენტი დამოკიდებულია შემდეგ მაჩვენებლებზე:**

- ა) საკვლევი ნაერთების ბუნებაზე;
- ბ) გამსხველის ბუნებაზე;
- გ) ტემპერატურაზე;
- დ) ექსპერიმენტის ჩატარების ტექნიკურ მხარეზე.

**გამანაწილებელი ქრომატოგრაფია ქაღალდზე** – ეს მეთოდი არის გამანაწილებელი ქრომატოგრაფიის ერთ-ერთი სახეობა, რომლის დროსაც „გადამტანის“ როლში გვევლინება უძრავი ფაზა და ამ უძრავ ფაზას წარმოადგენს ფორებიანი ქრომატოგრაფიული ქაღალდი. წინათ ამ მეთოდის ჩასატარებლად იყენებდნენ საშუალო სიმკვრივის ქაღალდებს. მაგრამ შემდეგ, მეთოდის განვითარებასთან დაკავშირებით, შემუშავებული იქნა ქრომატოგრაფიული ქაღალდის რამდენიმე ტიპი, კერძოდ №1, №2, №3 და №4. ქაღალდის ეს ტიპები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ სიმკვრივის მიხედვით. სწორედ ქრომატოგრაფიული ქაღალდის სიმკვრივეზე დამოკიდებული გამსხველის მოძრაობის სიჩქარე. ამიტომ №1 და №2 ქაღალდებს უწოდებენ „სწრაფს“ (უფრო დაბალი სიმკვრივის), ხოლო №3 და №4 ქაღალდებს უწოდებენ „ნელს“ (მაღალი სიმკვრივის).

**გამანაწილებელ ქრომატოგრაფიაში გამოყენებული ქაღალდი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ა) უნდა იყოს სუფთა;
- ბ) მისი შედგენილობა უნდა იყოს ერთგვაროვანი;
- გ) არ უნდა შეიცავდეს ისეთ არაორგანულ და ორგანულ ნაერთებს, რომლებიც იხსნებიან გამსხველში;
- დ) ცელულოზას შემცველობა ასეთ ქაღალდში უნდა შეადგენდეს ქაღალდის მასის 96-99%-ს.

ქრომატოგრაფიული ქაღალდი აკავებს თავის ფორებში წყალს (ტენიანობის 20%-მდე), რომელიც ამ შემთხვევაში თამაშობს **უძრავი გამხსნელის** როლს. ასეთი ქაღალდის დამუშავებისას მოძრავი გამსხველით, ქაღალდზე დატანებული საკვლევი ნაერთები გადადიან მოძრავი ფაზის შემადგენლობაში და გადაადგილდებიან ქაღალდის კაპილარებში სხვადასხვა სიჩქარით, რის შედეგადაც ისინი გამოიყოფიან ერთმანეთისაგან და წარმოიქმნება ფერადი ქრომატოგრამა.

**გამანაწილებელ ქრომატოგრაფიას ქაღალდზე ატარებენ შემდეგნაირად:** საანალიზო ნივთიერების ნარევის ერთ წვეთს დაიტანებ ქრომატოგრაფიულ ქაღალდზე, მისი ბოლოდან გარკვეულ მანძილზე და ამ ბოლოთი ქაღალდს უშეებენ ჭურჭელში, რომლის ფსკერზე იმყოფება გამსხველი (მოძრავი ფაზა). ანალიზის ჩასატარებლად შეიძლება გამოვიყენოთ ბრტყელძირიანი კონუსური კოლბა, რომლის ფსკერზე იმყოფება გამსხველი, ხოლო კოლბის ყელში ათავსებენ საცობს, რომლის ქვედა ნაწილში ჩამაგრებულია კაუჭი და ამ კაუჭზე შეიძლება ჩამოვკიდოთ ქრომატოგრაფიული ქაღალდის ზოლი. ცოტა ხნის შემდეგ ქაღალდის კაპილარები გაიყდინთება გამსხველით, რის შედეგადაც ქაღალდზე დატანებული საანალიზო ნარევის ნივთიერებები გადავლიან მოძრავ ფაზაში, ანუ გამსხველში და მასთან ერთად დაიწყებენ გადაადგილდებას ქაღალდის კაპილარებზე ქვემოდან ზემოთ. რადგანაც სხვადასხვა ნაერთები სხვადასხვანაირად სორბირდება ქაღალდის მიერ, ამიტომ ისინი სხვადასხვა სისწრაფით გადაადგილდებიან ქაღალდზე და წარმოქმნიან ფერად ზოლებს.

თუ საანალიზო ნაერთების ნარევი შეფერილია, მაშინ ქრომატოგრამაზე წარმოიქმნება შეფერილი ზონები, ხოლო თუ ნივთიერებები უფეროა, მაშინ ქრომატოგრამას ესაჭიროება გამედავნება. **ქრომატოგრამის გამუდავნება ხდება შემდეგნაირად:** მიღებულ უფერო ქრომატოგრამას აშრობენ და ასხურებენ სპეციფიკური ინდიკატორის სსნარს, რომელიც იძლევა ნარევის კომპონენტებთან ფერად რეაქციას. გამსხველის მოძრაობის მიმართულების მიხედვით განასხვავებენ: აღმავალ, დაღმავალ და წრიულ ქრომატოგრამებს. წრიული ეწოდება ქრომატოგრამას, როცა საანალიზო ნარევი დატანებულია ქაღალდის წრის ცენტრში, აქვე დააქვთ გამსხველი და ამ შემთხვევაში გამსხველი მოძრაობს ცენტრიდან პერიფერიებისაკენ.

სხვადასხვა ნივთიერების ქაღალდზე დაყოფის უნარის **რაოდენობრივი მახასიათებელია ხიდიდე Rf** – ეს მაჩვენებელი გამოხატავს საანალიზო ნივთიერების მიერ გავლილი მანძილის შეფარდებას იმავე დროში სუფთა გამსხველის მიერ გავლილ მანძილთან. თუ ამ უკანასკნელს ჩათვლიან 1-ის ტოლად (რაც ხდება უმრავლეს შემთხვევაში), მაშინ სხვადასხვა ნაერთებისათვის **Rf-ხიდიდე დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:**

1. საანალიზო ნივთიერების ბუნებაზე;
2. ქრომატოგრაფიული ქაღალდის სორტზე;
3. ქრომატოგრაფიულ ქაღალდზე ბოჭკოების მიმართულებაზე;
4. ტემპერატურაზე;
5. ექსპერიმენტის ჩატარების პირობებზე.

თუ ექსპერიმენტის ჩატარების პირობები ერთნაირია, მაშინ ერთი და იმავე ნივთიერებისათვის, ან თვისებებით მსგავსი ნივთიერებათა ჯგუფისათვის **Rf** სიდიდე იქნება შედარებით მუდმივი. რაც უფრო მეტია სხვაობა ორი ნივთიერების **Rf** სიდიდეს შორის, მით უფრო ადგილად შეიძლება მათი გამოყოფა ქაღალდის ქრომატოგრაფიის წესით.

გამანაწილებელი ქრომატოგრაფიის ქაღალდის წესი გამოიყენება უმთავრესად ნარევების თვისებითი ანალიზის ჩასატარებლად და მისი საშუალებით არ შეიძლება განისაზღვროს ნარევის შემადგენელი კომპონენტების რაოდენობა (რაოდენობითი ანალიზი).

გამანაწილებელი ქრომატოგრაფიის ერთ-ერთ სახეობად ითვლება **გაზ-ხითხური ქრომატოგრაფია**. ამ მეთოდში „გადამტანი“ არ მონაწილეობს სორბციულ პროცესში, არამედ იგი მხოლოდ ქმნის გამსხველისათვის დიდ ზედაპირს. ამიტომ „გადამტანის“ უნდა გააჩნდეს დიდი ზედაპირი და ამავე დროს იგი უნდა იყოს ინერტული საანალიზო ნარევის

კომპონენტების მიმართ. “გადამტანის” როლში ხშირად იყენებენ ცეოლითს. უძრავი ფაზის როლს ასრულებს სითხე, რომელმაც უნდა გახსნას საანალიზო ნარევის ყველა კომპონენტი, მაგრამ უნდა გახსნას სხვადასხვანაირად. მაშასადამე, უძრავ ფაზას უნდა გააჩნდეს შერჩევითი, ანუ სელექტიური გახსნის უნარი საანალიზო ხსნარის სხვადასხვა კომპონენტების მიმართ. გარდა ამისა, უძრავი ფაზა უნდა იყოს ქიმიურად ინერტული და არააქტოლადი. უძრავი ფაზის როლში იყენებენ სხვადასხვა ხსნარებს, რომელთაც გააჩნიათ მაღალი დუდილის ტემპერატურა, მაგალითად: ვაზელინის ზეთი, ტრიეტოლენგლიკოლი, დიტუტილფტალატი, ტრიკრეზილფოსფატი.

**გაზ-სითხური ქრომატოგრაფიის ჩატარების მსჯლელობა შემდეგია:** საანალიზო ნარევს სპეციალური მოწყობილობის – **დოზატორის** მეშვეობით შეიტანეს ქრომატოგრაფიულ სვეტში, სადაც საანალიზო ნარევი შთანთქმება უძრავი ფაზის, ანუ სითხის მიერ. ამ მომენტში საანალიზო ნარევის დაყოფა ჯერ კიდევ არ მიმდინარეობს და ეს ნარევი შთანთქმება ქრომატოგრაფიული სვეტის ზედა, შედარებით მცირე მონაკვეთში. ამის შემდეგ ქრომატოგრაფიულ სვეტში გაატარებენ გაზის უწყვეტ ნაკადს. სწორედ გაზი წარმოადგენს „გადამტანს“, რომელიც არ ურთიერთქმედებს არც უძრავ გამხსნელთან, ანუ სითხესთან და არც საანალიზო ნარევის კომპონენტებთან. **ასეთ გაზებს წარმოადგენებ:**  $H_2$ ,  $He$  და ზოგ შემთხვევაში ჰაერის ნაკადი.


ქრომატოგრაფიულ სვეტში გაზ-გადამტანის გავლისას, ნარევის კომპონენტები გადაადგილდებიან ზემოდან ქვემოთ და მათი გადაადგილების სიჩქარე დამოკიდებული იქნება მათ ბუნებაზე. ის კომპონენტები, რომლებიც ძნელად იხსნებიან გამხსნელში და ამის გამო სუსტად კავდებიან უძრავი ფაზის მიერ, გადაადგილდებიან გაზის ნაკადით ქრომატოგრაფიულ სვეტში უფრო დიდ მანძილზე. ხოლო ის კომპონენტები, რომლებიც კარგად იხსნებიან გამხსნელში და ამის გამო ძლიერად კავდებიან უძრავი ფაზის მიერ, გადაადგილდებიან შედარებით მცირე მანძილზე. ამ პროცესის შედეგად მოხდება საანალიზო ნარევის დაყოფა შემაღვენელ კომპონენტებად და ცალკეული ფერადი ზონების წარმოქმნა. გაზ-გადამტანის შემდგომი გატარებით ქრომატოგრაფიულ სვეტში, საანალიზო ნარევის კომპონენტები ერთიმეორის მიყოლებით გამოძევდებიან ქრომატოგრაფიული სვეტიდან და პირველად გამოძევდება ის კომპონენტი, რომელიც ყველაზე ცუდად იხსნება გამხსნელში. ყოველი კომპონენტის გამოსვლის შემდეგ, ქრომატოგრაფიული სვეტიდან გამოგა სუფთა გაზ-გადამტანის რაღაც რაოდენობა, რომელიც ჰყოფს ფერად ზონებს.

## XVIII.7. ქრომატოგრაფის პრინციპული სქემა. ქრომატოგრამის აგების პრინციპები

**ქრომატოგრაფი შედგება:** დეტექტორისგან, მარეგისტრირებელი ხელსაწყოსგან, შედარების სვეტისგან და საანალიზო სვეტისგან, ამაორთქლებლისგან, წნევის რეგულატორისაგან და ფილტრისგან (ნახ. 33).

**ქრომატოგრაფის მუშაობის პრინციპი მდგრადებელი შემდეგ ში:** ქრომატოგრაფიული სვეტისგან გამოსული გაზის ნაკადი შედის ღეგეჭორში (1). დეტექტორი წარმოადგენს ხელსაწყოს, რომლის მგძნობიარე ელემენტი იჭერს გაზის ნაკადის რომელიმე ფიზიკური მაჩვენებლის მნიშვნელობას: თბოგამტარობას, სიმკვრივეს, ელექტროგამტარობას. დეტექტორის მგრძნობიარე ელემენტი გაზის ნაკადის ამ ცვლილებას სიგნალის სახით მიაწოდებს ჩამწერ ანუ მარეგისტრირებელ ხელსაწყოს (2).

**ქრომატოგრაფის პრინციპული სქემა შემდეგნაირია:** გაზის ნაკადი ბალონიდან მიეწოდება თავდაპირველად ფილტრს (9) შემდეგ ხვდება წნევის რეგულატორზე (8) და ფიქსირდება მანომეტრის მეშვეობით (7). წნევის რეგულატორს (8), გაზის ხარჯვის რეგულატორს (6) და მანომეტრს (7) ერთად აღებულს უწოდებენ გაზების მომზადების ბლოკს, რომელიც უზრუნველყოფს გაზ-მატარებლის ხარჯვის რეგულირებას, სტაბილიზაციას და წმენდას. ამის შემდეგ გაწმენდილი გაზი მიეწოდება ამაორთქლებელს (4), იქიდან კი – შედარების და საანალიზო სვეტებს (3,5).



1. დეტექტორი
2. მარეგისტრირებელი ხელსაწყო
3. შედარების სვეტი
4. ამაორთქლებელი
5. საანალიზო სვეტი
6. გაზის ხარჯვის რეგულატორი
7. მანომეტრი
8. წნევის რეგულატორი
9. ფილტრი

ნახ. 33. ქრომატოგრაფის პრინციპული სქემა

უნდა აღინიშნოს, რომ ამაორთქლებელი ორივე სვეტთან ერთად, მოთავსებულია თერმოსტატში, სადაც სპეციალური მარეგულირებელი დანადგარები ინარჩუნებენ თავდაპირველ ტემპერატურას. ამაორთქლებელში ასევე მიეწოდება საანალიზო ნივთიერების სინჯი მადოზირებელი ხელსაწყოს, ანუ დოზატორის მეშვეობით. თუ საანალიზო ნივთიერებები გაზებია, მისაწოდებლად გამოიყენება გაზის პიპეტები, ხოლო თუ საანალიზო ნივთიერებები სითხეებია, ისინი მიეწოდება სპეციალური მიკროშპრიცებით.

რაც შეეხება მყარ ნივთიერებებს, მათ წინასწარ ხსნიან შესაბამის გამხსნელში და ასეთი სახით მიაწოდებენ ამაორთქლებელს. ტემპერატურა ამაორთქლებელში გაცილებით მაღალია, ვიდრე ტემპერატურა ქრომატოგრაფიულ სვეტში, ამიტომ საანალიზო სინჯის

ორთქლი გაზ-გადამტანის ნაკადით წარიტაცება **საანალიზო ხევეტში (5)**. როგორც ნახაზზე ჩანს, საანალიზო ხევეტის პარალელურად, ქრომატოგრაფს გააჩნია **შედარების ხევეტი (3)**. ეს ხევეტი შევსებულია იგივე სორბენტით, როგორც საანალიზო ხევეტი და მასში გადის სუფთა გაზ-გადამტანი იმავე სიჩქარით, როგორც საანალიზო ხევეტში. მაშასადამე შედარების ხევეტი ქრომატოგრაფიულ ანალიზში თამაშობს იგივე როლს, როგორც საკონტროლო ცდა ქიმიურ ანალიზში. ორივე ხევეტიდან (3,5) გამომავალი გაზის ნაკადი შემდეგ ხვდება **დეტექტორში (1)**.

### **დეტექტორს, თავის მხრივ, გააჩნია ორი კამერა:**


a) **შედარების კამერა**, სადაც ხვდება შედარების ხევეტიდან (3) გამოსული სუფთა გაზ-გადამტანი;

b) **გამზომი კამერა**, სადაც ხვდება საანალიზო ნივთიერებებისა და გაზ-გადამტანის ნარევი საანალიზო ხევეტიდან (5).

სანამ ორივე კამერაში მიეწოდება სუფთა გაზ-გადამტანი, მანამ დეტექტორის გამზომი სქემა იმყოფება წონასწორობაში და მარეგისტრირებული ხელსაწყო (2) ოვითჩამწერის კალმით ქაღალდის ლენტზე წერს „**ნულოვან ხაზს**“. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა საანალიზო ხევეტიდან დეტექტორში, სუფთა გაზ-გადამტანთან ერთად, გამოძევდება საანალიზო ნარევი, დეტექტორის გამზომი სქემის წონასწორობა მაშინვე დაირღვევა. ამ დროს დეტექტორში წარმოიქმნება სიგნალი, რომელიც ავტომატურად ხვდება ჩამწერ ხელსაწყოზე და ფიქსირდება თვითჩამწერი კაღმის მიერ, როგორც გადახრა ნულოვანი ხაზიდან – ამ დროს წარმოიქმნება ნახაზზე **პიკი**.

### **დეტექტორის მიერ მიწოდებული სიგნალი დამოკიდებულია:**

1. საანალიზო ნარევის ამა თუ იმ კომპონენტის ბუნებაზე;
2. საანალიზო ნარევის ამა თუ იმ კომპონენტის კონცენტრაციაზე;



ორკომპონენტიანი ნარევის  
ქრომატოგრამა  
n-სიგნალი;  $\tau$  – დრო (მოცულობა)

დეტაქტორის მიერ გადაცემული სიგნალით შეიძლება განისაზღვროს ქრომატოგრაფიული სვეტიდან საანალიზო ნარევის ყოველი მომდევნო კომპონენტის გამოსვლის დასაწყისი და დასასრული, ამიტომ დეტაქტორის მიერ გადაცემული სიგნალის საფუძველზე, ქაღალდის ლენტზე თვითხაწერის კალმით იწერება ქრომატოგრაფიული მრუდი, ანუ **ქრომატოგრამა**, რომლის აბსცისთა დერძზე მოცემულია **დრო** – τ ან მოცულობა – M-ში, ხოლო ორდინატთა დერძზე მოცემულია დეტაქტორის მიერ მიწოდებული სიგნალის ინტენსივობა n (ნახ. 34).

სანამ ორივე ქრომატოგრაფიულ სვეტში (შედარების სვეტში და საანალიზო სვეტში) მიედინება სუფთა გაზ-გადამტანი, ქრომატოგრამაზე იხაზება პირდაპირი ხაზი, რომელსაც მეორენაირად ძირითადი ანუ ნულოვანი ხაზი ეწოდება – A. როდესაც საანალიზო სვეტში შეჰყავთ საკვლევი ნივთიერების ნარევი, პირველად სვეტიდან გამოედინება ყველაზე ადვილად აქროლადი კომპონენტები, ანუ ისეთი კომპონენტები, რომლებიც გაცილებით სუსტად შეკავდებიან უძრავი ფაზის მიერ, ვიდრე სხვები. ამ დროს ქრომატოგრამაზე გამოისახება შესაბამისი პიკი – D, რომლის შუა წერტილი იმყოფება – B წერტილში. ეს არის **I-ლი პიკი**.

იმის შემდეგ, როცა პირველი კომპონენტი სრულად გამოძევდება ქრომატოგრაფიული სვეტიდან, მას მოჰყვება ისევ სუფთა გაზ-გადამტანი, რომელიც აცალკევებს პირველ კომპონენტს მოძევნო კომპონენტისაგან, ამიტომ ქრომატოგრამაზე კვლავ გამოისახება ძირითადი ანუ ნულოვანი ხაზი. შემდეგ საანალიზო სვეტიდან გამოედინება საანალიზო ნარევის მომდევნო კომპონენტი, ამიტომ ქრომატოგრამაზე აღინიშნება **ზე-2 პიკი**, რომლის შუა წერტილი იქნება – C წერტილი.

ამრიგად, **ქრომატოგრამას უქნება პიკების ფორმა**, რომლებიც განლაგებულია ძირითადი ანუ ნულოვანი ხაზის მიმართ და ქრომატოგრამას ექნება იმდენი პიკი, რამდენიცაა საანალიზო ნარევში შემავალი კომპონენტების რიცხვი. მანძილი პიკიდან ნულოვან წერტილამდე შეესაბამება იმ დროს, რომლის განმავლობაშიც საკვლევი კომპონენტი გაივლის საანალიზო ქრომატოგრაფიულ სვეტს. ამ დროის მონაკვეთს შეესაბამება გაზ-გადამტანის შესაბამისი მოცულობა.

დროის ამ მონაკვეთს უწოდებენ **შეკავების დროს**, ხოლო დროის ამ მონაკვეთში დახარჯული გაზ-გადამტანის შესაბამის მოცულობას უწოდებენ **შეკავების მოცულობას**. შეკავების მოცულობა დამოკიდებულია ქრომატოგრაფიულ სვეტში საკვლევი კომპონენტის გავლის სიჩქარეზე. კერძოდ, რაც უფრო მცირეა შეკავების მოცულობა, მით უფრო ჩქარა გამოდის კომპონენტი. ანალიზის მსვლელობისას ტემპერატურის გაზრდა ხელს უწყობს ქრომატოგრაფიული სვეტიდან კომპონენტების გამოსვლის დაჩქარებას, რაც შესაძლებლობას იძლევა შევამციროთ ანალიზის ჩატარების დრო.

ნარევის კომპონენტების შემცველობის გამოსათვლელად იყენებენ **პიკის ფართობს** – S, რომელიც გამოითვლება **შემდეგნაირად**: ამ დროს პიკის სიმაღლეს ამრავლებენ პიკის სიგანეზე, ანუ იმ სიგანეზე, რომელიც გაზომილია პიკის სიმაღლის შუა წერტილში. ნახაზზე პიკის სიგანეს შეესაბამება EF.

$$\mathbf{S} = \mathbf{h} \cdot \mathbf{a}, \quad \mathbf{a} = \mathbf{E} \cdot \mathbf{F}, \quad \mathbf{h} = \mathbf{D} \cdot \mathbf{B}, \quad \text{სადაც:}$$

**S** – არის პიკის ფართობი;

**h** – არის პიკის სიმაღლე;

**a** – არის პიკის სიგანე;

## თავი XIX. ატომურ-აბსორბციული ანალიზი

### XIX.1. ატომურ-აბსორბციული ანალიზის არსი, სახეობები

ანალიზურ ქიმიაში ხშირად საჭირო ხდება განისაზღვროს ნივთიერების უმნიშვნელო, ანუ ძალიან მცირე რაოდენობა, რასაც ეწოდება კალი. მაგალითად, მეტალებში სხვადასხვა მინარევების შემცველობა აღწევს მეთასედ პროცენტს. ასეთი მცირე რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია ჩვეულებრივი ქიმიური მეთოდების საშუალებით. ამიტომ ხშირად ასეთ შემთხვევაში მიმართავენ და იყენებენ ოპტიკურ მეთოდებს. **ოპტიკური მეთოდის მეშვეობით** დგინდება დამოკიდებულება საანალიზო ნივთიერების შემადგენლობასა და მის ოპტიკურ თვისებებს შორის. ოპტიკურ მეთოდს მიეკუთვნება ატომურ-აბსორბციული სპექტრული ანალიზი, რომლის ჩატარება შეიძლება როგორც სინათლის სხივის თვალით ხილულ, ასევე უხილავ – ულტრაიისფერ (უ) და ინფრაწითელ (ი) უბნებში. ატომურ-აბსორბციული ანალიზი დაფუძნებულია ატომებისა და მოლეკულების უხარზე, შთანთქმის გარკვეული ტალღის სიგრძის მქონე გამოსხივება. ამ მეთოდის სახელწოდება წარმოდგება ლათინური ფუძისგან „*absorptio*”, რაც ნიშნავს „შთანთქმას“. ამრიგად, ოპტიკურ მეთოდებს ხშირად ატომურ-აბსორბციულ მეთოდებსაც უწოდებენ და შუქშთანთქმის მეთოდებსაც. ოპტიკური მეთოდები განსაზღოვრებით ფართოდ გამოიყენება ნივთიერებათა სსნარების საანალიზოდ და დაფუძნებული არიან სსნარების მიერ შუქშთანთქმის დამოკიდებულებაზე ამ საანალიზო სსნარში არსებული საკვლევი ნივთიერების ბუნებასთან და კონცენტრაციასთან. მაშასადამე, სსნარში საკვლევი ნივთიერების კონცენტრაცია პროპორციულია ამ სსნარში გავლილი სინათლის ნაკადის შთანთქმის ხარისხისა.

**ხელსაწყოთა ტიპების მიხედვით, ოპტიკური მეთოდი იყოფა შემდეგ სახეობებად:**

1. **კოლორიმეტრია** – ეს მეთოდი დაფუძნებულია შეფერილი სსნარების მიერ სინათლის სხივის შთანთქმაზე და ამ შთანთქმის ინტენსივობა განისაზღვრება ვიზუალურად, ანუ თვალით. კერძოდ, თვალით ადარებენ სინათლის ნაკადის ინტენსიონას, გამავალს სტანდარტულ და საანალიზო სსნარებში.

2. **ფოტოკოლორიმეტრია** – იგი დაფუძნებულია საანალიზო სსნარის მიერ პოლიქრომატული (სხვადასხვა ტალღის სიგრძის მქონე სხივები) გამოსხივების შთანთქმაზე. ამ დროს საანალიზო და სტანდარტულ სსნარში გამავალი სინათლის ნაკადის ინტენსიონას ზომავენ სპეციალური ხელსაწყოების მეშვეობით, რომელთაც ფოტოკოლორიმეტრები ეწოდება.

3. **სპექტროფოტომეტრია** – იგი დაფუძნებულია ერთგვაროვანი, ანუ ჰომოგენური სისტემის მიერ შთანთქმული მონოქრომატული (ერთი ტალღის სიგრძის მქონე სხივი) სინათლის ნაკადის გაზომვაზე და ეს გაზომვები წარმოებს სინათლის როგორც ხილულ, ასევე თვალით უხილავ ულტრაიისფერ და ინფრაწითელ უბნებში. ე.ი. სპექტროფოტომეტრიის გამოყენება შეიძლება სინათლის სპექტრის სამივე უბანში: ხილულში, ულტრაიისფერში და ინფრაწითელში.

4. **ნეფელომეტრია** – იგი დაფუძნებულია სინათლის ნაკადის ინტენსიონის გაზომვაზე, რომელსაც გაფიანტავს საანალიზო ნივთიერების სუსპენზიის ნაწილაკები. გაფიანტული სხივის ინტენსიონი პროპორციულია საანალიზო ნივთიერების კონცენტრაციისა. ამ მეთოდით ისაზღვრება წყალში უხსნადი ნივთიერებების კონცენტრაცია, რომელებიც წარმოქმნიან მდგრად სუსპენზიებს გახსნისას. მაგალითად, შეიძლება განისაზღვროს  $Ag^+$ -ის იონების კონცენტრაცია  $AgCl$ -ის სუსპენზიაში; ასევე  $Ba^{2+}$ -ის იონების კონცენტრაცია  $BaSO_4$ -ის სუსპენზიაში და სხვა.

ნეფელომეტრულ განსაზღვებს ატარებენ ხელსაწყო ნეფელომეტრზე, რომელიც კოლორიმეტრის ანალოგიურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნეფელომეტრზე დაკვირვებას აწარმოებენ არა პირდაპირ, არამედ გვერდიდან, რადგანაც ამ დროს აკვირდებიან გაფანტულ სხივს. ნივთიერების კონცენტრაციას ნეფელომეტრიაში გამოითვლიან

დანაყოფიანი (გრადუირებული) გრაფიკის მეშვეობით, რომელიც წინასწარ იქნება მომზადებული სტანდარტული სუსპენზიების სერიის საფუძველზე.

**5. ტურბიდიმეტრია** – იგი დაფუძნებულია სუსპენზიაში გამავალი სინათლის ნაკადის ინტენსიონის გაზომვაზე, რომელიც პირდაპირპროპორციულია საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციისა. ტურბიდიმეტრიულ გამოკვლევებს ატარებენ კოლორიმეტრებზე და ფოტოკოლორიმეტრებზე, ხოლო საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციის გაანგარიშებას აწარმოებენ დანაყოფებიანი გრაფიკის მეშვეობით, რომლსაც აგებენ სტანდარტული სუსპენზიების სერიის საფუძველზე.

**6. რეფრაქტომეტრია** – იგი დაფუძნებულია საანალიზო ხსნარის მიერ მასში გამავალი სინათლის ხსივის გარდატეხის მაჩვენებლის განსაზღვრაზე. რეფრაქტომეტრული ანალიზით შეიძლება განისაზღვროს საკვლევი ნივთიერების შემცველობა ხსნარებში ან ხსნარების ნარევში.

## XIX.2. შუქმთანთქმის კანონები. ბუგერ-ლამბერტ-ბერის განტოლება.

ხაანალიზო ხსნარის მიერ შთანთქმული სინათლის რაოდენობრივი დამოკიდებულება საკვლევი ნივთიერების ბუნებასა და კონცენტრაციაზე გამოისახება სინათლის შთანთქმის კანონებით, რომლებიც მდგომარეობს შემდეგ ში: სინათლის ნაკადი, რომლის ინტენსიონია  $I_0$ , ეცემა კიუვეტას, რომელშიც იმყოფება შეფერილი საანალიზო ხსნარი. ამ ხსივის ერთი ნაწილი აირეკლება კიუვეტის ზედაპირიდან და მისი ინტენსიონია –  $I_r$ . სინათლის ხსივის მეორე ნაწილი შთანთქმება საანალიზო ხსნარის მიერ და მისი ინტენსივობაა –  $I_a$ , ხოლო სინათლის ხსივის მესამე ნაწილი გაივლის საანალიზო ხსნარში და მისი ინტენსივობაა –  $I_t$  (ნახ. 35).

სინათლის ხსივის სამივე ნაწილს შორის არსებობს შემდეგი დამოკიდებულება:

$$I_0 = I_r + I_a + I_t \quad (1)$$

როცა იყენებენ ერთსა და იმავე ზომის კიუვეტას, მაშინ არეკლილი სინათლის ნაკადის ინტენსივობა –  $I_r$  მუდმივია და  $I_r = const$ , მაშინ

$$I_0 = I_a + I_t \quad (2)$$

$I_a$  – უშუალოდ არის დამოკიდებული საანალიზო ხსნარში საკვლევი ნივთიერების მოლექულების ან იონების არსებობაზე, ამიტომ  $I_a$  -ს განსაზღვრა პირდაპირ შეუძლებელია.  $I_a$  გამოითვლება საანალიზო ხსნარზე დაცემული სინათლის ინტენსივობასა და საანალიზო ხსნარში გამავალი სინათლის ინტენსივობას შორის სხვაობით:

$$I_a = I_0 - I_t \quad (3)$$

სადაც:  $I_0$  – არის საანალიზო ხსნარზე დაცემული სინათლის ინტენსიონი;

$I_t$  – არის საანალიზო ხსნარში გამავალი სინათლის ინტენსიონი.

### სინათლის შთანთქმის ინტენსივობა დამოკიდებულია:

1. საკვლევი ნივთიერების ბუნებაზე;
2. საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციაზე;
3. საანალიზო ხსნარის ფენის სისქეზე.

ე.ი ნივთიერების კონცენტრაციის და ხსნარის ფენის სისქის გაზრდით, გაიზრდება სინათლის შთანთქმის ინტენსიონი.

ამრიგად, საანალიზო ხესნარში გავლისას, სინათლის ნაკადი კარგავს ინტენსიობას და მით მეტი რაოდენობით, რაც უფრო მეტი მოლეკულები ან იონებია საანალიზო ხესნარში. სწორედ ამიტომ, სინათლის ნაკადის ინტენსიობის შესუსტება ხესნარში გავლისას, დამოკიდებული იქნება არა მარტო საკვლევი ნივთიერების ბუნებაზე, არამედ მის კონცენტრაციისა და საანალიზო ხესნარის ფენის სისქეზე.

ბუგერის და ლამბერტის მიერ დადგენილი იქნა ურთიერთკავშირი საანალიზო ხესნარის ფენის სისქესა და ამ ხესნარის მიერ სინათლის ნაკადის შთანთქმის ინტენსიობას შორის – ეს დამოკიდებულება ჩამოყალიბდა **ბუგერ-ლამბერტის კანონად** და გამოითქმება შემდეგნაირად: **საკვლევი ნივთიერების შემცველი საანალიზო ხესნარის ერთი და იგივე სისქის ფენები ყოველთვის შთანთქავენ სინათლის ნაკადის ერთხა და იგივე ნაწილს:**

$$I_t = I_0 \cdot e^{-kl} \quad (4)$$


სადაც:  $I_t$  – არის საანალიზო ხესნარში გამავალი სინათლის ნაკადის ინტენსიობა;

$I_0$  – არის საანალიზო ხესნარზე დაცემული სინათლის სივის ინტენსიობა;

$e$  – ნატურალური ლოგარითმის ფუძე;

$k$  – სინათლის შთანთქმის კოეფიციენტი;

$l$  – საანალიზო ხესნარის ფენის სისქე.



ნახ. 35.

(4) ფორმულა შეიძლება ჩაიწეროს ლოგარითმების ათობითი სისტემის გამოყენებით შემდეგნაირად:

$$I_t = I_0 \cdot 10^{-kl} \quad (5)$$

კოეფიციენტი  $k$  დამოკიდებულია არა მხოლოდ საკვლევი ნივთიერების ბუნებაზე, არამედ მის მიერ შთანთქმული სინათლის ტალღის სიგრძეზეც. რაოდენობრივად  $k$  ტოლია ხესნარის ფენის სისქის უკუპროპორციული სიდიდისა, რომელიც ასუსტებს სინათლის ნაკადის ინტენსიობას 10-ჯერ, ე.ი.  $k = \frac{1}{10}$

ბუგერ-ლამბერტის კანონი სამართლიანია მონოქრომატული სივისთვის, ანუ ერთი გარკვეული ტალღის სიგრძის მქონე სივისათვის. ამის შემდეგ ბერმა შეისწავლა სინათლის ნაკადის შთანთქმის ცვლილება მუდმივი სისქის მქონე ხესნარის ფენის მიერ, როცა ამ ხესნარში საკვლევი ნივთიერების კონცენტრაცია იყო ცვალებადი და დაადგინა შემდეგი: **სინათლის შთანთქმა პირდაპირპორციულია საანალიზო ხესნარში მყოფი საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციისა.** ბერის კანონი მათემატიკურად შემდეგნაირად გამოისახება:

$$k = \varepsilon \cdot c \quad (6),$$

- სადაც: **k** – არის სინათლის შთანთქმის კოეფიციენტი;
- ε** – არის პროპორციულობის მოლური კოეფიციენტი, რომელიც არ არის დამოკიდებული საანალიზო ნივთიერების კონცენტრაციაზე, მაგრამ დამოკიდებულია საანალიზო ნივთიერების ბუნებაზე;
- c** – არის საკვლევი ნივთიერების კონცენტრაცია საალიზო ხსნარში.
- თუ გავაერთიანებთ ბუგერ-ლამბერტის და ბერის ფორმულებს, მივიღებთ **ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონის მათემატიკურ გამოსახულებას:**
- $$I_t = I_0 \cdot 10^{-\varepsilon \cdot c \cdot l} \quad (7)$$

$\frac{I_t}{I_o}$  – წარმოადგენს სინათლის ნაკადის გატარების მაჩვენებელს და აღინიშნება **T** ასოთი,

$$\text{მაშინ: } T = \frac{I_t}{I_o} = \frac{I_0 \cdot 10^{-\varepsilon \cdot c \cdot l}}{I_o} = 10^{-\varepsilon \cdot c \cdot l} \quad (8)$$

$$\text{ე.ი. } T = 10^{-\varepsilon \cdot c \cdot l} \quad (9)$$

როცა  $l = 1$  მმ, მაშინ მას ეწოდება სინათლის გატარების კოეფიციენტი.

$\lg \frac{1}{T}$  სიღიდუს უწოდებენ ოპტიკურ სიმკვრივეს ანუ შთანთქმას და იგი აღინიშნება

D ასოთი:

$$D = \lg \frac{1}{T} = \lg \frac{1}{10^{-\varepsilon \cdot c \cdot l}} \quad (10), \quad D = \varepsilon \cdot c \cdot l \quad (11)$$

(11) განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ სინათლის შთანთქმა – **D** პირდაპირპროპორციულია საანალიზო ხსნარში არსებული საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციის და საანალიზო ხსნარის ფენის სისქისა.

### XIX.3. შუქშთანთქმის სპექტრი

უფერული მზის სხივი, პრიზმაში გავლისას, იშლება რამდენიმე ფერად სხივად, რომლებიც განსხვავდებიან ტალღის სიგრძის მიხედვით. მზის სხივი წარმოადგენს პოლიქრომატულს, ანუ მრავალი ტალღის სიგრძის სხივებისაგან შემდგარს, ხოლო დაშლის შემდეგ მიიღება ერთი გარკვეული ტალღის სიგრძის (შეფერილობის) მონოქრომატული სხივი. მონოქრომატული სინათლის სხივის ტალღის სიგრძე იზომება ნანომეტრებში (ნმ) ან მიკრომეტრებში (მკმ). სინათლის სპექტრი იყოფა თვალით ხილულ ზონად და თვალით უხილავ ზონად.

**თვალით ხილულ ზონაში შედის 400-დან 800 ნმ-მდე ტალღის სიგრძის მქონე სინათლის სხივები.**

**თვალით უხილავი ზონა კი, თავის მხრივ, იყოფა ორ ქვეზონად:**

- 1) **ულტრაიისფერი (უი)** – ამ ზონაში შემავალი სხივების ტალღის სიგრძე  $100 - 400$  ნმ-ია.
- 2) **ინფრაწითელი ზონა (იწ)** – ამ ზონაში შემავალი სხივების ტალღის სიგრძე  $> 800$  ნმ-ზე.

**ტალღის სიგრძეს აღნიშნავენ λ-სიმბოლოთი. შეფერილი ხსნარების მიერ სინათლის სხივის შთანთქმის გრაფიკული დამოკიდებულება ტალღის სიგრძესთან – D/λ იწოდება შუქშთანთქმის სპექტრად. შეფერილი ხსნარები, რომლებიც შთანთქმავენ სინათლის სხივებს თვალით ხილული სპექტრის სხვადასხვა უბნებში, გვეჩვენება სხვადასხვანაირად**

შეფერილი. მაგალითად, კალიუმის ბიქრომატის  $K_2Cr_2O_7$ -ის ხსნარი – ყველაზე ინტენსიურად შთანთქავს ლურჯ სხივს, რომლის ტალღის სიგრძეა  $\lambda=450-480$  ნმ და ამ დროს ეს ხსნარი გვეჩვენება ყვითლად შეფერილი. სპილენბის ამიაკატის ხსნარი –  $[Cu(NH_3)_4](OH)_2$  ყველაზე ინტენსიურად შთანთქავს ყვითელ სხივს, რომლის ტალღის სიგრძე  $\lambda=575-590$  ნმ და ეს ხსნარი გვეჩვენება ლურჯად შეფერილი.

მე-15 ცხრილში მოცემულია ხსნარების მიერ ყველაზე ინტენსიურად შთანთქმული სინათლის სხივების ფერების შესაბამისად, ამ ხსნარების მიერ მიღებული შეფერილობა.

### ცხრილი №15


#### ხილული სპექტრის ძირითადი და დამატებითი ფერები

შთანთქმული სხივის ფერი	ტალღის სიგრძე $\lambda$ , ნმ	ხსნარის მიღებული ფერი
იისფერი	400 – 450	მოყვითალო-მწვანე
ლურჯი	450 – 480	ყვითელი
მომწვანო-ლურჯი	480 – 490	ნარინჯისფერი
მოლურჯო-მწვანე	490 – 500	წითელი
მწვანე	500 – 560	სისხლისფერი წითელი
მოყვითალო-მწვანე	560 – 575	იისფერი
ყვითელი	575 – 590	ლურჯი
ნარინჯისფერი	590 – 625	მომწვანო-ლურჯი
წითელი	625 – 750	მოლურჯო-მომწვანო

სხვადასხვა ქიმიური თვისებების მქონე ხსნარები შთანთქავენ სხვადასხვა სიგრძის ტალღებს, ამიტომ ამ ხსნარების ოპტიკური სიმკვრივე – **D** დამოკიდებულია მათზე დაცემული სხივის ტალღის სიგრძეზე. ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის დამოკიდებულება მასზე დაცემული სინათლის სხივის სიგრძეზე – **λ** არის მნიშვნელოვანი მახასიათებელი სხნარების ოპტიკური თვისებებისა და ამ მახასიათებლის გამოსახვა შეიძლება გრაფიკულად მრულის სახით. ამისათვის აბსცისთა დერძზე დააჭვო დაცემული სხივის ტალღის სიგრძე – **λ**, ხოლო ორდინატა დერძზე – ამ სიგრძის შესაბამისი ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე – **D**.

ნივთიერების შთანთქმის სპექტრში ხდება **სინათლის სხივის მაქსიმალური შთანთქმა, რომელიც ხასიათდება ხამი მაჩვენებლით** (ნახ. 36).

1. სინათლის ტალღის სიგრძით – **λ**, რომელიც ამ შემთხვევაში მაქსიმალურია;
2. მოლური შთანთქმის სიდიდით – **ε<sub>max</sub>**, რომელიც ასევე მაქსიმალურია;
3. შთანთქმის ზოლის სისქით – **2δ**.



ნახ. 36. შუქმთანთქმის სპექტრი


სინათლის ტალღის სიგრძის მაქსიმუმი დამახასიათებელია ყოველი ნივთიერებისათვის. რაც უფრო მეტია მოლური შთანთქმის სიდიდე  $-E$ , მით უფრო ინტენსიურია შეფერილობა და მით უფრო მგრძნობიარე და ზუსტია ოპტიკური მეთოდი. ამიტომ ოპტიკური ანალიზისათვის არჩევენ შეფერილ ნივთიერებათა ხსნარებს, ხოლო თუ ნივთიერებებს არ გააჩნიათ შეფერილობა, მაშინ მათზე წინასწარ ატარებენ ქიმიურ რეაქციას, რომლის შედეგადაც დებულობენ შეფერილ პროდუქტებს და შემდეგ მას საზღვრავენ ოპტიკურად. ასეთ რეაქციებს ფოტომუტრული რეაქციები ეწოდება.

#### XIX.4. ოპტიკური სიმკვრივის და ხსნარის კონცენტრაციის დამოკიდებულების საკალიბრო გრაფიკის აგება

თუ სააანალიზო ხსნარი ექვემდებარება ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონს, მაშინ საანალიზო ხსნარში საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციის პოულობენ საკალიბრო (დანაყოფებიანი) გრაფიკის მეშვეობით, რომელიც გამოხატავს ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის დამოკიდებულებას საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციაზე –  $D/C$ .

ეს გრაფიკი ამ შემთხვევაში წარმოადგენს პირდაპირ ხაზს და იგი იგება სტანდარტული ხსნარების სერიის საფუძველზე (ნახ. 37). ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონი ირლვევა მაშინ, როცა საქმე გვაქვს ნივთიერების ძალზე მცირე ან ძალზე დიდ კონცენტრაციასთან, რაც იწვევს გრაფიკის გამრუდებას (ამ დროს  $D < 0,1$  ან  $D > 1,5$ ).

როცა  $D = 0,4 - 1,2$  მაშინ გაზომვებს ექნება მინიმალური ცდომილება და გრაფიკიც იქნება სწორხაზოვანი.



ნახ. 37.  $D/C$  საკალიბრო მრუდი

## თავი XX. კოლორიმეტრული ანალიზი

### XX.1. კოლორიმეტრიის თეორიული საფუძვლები

**კოლორიმეტრია** – ატომურ-აბსორბციული ანალიზის ყველაზე მარტივი მეთოდია, რომელიც პირველად შემოგვთავაზა სევერგინმა 1795წ. კოლორიმეტრიის მეთოდი დაფუძნებულია საანალიზო ხსნარის შეფერილობის შედარებაზე სტანდარტული ხსნარის ფერთან. თვითონ ცნება „ხსნარის შეფერილობა“ არის პირობითი, რადგანაც ეს არის სინათლის სპექტრის ხილული ნაწილის გამოსხივების შთანთქმა. ყოველი ნივთიერება შთანთქავს და აირეკლავს ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას და ყველა ნივთიერება, რომელსაც გააჩნია უნარი შთანთქოს 400–დან 800 ნმ-მდე ტალღის სიგრძის გამოსხივებას (ე.ი. თვალით ხილული სინათლე), წარმოადგენს შეფერილს. რაც უფრო ინტენსიურია ხსნარის შეფერილობა, მით უფრო მეტია ნივთიერების ან იონის კონცენტრაცია მოცემულ ხსნარში. თუ საანალიზო და სტანდარტული ხსნარების შეფერილობა ერთნაირია, ეს იმას ნიშნავს, რომ მათში ერთნაირია საკვლევი ნივთიერების რაოდენობა. თუ საანალიზო ხსნარის შეფერილობა უფრო ინტენსიურია, ვიდრე სტანდარტულისა, მაშინ საანალიზო ხსნარს ანზავებენ. იციან რა რამდენჯერ გაანზავეს იგი სტანდარტულთან შედარებით, შეიძლება განისაზღვროს მასში საკვლევი ნივთიერების ან იონის კონცენტრაცია:

კოლორიმეტრული მეთოდი გამოიყენება ნივთიერების უმცირესი რაოდენობის განსაზღვრისათვის, ამასთან, ამისათვის იხარჯება გაცილებით ნაკლები დრო.

**მრავალი ნივთიერების ხსნარი არ გქვემდებარება ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონს.  
ამის მნიშვნელოვან მიზეზად ითვლება:**

1. ხსნარში გარეშე იონების არსებობა;
2. საანალიზო ნივთიერების დისოციაციის ხარისხის ცვლილება გახსნის პროცესში, რომელიც მოქმედებს შეფერილობის შეცვლაზე და იწვევს ოპტიკური სიმკრივის შეცვლასაც;
3. ანალიზის პროცესში ხსნარების განსაზღვრისას ნივთიერებათა პიდროლიზის პროცესი ხელს უშლის ანალიზის ჩატარებას;
4. pH -ის ცვლილება, რომელიც, რომელიც იწვევს სინათლის შთანთქმის პროცესის დარღვევას;
5. ხსნარის ტემპერატურის ცვლილება.

## **XX.2. კოლორიმეტრიის ვიზუალური და ინსტრუმენტული მეთოდები**

კოლორიმეტრული ანალიზის დროს საანალიზო ხსნარის შეფერილობის ინტენსივობას ადარებენ ან სტანდარტული ხსნარის შეფერილობას, ან შედარების ხსნარის შეფერილობას, რომელიც არ შეიცავს საკვლევ ნივთიერებას.

**შედარებას ახდენენ ორი მეთოდით:**

1. ვიზუალური მეთოდით;
2. ინსტრუმენტული მეთოდით.

**ვიზუალური მეთოდების დროს ხდება საანალიზო და სტანდარტული ხსნარების ფერების გათანაბრება სხვადასხვა ხერხით:**

- ა) ხსნარის ფერის სისქის შეცვლით;
- ბ) ხსნარის კონცენტრაციის შეცვლით.

**ინსტრუმენტული მეთოდებით მუშაობისას** ხდება საანალიზო და სტანდარტული ხსნარების ფერების შედარება სპეციალური ხელსაწყოების მეშვეობით (ფოტოკოლორიმეტრები, სპექტროფოტომეტრები) და ამ დროს საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციას პოულობენ დანაყოფებიანი გრაფიკის მეშვეობით, რომელსაც აგებენ სტანდარტული ხსნარების სერიის საფუძველზე. როგორც ცნობილია, სტანდარტულ ხსნარებში ზუსტადაა ცნობილი საკვლევი ნივთიერების კონცენტრაცია, ამიტომ გაზომავენ თითეული სტანდარტული ხსნარის ოპტიკურ სიმკრივეს –  $D$ -ს და აგებენ  $\frac{D}{C}$  დამოკიდებულების გრაფიკს.

თვითონ სტანდარტული ხსნარის ოპტიკურ სიმკრივეს კი ზომავენ შედარების ხსნარის ოპტიკურ სიმკრივესთან დამოკიდებულებით. **შედარების ხსნარის როლში უმრავლეს შემთხვევაში გამოდის სუფთა გამხსნელი (დისტილირებული წყალი).** შედარების ხსნარი უნდა შეიცავდეს საანალიზო ხსნარის ყველა კომპონენტს, გარდა საკვლევი ნივთიერებისა.

სინათლის სხივებს შთანთქავს არა მხოლოდ საკვლევი ნივთიერება, არამედ გამხსნელიც და მასზე დამატებული რეაქტივებიც, ამიტომ შედარების ხსნარის გამოყენება გამორიცხავს ოპტიკური ანალიზის უზუსტობას, რომელიც გამოწვეულია გამხსნელის და დამატებული რეაგენტების მიერ სინათლის შთანთქმით. საანალიზო ხსნარის ოპტიკური სიმკვრივეც იზომება ისევე, როგორც სტანდარტული ხსნარებისა, იმავე შედარების ხსნართან დამოკიდებულებაში. ისეთი არაორგანული ნაერთები, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი საკუთარი ინტენსიური შეფერილობა, მცირე რაოდენობითაა, ამიტომ ხშირად უფერული ნივთიერება ან მისი იონები გადაჰყავთ შეფერილში სპეციალური ინდიკატორის მიმატებით. მაგალითად,  $Cu^{2+}$ -ის იონს წყალს ხსნარში გააჩნია სუსტი ცისფერი, ამიაკის დამატებისას კი იგი გადადის ინტენსიურ ლუჯ-ფერად შეფერილ კომპლექსში – სპილენდის ამიაკატში –  $[Cu(NH_3)_4](OH)_2$ .  $Ni^{2+}$ -ის მარილების წყალს ხსნარები სუსტი ვარდისფერია, ხოლო დიმეთილგლიოქსიმის ანუ ჩუგაევის რეაქტივის მიმატებით, წარმოიქმნება ნიკელის დიმეთილგლიოქსიმატის წითელი ფერის შიგაკომპლექსური ნაერთი.

### XX.3. სტანდარტული ხსნარების სერიების მეთოდი

**კოლორიმეტრიის გიზუალურ მეთოდებს მიეკუთხნება სტანდარტული ხსნარების სერიების მეთოდი –** ეს არის კოლორიმეტრიის ყველაზე მარტივი მეთოდი, რომელსაც არ სჭირდება სპეციალური აპარატურა და რომლის დროსაც არ არის საჭირო კოლორიმეტრის ძირითადი კანონის – ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონის დაცვა.

**ანალიზის პრინციპი შემდეგ ში მდგომარეობს:** წინასწარ ამზადებენ სტანდარტული ხსნარების სერიას, რომელთა კონცენტრაციაც ერთმანეთისაგან განსხვავდება 10-15%-ით და ამ სერიას ადარებენ ვიზუალურად (თვალით) საანალიზო ხსნარის შეფერილობას. თუ საანალიზო ხსნარის შეფერვა იმყოფება ორი ერთმანეთთან ახლობელი სტანდარტული ხსნარების შეფერილობას შორის, მაშინ საანალიზო ხსნარის კონცენტრაციას პოულობენ, როგორც საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს ამ ორი სტანდარტული ხსნარის კონცენტრაციის საფუძველზე. ამ მეთოდით მუშაობისას აუცილებელია ვისარგებლოთ ახლად დამზადებული სტანდარტული ხსნარებით.

**ანალიზის მხელელობა:** წინასწარ ამზადებენ სტანდარტული ხსნარების სერიას, რომლებიც შეიცავენ საკვლევი ნივთიერების ზუსტ რაოდენობას და დანაყოფებიან, ერთნაირი ზომის და ფორმის სინჯარებში ასხამენ სტანდარტული ხსნარის სხვადასხვა პორციებს. ერთ ასეთივე სინჯარაში კი ასხამენ საანალიზო ხსნარს, რომელშიც უცნობია საკვლევი ნივთიერების კონცენტრაცია. ამ სინჯარაში არსებული ხსნარის ფერს ვიზუალურად ადარებენ სტანდარტული ხსნარების სერიების ფერს, თეთრი ქაღალდის ფონზე.

#### სინჯარები უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ისინი უნდა იყოს ერთნაირი ფორმის;
- ერთნაირი ზომის;
- ერთნაირი მოცულობის;

დ) ერთნაირი მინისაგან დამზადებული;

ე) სამუშაოდ გაცილებით მოსახერხებელია დანაყოფებიანი სინჯარების გამოყენება;

ვ) სინჯარებს სასურველია გააჩნდეთ მიხეხილი საცობები.

ასეთ სინჯარებში შეიძლება პირდაპირ მოვამზადოთ სტანდარტული ხსნარები შემდეგნაირად: ჩავასხათ ისინი ბიურეტიდან სხვადასხვა პორციებით, დავამატოთ შესაბამისი რეაქტივები და შევავსოთ ნიშანხაზამდე დისტილირებული წყლით. სინჯარებს ათავსებენ შტატივზე, მათი კონცენტრაციის ზრდის შესაბამისად, და დებულობენ ფერად სკალას.

### მეთოდის ნაკლი მდგომარეობს შემდეგ ში:


1) მეთოდის სიზუსტე დაბალია;

2) აუცილებელია სტანდარტული ხსნარების მოვამზადება;

3) აუცილებელია ახლად დამზადებული სტანდარტული ხსნარებით სარგებლობა.

**მაგალითი:**  $Cu^{2+}$ -ის იონების განხაზღვა მისი მარილის ხსნარში კოლორიმეტრის სტანდარტული ხსნარების სერიების მიხედვით

წინასწარ ამზადებენ სტანდარტული ხსნარების სერიას, რისთვისაც იღებენ გადაკრისტალებულ  $CuSO_4 \cdot 5H_2O$  მარილს და ამზადებენ სტანდარტული ხსნარს, რომელიც შეიცავს 0,5 გრამ ან 1 გრამ  $Cu^{2+}$ -ის იონს 1ლ დისტილირებულ წყალში. მომზადებულ ხსნარზე უმატებენ  $H_2SO_4$ -ის მცირე რაოდენობას, რათა ჩახშონ წყალ ხსნარში  $CuSO_4$ -ის ჰიდროლიზი და დანაყოფებიან სინჯარაში ასხამენ სტანდარტული ხსნარის სხვადასხვა პორციას მზარდი კონცენტრაციით. შემდეგ სინჯარებში უმატებენ ამიაკა ჯერ  $H_2SO_4$ -ს გასანეიტრალებლად, შემდეგ კი – სპილენძის ამიაკატის ლურჯი კომპლექსის წარმოსაქმნელად:



ხსნარების მოცულობა სინჯარებში მიჰყავთ ნიშანხაზამდე დისტილირებული წყლით. ასევე ამზადებენ საანალიზო ხსნარსაც, რომელშიც უცნობია  $Cu^{2+}$ -ის იონების კონცენტრაცია და ადარებენ საანალიზო ხსნარს შეფერვის ინტენსივობას სტანდარტული ხსნარების ფერად სკალას თეთრი ქაღალდის ფონზე.

### XX.4. კოლორიმეტრული გატიტვრის მეთოდი

#### კოლორიმეტრული გატიტვრის მეთოდის პრიციპი მდგომარეობს შემდეგ ში:

წინასწარ ამზადებენ სტანდარტულ ხსნარს, რომელშიც ცნობილია საკვლევი ნივთიერების ან იონის ზუსტი კონცენტრაცია. შემდეგ იღებენ ორ ერთნაირი ზომის ცილინდრს: პირველში ათავსებენ გარკვეული მოცულობის საანალიზო ხსნარს, რომელშიც უცნობია საკვლევი ნივთიერების ან იონების კონცენტრაცია და უმატებენ შემფერავ რეაგენტს; მეორე ცილინდრში კი ასხამენ შემფერავ რეაგენტს და ამ რეაგენტის ხსნარს წვეთობით უმატებენ წინასწარ დამზადებულ სტანდარტულ ხსნარს მანამ, სანამ ორივე ცილინდრში ხსნარების შეფერვილობა არ გაუტოლდება ერთმანეთს. გატიტვრაზე დახარჯული სტანდარტული ხსნარის მოცულობის მიხედვით გაიანგარიშებენ საანალიზო ხსნარში საკვლევი ნივთიერების ან იონის კონცენტრაციას შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

$$\mathbf{C}_x \cdot \mathbf{V}_x = \mathbf{C}_{\text{вн}} \cdot \mathbf{V}_{\text{вн}}$$

$$\text{аქედან: } \mathbf{C}_x = \mathbf{C}_{\text{вн}} \cdot \mathbf{V}_{\text{вн}} / \mathbf{V}_x$$


სადაც:  $\mathbf{C}_x$  – არის საანალიზო ხსნარში საკვლევი ნივთიერების ან იონის კონცენტრაცია;  $\mathbf{C}_{\text{вн}}$  – არის სტანდარტული ხსნარის კონცენტრაცია;  $\mathbf{V}_{\text{вн}}$  – არის გატიტვრაზე დახარჯული სტანდარტული ხსნარის მოცულობა, მილილიტრებში;  $\mathbf{V}_x$  – არის საანალიზო ხსნარის მოცულობა, მილილიტრებში.

**მაგალითი:  $Fe^{3+}$ -ის იონების კოლორიმეტრული გატიტვრა როდანიდული წესით.**

როგორც ცნობილია,  $Fe^{3+}$ -ის იონები როდანიდ-იონებთან წარმოქმნიან სხვადასხვა შედგენილობის წითელი ფერის კომპლექსებს. ამ კომპლექსების შედგენილობა დამოკიდებულია დამატებული რეაგენტის რაოდენობაზე და  $pH$ -ზე;

1.  $FeCl_3 + 2NH_4SCN \Leftrightarrow [Fe(SCN)_2]Cl + 2NH_4Cl$
2.  $FeCl_3 + 3NH_4SCN \Leftrightarrow Fe(SCN)_3 + 3NH_4Cl$
3.  $Fe(SCN)_3 + 3NH_4SCN \Leftrightarrow (NH_4)_3[Fe(SCN)_6]$

თავდაპირველად ამზადებენ  $Fe^{3+}$ -ის იონების შემცველ სტანდარტულ ხსნარს, რის-თვისაც წონიან 8,64 გრამ რკინა-ამონიუმის შაბს  $NH_4Fe(SO_4)_2 \cdot 12H_2O$  და ხსნიან 1 ლიტრ დისტილირებულ წყალში. ასეთნაირად დამზადებული სტანდარტული ხსნარის 1 მლ შეიცავს 1მგ  $Fe^{3+}$ /მლ. შემდეგ იდებენ ორი ერთნაირი ზომის ცილინდრს: ერთში ასხამენ სანალიზო ხსნარს, რომელშიც უცნობია  $Fe^{3+}$ -ის იონების კონცენტრაცია, უმატებენ მცირე რაოდენობით რომელიმე მინერალურ მჟავას (გოგირდმჟავას, აზოტმჟავას ან მარილმჟავას), რათა ჩახშონ წყალხსნარში რკინის მარილების პიდროლიზი:



ე.ი რკინის მარილების პიდროლიზის შედეგად, ხსნარს გააჩნია მჟავე რეაქცია, რადგანაც ხსნარში წყალბად-იონების კონცენტრაცია გაცილებით სჭარბობს პიდროქსილ-იონების კონცენტრაციას. რკინის მარილების პიდროლიზის ჩახშობა შესაძლებელია ხსნარზე რომელიმე მინერალური მჟავას დამატებით, რათა ხსნარში ჭარბად დაგროვდეს წყალბად-იონები, რომლებიც შექმნიან ძლიერ მჟავა გარემოს და რეაქცია წარიმართება მარჯვნიდან მარცხნივ, რითაც რკინის მარილებს საშუალება მიეცემა ადვილად და სრულად შევიდნენ რეაქციაში როდანიდ-იონებთან.

ამის შემდეგ ცილინდრში ამატებენ 50მლ წყალს, 10მლ  $2N NH_4Cl$ -ს და 10მლ  $3N NH_4SCN$ -ს. ცილინდრი 100მლ-მდე მიჰყავთ დისტილირებული წყლით. მეორე ცილინდრში კი ასხამენ 50 მილილიტრადე დისტილირებულ წყალს, 10მლ  $2N NH_4Cl$ , 10მლ  $3N NH_4SCN$ -ს და წვეთობით უმატებენ წინასწარ მომზადებულ სტანდარტულ ხსნარს მანამ, სანამ ცილინდრში შეფერილობა არ გაუთანაბრდება საანალიზო ხსნარის შეფერილობას. ამის შემდეგ ჩაიწერენ გატიტვრაზე დახარჯული სტანდარტული ხსნარის მოცულობას მილილიტრებში და გამოთვლიან საანალიზო ხსნარში  $Fe^{3+}$ -ის იონების კონცენტრაციას ფორმულით:

$$\mathbf{C}_x = \frac{\mathbf{C}_{\text{вн}} \cdot \mathbf{V}_{\text{вн}}}{\mathbf{V}_x}$$

## XX.5. ფერთა გათანაბრების მეთოდი

**ფერთა გათანაბრების მეთოდის პრინციპი მდგომარეობს შემდეგ ში:** თუ გაქვს ორი შეფერილი ხსნარი, რომლებიც შეიცავენ ერთსა და იმავე ნივთიერებას, მაგრამ სხვადასხვა კონცენტრაციით, მაშინ ხსნარისათვის ოპტიკური სიმკრივე ანუ სინათლის შთანთქმის ინტენსიობა იქნება შემდეგი:

$$D_1 = \varepsilon \cdot C_1 \cdot l_1$$

$$D_2 = \varepsilon \cdot C_2 \cdot l_2$$

თუ მივაღწევთ ორივე ხსნარის ოპტიკური სიმკრივის გათანაბრებას, მაშინ  $D_1 = D_2$  და მათი მნიშვნელობებიც ერთმანეთის ტოლი იქნება:

$$C_1 \cdot l_1 = C_2 \cdot l_2$$


$$\frac{C_1}{C_2} = \frac{l_2}{l_1}$$

მაშასადამე, თუ ერთნაირი ბუნების ნივთიერება სხვადასხვა კონცენტრაციით იმყოფება ორ ხსნარში, მაშინ ხსნარების ოპტიკური წონასწორობის დროს, ამ ხსნარების კონცენტრაციათა ნამრავლი ხსნარების ფენის სისქეზე იქნება ერთმანეთის ტოლი. ანუ ოპტიკური სიმკრივეების ტოლობის დროს, ორი შესაბარებელი ხსნარის ფენების სისქის შეფარდება უკუპროპორციულია ამ ხსნარების კონცენტრაციების ფარდობისა. ფერთა გათანაბრების მეთოდი სრულდება სპეციალურ ხელსაწყოებზე, კერძოდ, **დიუბოსკის კოლორიმეტრზე ან კოლ-1М-ზე.**

**დიუბოსკის კოლორიმეტრზე მუშაობის წესები შემდეგია:** სინათლის სხივი თავდაპირველად ეცემა **სარკეზე**, აირეკლება მისგან და ხვდება ხსნარიან კიუვეტებში. კოლორიმეტრში თავსდება ორი კიუვეტა: როგორც წესი, **მარცხენა კიუვეტაში ისხმება ხაანალიზობო ხსნარი, მარჯვენაში კი - სტანდარტული ხსნარი.** შემდეგ სინათლის სხივი გაივლის ცილინდრებს, რომლებსაც შეუძლიათ ვერტიკალურად გადაადგილება კოლორიმეტრის შტატივის მიმართ, ამ შტატივზე დამონტაჟებული სახელურებიანი კბილანებიანი ბორბლების მეშვეობით, რომელთაც **კრემალიერები** ეწოდებათ. კოლორიმეტრებს გააჩნიათ ორი ცილინდრი: მარცხენა ცილინდრი, რომელიც ჩადის მარცხენა კიუვეტში და მარჯვენა ცილინდრი, რომელიც ეშვება მარჯვენა კიუვეტში (ნახ. 38).


ამის შემდეგ სინათლის სხივი ხვდება **პრიზმაში**, შემდეგ – **ლინზებში**, გარდატყდება და საბოლოოდ ხვდება **ოქულიარში**. დამკვირვებელი ოქულიარის მილში ხედავს მრგვალ შეფერილ წრეს, რომელიც გაყოფილია ორ ნახევრად და ეს ნახევრები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შეფერილობის ინტენსიონის მიხედვით. **მარჯვენა ნახევარწრე შეესაბამება მარცხენა სინათლის ნაკადის ინტენსიონას, რომელიც გადის ხაანალიზობო ხსნარში, ხოლო მარცხენა ნახევარწრე შეესაბამება მარჯვენა სინათლის ნაკადის ინტენსიონას, რომელიც გაივლის სტანდარტულ ხსნარს.**

კრემალიერების მეშვეობით ცილინდრებს ორივე კიუვეტში აყენებენ იმ სიმაღლეზე, რომლის დროსაც ორივე კიუვეტში მოთავსებული ხსნარების ოპტიკური სიმკრივეები ერთმანეთის ტოლი გახდება. ამ მომენტში ოკულიარში ოპტიკური მინდვრის გამყოფი საზღვარი გაქრება.



ნახ. 38. დიუბოსკის კოლორიმეტრის პრინციპული სქემა

1. ოკულიარი
2. პრიზმა
3. მოძრავი ცილინდრები
4. კიუბეტები
5. სარკე



ამის შემდეგ მარჯვენა და მარცხენა შტატივებზე დამონტაჟებულ სკალებზე აითვლიან სტანდარტული და საანალიზო ხსნარების ფენის სისქეს (ფენის სიმაღლე) და გამოთვლიან საანალიზო ხსნარის კონცენტრაციას ფორმულით:

$$C_x \cdot l_x = C_{\text{სტ}} \cdot l_{\text{სტ}}$$

$$\text{აქედან: } C_x = \frac{C_{\text{სტ}} \cdot l_{\text{სტ}}}{l_x}$$

დიუბოსკის კოლორიმეტრში განათებისათვის იყენებენ დღის გაფანტულ სინათლეს ან მკრთალი ნათურის სინათლეს (სინათლის წყარო).

## XX.6. კოლორიმეტრიის პრაქტიკული გამოყენება


კოლორიმეტრია ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა შენადნობებში რკინის და მძიმე მეტალების მინარევების განსაზღვრისათვის, ასევე სამედიცინო პრეპარატებში სხვადასხვა მინარევების განსაზღვრისათვის, გარემოს  $pH$ -ის განსაზღვრისათვის და სხვა.

**მაგალითი 1: სხვადასხვა შენადნობებში რკინის მინარევების განსაზღვრა.**

განსაზღვრას საფუძვლად უდევს რკინის მიერ სულფოსალიცილის მჟავასთან ყვითელი შეფერილობის კომპლექსური ნაერთის წარმოქმნა, რომლის შეფერილობის ინტენსიობა ისაზღვრება ეტალონთან ანუ საკონტროლო ხსნართან შედარებით.

**ანალიზის მსვლელობა შემდეგია:** წინასწარ ამზადებენ ეტალონს ანუ საკონტროლო ხსნარს, რისთვისაც იღებენ 10 მლ ხსნარს, რომელიც შეიცავს 0,0003%  $Fe^{3+}$ -ის იონებს, უმატებენ 2 მლ სულფოსალიცილის მჟავას –  $SO_3H(OH)C_6H_3COOH$  და ასევე უმატებენ 1 მლ  $NH_4OH$ -ის ხსნარს. ხსნარი მიიღებს გარკვეული ინტენსიობის ყვითელ შეფერილობას. ამის შემდეგ ამზადებენ საანალიზო ხსნარს, რისთვისაც იღებენ 10 მლ ხსნარს, რომელშიც უცნობია  $Fe^{3+}$ -ის იონების კონცენტრაცია, უმატებენ 2 მლ სულფოსალიცილის მჟავას, 1 მლ  $NH_4OH$ -ს და 5 წუთის შემდეგ ადარებენ საანალიზო ხსნარის შეფერილობას ეტალონის შეფერილობას. საანალიზო ხსნარის შეფერვის ინტენსიობა არ უნდა აღემატებოდეს ეტალონის შეფერვის ინტენსიობას.

**მაგალითი 2: მძიმე მეტალთა მინარევების განსაზღვრა კოლორიმეტრიული მეთოდით.** განსაზღვრას საფუძვლად უდევს მძიმე მეტალთა ურთიერთქმედება ნატრიუმის სულფიდთან –  $Na_2S$ , რომლის შედეგადაც ისინი იღებებიან:



**ანალიზის მსვლელობა შემდეგია:** წინასწარ ამზადებენ ეტალონს, რისთვისაც იღებენ 10 მლ ხსნარს, რომელიც შეიცავს 0,00005%  $Pb^{2+}$ -ის იონებს. უმატებენ 1 მლ განზავებულ  $CH_3COOH$ -ს და 1-2 წვეთ  $Na_2S$ -ს, ხსნარი შეიფერება. შემდეგ ამზადებენ საანალიზო ხსნარს, რისთვისაც იღებენ 10 მლ ხსნარს, რომელშიც უცნობია საკვლევი  $Pb^{2+}$ -ის იონების შემცველობა. უმატებენ 10 მლ განზავებულ  $CH_3COOH$ -ს და 1-2 წვეთ  $Na_2S$ -ს. საანალიზო ხსნარის შეფერილობის ინტენსიობა ნაკლები უნდა იყოს ეტალონის შეფერილობაზე.

## თავი XXI. ფოტოკოლორიმეტრული მეთოდი

### XXI.1. ფოტოკოლორიმეტრიის თეორიული საფუძვლები

ხსნარის შეფერილობის ინტენსივობა დამოკიდებულია არა მარტო ამ ხსნარის კონცენტრაციაზე (C) და მისი ფენის სისქეზე (l), არამედ ხსნარში გამავალი სინათლის ნაკადის ინტენსიონაზეც. ამიტომ სინათლის ნაკადის ინტენსიონაზე მსჯელობენ ფოტოდენის ძალის მიხედვით – ფოტოელექტროკოლორიმეტრებში, ხოლო ფოტოდენის ძალას ზომავენ ფოტოელემენტების მეშვეობით.

**ფოტოელემენტები** წარმოადგენერს ხელსაწყოებს, რომლებიც გარდაქმნიან მათზე დაცემულ სინათლის ენერგიას ელექტროდენად, რადგანაც სინათლის ნაკადის ინტენსიონის ცვლილება იწვევს ფოტოელემენტების მიერ გამომუშავებული ელექტროდენის ცვლილებას. საანალიზო ხსნარში გამავალი სინათლის ნაკადის

ინტენსიობა ისაზღვრება სპეციალურ ხელსაწყოზე, რომელსაც ფოტოელექტროკოლო-  
მეტრი, ანუ ფერი ეწოდება.

ფერ-ზე იზომება საანალიზო ხსნარის მიერ სინათლის ტალღის ოპტიკური შთანთქმა. ბოლო წლებში ანალიზურ პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია ორი ფოტოელემენტისაგან შემდგარი ე.წ. „ორმხრიანი“ ფერები. თითოეულ ფოტოელემენტს გააჩნია დიაფრაგმა და ორივე ფოტოელემენტი ისეა ჩართული ფერის სქემაში, რომ მათ მიერ გამომუშავებული ფოტოდენები ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებისაა. მაშასადამე, ფოტოელემენტები ისეა ჩართული გალვანომეტრის წრედში, რომ მათზე წარმოქნილი ფოტოდენები მიემართება ერთმანეთის შემხვედრი მიმართულებით. ამიტომ თუ ორივე ფოტოელემენტზე ეცემა ერთნაირი ინტენსივობის სინათლის ნაკადები, მაშინ მოხდება ფოტოელემენტების მიერ ერთნაირი ფოტოდენების გამომუშავება, ე.ი. მოხდება ფოტოდენების კომპენსაცია და ამ დროს გალვანომეტრის ისარი დადგება 0-ვან მდგომარეობაზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ წრედში დენი არ არის. ხოლო როცა ფოტოელემენტებზე ეცემა სხვადასხვა ინტენსიობის ნაკადები, მაშინ ფოტოდენების კომპენსაცია არ მოხდება და გალვანომეტრის ისარი გადაიხრება ნულოვანი მდგომარეობიდან.

სინათლის ნაკადის ინტენსივობის შესაცვლელად, ფერში გამავალი სინათლის გზაზე დაყენებულია ორი დიაფრაგმა: ერთს ეწოდება გამხომი დიაგფრაგმა, რომელიც დაკაგშირებულია თავის მხრივ დოლთან, რომელზედაც დამონტაჟებულია ამთვლელი სკალა; მეორე – მაკომპენსირებელი დიაფრაგმა, რომელიც ახდენს ფოტოდენების გათანაბრებას და გალვანომეტრის ისრის დაყენებას ნულოვან მდგომარეობაში.

ფოტოელექტროკოლორიმეტრზე მუშაობისას იყენებენ **სამ კიუვეტას**, აქედან: 1-2 კიუვეტებში ასხამენ შედარების ხსნარს, რომელიც არ შეიცავს საკვლევ კომპონენტს (შედარების ხსნარის როლში ხშირ შემთხვევაში გამოდის სუფთა გამხსნელი – დისტილირებული წყალი); მესამე კიუვეტაში კი ისხმება სტანდარტული ხსნარი ან საანალიზო ხსნარი.

ლაბორატორიებში ხშირად იყენებენ შემდეგ ტიპის ფოტოკოლორიმეტრებს: ფერ-56, ფერ-56M, ფერ-M. მათი პრინციპული სქემა თითქმის ერთნაირია და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფოტოელემენტების ტიპებით, ფოტოელემენტების გაძლიერებული სისტემით და შუქფილტრების რაოდენობით.

## XXI.2 ფოტოელექტროკოლორიმეტრის (ფერ) მუშაობის პრინციპი

ოპტიკური სიმკვრივის გაზომვამდე 10-20 წუთით ადრე რთავენ ხელსაწყოს, რათა მოხდეს მისი გახურება და სტაბილური სამუშაო რეჟიმის ჩამოყალიბება. ამთვლელი დოლის მეშვეობით აყენებენ დიაფრაგმას მინიმალურად გახსნილ მგომარეობაში. ამ მომენტში თავდაპირველად ორივე სინათლის ნაკადის გზაზე დაყენებულია შედარების ხსნარებიანი კიუვეტები. ამ დროს სინათლის შთანთქმა ორივე კიუვეტში ერთნაირია. მაგრამ რადგანაც მარჯვენა სინათლის ინტენსიობა უფრო შესუსტებულია დიაფრაგმის მეშვეობით, ამიტომ მარჯვენა ფოტოელემენტს დაეცემა ნაკლები ინტენსიობის შუქი და ამ მომენტში 0-გალვანომეტრის ისარი გადაიხრება ნულოვანი მდგომარეობიდან. ამ შემთხვევაში ახდენენ ფოტოდენების კომპენსაციას, რისთვისაც ამცირებენ მარცხენა დიაფრაგმის ფართობს მანამ, სანამ გალვანომეტრის ისარი არ დაუბრუნდება 0-ს. ამრიგად, ფერი გაწონასწორებულია ნულოვან მდგომარეობაში შედარების ხსნარების მიმართ.

შემდეგ მარჯვენა მესამე კიუვეტში ასხამენ საანალიზო ხსნარს, რომელიც შეფერილია. რადგანაც შეფერილი ხსნარი სინათლეს შთანთქავს უფრო ძლიერად, ვიდრე შედარების ხსნარი, ამიტომ მარჯვენა მესამე კიუვეტში გამავალი სინათლის ნაკადის ინტენსიობა შემცირდება და მარჯვენა ფოტოელემენტს დაეცემა ნაკლები ინტენსივობის შუქი. ამ დროს კვლავ დაირღვევა ფოტოდენების კომპენსაცია და გალვანომეტრის ისარი გადაიხრება ნულიდან. მის დასაბრუნებლად ნულოვან მდგომარეობაში, ატრიალებენ მარჯვენა ამთველ დოლს, რითაც თანდათან აღებენ მარჯვენა გამზომ დიაფრაგმას. ამით მარჯვენა ფოტოელემენტზე დაცემული სინათლის ინტენსივობა კვლავ გაძლიერდება და როცა იგი გაუტოლდება მარცხენა სინათლის ნაკადის ინტენსივობას, კვლავ მოხდება ფოტოდენების კომპენსაცია, რომლის დროსაც გალვანომეტრის ისარი კვლავ დაუბრუნდება **0-ს**. ამ მომენტში მარჯვენა ამთვლელი დოლის სკალაზე აითვლიან საანალიზო ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს – **D-ს**.

**მარჯვენა დოლზე დამონტაჟებულია ოპტიკური სიმკვრივის სკალა, მარცხენა დოლზე კი დამონტაჟებულია სინათლის გამტარიანობის სკალა. სინათლის მარჯვენა ნაკადს ეწოდება გამზომი ნაკადი, მარცხენა ნაკადს კი მაკომპენსირებელი ნაკადი. სინათლის სხივს ორი ნაკადად ჰყოფს სინათლის პრიზმები, რომლებიც მოთავსებულია ფერში სინათლის წყაროს წინ. ხერელებიანი დიაფრაგმები დაკავშირებულია დოლებთან. კერძოდ, მარჯვენა ამთვლელი დოლთან დაკავშირებულია **მარჯვენა გამზომი დიაფრაგმა**, ხოლო მარცხენა დოლთან დაკავშირებულია **მარცხენა მაკომპენსირებელი დიაფრაგმა**.**

**კიუვეტები** წარმოადგენენ მცირე ზომის სპეციალური მინისაგან ან კვარცისაგან დამზადებულ სწორკუთხა ან ცილინდრულ ჭურჭელს, რომლებსაც გააჩნიათ კედლების განსაზღვრული სისქე და კედლებს შორის განსაზღვრული დაშორება. კიუვეტებში თავს-დება საანალიზო და შედარების ხსნარები.

ანალიზური განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია არა ხსნარის საერთო მოცულობა, რომელიც თავს-დება კიუვეტში, არამედ ამ ხსნარის ფენის სისქე. თუ კიუვეტები სწორკუთხაა, მაშინ ხსნარის ფენის სისქე განისაზღვრება კიუვეტების წინა და უკანა კედლებს შორის დაშორებით, ხოლო თუ კიუვეტები ცილინდრული ფორმისაა, მაშინ ხსნარის ფენის სისქე განისაზღვრება კიუვეტის ზედა და ქვედა სახურავებს შორის დაშორებით.

კიუვეტები მზადდება სპეციალური მინისაგან, რომელიც ატარებს თვალით ხილული სპექტრის ყველა სხივს, ხოლო ულტრაიისფერ უბანში სამუშაოდ იყენებენ კვარცის კიუვეტებს. რაც უფრო ინტენსიურად არის შეფერილი საანალიზო ხსნარი, მით უფრო ნაკლები უნდა იყოს მისი ფენის სისქე და ე.ი. მით უფრო მცირე ზომის უნდა იყოს კიუვეტი. ურველ ფერს ახლავს კიუვეტების კომპლექტი, რომლებშიც შედის ერთნაირი სისქის წყვილი კიუვეტები: ერთი საანალიზო ხსნარისათვის, მეორე – შედარების ხსნარისათვის. კიუვეტებს წინასწარ რეცხავენ დისტილირებული წყლით, შემდეგ – საანალიზო ხსნარით და მხოლოდ ამის შემდეგ შეავსებენ. არ შეიძლება კიუვეტში დიდხანს იმყოფებოდეს შეფერილი ხსნარები, რადგანაც ზოგი ნივთიერება ადვილად ადსორბირდება ხსნარიდან კიუვეტის ზედაპირზე. სამუშაოს დამთავრების შემდეგ კიუვეტის კედლებს გარედან შეამშრალებენ რბილი ნაჭრით და დაამხობენ, რათა შიგნითა ზედაპირიდან ჩამოირეცხოს წვეთები. დაუშვებელია კიუვეტის კედლების გახეხვა, რადგანაც უმნიშვნელო განაკაწრიც კი შეცვლის მათ ოპტიკურ თვისებებს. თუ საჭიროა კიუვეტების შიგნითა ზედაპირის გასუფთავება, მაშინ იყენებენ ორგანულ გამსხსნელებს ან კონკრეტულ აზოგმუავას. კიუვეტები მუდმივად უნდა იმყოფებოდეს დისტილირებულ წყალში ან სპირტში.

თუ ხსნარის ოპტიკური სიმკრივე **D>0,5**, მაშინ იყენებენ უფრო ნაკლები სიმაღლის კიუვეტებს, ხოლო თუ ხსნარის ოპტიკური სიმკრივე **D<0,5**, მაშინ შეარჩევენ უფრო მაღალ კიუვეტებს. მუშაობის დროს კიუვეტები უნდა იყოს აბსოლუტურად სუფთა, რადგანაც უმცირესი დაბინძურებაც კი ამახინჯებს ხელსაწყოს ჩვენებას.

**შუქფილტრები.** შუქფილტრების შერჩევა მიმდინარეობს შემდეგნაირად: წინასწარ შერჩეულ კიუვებში ათავსებენ საანალიზო ხსნარს და საზღვრავენ მის ოპტიკურ სიმკრივეს ყველა ფერის შუქფილტრებზე. შემდეგ აგებენ  $D/\lambda$  დამოკიდებულების შუქ-შთანთქმის სპექტრს და გრაფიკზე გამოყოფენ იმ უბანს, სადაც  $D$  მაქსიმალურია და ამავე დროს  $D$  უმნიშვნელოდაა დამოკიდებული  $\lambda$ -ზე. ამ დროს მრუდს უნდა ჰქონდეს მაქსიმალური და ამავე დროს აბსცისთა დერძის პარალელური ფორმა.

მუშაობისათვის გამოიყენებენ იმ შუქფილტრებს, რომლის დროსაც ხდება სინათლის მაქსიმალური გატარება და რომელიც შეესაბამება ამ უბნისათვის დამახასიათებელ ტალღის სიგრძეს –  $\lambda$ -ს.

შუქფილტრები ფოტოკოლორიმეტრებში დაყენებულია სინათლის ნაკადის გზაზე და ისინი ატარებენ სპექტრის მხოლოდ ერთ განსაზღვრულ ნაწილს, რომელსაც გააჩნია თავისი განსაზღვრული ტალღის სიგრძე –  $\lambda$  და რომელზედაც ხდება საანალიზო ნივთიერების ხსნარის მიერ სინათლის მაქსიმალური შთანთქმა. ე.ი. ამ უბანში ოპტიკური სიმკრივე მაქსიმალურია. სხვადასხვა ფოტოკოლორიმეტრებს გააჩნიათ 5-დან 11 ცალამდე შუქფილტრი, რომელთა მიერ სინათლის გამტარიანობა შეესაბამება და მოიცავს სინათლის თვალით ხილული უბნის მთელ დიაპაზონს:  $\lambda=400-800$  ნმ-მდე.


### XXI.3. ფექ-56-ის პრინციპული სქემა და მასზე მუშაობის წესები

**ფექ-56-ში სინათლის ენერგიის მიმღებებს** წარმოადგენს ორი ფოტოელემენტი, ხოლო **0-ხელსაწყოს** მოვალეობას ასრულებს ინდიკატორული ნათურა ან მიკროამპერმეტრი, **სინათლის წყაროს** მოვალეობას ასრულებს:

1. გამახურებელი ნათურა;
2. ვერცხლისწყლიანი კვარცის ზემაღალი წნევის ნათურა. ამ ნათურას მეშვეობით შესაძლებელია მუშაობა სინათლის ტალღების შემდეგი სიგრძის დიაპაზონში –  $\lambda = 315-630$  მილიმეტრი (მმ).

ულტრაიისფერ უბანში სამუშაოდ გამოიყენება ვერცხლისწყლიანი კვარცის ნათურა.

**ფექ-56-ის მუშაობის პრინციპი** ძღვომარჯობს შემდეგ ში: სინათლის წყაროდან (1) წარსული სინათლის ნაკადი გაივლის შუქფილტრებს (2) და ეცემა პრიზმაზე (3). პრიზმა ჰყოფს სინათლის ნაკადს მარჯვენა და მარცხენა ორ ნაკადად. პრიზმიდან არეკლილი სინათლის კონები იყოფიან და გამოდიან ერთმანეთის პარალელურად. შემდეგ სინათლის მარჯვენა და მარცხენა ნაკადები გაივლიან ხსნარიან კიუვეტებში (4) და ხვდებიან ლინზებში. ლინზები ფექ-56-ში წარმოადგენენ დიაფრაგმებს, რომელთა ფოკუსებში მოთავსებულია მკრთალი მინები (ნახ. 39).



ნახ. 39. ფეპ-56-ის პრინციპული სქემა

1. სინათლის წყარო
2. შუქფილტრი
3. პრიზმა
4. კიუვეტები
5. გამზომი დიაფრაგმა
6. მაკომპენსირებელი დიაგრამა
7. ფოტოელემენტი
8. ფოტოელემენტი

მარჯვენა ლინზა წარმოადგენს **გამზომ დიაფრაგმას (5)**, მარცხენა ლინზა კი – **მაკომპენსირებელ დიაფრაგმას (6)**. ამ დიაფრაგმების უკან კი განლაგებულია მარცხენა (7) და მარჯვენა ფოტოელემენტები (8). მარცხენა სინათლის ნაკადში თავსდება მხოლოდ გამსხველის ან შედარების სსნარიანი კიუვეტა, ხოლო მარჯვენა სინათლის ნაკადში – საანალიზო სსნარიანი კიუვეტა. დიაფრაგმები მათთან დაკავშირებული დოლის ბრუნვის მეშვეობით იცვლიან თავიანთ ფართობს, რის შედეგადაც იცვლება ან მარჯვენა სინათლის ნაკადის ინტენსიობა, რომელიც ეცემა მარჯვენა ფოტოელემენტს, ან მარცხენა სინათლის ნაკადის ინტენსიობა, რომელიც ეცემა მარცხენა ფოტოელემენტს.

როგორც წესი, სინათლის მარცხენა ნაკადი მაკომპენსირებელია, ხოლო სინათლის მარჯვენა ნაკადი – გამზომი. **მარჯვენა დოლზე დამონტაჟებულია ოპტიკური სიმკრივის სკალა, მარცხენაზე კი – სინათლის გამტარიანობის სკალა.**

თავდაპირველად მარჯვენა დოლის მეშვეობით აყენებენ მარჯვენა გამზომ დიაფრაგმას მინიმალურად გადებულ მდომარეობაში და ამ დროს ორივე სინათლის ნაკადის გზაზე დააყენებენ შედარების სსნარიან კიუვეტებს. ამ მომენტში მარჯვენა სინათლის ნაკადის ინტენსიობას ხელოვნურად ასუსტებს დიაფრაგმა, ამიტომ მარჯვენა ფოტოელემენტების დაეცემა ნაკლები ინტენსიობის სინათლე და **0-გალვანომეტრის** ისარი გადაიხება ნულოვანი მდგომარეობიდან. იმისათვის, რომ ისარი დააბრუნონ ნულზე, მარცხენა დოლის ბრუნვის მეშვეობით ახდენენ მარცხენა დიაფრაგმის ფართობის შემცირებას. შემდეგ

მარჯვენა კიუგეტში ჩაასხამენ საანალიზო შეფერილ ხსნარს და დააყენებენ მარჯვენა სინათლის ნაკადის გზაზე. რადგანაც შეფერილი ხსნარი უფრო ძლიერად შთანთქავს სინათლეს, ვიდრე შედარების ხსნარი, ამიტომ მარჯვენა ფოტოელემენტს დაეცემა ნაკლები ინტენსიონის სინათლე, რის შედეგად იგი გამოიმუშავებს ნაკლებ ფოტოდენს და გალვანომეტრის ისარი კვლავ გადაიხრება ნულიდან. ამ შემთხვევაში ისრის დასაბრუნებლად ნულოვან მდგომარეობაში, მოატრიალებენ მარჯვენა დოლს, რითაც თანდათანობით აღებენ მარჯვენა დიაფრაგმას. ამით მარჯვენა ფოტოელემენტზე დაცემული სინათლის ინტენსიონი გაძლიერდება და როცა იგი გაუტოლდება მარცხენა სინათლის ნაკადის ინტენსიონას, მოხდება კომპენსაცია, რის შედეგადაც **0**-გალვანომეტრის (მიკროამპერმეტრის) ისარი კვლავ დაუბრუნდება ნულს. ამ მომენტში მარჯვენა დოლის სკალაზე აითვლიან საანალიზო ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს.


## თავი XXII. სპექტროფოტომეტრული ანალიზი

### XXII.1. სპექტროფოტომეტრიის თეორიული საფუძვლები

ფოტოკოლორიმეტრული გაზომების ცდომილება დიდია და იგი შეადგენს 5%-მდე, რადგანაც ფოტოკოლორიმეტრში სინათლის ნაკადებს გააჩნიათ სპექტრის ზოლი სისქით 400-დან 800ნმ-მდე და არ არიან მონოქრომატული. ამიტომ ზუსტი ანალიზისათვის სარგებლობები სპექტროფოტომეტრებით, რომლებშიც გამოიყენება მონომოქრომატული გამოსხივება, ანუ ერთი სიგრძის ტალღის მქონე სინათლის ნაკადი. ამასთან, სპექტროფოტომეტრული გაზომების ჩატარება შეიძლება სპექტრის როგორც თვალით ხილულ, ასევე თვალით უხილავ ულტრაიისფერ ( $<400$  ნმ) და ინფრაწითელ ( $>800$  ნმ) უბნებში. მონოქრომატულ სხივს გააჩნია ტალღის სიგრძის ფართო დიაპაზონი და ამიტომ სპექტროფოტომეტრიას, სხვა მეთოდებთან შედარებით, მეტი შესაძლებლობები გააჩნია და ზუსტი მეთოდია. სპექტროფოტომეტრული გაზომები ტარდება სპეციალურ ხელსაწყოებზე, რომელთაც სპექტროფოტომეტრები ეწოდება. ამ ხელსაწყოების მეშვეობით იზომება ხსნარის მიერ მოხმოქრომატული გამოხსივების შთანთქმა ანუ ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე, რომელიც პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული დაცემული სხივის ტალღის სიგრძეზე.

ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის ანუ შუქშთანთქმის დამოკიდებულება დაცემული სხივის სიგრძეზე გამოიხატება გრაფიკულად და მას ეწოდება **შუქშთანთქმის მრუდი, ანუ სპექტრი**, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან მახასიათებელს. გრაფიკულად სპექტრი გამოისახება შემდეგნაირად: აბსცისთა დერძზე დააქვთ ტალღის სიგრძის –  $\lambda$  მნიშვნელობები, ხოლო ორდინატთა დერძზე – ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის მნიშვნელობა –  $D$ , ან შთანთქმის მოლური კოეფიციენტის მნიშვნელობები –  $\varepsilon$ .


შუქშთანთქმის სპექტრი ხასიათდება გარკვეული ზოლებით, ანუ უბნებით და თითოეული ამ უბნისათვის დამახასიათებელია **მაქსიმალური ტალღის სიგრძე** –  $\lambda_{\text{მაქ.}}$  რომელსაც შესაბამება ხსნარის **მაქსიმალური ოპტიკური სიმკვრივე**. სპექტროფოტომეტრიული მეთოდის ეს უპირატესობა საშუალებას იძლევა ანალიზი ვაწარმოოთ ნივთიერების უმცირეს რაოდენობაზე. შუქშთანთქმის სპექტრი თითოეული ნივთიერებისათვის წარმოადგენს ინდივიდუალურ მახასიათებელს (ნახ. 40).



ნახ. 40. შუქმთანობის სპექტრი

ყველა შემთხვევაში ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის განსაზღვრა საჭიროა ჩატარდეს ტალღის მაქსიმალური სიგრძის დროს –  $\lambda_{\text{მაქ}}$ , რომელიც შეესაბამება საკვლევი ხსნარის მიერ ხინათლის მაქსიმალურ შთანთქმას. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღწევა ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის განსაზღვრისას უდიდესი სიზუსტე. როგორც შუქმთანობის სპექტრის გრაფიკიდან ჩანს, რაც უფრო მეტია ტალღის სიგრძე –  $\lambda$ , მით უფრო მეტია ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე –  $D$ , ამიტომ ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის განსაზღვრა წარმოებს  $\lambda_{\text{მაქ}} - \lambda$ . რაოდენობითი სპექტროფოტომეტრული ანალიზის ჩატარებისათვის საჭიროა ისეთნაირად შეირჩეს საანალიზო ნივთიერების კონცენტრაცია, რომ ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის სიდიდე იმყოფებოდეს  $D = 0,2 - 0,8$ -ის ფარგლებში, რადგანაც როცა  $D > 0,8$  ან  $D < 0,2$ , მაშინ მკვეთრად იზრდება სპექტროფოტომეტრული გაზომვების ცდომილება. სპექტროფოტომეტრული მეთოდის ზღვრული მგრძნობიარობა შეადგენს  $10^8$  მოლი/ლ.

## XXII.2. სპექტროფოტომეტრ CΦ-4A-ს პრინციპული სქემა



ნახ. 41. სპექტროფოტომეტრ CΦ-4A-ს პრინციპული სქემა

1. სინათლის წყარო
2. კვარცის პრიზმა
3. საბრეის ობიექტივი
4. გამოსასვლელი ხვრელი (დიაფრაგმა)
5. კვარცის ლინზა
6. ხსნარიანი კიუვეტი
7. ფოტოელემენტი

**საექტროფოტომეტრი ცΦ-4A** წარმოადგენს უმარტივეს ხელსაწყოს, რომლის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: **სინათლის წყაროდაბ (1)** მომავალი სინათლის ნაკადი თავდაპირველად გაივლის **სარკეუბის სისტემას** და ხვდება კვარცის **პრიზმაზე (2)**. ეს პრიზმა შლის სინათლის ნაკადს საექტრად და მიმართავს მას სარკის **ობიქტივისაკენ (3)**, სარკის ობიქტივი აფოკუსირებს სინათლის სხივს ხელსაწყოს გამოსასვლელი ხვრელისაკენ – **დიაფრაგმისკენ (4)**. პრიზმის შემოტრიალებით შეიძლება მივმართოთ ხელსაწყოს გამოსასვლელ ხვრელზე სპექტრის სხვადასხვა უბნები, რაც საშუალებას იძლევა გამოსასვლელიდან მივიღოთ პრაქტიკულად მონოქრომატული გამოსხივება. ხვრელიდან გამოსული მონოქრომატული სხივი გაივლის კვარცის **ლინზას (5)** და ხვდება სსნარიანი **კიუვეტის წინა კლელზე (6)**. კიუვეტი გავლის შემდეგ, სსნარის მიერ შთანთქმული სინათლის ნაკადი ხვდება **ფოტოელემენტზე (7)**. ფოტოელემენტის წრედში წარმოქმნილი ფოტოდენი ძლიერდება სპეციალური მაკომპენსირებელი სქემის მიხედვით (ნახ. 41).

გაზომვამდე 10 წთ-ით ადრე რთავენ ხელსაწყოს, რათა მოხდეს მისი გახურება და სტაბილური სქემის დაყენება. შემდეგ გაზომვის დაწყებამდე, ტალღის სიგრძეების აღმნიშვნელი დოლის მეშვეობით პრიზმას აყენებენ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება გარკვეული ტალღის სიგრძეს, რომელზედაც ხდება ოპტიკური სიმკვრივის გაზომვა.

იღებენ ორ კიუვეტს, რომელთაგან ერთი მუშა კიუვეტია, მეორე კი – შედარების კიუვეტი. **მუშა კიუვეტში ასხამენ საანალიზო სსნარს, შედარების კიუვეტში კი – შედარების სსნარს** და ორივე კიუვეტს ათავსებენ ხელსაწყოს კიუვეტების კამერაში. თავდაპირველად სინათლის ნაკადის გზაზე აყენებენ შედარების სსნარიან კიუვეტს, ამ დროს ფოტოელემენტზე წარმოქმნება ფოტოდენი, რომელსაც აკომპენსირებენ წრედში ჩართული სპეციალური პოტენციომეტრის საშუალებით მანამ, სანამ გამზომ ქსელში ჩართული **0-გალვანომეტრის** ისარი არ დაიკავებს **0-ვან** მდგომარეობას.

ამის შემდეგ შემოატრიალებენ კიუვეტების კამერას და სინათლის ნაკადის გზაზე უკვე მოათავსებენ საანალიზო სსნარიან კიუვეტს. რადგანაც საანალიზო სსნარი შთანთქავს გაცილებით მეტ სინათლეს, ამიტომ მისი ოპტიკური სიმკვრივე უფრო მაღალია, ვიდრე შედარების სსნარის ოპტიკური სიმკვრივე. საანალიზო სსნარის მიერ სინათლის შთანთქმის შედეგად, მასში გამავალი სინათლის ნაკადის ინტენსიობა შემცირდება. ეს ნაკადი დაეცემა ფოტოელემენტს და **0-გალვანომეტრის** ისარი კვლავ გადაიხრება **0-ვანი** მდგომარეობიდან. ამ შემთხვევაში ისარს **0-ვან** მდგომარეობაში აბრუნებენ ამთვლელი პოტენციომეტრის მეშვეობით, რომლის სკალაზეც აითვლიან საანალიზო სსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს.

**ამთვლელი პოტენციომეტრის სკალა დაკალიბრებულია ოპტიკური სიმკვრივის ერთეულების (0-დან 2-მდე) და შექმატებისანობის პროცენტულობის (0-დან 100 %-მდე) მიხედვით.** ამის შემდეგ პრიზმის მეშვეობით დააყენებენ ასალი ტალღის სიგრძეს და იმავე წესით აწარმოებენ სსნარის ოპტიკური სიმკვრივის გაზომვას ასალი ტალღის სიგრძეზე. გაზომვების შედეგები შეაქვთ ცხრილში და მის საფუძველზე აგებენ საანალიზო სსნარის შექმთანთქმის სპექტრს.

სპექტროფოტომეტრზე **ცΦ-4A** შეიძლება განისაზღვროს სსნარის ოპტიკური სიმკვრივე სპექტრის არა მხოლოდ ხილულ უბანში (400–800 ნმ), არამედ ულტრაიისფერ (220–400ნმ) და ინფრაწითელ უბნებში (800–1100 ნმ). ამის გამო ხელსაწყოს გააჩნია განათების ორი **წყარო:**

1) წყალბადის ნათურა 220–350 ნმ ტალღის სიგრძის უბანში სამუშაოდ (ულტრაიისფერი უბანი);

2) გამახურებელი ნათურა 320–1100 ნმ უბანში სამუშაოდ (სპექტრის ხილული და უხილავი ინფრაწითელი უბნები).

ულტრაიისფერ უბანში მუშაობისას იყენებენ კვარცის კიუვეტებს.


**ცΦ-4A-ს ნაკლი** მდგომარეობს იმაში, რომ ამ ხელსაწყოზე მუშაობისას საჭირო ხდება ოპტიკური სიმკვრივის გაზომვა სათოთაოდ ტალღის სხვადასხვა სიგრძეზე და მიღებული შედეგების საფუძველზე იგება შექმთანთქმის სპექტრი.

### XXII.3. სპექტროფოტომეტრული ანალიზის ჩატარება სპექტრის ულტრაიისფერ უბანში

ბევრი ნივთიერება, რომელიც არ შთანთქავს გამოსხივებას სპექტრის ხილულ უბანში და ამის გამო მათი სსნარები უფერულია, კარგად შთანთქავენ ულტრაიისფერ სხივებს. ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება: ბენზოლი  $C_6H_6$ , ტოლუოლი  $C_6H_5 - CH_3$ , აცეტონი  $CH_3 - CO - CH_3$ . ამიტომ ამ ნივთიერებებისათვის შუქშთანთქმის სპექტრის გადაღება შეიძლება ულტრაიისფერ უბანში და მათი შთანთქმის მაქსიმუმი განლაგებული იქნება ულტრაიისფერ უბანში. **სსნარების მიერ სინათლის შთანთქმა ულტრაიისფერ უბანში ექვემდებარება ისეთივე კანონებს, როგორც სპექტრის ხილულ უბანში (გ.ი. ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონი). ულტრაიისფერ უბანში სპექტროფოტომეტრულ ანალიზს ატარებენ შემდეგი ხელსაწყოების მეშვეობით: სპექტროფოტომეტრები **CФ-8** ან **CФ-9**.**

სპექტროფოტომეტრული ანალიზისათვის მინის კიუვეტები გამოუსადეგარია, რადგანაც ჩვეულებრივი მინა არ ატარებს ულტრაიისფერ სხივებს, ამიტომ ამ შემთხვევაში მუშაობენ **კვარცის კიუვეტებით.** კიუვეტების სამუშაო ზედაპირის გულმოდგინე გასუფთავებას გააჩნია დიდი მნიშვნელობა, რადგანაც მათი უმნიშვნელო დაბინძურებაც კი, რომელიც თვალისათვის შეუმჩნეველია, იწვევს ულტრაიისფერი სხივების და ანალიზის შედეგების დამახინჯებას. ულტრაიისფერ უბანში ანალიზისათვის, გამხსნელის როლში, გარდა დისტილირებული წყლისა, შეიძლება გამოყენებული იქნას ორგანული გამხსნელები: ეთილის სპირტი  $C_2H_5OH$ , ციკლოჰექსანი  $C_6H_{12}$ , ქლოროფორმი  $CHCl_3$  და სხვა.

**მაგალითი: ბენზოლის მინარევის განხაზღვრა ციკლოჰექსანში.**



ამ შემთხვევაში ბენზოლი წარმოადგენს ნივთიერებას, რომელიც შთანთქავს ულტრაიისფერ გამოსხივებას, ხოლო ციკლოჰექსანი ულტრაიისფერ უბანში არ შთანთქავს გამოსხივებას. ბენზოლი ინტენსიურად შთანთქავს  $\lambda = 250-260$  ნმ ტალღის სიგრძის მქონე გამოსხივებას. ანალიზის ჩასატარებლად ამზადებენ ეტალონურ სსნარს, რომელიც შეიცავს 1ლიტრ ციკლოჰექსანზე 1გრამ ბენზოლს და ზომავენ ამ სსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს  $\lambda = 225$  ნმ ტალღის სიგრძეზე. სტანდარტული სსნარის როლში გამოდის სუფთა ციკლოჰექსანი. ეტალონური სსნარის ოპტიკური სიმკვრივის გაზომვის შემდეგ საზღვრავენ საანალიზო ბენზოლიანი ციკლოჰექსანის ოპტიკურ სიმკვრივეს  $\lambda = 225$  ნმ ტალღის სიგრძეზე. კიუვეტების ფენის სისქე უნდა შეადგენდეს 1 სმ-ს. ამის შემდეგ ბენზოლის ნარევის შემცველობას ციკლოჰექსანის საანალიზო ნიმუშში გამოითვლიან ფორმულით:

$$C = 10 \cdot (D_x : D_{ref}) , \text{ სადაც:}$$

**C** – არის ბენზოლის მინარევის კონცენტრაცია ციკლოჰექსანში, გ/ლ;

**10** – არის ბენზოლის რაოდენობა (10გ) 1ლიტრ ციკლოჰექსანში, ანუ ეტალონურ სსნარში;

**D<sub>x</sub>** – არის საანალიზო ციკლოჰექსანის ოპტიკური სიმკვრივე, რომელიც შეიცავს ბენზოლის მინარევს;

**D<sub>ref</sub>** – არის სუფთა ციკლოჰექსანის ოპტიკური სიმკვრივე.

## XXII.4. სპექტროფოტომეტრული ანალიზის ჩატარება სპექტრის ინფრაწითელ უბანში

ეს მეთოდი დაფუძნებულია გამოსხივების შთანთქმის გაზომვაზე სპექტრის ინფრაწითელ უბანში, რომელიც იწყება დაახლოებით 800 ნმ-დან. ინფრაწითელ უბანში ტალღის სიგრძის საზომ ერთეულად ითვლება მიკრომეტრი – მკმ. ხშირად ინფრაწითელ გამოსხივებას ახასიათებენ ტალღური რიცხვით  $\gamma$  (ნიუ) – ეს არის ტალღის სიგრძის საპირისპირო სიდიდე, რომელიც გამოსახება სმ-ში. ამიტომ ტალღური რიცხვი გამოისახება **სმ-1 სიდიდით.**

ნივთიერების მიერ ინფრაწითელი გამოსხივების შთანთქმა დამოკიდებულია მოლეკულების **ატომთა რხევის ენერგიაზე.** სწორედ მოლეკულების შემადგენელი ატომთა რხევა განაპირობებებს სპექტრში შთანთქმის ზოლების წარმოქმნას, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული ნივთიერების მოლეკულებისათვის. სპექტრში შეიძლება გამოიყოს ზოლები, რომლებიც დამახასიათებელია ატომთა გარკვეული ჯგუფისათვის, მაგ: მეთილის ჯგუფისათვის -CH<sub>3</sub>, ჰიდროქსილის ჯგუფისათვის -OH, კარბონილის ჯგუფისათვის -CO და ა.შ. ამ ზოლებს უწოდებენ **დამახასიათებელ ზოლებს** და ისინი წარმოქმნებიან ყველა იმ მოლეკულათა სპექტრში, რომელთა შემადგენლობაში შედიან ატომთა ზემოთჩამოთვლილი ჯგუფები.

**ინფრაწითელი სპექტრი** წარმოადგენს ნივთიერების უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს. ორი ნივთიერების ინფრაწითელი სპექტრების იდენტურობა წარმოადგენს იმის დამამტკიცებელს, რომ ეს ორი ნივთიერება იდენტურია.

არსებობს სპეციალური კატალოგები ან ატლასები, რომლებშიც თავმოყრილია ცნობილი ნივთიერებების უმრავლესობის ინფრაწითელი შთანთქმის სპექტრები. სპეციალურ ცხრილებში მოყვანილია ტალღის სიგრძეები, რომლებიც დამახასიათებებელია ელემენტთა, ატომთა ჯგუფების ან მოლეკულაში ცალკეული ქიმიური ბმებისათვის. ამ მონაცემების მეშვეობით შეიძლება საანალიზო ნივთიერების იდენტიფიცირება ანუ აღმოჩენა ან შეიძლება იმის დადგენა, თუ რომელი სტრუქტურული ელემენტი შედის მოცემულ ნივთიერებაში. ნივთიერების მიერ შუქმთანთქმა სპექტრის ინფრაწითელ უბანში ემორჩილება იმავე კანონებს, როგორც სპექტრის ხილულ უბანში (ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონი).

**ინფრაწითელ უბანში სპექტროფოტომეტრულ ანალიზს აწარმოებენ ინფრაწითელი სპექტროფოტომეტრების მეშვეობით რომელთა მარკებია:** **ИКС-16 ან ИКС-224.**

**ИКС-16** -ის მეშვეობით შესაძლებელია შუქმთანთქმის სპექტრის რეგისტრაცია და განსაზღვრა ტალღის სიგრძის შემდეგ ინტერვალში:  $\lambda = 0,75 - 25$  მკმ. ეს არის ორსხივიანი ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად იწერს შთანთქმის სპექტრს. ამ ხელსაწყოში ინფრაწითელი გამოსხივების წყაროს წარმოადგენს **სილიტის (სილიციუმის შენადნობიალუმინთან) დერო,** რომელიც ხურდება ელექტროდენიო. გახურებისას სილიტის დერო გამოასხივებს და ეს გამოსხივება სარკეების სისტემის მეშვეობით იყოფა ორ კრონაირ ნაკადად. ერთი ნაკადი გაივლის საანალიზო ნივთიერებას, მეორე ნაკადი კი ქმნის შედარების სხივს.

თუ საანალიზო ნივთიერებას ხსნარის სახით მოათვავს ეს სინათლის ნაკადში, მაშინ შედარების სხივში ათავსებენ ასეთივე კიუვებს, რომელშიც ჩასხმულია სუფთა გამსხნელი. შემდეგ სინათლის ნაკადები გაივლიან რთულ ოპტიკურ სისტემას, **მონოქრომატორს,** რომელიც „ამოჭრის“ სპექტრიდან მონოქრომატულ გამოსხივებას და საბოლოოდ სინათლის ნაკადები ხვდებიან **თერმოელემენტზე.** თუ ორივე სინათლის ნაკადის ინტენსიობა ერთნაირია, მაშინ თერმოელემენტის სიგნალი ნულის ტოლია. თუ საანალიზო ნივთიერება შთანთქავს სინათლეს, მაშინ სინათლის ნაკადების ინტენსიობის ტოლობა ირღვვევა და თერმოელემენტის სიგნალი გადაიხრება ნულისაგან.

შემდეგ ეს სიგნალი სპეციალური გამაძლიერებლის მეშვეობით დაეცემა ხელსაწყოს კინეტიკურ სქემას და ამ დროს **თერმოელემენტის კალაბრი** გადაადგილდება. თვითჩამწერის კალმის გადახრა პროპორციულია საანალიზო ნიმუშში გამავალი ტალღის სიგრძისა. გატარების სპექტრი იწერება თვითჩამწერზე **უწყვეტი მრუდის** სახით.

ინფრაწითელი სპექტრომეტრისათვის პრიზმებსა და კიუვეტებს ამზადებენ ისეთი მასალისაგან, რომლიც გამჭვირვალეა ინფრაწითელი გამოსხივების მიმართ. ასეთი მასალაა: ქვამარილი ( $NaCl$ ),  $KBr$  და ა.შ.

### **თავი XXIII. ალური ფოტომეტრია.**

#### **ნეფელომეტრია და ტურბიდიმეტრია**

##### **XXIII.1. ალური ფოტომეტრის თეორიული საფუძვლები. ალური ფოტომეტრის პრინციპული სქემა**

**ალური ფოტომეტრია** – წარმოადგენს ემისიური სპექტრული ანალიზის სახესხვაობას, რომელიც დაფუძნებულია ალში ელემენტთა სხივური ენერგიის გამოსხივებაზე. ალური ფოტომეტრიის დროს, საანალიზო ხსნარი შეაუმშული ჰაერის ან ჟანგბადის მეშვეობით შეცვალ გაზქურის ალში აეროზოლის სახით. ალში ხდება საანალიზო ხსნარის აორთქლება და თუ ეს ხსნარი შეიცავს ადვილად „აღგზნებადი“ ელემენტების ატომებს, მაშინ ალი შეიფერება ამ ატომებისთვის დამახასიათებელი გამოსხივების შედეგად. ამ გამოსხივების ინტენსიობა, რომელსაც გამოყოფს სინათლის საერთო ნაკადიდან შუქფილტრი, დაეცემა ფოტოელემენტზე, დაფიქსირდება მასზე და ამის შედეგად წარმოქმნილი ფოტოდენის (რომელიც შეესაბამება გამოსხივებას) ინტენსიობა იზომება მგრძნობიარე გალვანომეტრით.

უმრავლეს შემთხვევაში ფოტოდენის სიდიდის ცვლილება წარმოებს საკვლევი ელემენტის კონცენტრაციის ცვლილების პროპორციულად, მაგრამ გამოსხივების ინტენსიობის (I) ასეთი დამოკიდებულება ელემენტის კონცენტრაციაზე (C) შენარჩუნებულია კონცენტრაციათა მხოლოდ გარკვეულ ინტერვალში, რომლის საზღვრებს მიღმა ეს დამოკიდებულება ხშირად ირდვევა. ფოტოდენის სიდიდე დამოკიდებულია არა მხოლოდ თავისუფალი ატომების კონცენტრაციაზე ალში, არამედ თვით ალის შედგენილობაზე, ალის ტემპერატურაზე, ნივთიერებათა დისოციაციის ხარისხზე ატომებად და ამ ატომების იონიზაციის ხარისხზე ალში.

აღგზნების ელექტრული წყაროებისაგან განსხვავებით, ალი იძლევა შედარებით არა-მაღალ ტემპერატურას და ეს დამოკიდებულია მის შედგენილობაზე:

#### **საწვავი ნარევი:**

#### **ალის ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$**

1. ბუტანი – ჰაერი	1300 – 1900
2. პროპანი – ჰაერი	1900 – 2000
3. წყალბადი – ჰაერი	2100
4. ბენზინი – ჰაერი	2200
5. აცეტილენი – ჰაერი	2100 – 2400
6. წყალბადი – ჟანგბადი	2500 – 2700
7. აცეტილინი – ჟანგბადი	3100 – 3200

ასეთ ალტი, პირველ რიგში, „აღიგზნებიან“ ისეთი ელემენტის ატომები, რომლებთაც გააჩნიათ იონიზაციის დაბალი პოტენციალები. ამუამად ალოვანი ფოტომეტრია ფართოდ გამოიყენება ფერად მეტალურგიაში სხვადასხვა წიაღისეულის საანალიზოდ. ამ მეთოდის საშუალებით შეიძლება დაახლოებით 50 – მდე ქიმიური ელემენტის აღმოჩენა, მათ შორის:

*Na -ის, Ca -ის K -ის, Ba -ის, Mg -ის და სხვების. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ მეთოდს იმ ნარევების საანალიზოდ, რომლებიც შეიცვალ ტუტზ და ტუტემიშათა მეტალების უმნიშვნელო რაოდენობას.*

#### **ალური ფოტომეტრი შედგება ძირითადი კვანძებისაგან:**


1. სინათლის წყარო – რომელსაც წარმოადგენს გაზქურა კვების სისტემით და საანალიზო სინჯის მიწოდების სისტემით;
2. ოპტიკური სისტემა;
3. ფოტომიდგები მოწყობილობა (ნახ. 42).

**ნახ. 42.**

#### **ალური ფოტომეტრის**

#### **პრინციპული სქემა**

1. საანალიზო
2. სხნარიანი
3. კოლბა
4. გაზქურის ალი
5. ლინზები
6. შუქფილტრები
7. ფოტოელემენტი
8. ფოტოგამამრავ-ლებელი
9. მარეგისტრირებუ-ლი ხელსაწყო



**საწვავი გაზი პაერი და საანალიზო ხსნარი** – ერთად ეს ნარევი განიფრქვევა პაერის ნაკადის მეშვეობით სპეციალურ გამფრქვევში, რომელიც მუშაობს პულვერიზატორის პრინციპით, რომლის შედეგად საანალიზო ნარევი აეროზოლის სახით მიეწოდება გაზქურის ალტი. წარმოიქმნება გამოსხივება, რომელიც ოპტიკური სისტემის მეშვეობით პროექტირდება მონოქრომატიზირებად დანადგარზე, რომელიც გამოჰყოფს გარევეული სიგრძის ტალღების მქონე გამოსხივებას.

**ალურ ემისიურ ფოტომეტრებში მონოქრომატიზირებადი დანადგარის როლის ასრუ-ლებს ცვლადი შუქფილტრების ბლოკი.** ამის შემდეგ გამოყოფილი გამოსხივება მიემარ-თება ფოტოელემენტისაკენ, რომელზედაც დაცემის შემდეგ წარმოიქმნება ფოტოდენი, ეს ფოტოდენი ძლიერდება და ეცემა გაღვენომეტრზე. ატომთა გამოსხივების ინტენსიობა და შესაბამისად გაღვანომეტრის ისრის გადახრა, უმრავლეს შემთხვევაში, პროპორციულია საანალიზო ხსნარში ნივთიერების კონცენტრაციისა. შესაბამისი შუქფილტრების

გამოყენებით, ალური ფოტომეტრიით შეიძლება განისაზღვროს ერთდროულად  $Na$ -სა და  $K$ -ის შემცველობა საანალიზო ნარევში, რადგანაც ამ ქლემენტების გამოსხივების ზოლუბი საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ტალღის სიგრძის მიხედვით ( $Na$  - 589ნმ,  $K$  - 766ნმ).

ჰაერი, რომელიც ხვდება **შემრევში (2)**, წარიტაცებს მასთან ერთად კოლბაში მყოფი საანალიზო ხსნარის წევთებს **(1)**, წარმოიქმნება აეროზოლი, რომელიც საწვავ გაზთან ერთად ხვდება გაზქურის ალში **(4)**. **სარკის** მეშვეობით **(3)** ალის გამოსახულება გაივლის ლინზებს **(5)**, **შუქფილტრებს** **(6)** და პროექტირდება ფოტოელექტრებზე **(7)**. ამის შედეგად, ფოტოელექტრებზე წარმოიქმნება ფოტოდენი, რომელიც ძლიერდება ფოტოგამამრავლებლის **(8)** მეშვეობით და წარმოქმნილი ხიგნალი საბოლოოდ ხვდება მარჯვისტრირებულ ხელსაწყოზე **(9)**. თუ მარევისტრირებელი ხელსაწყოს მოვალეობას ასრულებს მიღიამპერმეტრი, მაშინ მისი ისრის გადახრა პროპორციული იქნება ხსნარში საანალიზო ნივთიერების კონცენტრაციისა. ხშირად ანალიზის ჩასატარებლად ამზადებენ ეტალონური ხსნარების სერიას, რომელთა საფუძველზე აგებენ საკალიბრო გრაფიკს და ამ გრაფიკით გამოითვლიან საანალიზო ნივთიერების კონცენტრაციას ხსნარში.

ლაბორატორიაში ხშირად სარგებლობენ ალური ფოტომეტრით, რომლის მარკაა **ФП-101**. ამ ფოტომეტრში აღგზნებადობის წყაროს წარმოადგენს გაზქურა, რომელიც მუშაობს პროპან-ბუტანის ნარევზე. ხელსაწყოზე ისაზღვრება  $Na$ ,  $K$ ,  $Li$ ,  $Ca$  და ამ ხელსაწყოს კონსტრუქცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს ერთდროულად ორი ელემენტი, ამასთან ძლიერ განზავებულ ხსნარებშიც. ამ მეთოდის აღმოსაჩენი ზღვარი შეადგენს:  $Na$ -ის,  $K$ -ის,  $Li$ -ის – 0,01 მგ/ლ;  $Ca$ -ის – 0,1 მგ/ლ.

ხელსაწყოს რთავენ წრედში, შემდეგ ადებენ გაზის ბალონის რედუქტორს ან გაზსაფენის ონკანს, ანთებენ გაზქურას და რთავენ კომპრესორს. ვინტილის საშუალებით გაზქურის ალს ხდიან ერთგვაროვანს. მანომეტრის მეშვეობით არეგულირებენ წნევას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 0,5–0,6 ატმოსფეროს. გამოსხივების გზაზე დააყენებენ საჭირო შუქფილტრს, რომელიც გაატარებს ფოტოელექტრისაკენ მხოლოდ განსაზღვრული ელემენტის გამოსხივებას, შემდეგ კი საანალიზო ხსნარს შეკუმშული ჰაერის მეშვეობით აეროზოლის სახით მიაწვდიან გაზქურის ალში.

## XXIII.2. ნატრიუმის განსაზღვრა ალურ ფოტომეტრზე

$Na$ -ის რაოდენობის განსაზღვრავად გამოიყენება შედარების მეთოდი. ამისათვის ამზადებენ ორ სტანდარტულ ხნარს, რომელთა კონცენტრაციები –  $C_1, C_2$  ცნობილია და ერთ საანალიზო ხნარს, რომლის კონცენტრაცია –  $C_x$  უცნობია. საზღვრავენ სამივე ხსნარის გამოსხივების ინტენსივობას, ხოლო  $C_x$  პოულობენ ფორმულით:

$$C_x = C_2 + \frac{C_1 - C_2}{a_1 - a_2} \cdot (a - a_2),$$

სადაც:  $a$  – არის ფოტოდენის სიდიდე, რომელიც შეესაბამება საკვლევ ხსნარში  
 $Na$ -ის გამოსხივებას;

$a_1$  და  $a_2$  – არის იმ ფოტოდენის სიდიდეები, რომლებიც შეესაბამება კონცენტრაციებს –  $C_1$ -ს და  $C_2$ -ს.

ალში აღიგზნებიან და გამოსხივებენ ტუტე – და ტუტემიწათა მეტალების ატომები, ამიტომ მათი განსაზღვრა შეიძლება პირდაპირ ხსნარებიდან.

**რეაგენტი:** 0,005 N  $NaCl$  -ის ხსნარი.

### **ანალიზის მხედლები:**

საანალიზო ხსნარს ასხამენ 100მლ საზომ კოლბაში, ავსებენ ნიშანხაზებამდე დისტილირებული წყლით და შეანჯღრევენ. საანალიზო ხსნარი უნდა შეიცავდეს 0,3–0,6მგ  $Na$ -ს. შემდეგ ორ 100მლ საზომ კოლბაში ამზადებენ სტანდარტულ ხსნარებს, რომლებიც შეიცავენ: 1) 3–5მგ/მლ  $Na$ -ს; 2) 5–6მგ/მლ  $Na$ -ს. ხსნარების დამზადება რეკომენდებულია ორჯერ გამოხდილ წყალზე. შემდეგ საანალიზო და სტანდარტულ ხსნარებს ასხამენ ქიმიურ ჭიქებში, საიდანაც ისინი ჰაერის საშუალებით მიეწოდება გაზქურის ალტი. ანალიზის წინ საჭიროა „პრძა“ ცდის ჩატარება: ამისათვის დააყენებენ შესაბამის შუქფილტრს, რომელიც გაატარებს  $Na$ -ის ატომების გამოსხივებას, განაფრქვევენ მხოლოდ ერთ გამხსნელს (დისტილირებულ წყალს) და მიაწოდებენ მას გაზქურის ალტი. თუ გალვანომეტრის ისარი გადაიხრება იმის გამო, რომ დისტილირებული წყალი მაინც შეიცავს  $Na$ -ის უმცირეს რაოდენობას, კორექტორის მეშვეობით მას დააყენებენ გალვანომეტრის ნულოვან დანაყოფზე. ამის შემდეგ თანმიმდევრობით საზღვრავენ საანალიზო და სტანდარტული ხსნარების გამოსხივების ინტენსიობას. ყოველი გაზომვის შემდეგ გამფრქვევს და გაზქურას გულმოდგინედ ჩარეცხავენ წყლით. ყოველ გაზომვას ატარებენ არა უმცირეს სამჯერ.

### **XXIII.3. კალიუმის, კალციუმის და ნატრიუმის საერთო განსაზღვრა ერთ საანალიზო ხსნარში ალური ფოტომეტრით**

**კალიუმის, კალციუმის და ნატრიუმის საერთო განსაზღვრისათვის ერთი საანალიზო ხსნარიდან ალური ფოტომეტრით** ამზადებენ სტანდარტული ხსნარების სერიას და აგებენ საკალიბრო გრაფიკს ცალკეულად თითოეული იონისათვის. შემდეგ ზომავენ ამ ელემენტთა ატომების გამოსხივების ინტენსიობას საანალიზო ხსნარებში და გრაფიკის მიხედვით პოულობენ მათ კონცენტრაციას. საკვლევი ხსნარი ანალიზდება იმავე პირობებში, როგორ პირობებშიც აგებენ საკალიბრო გრაფიკებს.

**$Na$  ისაზღვრება  $\lambda = 589 - 589,6 \text{ მმ}_\text{J}$  ტალღის სიგრძეზე** და მისი სპექტრული ხაზის ფერი ყვითელია;

**$K$ -ისაზღვრება  $\lambda = 766 - 769 \text{ მმ}_\text{J}$  ტალღის სიგრძეზე** და მისი სპექტრული ხაზის ფერი ისვერია;

**$Ca$ -ისაზღვრება  $\lambda = 422,7 - 622 \text{ მმ}_\text{J}$  ტალღის სიგრძეზე** და მისი სპექტრის ფერი მწვანეა.

**რეაგენტები:** 1)  $0,005N \text{ NaCl}$ -ის ხსნარი;

2)  $0,005N \text{ KCl}$ -ის ხსნარი;

3)  $0,005N \text{ CaCl}_2$ -ის ხსნარი.

## ანალიზის მეზოგლობა:

საზომ კოლბებში ამზადებენ სტანდარტულ ხსნარებს, რომლებიც შეიცავენ:


2-8 მკგ/მლ  $Na^+$ -ს, 20-80 მკგ/მლ  $K^+$ -ს, 0,2-0,8 მკგ/მლ  $Ca^{2+}$ -ს სხვა კოლბაში ამზადებენ საანალიზო ხსნარს, რომელიც შეიცავს 0,4-0,5 მგ  $Na^+$ -ს, 4-5 მგ  $K^+$ -ს, 40-50 მგ  $Ca$ -ს. ხსნარებს ამზადებენ დისტილირებულ წყალზე.

ამის შემდეგ ზომავენ  $Na$ -ის სტანდარტული ხსნარების გამოსხივების ინტენსიობას. შემდეგ ახდენენ  $K$ -ისა და  $Ca$ -ის შემცველი სტანდარტული ხსნარების ფოტომეტრირებას. ანალიზის ბოლოს საკალიბრო გრაფიკის მეშვეობით პოულობენ საანალიზო ხსნარში  $Na^+, K^+, Ca^{2+}$ -ის იონების კონცენტრაციას.

## XXIII.4. ნეფელომეტრული და ტურბიდიმეტრული ანალიზი

სინათლის ხეივი, რომელიც გაივლის დისპერსიულ სისტემას (მაგალითად, ხსნარში მყოფი მყარი ნივთიერების უმცირეს შეწონილ ნაწილაკებს), თანდათან შესუსტდება, რადგანაც სინათლის ნაწილი გაიფანგება მყარი ნაწილაკების მიერ. სწორედ ამ მოვლენაზეა დაფუძვნებული ანალიზის ნეფელომეტრული და ტურბიდიმეტრული მეთოდები.

**ნეფელომეტრული ანალიზის** დროს ზომავენ გაფანგული სინათლის ნაკადის ინტენსიობას, რომელიც გაივლის სუსპენზიაში. ამ დროს გაზომვებს ატარებენ სუსპენზიაზე დაცემული სინათლის ნაკადის მიმართ  $90^\circ$ -იანი კუთხით (ნახ. 43.).



ნახ. 43.

$I_0$  - დაცემული სხივის ინტენსივობა

$I$  - სუსპენზიაში გასული სხივის ინტენსივობა

$I_4$  - გაფანგული სხივის ინტენსივობა

სინათლის ნაკადის ინტენსიობა, რომელიც გაფანგულია სუსპენზიაში მყოფი წერტილი მყარი ნაწილაკების მიერ, გამოითვლება ფორმულით:

$$I_{\theta} = I_0 \cdot k \cdot C ,$$

სადაც:  $I_{\theta}$  – არის გაფანტული სინათლის ინტენსივობა;

$I_0$  – არის სუსპენზიაზე დაცემული სინათლის ინტენსიობა;

$C$  – არის მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია სუსპენზიაში;

$k$  – არის პროპორციულობის კოეფიციენტი.

ამ ტოლობიდან გამოდინარეობს, რომ რაც უფრო მეტია სუსპენზიაში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია, მით უფრო მეტი ნაწილი გაიფანტება სუსპენზიაზე დაცემული სინათლისა. კ.ი. გაფანტული სინათლის ნაკადის ინტენსივობა პირდაპირპორციულია სუსპენზიაში არსებული ნაწილაკების კონცენტრაციისა.

**თუ საქმე გვაქვს ორ სუსპენზიასთან,** რომლებშიც იმყოფება ერთნაირი ზომისა და ფორმის შეწონილი ნაწილაკები, მაშინ ამ სუსპენზიების მიერ გაფანტული სინათლის ინტენსიობის შეფარდება ტოლი იქნება ამ სუსპენზიაში ნივთიერებათა ნაწილაკების კონცენტრაციის შეფარდებისა:

$$\frac{I}{I'} = \frac{C}{C'}$$

შესაბამისად, თუ იზომება საანალიზო სუსპენზიის მიერ გაფანტული სინათლის ინტენსიობა ( $I$ ) და შედარების სუსპენზიის მიერ გაფანტული სინათლის ინტენსივობა ( $I'$ ), რომლის კონცენტრაცია –  $C'$  ცნობილია, მაშინ შეიძლება განისაზღვროს **საალიზო სუსპენზიის კონცენტრაცია:**

$$C = C' \cdot \frac{I}{I'}$$

**ტურბიდიმეტრული ანალიზის** დროს ისაზღვრება სინათლის ნაკადის ინტენსიობა –  $I$ , რომელიც გაივლის კიუვებს და სუსტდება, ერთის მხრივ, სუსპენზიის მიერ გაფანტვის ხარჯზე, ხოლო, მეორეს მხრივ, სუსპენზიის მიერ შთანთქმის ხარჯზე. **სუსპენზიაში გამავალი სინათლის ნაკადის ინტენსივობა დამოკიდებულება სუსპენზიის კონცენტრაციაზე და გამოისახება ფორმულით:**

$$D = k \cdot C \cdot l ,$$

სადაც:  $D$  – არის სუსპენზიის ოპტიკური სიმკრივე, ანუ სუსპენზიაში გამავალი სინათლის ნაკადის ინტენსივობა;

$C$  – არის მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია სუსპენზიაში;

$l$  – არის სუსპენზიის შთანთქმავი ფენის სისქე;

$k$  – არის პროპორციულობის კოეფიციენტი (სიმღვრივის კოეფიციენტი).

ეს განტოლება მსგავსია სინათლის შთანთქმის ძირითადი კანონისა – ბუგერლამბერტ-ბერის განტოლებისა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ  $k$  – ამ შემთხვევაში წამოადგენს **სიმღვრივის კოეფიციენტს.**

ნეფელომეტრულ და ტურბიდიმეტრულ ანალიზებს ატარებენ ფოტოელექტრული კოლორიმეტრების მეშვეობით, რომელთაც **ნეფელომეტრები** ეწოდება (მათ გააჩნიათ ვიზუალური დაკვირვების ოკულიარი). რაოდენობით ანალიზს კი ატარმოებენ წინასწარ აგებული საკალიბრო გრაფიკის მეშვეობით.

## **სავალდებულო ლიტერატურა**

1. ა. კ. ბაბკო, ი. ვ. პიატნიცკი. რაოდენობითი ანალიზი. –თბ., უნ-ტის გამომცემლობა, 1975. –594 გვ.
2. ფ. ბროუჩეკი, ც. ღუდუშაური. ფოტომეტრული მეთოდები (დამხმარე სახელმძღვანელო). – თბილისი: გამ-ბა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000. –52 გვ.
3. ლ. ბოგუჩავა. ანალიზური ქიმიის კურსი. – თბილისი: გამ-ბა “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2005. – 204 გვ.
4. ვ. ნ. ვერხოვსკი, ა. დ. სმირნოვი. ქიმიური ექსპერიმენტის ტექნიკა. ტ.2. –თბილისი: “განათლება”, 1987. –424 გვ.
5. ი. ზედგინიძე. ექსპერტიზა. მეთოდები და საშუალებები (სახელმძღვანელო). –თბილისი: გამ-ბა ტექნიკური უნ-ტი, “ინფორმატიზაციის ცენტრი”, 1999. –333 გვ.
6. ლ. მორჩილაძე, რ. მაჩხოშვილი. ანალიზური ქიმიის ლაბორატორიული სახელმძღვანელო. –თბილისი: ს.ს.ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003. –191 გვ.
7. ნ. ა. ტანანავი. ანალიზური ქიმია. – თბ; “ტექნიკა და შრომა”, 1983. –362 გვ.
8. ა. ჩხერიძე. ანალიზური ქიმია. – თბილისი: “განათლება”, 1982. –302 გვ.
9. Барсукова З. А. Аналитическая Химия. – М.: «Высшая школа». 1990. – 319 с.
10. Гурвич Я. А. Химический анализ. – М.: «Высшая школа», 1985. – 295 с.
11. Крешков А. П. Основы аналитической химии. Качественный и количественный анализ. - М.: «Химия», 1970. -456 с.
12. Крешков А. П. Основы аналитической химии. Физико-химические (инструментальные) методы анализа. -М.: «Химия», 1970. -471 с.
13. Логинов Н. Я., Воскресенский А. Г., Солодкин И. С. Аналитическая химия. – М.: «Просвещение», 1975. – 478 с.
14. Москвин Л. М., Царицына Л. Г. Методы разделения и концентрирования в аналитической химии. – М.-Л.: «Химия», 1991. – 254 с.
15. Пономарёв В. Д. Аналитическая химия. – М.: «Медицина», 1982. – 303 с.
16. Стыскин Е. Л. Практическая высокоэффективная жидкостная хроматография. – М.: «Химия», 1986. – 968 с.

## **დამატებითი ლიტერატურა**

1. ვ. ს. ასათიანი. ფოტომეტრული ქიმიური ანალიზი. წიგნი II. – თბ; 1964. – 335 გვ.
2. დ. ი. ერისთავი. ანალიზური ქიმიის კურსი. – თბ; “ცოდნა”, 1964. – 360 გვ.
3. ნ. საჯაია, ნ. დოლიძე. ანალიზური ქიმია. – თბ; “განათლება”, 1966. – 196 გვ.
4. ნ. ფირცხალავა, პ. გამსახურდია. ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები. – თბ; უნ-ტის გამ-ბა, 1959. – 369 გვ.
5. Алексеев В. Н. Количественный анализ. – М.: «Химия», 1972. – 504 с.
6. Барсукова З. А. Аналитическая химия. -М.: «Высшая школа», 1990. -319с.
7. Лурье Ю. Ю. Справочник по аналитической химии. -М.: «Химия», 1971. -456 с.
8. Пилипенко А. Т., Пятницкий И. В. Аналитическая химия. -М.: «Химия», 1990. -845с.
9. Физико-химические методы анализа : Практ. руководство / под ред. В.Б.Алесковского. – Л.: «Химия», 1988. – 372с.
10. Чмутов К. В. Хроматография. – М.: «Химия», 1978. – 128 с.
11. Шапиро С. А., Шапиро М. А. Аналитическая химия. – М.: «Высшая школа», 1971. – 342 с.
12. Ушакова Н. Н. Пособие по аналитической химии: Качеств. анализ. – М.: МГУ, 1978. – 223 с.

## შინაარსი

წინასიტყვაობა	3
შესაგალი	4

### I ნაწილი.

თავი I. ექსპერიმენტის დაგეგმვა და ჩატარება	11
I.1. ანალიზური რეაქციები	11
I.2. ქიმიური ანალიზის ძირითადი ეტაპები	12
I.3. ანალიზის მწარმოებლურობა (შემთხვევითი შეცდომები) და ანალიზის სიზუსტე (სისტემატური შეცდომები)	12
I.4. ანალიზის შედეგების მათემატიკური დამუშავება	15
თავი II. ქიმიური რეაქციების მგრძნობიარობა.	
ხსნარში იონთა აღმოჩენის პირობები	17
II.1. ანალიზური რეაქციების მგრძნობიარობა და მასზე მოქმედი ფაქტორები	17
II.2. მათემატიკური ურთიერთკავშირი ანალიზური რეაქციების მგრძნობიარობის პარამეტრებს შორის	19
II.3. ხსნარში იონთა აღმოჩენის პირობები	20
II.4. ჯგუფობრივი, სელექტიური, სპეციფიკური რეაგენტები	21
II.5. ანალიზური შენიდბავა. შემნიდბავი რეაგენტები	22
თავი III. ნიმუშის დაშლისა და ნივთიერების აღმოჩენის მეთოდები	24
III.1. მაკრო-, ნახევრადმიკრო- და მიკროანალიზი	24
III.2. ნიმუშის დაშლის “მშრალი” მეთოდები	24
III.3. ნიმუშის დაშლის “სველი” მეთოდები	26
III.4. ანალიზის წვერული მეთოდი	27
III.5. მიკროკრისტალსკოპიური რეაქციები	28
თავი IV. მოქმედ მასათა კანონი (მმკ) როგორც თვისებითი ანალიზის საფუძველი	29
IV.1. ქიმიური წონსწორობა. მმკ-ს მისადაგება შექცევადი რეაქციებისადმი ჰომოგენურ სისტემებში	29
IV.2. იონიზაცია და დისოციაცია	32
IV.3. იონიზაციის კონსტანტა და იონიზაციის ხარისხი	33
IV.4. ოსტვალდის განზავების კანონი, როგორც კავშირი სუსტი ელექტროლიტის იონიზაციის ხარისხსა და კონსტანტას შორის	35
IV.5. იონის აქტივობა. ხსნარის იონური ძალა	36

### II ნაწილი.

თავი V. კათიონთა მჟავურ-ტუტოვანი კლასიფიკაცია	37
V.1. ანალიზის სისტემატური და წილადური მსვლელობა	37
V.2. კათიონთა სულფიდური კლასიფიკაცია	38

V.3. კათიონთა I-II-III ანალიზური ჯგუფების დახასიათება	39
V.4. კათიონთა IV-V-VI ანალიზური ჯგუფების დახასიათება	41
 თავი VI. წყლის იონური ნამრავლი. ბუფერული სისტემები	43
VI.1. წყლის იონიზაციის თერმოდინამიკური კონსტანტა	43
VI.2. წყლის იონური ნამრავლი. წყალბადის მაჩვენებელი— pH და პიდროქსილის მაჩვენებელი— pOH	44
VII.3. თანაფარდობა წყალბად-იონის კონცენტრაციას, pH-სა, pOH-სა და ხსნარის რეაქციას შორის	45
VII.4. ხსნარების pH-ის განსაზღვრის მეთოდები	46
VII.5. ბუფერული სისტემები და მათი ქიმიური შედგენილობა	47
VII.6. ბუფერული მოქმედების ქიმიური მექანიზმი	47
 თავი VII. მოქმედ მასათა კანონი და ჰეტეროგენული პროცესები	48
VII.1. წონასწორობა სისტემაში: ნალექი-ნაჯერი ხსნარი. ხსნადობის ნამრავლი	48
VII.2. დალექვა და გახსნა ქიმიურ ანალიზში	50
VII.3. მარილის ეფექტი. წილადური დალექვა	52
VII.4. ძნელადხსნადი ელექტროლიტების გადაყვანა სხვა ძნელადხსნად ელექტროლიტებში	53
 თავი VIII. თანამედროვე წარმოდგენები მჟავებსა და ფუძეებზე ბრენსტედ-ლოურის პროტოლიტური თეორიის საფუძველზე	54
VIII.1. მჟავებისა და ფუძეების პროტოლიტური თეორია	54
VIII.2. მჟავებისა და ფუძეების კლასიფიკაცია პროტოლიტური თეორიის საფუძველზე	55
VIII.3. მჟავურ-ფუძური ურთიერთქმედების მექანიზმი. ლიონიუმის კათიონი და ლიატის ანიონი	57
VIII.4. მჟავურობის და ფუძურობის კონსტანტები. მჟავებისა და ფუძეების ძალისმიერი მაჩვენებელი	58
 <b>III ნაწილი</b>	
 თავი IX. რაოდენობითი ანალიზის თეორიული საფუძვლები	59
IX.1. რაოდენობითი ანალიზის საგანი, ამოცანები და მეთოდები	59
IX.2. რაოდენობითი ანალიზის ჩატარების პირობები	60
IX.3. რაოდენობითი ანალიზის შეცდომები	61
IX.4. რაოდენობითი ანალიზის ჭურჭელი, ხელსაწყოები და აპარატურა	62
IX.5. რაოდენობითი ანალიზის ძირითადი ოპერაციები	63
 თავი X. გრავიმეტრული (წონითი) ანალიზი	65
X.1. გრავიმეტრული ანალიზის არსი და თეორიული	

	<b>საფუძვლები</b>	<b>65</b>
<b>X.2.</b>	ანალიზური სასწორი, საშუალო ნიმუშის და ანალიზური წონაკის აღება	<b>67</b>
<b>X.3.</b>	გრავიმეტრული ანალიზის ჩატარების საერთო სქემა და ძირითადი ოპერაციები	<b>68</b>
<b>X.4.</b>	გაანგარიშებები გრავიმეტრულ ანალიზში	<b>69</b>
<b>თავი XI.</b>	<b>ტიტრიმეტრული (მოცულობითი) ანალიზი</b>	<b>70</b>
<b>XI.1.</b>	ტიტრიმეტრული ანალიზის არსი, თავისებურებები, თეორიული საფუძვლები	<b>70</b>
<b>XI.2.</b>	ტიტრიმეტრული ანალიზის მეთოდები, რეაქციებისადმი წაყენებული მოთხოვნები ტიტრიმეტრიაში	<b>71</b>
<b>XI.3.</b>	გატიტვრის პროცესი	<b>72</b>
<b>XI.4.</b>	ძირითადი, სამუშაო და სტანდარტული ხსნარების დამზადება. ფიქსონალები	<b>74</b>
<b>XI.5.</b>	ანალიზური კონცენტრაციების განსაზღვრა და გაანგარიშება ტიტრიმეტრულ ანალიზში	<b>75</b>
<b>თავი XII.</b>	<b>მჟავურ-ფუძური გატიტვრა (ნეიტრალიზაცია)</b>	<b>79</b>
<b>XII.1.</b>	ნეიტრალიზაციის არსი და თეორიული საფუძვლები	<b>79</b>
<b>XII.2.</b>	მჟავურ-ფუძური გატიტვრის ინდიკატორები	<b>80</b>
<b>XII.3.</b>	ინდიკატორის გადასვლის ინტერვალი. ინდიკატორის მაჩვენებელი – pK და გატიტვრის მაჩვენებელი – pT	<b>81</b>
<b>XII.4.</b>	სამუშაო ხსნარების მომზადება	<b>82</b>
<b>XII.5.</b>	გატიტვრის მრუდები	<b>83</b>
<b>XII.6.</b>	გატიტვრა უწყლო ხსნარებში	<b>86</b>
<b>XII.7.</b>	მჟავურ-ფუძური გატიტვრის პრაქტიკული გამოყენება	<b>86</b>
<b>თავი XIII.</b>	<b>რედოქსიმეტრიის (ჟანგვა-აღდღგენის) მეთოდები</b>	<b>88</b>
<b>XIII.1.</b>	რედოქსიმეტრიის არსი, მეთოდები	<b>88</b>
<b>XIII.2.</b>	რედოქს-პოტენციალები, რედოქს-რეაქციების მიმართულება. რედოქს-რეაქციების წონასწორობის კონსტანტები	<b>89</b>
<b>XIII.3.</b>	რედოქს-მეთოდების გატიტვრის მრუდები. რედოქს-ინდიკატორები	<b>90</b>
<b>XIII.4.</b>	პერმანგანატმეტრიის საფუძვლები. პერმანგანატის სამუშაო ხსნარის დამზადება	<b>92</b>
<b>XIII.5.</b>	იოდმეტრია. სამუშაო ხსნარები იოდმეტრიაში, იოდის სტანდარტული ხსნარის დამზადება	<b>94</b>
<b>XIII.6.</b>	სახამებელი, როგორც ინდიკატორი იოდმეტრიაში. იოდმეტრიის პრაქტიკული გამოყენება	<b>96</b>

<b>ትአዋዎ ፌ. ደንብ እና የሚከተሉ የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>98</b>
<b>XIV.1. ደንብ እና የሚከተሉ የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>98</b>
<b>ስልክ የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>98</b>
<b>XIV.2. ደንብ እና የሚከተሉ የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>99</b>
<b>XIV.3. አገልግሎት የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>100</b>
<b>XIV.4. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>101</b>
<b>XIV.5. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>102</b>
<b>ስልክ የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>102</b>
<b>ትአዋዎ ፌ. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>103</b>
<b>XV.1. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>103</b>
<b>የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>103</b>
<b>XV.2. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>105</b>
<b>የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>105</b>
<b>XV.3. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>105</b>
<b>XV.4. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>106</b>
<b>XV.5. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>108</b>
<b>IV ንዑስ</b>	
<b>ትአዋዎ XVI. አገልግሎት የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	
<b>የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>110</b>
<b>XVI.1. አገልግሎት የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>110</b>
<b>XVI.2. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>113</b>
<b>XVI.3. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>115</b>
<b>XVI.4. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>117</b>
<b>XVI.5. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>120</b>
<b>XVI.6. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>122</b>
<b>XVI.7. የዕለታዊ የሆኑ አገልግሎት</b>	<b>124</b>

<b>თავი XVII. კონდუქტომეტრია, პოლაროგრაფია, ამპერომეტრია</b>	<b>129</b>
<b>XVII.1. კონდუქტომეტრიის არსი. ხსნარების         ელექტროგამტარობის განსაზღვრა</b>	<b>129</b>
<b>XVII.2. პირდაპირი კონდუქტომეტრია</b>	<b>132</b>
<b>XVII.3. კონდუქტომეტრული გატიტვრა</b>	<b>133</b>
<b>XVII.4. კონდუქტომეტრული გატიტვრის ჩატარება         ნეიტრალიზაციისა და დალექცის რეაქციებში</b>	<b>134</b>
<b>XVII.5. პოლაროგრაფიის პრინციპები.         პოლაროგრაფიული (ვოლტამპერული) მრუდი</b>	<b>137</b>
<b>XVII.6. თვისებითი და რაოდენობითი         პოლაროგრაფიული ანალიზი</b>	<b>140</b>
<b>XVII.7. ამპერომეტრული გატიტვრა, გატიტვრის         მრუდები</b>	<b>143</b>
<b>თავი XVIII. ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდი</b>	<b>147</b>
<b>XVIII.1. ქრომატოგრაფიის არსი, სორბცია-         დესორბციის პროცესები. ქრომატოგრამა,         სორბენტი, ელუენტი, “გადამტანი”</b>	<b>147</b>
<b>XVIII.2. ქრომატოგრაფიის სახეობები</b>	<b>149</b>
<b>XVIII.3. ადსორბციული ქრომატოგრაფია</b>	<b>150</b>
<b>XVIII.4. იონიტები. მიმოცვლითი ქრომატოგრაფია</b>	<b>151</b>
<b>XVIII.5. დალექცითი ქრომატოგრაფია</b>	<b>155</b>
<b>XVIII.6. გამანაწილებელი ქრომატოგრაფია.         გაზ-ადსორბციული და გაზ-სითხური         ქრომატოგრაფია</b>	<b>157</b>
<b>XVIII.7. ქრომატოგრაფიის პრინციპული სქემა.         ქრომატოგრამის აგების პრინციპები</b>	<b>160</b>
<b>თავი XIX. ატომურ-აბსორბციული ანალიზი</b>	<b>163</b>
<b>XIX.1. ატომურ-აბსორბციული ანალიზის არსი,         სახეობები</b>	<b>163</b>
<b>XIX.2. შუქმთანთქმის კანონები.         ბუგერ-ლამბერტ-ბერის განტოლება</b>	<b>164</b>
<b>XIX.3. შუქმთანთქმის სპექტრი</b>	<b>166</b>
<b>XIX.4. ოპტიკური სიმკვრივის და ხსნარის         კონცენტრაციის დამოკიდებულების         საკალიბრო გრაფიკის აგება</b>	<b>168</b>
<b>თავი XX. კოლორიმეტრული ანალიზი</b>	<b>169</b>
<b>XX.1. კოლორიმეტრიის თეორიული საფუძვლები</b>	<b>169</b>
<b>XX.2. კოლორიმეტრიის ვიზუალური და         ინსტრუმენტალური მეთოდები</b>	<b>170</b>
<b>XX.3. სტანდარტული ხსნარების სერიების</b>	

<b>მეთოდი</b>	<b>171</b>
<b>XX.4. კოლორიმეტრული გატიტვრის მეთოდი</b>	<b>172</b>
<b>XX.5. ფერთა გათანაბრების მეთოდი</b>	<b>174</b>
<b>XX.6. კოლორიმეტრის პრაქტიკული გამოყენება</b>	<b>176</b>
 <b>თავი XXI. ფოტოკოლორიმეტრული მეთოდი</b>	<b>176</b>
<b>XXI.1. ფოტოკოლორიმეტრიის თეორიული საფუძვლები</b>	<b>176</b>
<b>XXI.2. ფოტოელექტროკოლორიმეტრის (ფეპ) მუშაობის პრინციპი</b>	<b>177</b>
<b>XXI.3. ფეპ-56-ის პრინციპული სქემა და მასზე მუშაობის წესები</b>	<b>179</b>
 <b>თავი XXII. სპექტროფოტომეტრული ანალიზი</b>	<b>181</b>
<b>XXII.1. სპექტროფოტომეტრიის თეორიული საფუძვლები</b>	<b>181</b>
<b>XXII.2. სპექტროფოტომეტრ CΦ-4A-ს პრინციპული სქემა</b>	<b>182</b>
<b>XXII.3. სპექტროფოტომეტრული ანალიზის ჩატარება სპექტრის ულტრაიისფერ უბანში</b>	<b>184</b>
<b>XXII.4. სპექტროფოტომეტრული ანალიზის ჩატარება სპექტრის ინფრაწითელ უბანში</b>	<b>185</b>
 <b>თავი XXIII. ალური ფოტომეტრია. ნეფელომეტრია და ტურბიდიმეტრია</b>	<b>186</b>
<b>XXIII.1. ალური ფოტომეტრიის თეორიული საფუძვლები. ალური ფოტომეტრის პრინციპული სქემა</b>	<b>186</b>
<b>XXIII.2. ნატრიუმის განსაზღვრა ალურ ფოტომეტრზე</b>	<b>188</b>
<b>XXIII.3. კალიუმის, კალციუმის და ნატრიუმის საერთო განსაზღვრა ერთ საანალიზო ხსნარში ალური ფოტომეტრით</b>	<b>189</b>
<b>XXIII.4. ნეფელომეტრული და ტურბიდიმეტრული ანალიზი</b>	<b>190</b>
 <b>სავალდებულო ლიტერატურა</b>	<b>192</b>
<b>დამატებითი ლიტერატურა</b>	<b>192</b>